საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№11 (149)
21 - 27 მარტი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## დეპორტი, დეპორტი, დეპორტი ჩქარა!
11

ალექსანდრე ქაქია:
## განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს
2



„საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს“

თემურ ჩალაბაშვილი:
## ომი გარდაუვალია!
## ეს შეშლილი და აწყვეტილი პრეზიდენტი ისე არ მოისვენებს, ქვეყანა რომ არ არიოს!
13





4

სულ მალე ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ რეალურად არჩევანის გაკეთება მხოლოდ რუსულ და თურქულ პროექტებს შორის მოგვიწევს, ხოლო არანაირი „ამერიკული პროექტი“, რომელიც სამხრეთ კავკასიას უშუალოდ ეხება, აქტუალური აღარ არის.

# აქეთ — რუსეთი, იქით — თურქეთი

ირაკლი ბათიაშვილი:



## სააკაშვილის დარჩენას შეიძლება ქვეყნის დაშლა მოჰყვეს
12

ემზარ კიკნაძე:
## რასაც «ქართული ოცნება» აკეთებს, არის გარიგება ხელისუფლებასთან
10

## ტოტალიტარული დემოკრატია
8

## რევოლუცია მოდის?

თუკი უახლოეს მომავალში ივანიშვილის კოალიცია ვერ შეძლებს, აიძულოს ხელისუფლება, დაბრუნდეს კანონის ჩარჩოებში, მაშინ არჩევნების მოგებისა და მითუმეტეს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შანსი ნულის ტოლი გახდება
7



## სამოქალაქო ომის წინათგრძნობა
6

## ახალი ელემენტი «ნაცმოძრაობის» პერიოდულ სისტემაში
9

## ბოგანოთა ევროპა
20

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენთან უყვართ მოყოლა, თუ როგორ გაბედნიერდნენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ, თუ სტატისტიკას მივმართავთ, აღმოვაჩენთ, რომ ლიტვის მოსახლეობა 10 წლის მანძილზე მესამედით შემცირდა, ლატვიიდან 300 000 ადამიანი წავიდა და იქ ახლა მოსახლეობა 2 მილიონიც არ არის. პატარა ესტონეთში რეალური უმუშევრობა 25-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო 63 ათას ესტონელ ბავშვს სისტემატურად არ ჰყოფნის საკვები. აი, ასე „გაბედნიერდნენ“ ეს ქვეყნები.“**



## ალექსანდრე ჭაჭია:

# განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს

**«საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს»**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10 (148)

გაზეთის წინა ნომერში „საქართველო და მსოფლიომ“ შემოგთავაზათ პოლიტოლოგ ალექსანდრე ჭაჭიასთან ინტერვიუს პირველი ნაწილი. შეპირებისამებრ, ვაგრძელებთ მასთან საუბარს.

**— ბატონო ალექსანდრე, ცოტა ხნის წინ ინტერნეტში წავიკითხე თქვენი 2004 წლის გამოსვლა ევროპის პოლიტოლოგთა ფორუმზე, სადაც თქვენ ამტკიცებდით, რომ ევროკავშირს მომავალი არ აქვს, ე.ი. საქართველო ისწრაფვის იმ სტრუქტურაში, რომელიც სულ მალე აღარ იარსებებს?**

— ევროკავშირი კიდეც რომ იყოს მდგრადი, პერსპექტიული ორგანიზაცია, საქართველოსთვის მისი კარი მაინც დახურული იქნებოდა. ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ერთიანი ევროპული სივრცის ნაწილი, ეს ყველა ადამიანს ესმის, ვინც გეოგრაფია იცის, გეოპოლიტიკაზე აღარაფერს ვამბობ. შევარდნაძისა და მისი მემკვიდრეების მიერ მოცემული პირობა, საქართველოს ევროკავშირში შეყვანის თაობაზე, თავიდანვე ბლეფი, მიმნდობი მოსახლეობის მოტყუება იყო. მაგრამ დღეს ეს იმდენად აბსურდულია, რომ მთავრობის ოდიოზური წარმომადგენლებიც კი ამჯობინებენ, არ განავრცონ ეს თემა – უკვე ძალიან სასაცილოდ ჟღერს.

ევროკავშირს, მხოლოდ „ძველ ევროპას“ რომ მოიცავდეს, შეეძლო საკმაოდ დიდხანს – კიდევ 20 წელი ეარსება და ეკონომიკურად განვითარებულიყო, მაგრამ ამერიკელებმა დაჟინებით მოითხოვეს ევროკავშირის შემადგენლობაში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შეყვანა, რათა ისინი რუსეთისთვის მოეწყვიტათ და ამავე დროს, ევროკავშირი დაესუსტებიათ, ამან კი საერთო ვითარება ძირეულად შეცვალა. დღეს კავშირის წამყვან წევრებს – გერმანიას, საფრანგეთს ამ ქვეყნების სუსტი ეკონომიკის მხარდაჭერა საკუთარი რესურსების ხარჯზე უწევთ. ის სახსრები, რომლებიც ტრადიციული, მაგრამ შედარებით ღარიბი ევროპული ქვეყნების (ესენია იტალია, საბერძნეთი ესპანეთი და სხვ.) ეკონომიკის მხარდასაჭერად იხარჯებოდა, ახლა კავშირის ათეულობით ახალ წევრ ქვეყანაზე იფანტება. რამდენ ხანს შეიძლება ასე გაგრძელდეს? გერმანელებს მობეზრდათ ევროპელი მუქთახორებისთვის მეწველი ძროხის როლში ყოფნა. ეკონომიკის არათანაბარი განვითარება შეუძლებელს ხდის ამ ქვეყნების თანაარსებობას საერთო სამართლებრივი სივრცის ჩარჩოებში. საბერძნეთის გაკოტრება მხოლოდ დასაწყისია. პორტუგალია, ირლანდია, ესპანეთი რიგში დგანან, ძალიან მძიმე მდგომარეობა აქვს იტალიას. უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო ვალიც ყველა დასაშვებ ზღვარს აღემატება. საერთოდ, **დროა, ვაღიაროთ, რომ ლიბერალური კაპიტალიზმის მოდელმა, რომლის მიხედვითაც დასავლეთი ბოლო 50 წლის განმავლობაში ვითარდება, საკუთარი თავი ამოწურა, ევროპის ქვეყნები ჩიხში შეიყვანა. ადრე თუ გვიან ევროპელებს და ამერიკელებს მოუწევთ იმის აღიარება, რომ ვალებში ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელია, საჭიროა მოხმარების მკვეთრი შემცირება, მეტი მუშაობა და რეალურად გამომუშავებული ფულის შესაბამისად ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას „ბერძნული ვარიანტი“ ელის. და მაშინ ევროპის ეროვნული ეკონომიკებისა და ევროკავშირის კრახი მოხდება.**

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც უპერსპექტივოს ხდის ევროკავშირის არსებობას, ხალხთა ეროვნული თვითშეგნებაა. **მიუხედავად ამერიკელების წარმოდგენისა, რომლებიც თვლიდნენ, რომ საერთო ეკონომიკური სივრცე თანდათან წაშლიდა ეროვნულ განსხვავებებს და ერები გადაიქცეოდნენ ერთიან უეროვნებო მასად, ევროპის ხალხების დიდ ნაწილს ეროვნული თვითშეგნება ეზრდება, ეროვნული თვითგადარჩენის ინსტინქტი იღვიძებს. ერთიანი ევროპის კონსტიტუცია, მიუხედავად კოლოსალური აგიტაციურ-პროპაგანდისტული მუშაობისა, მაინც ვერ მიიღეს.** ევროკავშირი თანამედროვე მსოფლიოში ვერ გახდა და უკვე ველარ გახდება ერთიანი გეოპოლიტიკური სუბიექტი. რას წარმოადგენენ ევროკავშირის ოფიციალური ხელმძღვანელები, ვინ უწევს მათ მსოფლიოში ანგარიშს? **ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ეს სასაცილო, კარიკატურული ფიგურებია, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ.**

ევროპის ერები ეროვნულ სახელმწიფოებრიობაზე უარის სათქმელად მზად არ აღმოჩნდნენ, მეტიც, აშშ-ისა და ზოგადევროპული სტრუქტურების მხრიდან განხორციელებულმა ზეწოლამ უკურეაქცია — ნაციონალიზმის ზრდა გამოიწვია. **დღეს სულ უფრო მეტი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი ითხოვს მიგრაციის შეზღუდვას, და არა მხოლოდ აფრო-აზიური, არამედ აღმოსავლეთ ევროპულისაც.** მოითხოვენ ეროვნული ვალუტის დაბრუნებას, ევროპის შიგნით საბაჟოების აღდგენას, ეროვნული ბაზრების დაცვას, ეროვნული საქონლისა და ადგილობრივი მუშახელის მიმართ სახელმწიფო პროტექციონიზმს. მეტიც — ევროპული ქვეყნების შიგნითაც ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები: იტალია ჩრდილოეთად და სამხრეთად გახლეჩის ზღვარზე დგას, ესპანეთში ისევ რამდენიმე სახელმწიფოდ დაყოფის საშიშროებაა. პატარა ბელგიაც კი – თავის დროზე ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო, სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა და ყოველ წუთს დაშლა ემუქრება, ბრიუსელი კი ამ დროს ევროკავშირის დედაქალაქია!

თუ ევროპული ქვეყნების ხელმძღვანელობა, პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა არ მიაქცევენ სათანადო ყურადღებას საკუთარი ერების მზარდ უკმაყოფილებას, არ დააბრუნებენ თავიანთი ქვეყნების განვითარებას ეროვნულ კალაპოტში, მაშინ შედეგი უფრო სერიოზული იქნება ვიდრე, უბრალოდ, ევროკავშირის დაშლაა. **არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა ფაშიზმის სამშობლოა. ფაშისტური და ნახევრადფაშისტური რეჟიმები გასული საუკუნის 30-იან წლებში თითქმის ყველა ევროპულ ქვეყანაში იყო, სრულიად ევროპა დაავადდა ფაშიზმით. და დღეს დაუკმაყოფილებელი ეროვნული მოთხოვნები შეიძლება რეალურ ფაშისტურ განწყობილებებში გადაიზარდოს. ამ ტრანსფორმაციის პროვოცირება ნებისმიერ მსხვილ კატაკლიზმს ძალუძს – ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს, ტექნოგენურ კატასტროფას, მსხვილ მოწინააღმდეგესთან, მაგალითად, ირანთან ომს.**

**— საქართველოს ნატოში შესვლასთან დაკავშირებულ ბანალურ შეკითხვასაც დაგისვამთ, თუ თქვენ ამაზე პასუხის გაცემა არ მოგბეზრდათ.**

— ამ კითხვაზე იმ დროიდან ვცემ პასუხს, რაც შევარდნაძემ გაახმიანა ეს ქიმერა, რომელიც ძალიან ძვირი დაუჯდა და ჯერ კიდევ უჯდება ჩვენს ხალხს. ეს საკუთარი ერის თავხედურად მოტყუების კლასიკური მაგალითია. არსებობს ტყუილი, რომელიც სიმართლეს ჰგავს და არის აბსურდული ტყუილიც. ჩვენი ქვეყნის მმართველებმა გამოაცხადეს და ლამის ეროვნული იდეის რანგში აიყვანეს ნატოში შესვლისა და მისი დახმარებით ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, ანუ აბსურდული ტყუილი თქვეს. საკვირველია, მაგრამ მათ მოსახლეობის დიდ ნაწილს დააჯერეს ეს აბსურდი. მეტიც, **რუსეთთან ყველა მოლაპარაკება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესახებ შევარდნაძემ ფარსად აქცია, ის ხომ ფაქტობრივად რუსებს ეუბნებოდა: დაგვიბრუნეთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი და საქართველო ერთიანად შევა ნატოშიო! თანაც ირწმუნებოდა, რომ რუსეთი ამაზე უნდა დათანხმებულიყო.**

**— შევარდნაძის ბოლო ინტერვიუებით თუ ვიმსჯელებთ, ამ პერსპექტივის მას თვითონ არ სჯერა. პირიქით, მოუწოდებს ხელისუფლებას, მოაგვარონ ურთიერთობები რუსეთთან, დასავლეთის დახმარებას კი ტერიტორიების დაბრუნების საქმეში გამორიცხავს. ახლახან „ასავალ-დასავალისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სიტყვასიტყვით ამბობს: „საომარ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი, ნატოში არავინ მიიღებს. აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნების გზა კი მხოლოდ რუსეთზე გადის“.**

— გადადგომის შემდეგ ხანდახან სიმართლესაც ამბობს. ვინ უშლიდა ამის გაკეთებას, როდესაც პრეზიდენტი იყო? 12 წელი ხალხს აბითურებდა, ქვეყანა დაანგრია და ძალაუფლება თავის მემკვიდრეებს გადასცა, რომლებიც ბევრად უფრო დახვეწილი მატყუარები არიან, ვიდრე მათი მასწავლებელი.

**საქართველოს თეორიულად შეუძლია ნატოში შესვლა, მაგრამ მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების და ამ ტერიტორიებზე ყველანაირ პრეტენზიაზე უარის თქმის შემდეგ. ქვეყნის ხელმძღვანელობას ეს მშვენივრად ესმის, დასავლეთთან კულუარულ საუბრებში ამ რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების მზადყოფნას გამოთქვამენ, მაგრამ არ იციან, როგორ მიაწოდონ ეს ქართველ ხალხს. აღიარების იდეა, როგორც ცნობილია, უკვე შემოგდებულია ქართულ საზოგადოებაში. ვფიქრობ, არჩევნების შემდეგ ამ მიმართულებით მუშაობა გაძლიერდება და შეკვეთილი შედეგის მქონე რომელიმე პლებისციტით დასრულდება. მაგრამ, როგორც კი გავხდებით ნატოს წევრი, ჩვენსა და მოწყვეტილ რესპუბლიკებს შორის ისეთ კედელს ავაშენებთ, რომლის გადალახვაც უკვე შეუძლებელი გახდება.**

**ნატოს არასოდეს, არსად გაუერთიანებია ტერიტორიები. პირიქით, სადაც კი შევიდა, ყველგან ამას ქვეყნის რამდენიმე კვაზი, სახელმწიფოდ დაშლა მოჰყვა. მინდა, შევახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა „ტირანიისგან გაათავისუფლეს“, მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.**

**ჩვენთან უყვართ მოყოლა, თუ როგორ გაბედნიერდნენ ნატოსა და ევროკავშირში შესვლის შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგრამ, თუ სტატისტიკას მივმართავთ, აღმოვაჩენთ, რომ ლიტვის მოსახლეობა 10 წლის მანძილზე მესამედით შემცირდა, ლატვიიდან 300 000 ადამიანი წავიდა და იქ ახლა მოსახლეობა 2 მილიონიც არ არის. პატარა ესტონეთში რეალური უმუშევრობა 25-დან 30 პროცენტამდე მერყეობს, ხოლო 63 ათას ესტონელ ბავშვს სისტემატურად არ ჰყოფნის საკვები. აი, ასე „გაბედნიერდნენ“ ეს ქვეყნები.**

**იცით, ვინაა ყველაზე მეტად, აშშ-ის გარდა, საქართველოს ნატოში შესვლით დაინტერესებული? თურქეთი და აფხაზეთისა და ოსეთის პოლიტიკური წრეები. თურქეთს ეს მისცემს საშუალებას, რუსეთს არც შეხედოს, ნატოს ბაზების ეგიდით შეიყვანოს თავისი ჯარები საქართველოში, საიდანაც 200 წლის წინ ისინი რუსებმა გაყარეს. ხოლო ძველი ურთიერთობების აღდგენის მოწინააღმდეგეებს აფხაზეთსა და ოსეთში ეს იმის გარანტიას აძლევს, რომ არანაირ რეინტეგრაციულ პროექტებზე საქართველოსთან აღარასოდეს იქნება საუბარი. რა ინტეგრაცია უნდა იყოს მაშინ, როდესაც საზღვრის ერთ მხარეს ნატოს თურქული ჯარები დგას, მეორე მხარეს კი – რუსეთის ჯარები?**

გარდა ამისა, ნატო არის ორგანიზაცია, რომელმაც საკუთარი თავის დისკრედიტაცია მოახდინა. იმავე ევროპაში მილიონობით ადამიანი მოითხოვს საკუთარი მთავრობებისგან ნატოდან გამოსვლას, რადგან მიაჩნიათ, რომ ამორალურია ყოფნა ისეთ აგრესიულ ორგანიზაციაში, რომელიც მთელ მსოფლიოში სისხლს ღვრის. ევროპელებს ესმით, რომ ნატო მხოლოდ ამერიკული ინტერესების რეალიზაციის ინსტრუმენტი გახდა, ხოლო ამ ინტერესებისთვის ბრძოლა და სიკვდილი ევროპელებს უწევთ. ამიტომაა, რომ ევროპის ქვეყნებმა, რომლებიც საკუთარ თავს პატივს სცემენ, ავღანეთიდან თავიანთი სამხედრო კონტინგენტი გამოიყვანეს, ქართველები კი, გაუგებარია, რატომ დარჩნენ იქ საზარბაზნე ხორცად. ►

**„მინდა შევახსენო მათ, ვინც ოცნებობს საქართველოში ნატოს ბაზებზე, რომ იმავე ერაყში, რომელიც ამერიკელებმა „ტირანიისგან გაათავისუფლეს“, მათი ჯარების გაყვანის დღე სახელმწიფო დღესასწაულადაა გამოცხადებული, ხოლო იაპონელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იაპონიის ისტორიაში ყველაზე ბედნიერი დღე ოკინავიდან ამერიკული ბაზის გაყვანის დღე იქნება.“**

## ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ საინტერესოა, რომ საქართველოში უბრალო ხალხიც კი, რაც არ უნდა თქვან გაყალბებული პლებისციტის შედეგებზე, ნატოში შესვლის პერსპექტივის მიმართ ნეგატიურადაა განწყობილი. ხალხის ეს დამოკიდებულება იგრძნეს ზოგიერთმა ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ ნატოს მგზნებარე აგიტატორები იყვნენ, ბოლო დროს კი ამ საკითხზე ძალიან თავშეკავებული პოზიცია დაიკავეს. ამერიკელების ღიად წყენინების ჯერ კიდევ ეშინიათ, მაგრამ ნატოს ქებადიდებასაც ველარ ბედავენ.

**— რით არის განპირობებული მსოფლიოში აშშ-ის ასეთი აგრესიული პოლიტიკა? ნუთუ მხოლოდ ნავთობის მსოფლიო მარაგებზე კონტროლის სურვილით? აშშ-ის ეკონომიკური მდგომარეობა ხომ კატასტროფას უახლოვდება — მხოლოდ საგარეო ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ასეთი გიგანტური თანხის წარმოდგენაც კი რთულია...**

— საქმე უბრალო არითმეტიკაშია. აშშ-ის მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 4 პროცენტს შეადგენს, მაგრამ მსოფლიო რესურსების 40 პროცენტს მოიხმარს. ერთი ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით. თვითონ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. ძირითადი მოხმარება დანარჩენი მსოფლიოს ექსპლუატაციის, უფრო სწორად, ძარცვის ხარჯზე ხორციელდება. ამ მიზნისთვის არსებობს დოლარი, როგორც მსოფლიო ვალუტა, რომელზეც ქვეყნების უმრავლესობის ვალუტებია მიბმული. **რატომ სძულთ ასე ძალიან ამერიკელებს სტალინი? იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირმა სტალინის მმართველობის პერიოდში უარი თქვა რუბლის დოლართან მიბმაზე და უარი თქვა საგარეო-სავაჭრო ოპერაციებში მის გამოყენებაზე. სტალინმა ამ მიზნისთვის ოქროს რუბლი შემოიღო, რომელიც რეალური ოქროთი იყო უზრუნველყოფილი. ზუსტად იმის გამო შეიძულა ამერიკულმა მმართველმა კლასმა სტალინი, რომ სტალინმა მათ მთავარ იარაღს — დოლარს სსრკ-ის რესურსებისკენ გზა გადაუკეტა.** პირველი, რაც გააკეთეს „რეფორმატორებმა“ სსრკ-ის დაშლის შემდეგ, ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ვალუტა მიაბეს დოლარს. აშშ, როგორც მსოფლიო ვალუტის ემისიური ცენტრი, ბეჭდავს დოლარებს და მათ სანაცვლოდ მსოფლიო რესურსებს თავის სასარგებლოდ ქაჩავს. **მთლიანობაში დაბეჭდილია კატასტროფული თანხა — 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი; ეს მეტია, ვიდრე მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტი!**

იმისთვის, რომ გავიგოთ, რას წარმოადგენს ეს დოლარი, შარლ დე გოლთან დაკავშირებულ კლასიკურ ისტორიას მოვიყვან. იგი პროფესიონალი სამხედრო იყო და ეკონომიკაში ცუდად ერკვეოდა, მაგრამ საფრანგეთის პატრიოტი იყო და, როცა პრეზიდენტი გახდა, ყურადღება მიაქცია იმას, რომ დოლარი ქვეყანაში პარალელურ ვალუტას წარმოადგენდა, რომლითაც ყიდულობდნენ და გაჰქონდათ როგორც რესურსები, ისე მხატვრული ღირებულებები. იგი დაინტერესდა ამ საკითხით და ამ ფინანსური ოპერაციების ბუნების შესახებ ერთ ძველ ფინანსისტს ჰკითხა. ფინანსისტის პასუხი ასეთი იყო: წარმოიდგინეთ, რომ საფრანგეთი ყიდის და ვინჩის „მონა ლიზას“; რუსი მის სანაცვლოდ გვთავაზობს 100 ათას რუბლს, რომლის უკანაც დგას ოქრო, ალმასები, ნავთობი; ჩინელი გვთავაზობს 100 ათას იუანს, რომლის უკანაცაა აბრეშუმი, ოქრო, მადანი; ხოლო ამერიკელი გვაძლევს 200 ათას დოლარს და მიაქვს სურათი. „და ფოკუსი რაშია?“ — იკითხა პრეზიდენტმა. ფოკუსი კი იმაშია, — უპასუხა ფინანსისტმა, — რომ ამ 200 ათასის ფასი იმ ქაღალდისა და საღებავების ტოლია, რომლებიც მის დაბეჭდვაში დაიხარჯა. ერთი 100-დოლარიანი კუპიურა აშშ-ს 0,3 ცენტი უჯდება. ამის შემდეგ დე გოლმა მოუწოდა ფრანგებს, გამოეჩინათ პატრიოტიზმი, მხარი დაეჭირათ ეროვნული ვალუტისთვის და მათ ხელთ არსებული დოლარები ფრანკებზე გადაეცვალათ. **შეგროვებული დოლარები მან აშშ-ში გადააგზავნა და თავისი ოფიციალური ვიზიტის მსვლელობისას მოითხოვა, გადაეცვალათ ოქროზე, რომლითაც ისინი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ამერიკელები, სკანდალისთვის თავი რომ აერიდებინათ, დათანხმდნენ, მაგრამ ამის შემდეგ მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა, ანუ ოფიციალურად დააფიქსირეს, რომ ეს მხოლოდ მწვანე ქაღალდებია მასონური სიმბოლიკით.**

მაგრამ იმისთვის, რომ მსოფლიოს ქვეყნები დათანხმდნენ, მიიღონ ეს ქაღალდები, როგორც ვალუტა და მათ სანაცვლოდ ეროვნული სიმდიდრეები გასცენ, საჭიროა დამაჯერებელი არგუმენტი – სამხედრო ძალა. ამიტომაც აქვს აშშ-ს მსოფლიოს ყველა კუთხეში 136 სამხედრო ბაზა.

ბოლო ათწლეულში სიტუაცია შეიცვალა. პირველ რიგში, ცუდად თუ კარგად, ევრო ჯერ კიდევ მუშაობს, ჩინელები ოქროს იუანის შემოღებას აპირებენ, არაბები ოქროს დინარის შემოღებაზე საუბრობენ, რუსეთი საგარეო სავაჭრო ოპერაციების რუბლზე გადაყვანას იწყებს. მეორეც, რიგი ქვეყნებისა უარს ამბობს ამერიკისთვის სანედლეულო დანამატის როლზე, თავისი რესურსების საკუთარი სახელმწიფოს განვითარებისთვის გამოყენება სურთ. რა ქნან ამერიკელებმა? უნდა გამოიყენონ სამხედრო ძალა. მათ ერაყი დაბომბეს და ოკუპაცია მოახდინეს, რომლის დროსაც მილიონზე მეტი ადამიანი მოკლეს, დაბომბეს ლიბია — მოსახლეობის ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის მქონე ქვეყანა. ერაყიც და ლიბიაც რამდენიმე კვაზისახელმწიფოდ დაიყოფა და უკვე ვეღარასოდეს დადგება ფეხზე,





**«ვინ მიიჩნევს სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურად ბაროზუს, ვინ აღიქვამს ეშტონს ევროპის საგარეო საქმეთა მინისტრად? ესენი სასაცილო, კარიკატურული ფიგურები არიან, რომლებიც იმას ასრულებენ, რაზეც გერმანიისა და საფრანგეთის ხელმძღვანელები (ჯერჯერობით ისევ) აშშ-ის თანამონაწილეობით მოილაპარაკებენ»**

მათი რესურსები კი „ოქროს მილიარდის“ სასარგებლოდ გაიწოვება. იგივე ბედი ელის იემენს, იმავეს გაკეთება უნდათ სირიასა და ირანში.

არის ერთი აქსიომა, რომელიც აშშ-ისა და ზოგადად დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კურსის საფუძველში დევს: იმისთვის, რომ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონე შეინარჩუნონ, დანარჩენი კაცობრიობა სიღატაკეში უნდა ამყოფონ. პლანეტის რესურსები შეზღუდულია, ყველას კარგი ცხოვრებისთვის არ ეყოფა. **დასავლეთს მოხმარების შემცირება არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვიენ, — ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? — ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ. ომი, რომელიც მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს გამოფიტავს, ხოლო შემდეგ იქ მივლენ ამერიკელები თავიანთი დოლარით და ისევ ჩვეულ და ძალიან სარფიან საქმეს მიჰყოფენ ხელს — დოლარების გაყიდვას.** ასე გამოვიდნენ ისინი კრიზისიდან მეორე მსოფლიო ომის წყალობით, ასე მოვიდნენ ისინი გამოფიტულ ევროპაში ომის შემდეგ.

**— ეს მოვლენათა განვითარების ერთადერთი შესაძლო ვარიანტია თუ ამ მდგომარეობიდან სხვა გამოსავალიც არსებობს?**

— არის სხვა გზაც: დოლარის პირამიდის ნგრევა, მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი, დოლარზე, როგორც მსოფლიო ვალუტაზე, უარის თქმა, რეალური რესურსებით უზრუნველყოფილი ნაციონალური და რეგიონული ვალუტების წარმოშობა. **ამ შემთხვევაში ყველა ქვეყანას მოუწევს, რეალური პროდუქტი აწარმოოს, შიდა ბაზარი განავითაროს, ხოლო პროდუქტი რეალურ ფულად, და არა მწვანე ქაღალდის სანაცვლოდ, გაყიდოს. ამერიკელები იძულებულნი გახდებიან, უარი თქვან ჰაერის გაყიდვაზე, ვირტუალურ ბაზარზე, ე.წ. ფასიან ქაღალდებზე, ისევ განავითარონ რენტაბელური სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც ახლა მათ არ გააჩნიათ.**

**— ასეთი ვარიანტი ყველა ქვეყანას დარტყმას მიაყენებს, კრიზისი ყველას შეეხება...**

— რა თქმა უნდა. ზუსტად ამიტომ ცდილობს ყველა ამ კრიზისის გადავადებას, საერთო ძალებით ცდილობენ დოლარის გადარჩენას. რომ არა ეს ძალისხმევა, დოლარი, დიდი ხანია, ჩამოიშლებოდა. **საკმარისია, ჩინეთმა და რუსეთმა ბაზარზე გამოყარონ თავიანთი დოლარის მარაგები და დოლარი ყველასთვის გამოუსადეგარ ქაღალდად გადაიქცევა, მაგრამ რამდენ ხანს შეძლებენ ამის გადადებას? ფინანსურმა პირამიდამ, თუნდაც ის გლობალური იყოს, არ შეიძლება მუდმივად იარსებოს. საკითხავი ისაა, რა მოჰყვება დოლარის კრახს: მსოფლიო ომი თუ შევძლებთ მსოფლიო კრიზისით შემოვიფარგლოთ?** პირველ შემთხვევაში მივიღებთ გამარჯვებულის მსოფლიო მბრძანებლობას ან გამარჯვებულთა შორის ახალ მსოფლიო გადანაწილებას; მეორე შემთხვევაში – იმ ქვეყანათა ლიდერობას, რომლებსაც გააჩნიათ რესურსები და შრომისმოყვარე მოსახლეობა, რაც მათ საშუალებას მისცემს, მოკლე ვადებში გამოვიდნენ კრიზისიდან და ეკონომიკა აღადგინონ.

**— როგორ უნდა მოიქცეს საქართველო მოვლენების ასე განვითარების შემთხვევაში?**

— პირველ რიგში, უნდა ეცადოს, არ გაიჩინოს მტრები, რომლებიც ომის შემთხვევაში მას გაანადგურებენ; მეორე — არ დაუშვას ქვეყნის შემდგომი დაშლა უახლოეს წლებში; მესამე — ააშენოს ეკონომიკა, რომელიც ორიენტირებული იქნება: ა) შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე; ბ) იმ პროდუქციის წარმოებაზე, რომელიც შეიძლება გარე ბაზარზე მყარ ვალუტაზე გაიყიდოს ან იმ რესურსებზე გადაიცვალოს, რომელთა ნაკლებობასაც ქვეყანა განიცდის.

**— ჩვენი ხელისუფლება მუდმივად ამტკიცებს, რომ აშშ-ის დახმარებით განვითარებულ ეკონომიკას ვაშენებთ და უკვე მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე ღირსეული მოთამაშე გავხდით...**

— ქვეყანას, რომლის იმპორტიც 4-ჯერ აღემატება ექსპორტს, არ აქვს უფლება, ჩათვალოს, რომ ეკონომიკა გააჩნია. ჩვენ ოთხჯერ ნაკლებს ვყიდით, ვიდრე ვყიდულობთ. მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს იმ ფულით, რომელსაც ნათესავები საზღვარგარეთიდან უგზავნიან, ძირითადად სწორედ ეს ნაღდი ვალუტა უზრუნველყოფს ფულის ბრუნვას ქვეყანაში. ამ ფულით ჩვენ ვფარავთ შემოტანილი პროდუქციის ღირებულებას, ფული კი ისევ საზღვარგარეთ გაედინება. სქემა ძალიან მარტივია: თქვენი ნათესავი გიგზავნით რუსეთიდან ფულს, თქვენ ამ ფულით თურქეთიდან შემოსულ საქონელს ყიდულობთ, ფული თურქეთში გაედინება, ნაწილი კი შუამავალს რჩება. ამ სქემაში ქართული ეკონომიკის ადგილი არაა. შემოსავლების მეორე ნაწილი ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთმა გერმანელმა ექსპერტმა სიტყვასიტყვით აღწერა: **საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებზე, კრედიტებზე ცხოვრობს, რომლებსაც იგი ღებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგებაო.** მანვე საქართველოს შეარქვა პიარის, ანტურაჟისა და გარეგნული ეფექტის ქვეყანა, რომელიც ორიენტირებულია უცხოელების შექებაზე.

განვითარების ის მოდელი, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება ახორციელებს, საქართველოს ბატისტასდროინდელ კუბად აქცევს. იქ ამერიკელებისთვის ტურისტული სამოთხე იყო, შენდებოდა ფეშენებელური სასტუმროები, რესტორნები. ტურისტების მომსახურებით დაკავებული იყო ათასობით მზარეული, დამლაგებელი, მეძავი და მუსიკოსი. ათიათასობით კუბელი მუშაობდა აშშ-ში შავ სამუშაოზე და ნათესავებს ფულს უგზავნიდა. ის, ვისაც არ უნდოდა ან არ შეეძლო მზარეულობა თუ მეძავობა, შაქრის ლერწმის პლანტაციებში მონური შრომით იყო დაკავებული. განათლებაზე, მეცნიერებაზე, ჯანდაცვაზე ლაპარაკიც არ ყოფილა. ეს იყო ამერიკული კოლონია, რომელსაც ისინი იმ მიზნით იყენებდნენ, რათა მისცემოდნენ იმ ცოდვებს, რომლებიც ჯერ კიდევ განიკითხებოდა ამერიკულ საზოგადოებაში — სექსი, ლოთობა, ბანქო, კაზინო, ჰომოსექსუალიზმი. კასტრომ, ჩე გევარამ, კუბელმა ხალხმა ბოლო მოუღეს ამ დამცირებას. ამის გამო აშშ-ს ისინი დღემდე სძულს, ნახევარი საუკუნე ამყოფებენ კუბას ეკონომიკურ ბლოკადაში. თვითონ აღიარეს, რომ 600-მდე თავდასხმა მოამზადეს კასტროს წინააღმდეგ, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს.

დღეს კუბაში მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის საშუალო და უმაღლესი განათლება და საუკეთესო მედიცინაა. სხვათა შორის, ერთიც და მეორეც უფასოა. ცხოვრობენ მოკრძალებულად, მაგრამ ადამიანურ და ეროვნულ ღირსებას ინარჩუნებენ. მიუხედავად „კასტროს რეჟიმის საშინელებათა“ შესახებ მსოფლიო პროპაგანდისა, მისი ავტორიტეტი ლათინური ამერიკის ქვეყნებში ყველა ადგილობრივი ლიდერის ავტორიტეტზე მაღალია.

საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველო ინდუსტრიული, კულტურული განვითარებითა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობით თანამედროვე კუბაზე ბევრად მაღლა იდგა, მაგრამ, ბოლო 20 წელია, ბატისტასდროინდელი კუბისკენ მიექანება. ჩვენ ან შევაჩერებთ ამ დაცემას, ან როგორც ერი გადავგვარდებით.

**«დასავლეთს მოხმარების შემცირება არ უნდა. სცადეთ, ამერიკელებს შესთავაზოთ, მოიხმარონ იმაზე ნაკლები, ვიდრე ისინი მიეჩვიენ, — ისინი ნებისმიერ მთავრობას წალეკავენ. რა გამოსავალი აქვს ამერიკის მმართველ ელიტას? — ომი, დიდი ომი, რა თქმა უნდა, ამერიკის ფარგლებს გარეთ»**

**გაგრძელება იქნება**

ესაუბრა
**ირაკლი თოდუა**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც უფრო შემცირდება აშშ-ის ინტერესი პოსტსაბჭოთა აზიური რესპუბლიკების და სამხრეთ კავკასიის მიმართ, ხოლო რუსეთის და თურქეთის გავლენა ევრაზიაში გაიზრდება, მით უფრო გაფერმკრთალდება სააკაშვილის ხელისუფლების ილუზიები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო შეიძლება რეგიონში აშშ-ის „ჩაუძირავ ავიამზიდად“ გადაიქცეს.**

# აქეთ — რუსეთი, იქით — თურქეთი,




# ანუ CIAO BAMBINO, SORRY

**Nabucco-ს აგონია, როგორც ჩანს, დასკვნით სტადიაში შედის. Financial Times-ის ცნობით, მალე კონსორციუმს არჩევანის გაკეთება მოუწევს ძველ პროექტსა და ორ ახალ ალტერნატივას შორის, რომელთაგან ერთ-ერთი — „Nabucco West“-ი თურქეთ-ბულგარეთის საზღვრიდან ავსტრიამდე გაივლის და გაცილებით ნაკლები გაზის გატარება შეეძლება. ნიშანდობლივია, რომ British Petroleum-ის ვიცე-პრეზიდენტმა ალისტერ კუკმა ამ დასაჭურისებულ ვარიანტს „დიდი წინგადადგმული ნაბიჯი“ უწოდა. მოკლედ, ცნობა Nabucco-ს გარდაცვალების შესახებ შევსებული ჯერ არ არის, თუმცა აშკარაა, რომ ბლანკი და კალამი უკვე მაგიდაზე დევს. რაზე შეიძლება მიანიშნებდეს ეს ცვლილებები და რა გავლენას მოახდენს ისინი საქართველოზე?**

## რატომ კვდებიან მილსადენები?

„ასეთი მასშტაბის პროექტი რეგიონში ჯერ არ განხორციელებულა. ეს ძალიან საინტერესო ექსპერიმენტი და წინგადადგმული ნაბიჯია, ახლა მიდის ბრძოლა კასპიური ბუნებრივი გაზისთვის. ეს არის ბრძოლა ყაზახეთსა და თურქმენეთში არსებული ძალიან დიდი მარაგებისთვის“, — ღაღადებდა მიხეილ სააკაშვილი 2009 წლის სექტემბერში ანკარაში, „ნაბუქოს“ სამიტზე. როგორ იყო ის სიმღერა — Goodbye My Love, Goodbye თუ Ciao Bambino, Sorry? თუმცა სიტყვებს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი ხომ შედეგია.

დაახლოებით ერთი თვის წინ, **აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ევრაზიული ენერგეტიკის საკითხებში, რიჩარდ მორნინგსტარმა თქვა, რომ „ნაბუქოს“ გაყვანა წლიდან წლამდე სულ უფრო სათუო ხდება და დასძინა „პროექტის რეალიზება ფინანსებისა და დროის ფაქტორების გათვალისწინებით კიდევ უფრო გართულდა“.** ყველა იმ მიზეზის ჩამოთვლა, რომლებმაც „ნაბუქო“ კომაში ჩააგდო, ძალიან შორს წაგვიყვანს; მათგან ბოლო ახალი, ტრანსანატოლიური გაზსადენის „ტანაპის“ (TANAP; Trans-Anatolian pipeline) პროექტის აღმოცენება გახლდათ, რომელიც თურქეთს აღმოსავლეთიდან დასავლეთით გადაკვეთს. მართალია, აზერბაიჯანული „სოკარის“ ხელმძღვანელი როვნაგ აბდულაევი დიპლომატიურად ირწმუნება, რომ ეს პროექტი „ნაბუქოს“ (აქ იგულისხმება მისი ძველი, ამბიციური ვარიანტი და არა სუროგატული „ნაბუქო-ვესტ“ ან „ნაბუქო-ლაით“) დღის წესრიგიდან არ ხსნის, თუმცა არც ერთი ექსპერტი, ამ ორი პროექტის პარალელურ რეალიზებას არ უშვებს; ამისთვის არც თავისუფალი გაზი და არც პოლიტიკური წინაპირობები არსებობს. „ტანაპის“ ზუსტი ტრასა და პარამეტრები განსაზღვრული ჯერ არ არის, თუმცა ნავარაუდევია, რომ 80%-იანი წილი პროექტში აზერბაიჯანულ, ხოლო 20%-იანი თურქულ მხარეს ექნება.

აქ შეიძლება გაჩნდეს კითხვა: **რა მნიშვნელობა აქვს, „ნაბუქოს“ მეშვეობით მოხვდება აზერბაიჯანული გაზი თურქეთში, „ტანაპის“ თუ რომელიმე სხვა მილსადენის, ჩვენი სატრანზიტო ფუნქცია ხომ ნებისმიერ შემთხვევაში არ დაიკარგება?** ფორმალური თვალსაზრისით, ეს ასეა, თუმცა **საქართველოს ხელისუფლებისთვის მთავარი ყოველთვის სატრანზიტო პროექტების არა ეკონომიკური, არამედ გეოპოლიტიკური დატვირთვა იყო.** მართალია, ჩვენი განადგურებული ეკონომიკისთვის მნიშვნელობა თითოეულ თეთრს აქვს, თუმცა ენერგომატარებლების ტრანზიტისგან მიღებულ ამონაგებს, კრიტიკულად მნიშვნელოვანს მაინც ვერ ვუწოდებთ. სააკაშვილის ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანი ის იყო, რომ „ნაბუქო“ და სხვა მსგავსი პროექტები, იდეაში, მკვეთრად ზრდიდა დასავლეთის ჩართულობას სამხრეთ კავკასიის საქმეებში, გარკვეულწილად ავალდებულებდა მას, დაეცვა საქართველო და ეზრუნა მასზე. ილუზიებმა ამის თაობაზე სააკაშვილის საგარეო პოლიტიკის, უფრო ფართოდ კი ახალი გენერაციის პოლიტიკოსების მსოფლმხედველობის ფორმირებაში განმსაზღვრელი როლი შეასრულეს.

**ყველა სამხრეთკავკასიური სატრანზიტო პროექტი, რომლის მიღმა დასავლელი გლობალური მოთამაშეების ინტერესები იკითხება, მთავარ მიზნად ცენტრალურ აზიაში გარღვევას ისახავს; აზერბაიჯანული გაზის მიწოდება ევროპელი მომხმარებლისთვის რუსეთის გვერდის ავლით ამ კონტექსტში მხოლოდ შუალედურ ამოცანას წარმოადგენს.** სააკაშვილმა „ნაბუქოს“ 2009 წლის სამიტზე ეს „პირდაპირი ტექსტით“ გაახმიანა: **„ეს არის ბრძოლა ყაზახეთსა და თურქმენეთში არსებული ძალიან დიდი მარაგებისთვის“.** დასავლეთის გამარჯვება ამ ბრძოლაში მნიშვნელოვნად დაასუსტებდა პუტინის „ენერგეტიკულ ზესახელმწიფოს“ და (რაც სტრატეგიულ პერსპექტივაში აშშ-ისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია) გზას გადაულობავდა ჩინეთს, რომელსაც ენერგომატარებლები ჰაერივით სჭირდება. **რაც უფრო ბუნდოვანი ხდებოდა ცენტრალურ აზიაში შეღწევის და ტრანსკასპიური მილსადენების გაყვანის პერსპექტივა, მით უფრო კლებულობდა დასავლეთის ინტერესი სამხრეთ კავკასიის, როგორც სატრანზიტო დერეფნის მიმართ.** „ტანაპი“ ამ იმედგაცრუების ფონზე დაიბადა და მის მიღმა, უპირველესად, არა გლობალური, არამედ რეგიონული მოთამაშეების ინტერესები დგას.

თურქეთი ევროპის ერთ-ერთი გაზსაცავის როლს იმკვიდრებს და მანევრის სულ უფრო მეტ შესაძლებლობას იძენს. იდეალურ სიტუაციაში მან ახლო პერსპექტივაში „დიდი გაზი“ ხუთი მიმართულებიდან უნდა მიიღოს: აზერბაიჯანიდან (საქართველოს გავლით), ერაყიდან, რუსეთიდან (შავი ზღვის გავლით), ეგვიპტიდან (იორდანია-სირიის გავლით, ე.წ. არაბული გაზსადენით) და ირანიდან. თუ თურქეთის ხელისუფლება ამას მიაღწევს, არც ერთ მიმართულებას ჩამოთვლილთაგან კრიტიკული მნიშვნელობა აღარ ექნება. **ის ბონუსები, რომლებიც საქართველომ შეიძლება „მილსადენების გეოპოლიტიკიდან“ მიიღოს, ამ კონტექსტში, სავარაუდოდ, მკვეთრად შემცირდება.**

## ვლადიმერ პუტინის ოთხი ნაბიჯი

**თურქეთის გავლენა და მისი როლი საერთაშორისო ასპარეზზე დღითიდღე იზრდება და ეს სავსებით ბუნებრივად ჯდება ზბიგნევ ბჟეზინსკის იდეებში იმის თაობაზე, რომ დასავლეთმა გლობალური დომინირების შენარჩუნებისთვის უნდა დაიახლოვოს, შორეულ პერს-** ▶



**რუსეთი (შინაგანად და საერთოდ «ყველანაირად») მზად არის იმისთვის, რომ საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური «ქოლგა» მთელ სამხრეთ კავკასიას გადააფაროს**

მსოფლიო

## მინსკის მეტროს ტერაქტში ბრალდებულები სიკვდილით დასაჯეს



**მინსკის მეტროში განხორციელებულ ტერაქტში ბრალდებულთა სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. დიმიტრი კონოვალოვი და ვლადისლავ კოვალიოვი დახვრიტეს.** შეტყობინება განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ მათი ოჯახის წევრებს ფოსტით გაეგზავნათ. დიმიტრი კონოვალოვი და ვლადისლავ კოვალიოვი ბელარუსის უზენაესმა სასამართლომ მინსკის მეტროში 2011 წლის 11 აპრილს, ბელარუსის დამოუკიდებლობის დღეს 2008 წელს და 2005 წელს ვიტებსკში განხორციელებულ ტერაქტებში დამნაშავეებად სცნო. 2011 წლის 11 აპრილს მეტროსადგურ „ოქტიაბრსკაიაზე“ ძლიერი ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა, რის შედეგადაც ადგილზე დაიღუპა 11 ადამიანი, 4 კი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა, მძიმედ დაშავდა 300-მდე მოქალაქე.

სულ მალე ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ რეალურად არჩევანის გაკეთება მხოლოდ რუსულ და თურქულ პროექტებს შორის მოგვიწევს, ხოლო არანაირი „ამერიკული პროექტი“, რომელიც სამხრეთ კავკასიას უშუალოდ ეხება, აქტუალური აღარ არის.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ის დრო, რომელიც «ნაბუქოზე» ოცნებებს მოხმარდა, «გაზპრომმა» მეტად ეფექტურად გამოიყენა, წინ წაწია ჩრდილოეთის და სამხრეთის «ნაკადები» და ამით ევროპაში რუსეთის პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა



◀ პექტივაში კი „დიდი დასავლეთის“ შემადგენელ ნაწილად აქციოს თურქეთი და რუსეთი და მათი პოტენციალი მაქსიმალურად გამოიყენოს (ცნობილი გამოსვლა ნორმანდიაში ალექსის დე ტოკვილის პრემიის მიღების შემდეგ). ბჟეზინსკი ბოლო დროს ბევრს საუბრობს იმაზე, რომ **აშშ-ს აღარ ჰყოფნის ძალა მისთვის მნიშვნელოვანი ზონების პირდაპირი, იმპერიული ტიპის კონტროლისთვის, რომ მოძრაობა ამ მიმართულებით დამღუპველია და სასურველია, ვაშინგტონმა საკუთარი ინტერესების რეალიზების ირიბ, უფრო დახვეწილ მეთოდებს მიმართოს.** სავარაუდოდ, სწორედ აქედან მოდის ვარიაციები „დიდ დასავლეთში“ რუსეთისა და თურქეთის ინტეგრაციის თემაზე.

**მთელი ამ სტრატეგიის არსი შეიძლება ერთი მოკლე, ანეგდოტის მაგვარი ფრაზით გამოიხატოს, რომელსაც ბჟეზინსკის მიაწერენ: „ვებრძოლოთ ჩინეთს უკანასკნელ რუს ჯარისკაცამდე“. მართალია, მას მსგავსი რამ არ უთქვამს, მაგრამ მის საბოლოო მიზანს ეს ფრაზა მეტ-ნაკლებად ზუსტად აღწერს.**

I მსოფლიო ომის დაწყებიდან ასი წლის შემდეგ, რუსეთს ისევ დრამატული არჩევანის გაკეთება მოუწევს: **ვის მხარეს დადგება ის მომავალ გლობალურ კონფლიქტში?** 1914 წლის საბედისწერო არჩევანმა, პრინციპში, განაპირობა ყველაფერი, რაც რუსეთს (უფრო ფართოდ კი, მთელ კონტინენტს) XX საუკუნის განმავლობაში დაემართა. თუმცა ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნებოდა ალტერნატივა, რას მოუტანდა ნიკოლოზ II-ს იმპერიას, ერთი შეხედვით, ლოგიკური კავშირი კაიზერის გერმანიასთან ან ნეიტრალიტეტი.

**ვლადიმერ პუტინის სტრატეგია საერთაშორისო არენაზე, აშშ-ჩინეთის ყოვლისმომცველი დაპირისპირების მოახლოების კონტექსტში, შეგვიძლია ოთხ პირობით ეტაპად დავყოთ:**

**1) დამოუკიდებელი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობის მოპოვება, რომელიც ელცინის რუსეთს ნაკლებად ჰქონდა;**

**2) საბოლოო არჩევანის გადადება და მოგებული დროის გამოყენება რუსეთის გაძლიერებისთვის;**

**3) გათავისუფლება არჩევანის გაკეთების აუცილებლობისგან;**

**4) საკუთარი გლობალური თამაშის დაწყება, დაახლოებით იმ მასშტაბებში, რომელშიც ამას საბჭოთა კავშირი აკეთებდა (ცხადია, მისი შეცდომების გამეორების გარეშე).**

**ბჟეზინსკის** (და ობამას ადმინისტრაციის) **ჩანაფიქრი, სავარაუდოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ნელნელა ჩაითრიოს, „შეიტყუოს“ რუსეთი ახალ** (ამჯერად, ანტიჩინურ) **„ანტანტაში“, როგორც ეს დიდმა ბრიტანეთმა ცარისტულ იმპერიასთან მიმართებაში გააკეთა.** რესპუბლიკელების ერთ-ერთი კანდიდატი **მიტ რომნი**, თუ მისი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დეკლარაციის **„ამერიკული საუკუნის“** მიხედვით ვიმსჯელებთ, უფრო ხისტ მეთოდებს ემხრობა და **მხარს უჭერს ცენტრალურ აზიაში აშშ-ს პოზიციების ფორსირებულ გაფართოებას და პროექტებს, რომელიც მას უკავშირდება (მაგალითად, „ნაბუქოს“), რამაც, სავარაუდოდ, რუსეთი უნდა დაასუსტოს და აიძულოს შტატების „უმცროსი პარტნიორი“ გახდეს.** მაგრამ აქვს თუ არა შტატებს რესურსი ამ მასშტაბური აზიური რეიდისთვის? რა ხეირს ნახავს ვაშინგტონი ცენტრალურ აზიაში, ჩინეთსა და რუსეთს შორის საკუთარი პლაცდარმის გაფართოებით, გარდა იმისა, რომ ორი ხსენებული სახელმწიფო მის წინააღმდეგ გაერთიანდება?

**ვიდრე ვაშინგტონში ამ საკითხთან დაკავშირებით გაურკვევლობა სუფევს, ვლადიმერ პუტინი დროს იგებს. თუ ისევ გაზსადენების თემას მივუბრუნდებით,** (ის ამ დიდი თამაშის მხოლოდ ერთი ასპექტს წარმოადგენს), **ვნახავთ, რომ ის დრო, რომელიც „ნაბუქოზე“ ოცნებებს მოხმარდა, „გაზპრომმა“ მეტად ეფექტურად გამოიყენა, წინ წაწია ჩრდილოეთის და სამხრეთის „ნაკადები“ და ამით ევროპაში რუსეთის პოზიციები მნიშვნელოვნად გააძლიერა.**

საერთოდ, **გეოპოლიტიკურ თამაშში მთავარი რესურსი დროა, რომელიც ამ კონკრეტულ შემთხვევაში დასავლეთმა დაკარგა, ხოლო რუსეთმა მოიპოვა.**

ფაქტია, რაც უფრო შემცირდება აშშ-ის ინტერესი პოსტსაბჭოთა აზიური რესპუბლიკების და სამხრეთ კავკასიის მიმართ, ხოლო რუსეთის და თურქეთის გავლენა ევრაზიაში გაიზრდება, მით უფრო გაფერმკრთალდება სააკაშვილის ხელისუფლების ილუზიები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველო შეიძლება რეგიონში აშშ-ის „ჩაუძირავ ავიამზიდად“ გადაიქცეს. პრინციპში უკვე დღეს, ეს იდეები შეიძლება შევაფასოთ როგორც სახიფათო ფანტაზია, რომელიც სულ უფრო მეტ პრობლემას ქმნის. გამორიცხული არაა, რომ **სულ მალე ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ რეალურად არჩევანის გაკეთება მხოლოდ რუსულ და თურქულ პროექტებს შორის მოგვიწევს,** ხოლო არანაირი „ამერიკული პროექტი“, რომელიც სამხრეთ კავკასიას უშუალოდ ეხება აქტუალური აღარ არის.

## „თურქული გამბიტი“ – მეორე სერია

საინტერესოა, რომ გასულ კვირას თურქულ „თუდეი ზამანში“ გამოქვეყნებული სტატია, რომელიც საქართველო-აზერბაიჯანისა და თურქეთის ურთიერთობებს მიეძღვნა, ასევე შეიცავდა ერთ ციტატას **ბჟეზინსკის** ბოლოდროინდელი შემოქმედებიდან: **„ამერიკის გავლენის შემცირება საქართველოს სრულიად მოწყვლადს გახდიდა, როგორც რუსეთის პოლიტიკური ზეწოლისთვის, ისე სამხედრო აგრესიისთვის“.** ამ პერსპექტივის წარმოჩენის შემდეგ თურქულმა გამოცემამ ვრცლად ისაუბრა იმაზე, თუ რა კარგია (უხეშად რომ ვთქვათ) საქართველოსა და აზერბაიჯანის შემდგომი დაახლოება და მათი თანამშრომლობა თურქეთთან: **„აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა, ფაქტობრივად, შექმნეს ისეთი გეოპოლიტიკური გუნდი, რომელსაც აშშ ძალიან უჭერს მხარს“.** ფაქტობრივად, თურქულმა გამოცემამ თქვა ის, რის მოსმენაც სააკაშვილს მოცემულ მომენტში ყველაზე მეტად სურდა, კერძოდ კი ის, რომ მისი საგარეო კურსი დასრულდა არა სრული კრახით, არამედ პერსპექტიულ ინტეგრაციულ პროექტში ჩართვით, რომელიც სამხრეთ კავკასიაში რუსულ ევრაზიულ პროექტს კონკურენციას გაუწევს.

# სააკაშვილი ნებისმიერ პროექტს განიხილავს როგორც კრემლის წინააღმდეგ მიმართული «ჯვაროსნული ლაშქრობის» გეგმას და ცდილობს, მას ანტიმოსკოვური დატვირთვა შესძინოს

ამ თემაზე საუბრის დროს, ალბათ, რამდენიმე ფაქტორი უნდა გავითვალისწინოთ:

**ა) კონფრონტაცია რუსეთთან თურქეთის გეგმებში ამ ეტაპზე არანაირად არ შედის, ორი ქვეყნის გაზრდილი თანამშრომლობა საპირისპიროზე მიუთითებს;**

**ბ) მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის გავლენა მისი საზღვრების მთელ პერიმეტრზე იზრდება, მთავარი ვექტორი მაინც სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით არის მიმართული, კავკასია კი (ცხადია, შედარებით) მეორეხარისხოვანი მიმართულებაა;**

**გ) დღეს თურქეთი არ არის მზად იმისთვის, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს უსაფრთხოების მყარი გარანტიები მისცეს.**

პარადოქსულია, მაგრამ პირველი ორი პუნქტი ასევე სამართლიანია რუსეთისთვისაც, იმ განსხვავებით, რომ მთავარი პრიორიტეტი მისთვის უკრაინაა (მის გარეშე „ევრაზიული კავშირი“ რამდენადმე სიცოცხლისუნარიანი ვერ გახდება). რაც შეეხება მესამე პუნქტს, აქ მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება, **რუსეთი** (შინაგანად და საერთოდ „ყველანაირად“) **მზად არის იმისთვის, რომ საკუთარი სამხედრო-პოლიტიკური „ქოლგა“ მთელ სამხრეთ კავკასიას გადააფაროს.**

დღეს მანევრი სივრცეში რუსულ და თურქულ პროექტებს შორის, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო ვიწროვდება, პრინციპში, შესაძლებელია, თუმცა საეჭვოა, ეს სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახერხოს; ის მოუქნელია, მის კოლექტიურ აზროვნებას ბორკილებივით ადევს შტამპები „ნეოკონების“ გეოპოლიტიკური მითოლოგიიდან და, ამასთანავე, **სააკაშვილი ნებისმიერ პროექტს განიხილავს როგორც კრემლის წინააღმდეგ მიმართული „ჯვაროსნული ლაშქრობის“ გეგმას და ცდილობს, მას ანტიმოსკოვური დატვირთვა შესძინოს.** ანკარა მსგავს თამაშებში მონაწილეობას, ძალიან დიდი ალბათობით, არ მიიღებს. ასე რომ, ამ თემაზე შინაარსიანი საუბრის გაგრძელებისთვის, ალბათ, ისევ სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლას უნდა დაველოდოთ.

**დიმიტრი მონიავა**



# დღეს თურქეთი არ არის მზად იმისთვის, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს უსაფრთხოების მყარი გარანტიები მისცეს

მოკლედ

## სარკოზიმ კადაფისგან 50 მილიონი ევრო აიღო

**საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის იმაში ადანაშაულებენ, რომ 2007 წელს მის წინასაარჩევნო კამპანიას ლიბიის ლიდერი მუამარ კადაფი აფინანსებდა.** სარკოზი ამ ბრალდებებს სასაცილოს უწოდებს. ამ საკითხთან დაკავშირებით სპეკულაციამ ახალი ძალით მას შემდეგ იფეთქა, რაც დამოუკიდებელმა საინფორმაციო სააგენტო Mediapart-მა 12 მარტს გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომლის თანახმად, მუამარ კადაფიმ სარკოზის წინასაარჩევო კამპანიისთვის 50 მილიონი ევრო გადასცა. კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებში პოლკოვნიკის ვაჟი სეიფ-ალ ისლამი და ვინმე ზ. ტ. მონაწილეობდა. ამ ინიციატივის მიღმა ლიბიური წარმოშობის საეჭვო რეპუტაციის ფრანგი ბიზნესმენი, ზაიდ ტაკიდინი იმალება, რომლითაც ადრე საფრანგეთსა და პაკისტანს შორის თავდაცვის სფეროში გაფორმებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით, საფრანგეთის იუსტიციის სამინისტრო იყო დაინტერესებული.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**არც ერთი ერი არ აპატიებს მმართველს სამოქალაქო ომის მომზადებას და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებას. გამონაკლისს, ცხადია, ვერც სააკაშვილისთვის დავუშვებთ. ალასანიას ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სააკაშვილის გადაყენება თანამდებობიდან და მართლმსაჯულებისთვის გადაცემა აბსოლუტურად გარდაუვალი გახდება.**

# სამოქალაქო ომის წინათგრძნობა



სალვადორ დალი — „სამოქალაქო ომის წინათგრძნობა“

**„სააკაშვილი სამოქალაქო ომისთვის ემზადება“, — ამ ფრაზამ ირაკლი ალასანია გასული კვირის მთავარ ნიუსმეიკერად აქცია. ადრე მას ორატორული ნიჭის მწვავე ნაკლებობისთვის მხოლოდ ზარმაცი არ აკრიტიკებდა, თუმცა ბოლო დღეებში ალასანია თითქოსდა „გამოცვალეს“. ის, ასე თუ ისე, გასაგებად ალაპარაკდა და, ამასთანავე, როგორც იქნა, მოძებნა რეზონანსული თემა, რომელიც საყოველთაო განხილვის საგნად იქცა.**

## საქართველო სამოქალაქო ომს ვერ გაუძლებს. ის, დიდი ალბათობით, ქვეყნის დანაწევრებით და სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდება, მსხვერპლსა და ნგრევაზე რომ არაფერი ვთქვათ

ალასანიას უცაბედი ტრანსმუტაცია და მისივე მეტამორფოზები დროებით გვერდზე გადავდოთ და დავაკვირდეთ კიდევ ერთ ციტატას მისი განცხადებიდან, რომელიც უცხოელ დიპლომატებთან შეხვედრაზე გააკეთა: **„მინდა ყურადღება მიაპყროთ იმას, რაც დასავლეთ საქართველოში ხდება. რატომ ყალიბდება გასამხედროებული ჯგუფები და ვინ აიარაღებს მათ? რატომ აქვთ იარაღი მუდამ თან და რატომ ელოდებიან რაღაც მოვლენას, როდესაც ეს მათ დასჭირდებათ. ეს ზუსტად მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილი არ აპირებს ჩაატაროს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები და ნიადაგს ამზადებს იმისთვის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია გაანადგუროს“** (presage.tv). გუშინდელ ბრიფინგზე ირაკლი ალასანიამ ეს თემა განავრცო, თუმცა ამაზე ოდნავ მოგვიანებით.

სამოქალაქო ომის წინათგრძნობა — სალვადორ დალიმ მასზე გენიალური სურათი დახატა, იური შევჩუკმა კარგი სიმღერა დაწერა და ნუგზარ წიკლაურმაც კი თქვა ორიოდე გოროზი სიტყვა, რომელიც, მართალია, არ შევა მსოფლიო კულტურის საგანძურში, მაგრამ მოკრძალებულ როლს ჩვენს დღევანდელ საუბარში ნამდვილად შეასრულებს.

**აქ, ალბათ, ერთი აქსიომის ფორმულირება მოგვიწევს: საქართველო სამოქალაქო ომს ვერ გაუძლებს. ის, დიდი ალბათობით, ქვეყნის დანაწევრებით და, შესაძლოა, სახელმწიფოებრიობის დაკარგვით დასრულდება, მსხვერპლსა და ნგრევაზე რომ არაფერი ვთქვათ. ამიტომ ის, ვინც სამოქალაქო ომის დაწყებას გეგმავს, დაუყოვნებლივ შეჩერებულ უნდა იქნას და პასუხისგებაში მიეცეს.**

თვალი შევავლოთ დისპოზიციას: გადაულახავი კონფლიქტი, ერთგვარი უფსკრული ხელისუფლებასა და საზოგადოების დიდ ნაწილს შორის სახეზეა. მისი დაძლევა ან ცივილურ პოლიტიკურ კონკურენციაში გადაყვანა ვერა და ვერ მოხერხდა. სკამების ნებისმიერი მეთოდებით შენარჩუნების სურვილი ასევე სახეზეა, ბოლო დროს მან აშკარად მანიაკალური ხასიათი მიიღო. ჩვენს გვერდით ცხოვრობს საკმაოდ ბევრი ადამიანი, რომლებიც შინაგანად მზად არიან თანამემამულეებს ესროლონ, აწამონ და გაძარცვონ ისინი (ეს, ალბათ, იმ „მენტალური რევოლუციის“ შედეგია, რომელზეც სააკაშვილი ხშირად საუბრობს). **არსენალები გაძეძგილია იარაღით, ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ექსპერტთა შეფასებით 90-იანებში მოსახლეობის ხელთ ათეულათასობით ავტომატი (ხელყუმბარა და ა. შ.) მოხვდა, შსს-ს ბოლო ათწლეულის სტატისტიკაში კი საუბარი მხოლოდ ათასობით ამოღებულ ერთეულზე მიდის, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, აღურიცხავი, უკონტროლო იარაღი საქართველოში საკმარისზე მეტია.**

არის კიდევ ერთი გარემოება: **უცხო ქვეყნებმა შეიძლება ხელი შეუწყონ საქართველოში სამოქალაქო ომის დაწყებას, რათა საკუთარ მიზნებს მიაღწიონ.**

საერთოდ, მსგავსი სიტუაცია „მესამე სამყაროს“ ისტორიაში არაერთგზის შექმნილა და ასევე არაერთგზის უმძიმესი შედეგით დასრულებულა. ყოველივე თქმული, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო ომი გარდაუვალია, თუმცა ჩამოთვლილი ფაქტორები მის დაწყებას და მასშტაბების შემდგომ ზრდას ხელს მნიშვნელოვნად უწყობენ.

დავუბრუნდეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მორიგ ტიტანს ნუგზარ წიკლაურს, რომელიც ასე დაუნდობლად მივატოვეთ სადღაც იქ, კუთხეში, სალვადორ დალის ტილოსა და იური შევჩუკის გიტარას შორის, და მოვუსმინოთ მის პასუხს ალასანიას განცხადებაზე: **„ეს პროექტი თავდაცვის სამინისტროს მიერ ნებაყოფლობით ტარდება. ისინი გადიან ერთკვირიან სწავლებას, ეუფლებიან თავდაცვის სხვადასხვა საშუალებას და შემდეგ ბრუნდებიან სახლში, ისე, რომ არც იარაღი აქვთ, არც ფორმა“** („ჯი-ეიჩ-ენი“). ისე, საინტერესო კია, რატომ დაიწყო ნუგზარ წიკლაურმა სწორედ „ამ პროექტის“ აღწერა, იქნებ ალასანია სულ სხვა რაზმებზე საუბრობდა? თუმცა ამ ნიუანსს თავი დავანებოთ და ყოველივეს ჩვეულებრივი ლოგიკის პოზიციიდან შევხედოთ:

**რა „თავდაცვის საშუალებების ფლობა“ შეიძლება ასწავლო ადამიანს ერთი კვირის განმავლობაში? აგვისტოს ომის რეზერვისტებმა შედარებით ხანგრძლივი მომზადება გაიარეს. მათ პიროვნულ სიმამაცეში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ საბრძოლო მოქმედებების ზონაში ეს ბატალიონები რეალურად ბალასტს წარმოდგენდნენ, რომლის ჩაბმა ბრძოლაში რუსულ ჯართან დანაშაულის ტოლფასი იყო; რეზერვისტების დიდმა ნაწილმა პრაქტიკულად არაფერი იცოდა. ამ შემთხვევაში კი, ნუგზარ წიკლაურს თუ დავუჯერებთ, მოსამზადებელი პერიოდი შემცირებულია კიდევ უფრო მეტად, ერთ კვირამდე. რა უნდა ისწავლონ ასეთი ამ ერთ კვირის განმავლობაში? უიარაღო მოწინააღმდეგესთან ბრძოლა ხომ არა?**

როდესაც ორი წლის წინ, ხელისუფლებამ მრავალტანჯულ კანონში „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ მორიგი შესწორებების შეტანა გადაწყვიტა და, ზოგადად, საეჭვოდ გააქტიურდა საყოველთაო მილიტარიზაციის მიმართულებით, „საქართველო და მსოფლიო“ სტატიაში **„ქვეყნის რეზერვი თუ მიშას რეზერვი?“** (21.07.10) წერდა, რომ რაღაც ეტაპზე ჩვენ **„შეიძლება მივიღოთ ხელისუფლებაზე 100%-ით დამოკიდებული რაზმელები, ირანული „ისლამური რევოლუციის გუშაგთა“ ან ჰაიტელი „ტონტონ-მაკუტების“ ადგილობრივი ვარიანტი, რომელთა გამოყენებას შიდაპოლიტიკურ დაპირისპირებაში, არმიისგან განსხვავებით, არანაირი განსაკუთრებული წინაღობა არ ექნება“.** დღეს, ალასანიას განცხადების შემდეგ, ეს ეჭვი ფართოდ გავრცელდა და დასადგენი მხოლოდ ის დარჩა, რა ოფიციალური სტატუსი აქვთ ამ რაზმების წევრებს.

**„პარამილიტარეს“, „სიკვდილის ესკადრონები“** — ეს სიტყვები ლათინური ამერიკის ისტორიაში სისხლით არის ჩაწერილი. არსებობს უამრავი დოკუმენტური მასალა, თუმცა, ჩემი სუბიექტური აზრით, ყველაზე კარგად ამ თემას ოლივერ სტოუნის შესანიშნავი ფილმი „სალვადორი“ ასახავს, მიუხედავად იმისა, რომ მას მხოლოდ ირიბად ეხება. არის იქ ერთი სცენა, რომელიც, შესაძლოა, უფრო შთამბეჭდავია, ვიდრე კადრები, რომლებიც მასობრივ დახვრეტებსა და წამებაზე მოგვითხრობენ: **გაუბედურებული ქალაქის ქუჩებში, სადაც ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასიც აღარ აქვს, იქაური ზონდერები მეგაფონიანი მანქანით დადიან და ყვირიან: „გიხაროდენ, ელ-სალვადორის მცხოვრებლებო, აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი გახდა!“.**

ალასანიას განცხადება ელჩებთან შეხვედრაზე შემდეგ ფრაზასაც შეიცავდა: **„სანამ არ არის გვიან და არ მიგვიღია ახალი ჰომსი ზუგდიდში ან საქართველოს რომელიმე სხვა კუთხეში, მოგმართავთ, დაიწყეთ მოქმედება“.** სააკაშვილი სწორედ ამ მონაკვეთს ჩაებღაუჭა: **„ცდილობენ, საარჩევნო კამპანიაში ჩაგვითრიონ. ისინი ფიქრობენ სკამებზე; მე ვფიქრობ, აი, ამ სათბურზე, საწარმოებზე, ახალ კურორტებზე...“** აქ, პრინციპში, შეგვიძლია სააკაშვილის განცხადება შევამოკლოთ, რადგან აქტუალურია არა ის, თუ რაზე ფიქრობს და ოცნებობს ფიგურანტი თავის წარმოსახვით საქართველოში (სულ მინდა ჩავაწვეთო, იმ თავის ვირტუალურ რეალობაში კოსმოსური პროგრამა დაიწყოს), არამედ — თუ რას აკეთებს წინასაარჩევნოდ. აქ კი ყველაფერი ცხადია: **„მათ უნდათ, საარჩევნო კამპანიაში ჩაგვითრიონ“.** სააკაშვილს კი, როგორც ჩანს, საარჩევნო კამპანიაში ჩართვა არ სურს. იმიტომ ხომ არა, რომ არ აქვს იდეა, რომელიც მისი კამპანიისთვის ღერძის როლს შეასრულებს და ზოგადად, კრეატიულობის მწვავე უკმარისობას განიცდის? რისი იმედი აქვს: კონტროლის პალატის რეიდების თუ ზონდერების ეგზეკუციების? ისტორია ცხადყოფს, რომ მსგავს შემოქმედებით და სააზროვნო კრიზისში შესული დიქტატორების გადარჩენა ელიტურ სატანკო დივიზიებსაც კი არ ძალუძთ.

თუმცა ეს „ჯერ კიდევ ჟურნალია“. **„ისინი დაემუქრნენ სამეგრელოს სირიის, ჰომსის სცენარით,** — განაგრძო სააკაშვილმა. — **მინდა გადავთარგმნო, რას ნიშნავს ეს: დაემუქრნენ ათასობით ადამიანური მსხვერპლით, ასეულობით და ათასობით შენობის დანგრევით, ქალაქების მიწასთან გასწორებით, თავმოჭრილი ბავშვებით...“**

თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბოლოს განცხადება იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ოპონენტი „თავმოჭრილი ბავშვებით“ დაიმუქრა, მეცამეტე საუკუნის დამდეგს, მონღოლთა ტომების დიდ ყურულთაიზე, უშუალოდ ყაენის არჩევის წინ გაკეთდა, თუმცა, ძირითადად, ამ მეთოდს ქვის ხანის მოღვაწეები მიმართავდნენ. უფრო უხეში, ატავისტური ხრიკი პოლიტიკაში, უბრალოდ, არ არსებობს. **თუმცა ამ განცხადებაში, შესაძლოა, კიდევ ერთი, გაცილებით ცუდი ქვეტექსტი ჩაიდო, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობამ, სავარაუდოდ, ძალიან კარგად გაშიფრა და სათანადო დასკვნა გამოიტანა, ოღონდაც არა ისეთი, როგორიც სააკაშვილს სურდა.**

**ვინ დაიმუქრა? რა თავმოჭრილი ბავშვები? რატომ იშლება სააკაშვილის თვალწინ ასეთი სურათები? ვის შევჩივლოთ, მაშინ, როდესაც ბატონი ავლიპი ჩვენთან აღარ არის?**

„ნებისმიერი ბრალდება, რომელიც კეთდება წინასაარჩევნოდ და უკავშირდება ძალადობის გამოყენების შესაძლებლობას ან მის წინასწარმეტყველებას, ყურადღების მიქცევას საჭიროებს,“ — თქვა აშშ-ის ელჩმა ჯონ ბასმა სამშაბათს ალასანიას განცხადების კომენტირებისას და იქვე მოუწოდა ყველა მხარეს **„არ ისაუბრონ ისეთ ბრალდებებზე, რომელიც არ იქნება ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ფაქტებით გამყარებული“.** თუმცა ირაკლი ალასანიამ მის ხელთ არსებული მტკიცებულებების გასაჯაროებისგან (ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე), „სახელმწიფო უსაფრთხოებიდან გამომდინარე“, თავი შეიკავა და მის ხელთ არსებული მასალები უშიშროების საბჭოს გადაუგზავნა. შეიძლება გაჩნდეს ბუნებრივი კითხვა: რა რეაქციას ელოდება ალასანია სააკაშვილის უშიშროების საბჭოსგან და, ზოგადად, ხელისუფლებისგან? თუმცა ფორმალური თვალსაზრისით (და, ალბათ, ტაქტიკურადაც) ის სწორად მოიქცა; ეს ინფორმაცია ჯერ შესაბამის ინსტანციებში უნდა მოხვდეს, რომელთაც სულ მალე, სიტუაციაში გარკვევის მიზნით, უცხოელი დიპლომატები მიაკითხავენ.

**ალასანიას თქმით, „სამეგრელოში „დაახლოებით 55-დან 60 კაცამდე შემადგენლობის შეიარაღებული ჯგუფები შეიქმნა. ისინი რეზერვისტებად დარეგისტრირებული არ არიან. საერთო ჯამში მათი რაოდენობა დაახლოებით 500 კაცს შეადგენს. სააკაშვილი ამ დაჯგუფებებს დესტაბილიზაციისთვის გამოიყენებს. მათ უკანონო ნაღდი ფულით აფინანსებენ“.**

მისივე თქმით, სამეგრელოში შეიარაღებულ კლანს როლანდ ახალაია და მისი ორი ვაჟი ხელმძღვანელობენ და ამ საქმეში სხვადასხვა სამართალდამცველი სტრუქტურის წარმომადგენლები არიან გარეულნი. ამასთან, ალასანიამ ის პირები დაასახელა, რომლებიც სხვადასხვა ფორმით სამეგრელოში არსებულ ბანდფორმირებებთან თანამშრომლობენ. ალასანიას ინფორმაციით, ესენი არიან: **თორნიკე მალაზონია, ნუგზარ ფანგანი, რომან შამათავა, ფრიდონ შენგელია, ზვიად გაგუა, დავით დარსმელიძე** და **მამუკა იოსავა** (სააგენტო „პირველი“).

ცხადია, ირაკლი ალასანიას მიერ მოწოდებული ინფორმაცია შემდგომ შესწავლასა და გადამოწმებას საჭიროებს, მაგრამ თუ დადასტურდება, მიხეილ სააკაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება.

**არც ერთი ერი არ აპატიებს მმართველს სამოქალაქო ომის მომზადებას და სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზებას. გამონაკლისს, ცხადია, ვერც სააკაშვილისთვის დავუშვებთ. ალასანიას ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, სააკაშვილის გადაყენება თანამდებობიდან და მართლმსაჯულებისთვის გადაცემა აბსოლუტურად გარდაუვალი გახდება.**

**დღეს სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, რასაც ჯერჯერობით იაფფასიანი პიარითა და ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებით პასუხობენ. ეს კი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მათ არ შესწევთ უნარი, მართონ ქვეყანა კანონებითა და სამართლებრივი მეთოდებით, რადგან სწორედ კანონებსა და სამართალში ხედავენ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რევოლუცია მოდის?

**საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად საქართველოში პოლიტიკური ვითარება იძაბება. სააკაშვილის რეჟიმი არჩევნების მასშტაბურად გაყალბებისთვის ემზადება და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ყველანაირ მეთოდს იყენებს, ოპოზიცია კი მაქსიმალურად ცდილობს, არ აჰყვეს ხელისუფლების პროვოკაციებს და არჩევნების გზით რეჟიმის ცვლილებას გვპირდება. მაგრამ რამდენად ადეკვატურია ოპოზიციის სიმშვიდე ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკის ფონზე, დღეს არავინ საუბრობს. ასევე არავის სურს საუბარი, არჩევნების ტოტალურად გაყალბების შემთხვევაში, რისი ალბათობაც ძალიან მაღალია, არის თუ არა ოპოზიცია და საზოგადოება რევოლუციისთვის მზად.**



ამ ეტაპზე საქართველოში რევოლუციური სიტუაცია არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ვერ ახერხებს, მართოს ქვეყანა ძველებურად, ხოლო მოსახლეობის ცხოვრების დონე დღითიდღე უარესდება, საზოგადოება პოლიტიკური ცვლილებების რადიკალური მეთოდებით გადაჭრისთვის მზადყოფნას არ გამოხატავს.

საზოგადოებაში რევოლუციური სიტუაცია იქმნება მაშინ, როცა მმართველ რეჟიმს აღარ შესწევს უნარი, ძველებურად მართოს ქვეყანა და არც საზოგადოებას სურს, მუდმივი ტერორის ქვეშ იცხოვროს თავისუფლებაშეზღუდულმა. ამიტომ იწყებენ მასები გააქტიურებას, რომლის მიზანს არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება და ხელისუფლების შეცვლა წარმოადგენს.

**ნებისმიერ საპროტესტო გამოსვლას, რომელიც პოლიტიკური ცვლილების მიღწევას ისახავს მიზნად, თან უნდა ერთვოდეს არსებული, რევოლუციურად განწყობილი საზოგადოების პრინციპულობა, დარაზმულობა და მასობრივი მოქმედების უნარი, რომელიც იქნება საკმაოდ მძლავრი საიმისოდ, რომ შეარყიოს მისთვის არასასურველი ხელისუფლება,** რადგან ავტორიტარული რეჟიმები, მიუხედავად რეალური კრიზისისა, საზოგადოების ზემოქმედების გარეშე თავისით არ წაიქცევა.

მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ რევოლუციური სიტუაცია ყოველთვის არ მთავრდება რევოლუციით. **სააკაშვილის რეჟიმმა ბოლო წლების განმავლობაში ყოველთვის შეძლო, დაეძლია პოლიტიკური კრიზისი, საზოგადოების წინააღმდეგობა და, რევოლუციური სიტუაციის რეალურად არსებობის მიუხედავად, ოპოზიციას „ქუჩა“ პირწმინდად მოუგო.** ჯერ კიდევ 2007 წლის 7 ნოემბრის არშემდგარი რევოლუცია, ისევე, როგორც 2008 წელს იპოდრომზე შეკრებილი 300 ათასი ადამიანის უცერემონიოდ სახლში გაშვება, როცა საზოგადოება ხელისუფლების შეცვლის მიზანთან ძალიან ახლოს იყო. **ოპოზიციის ნაწილმა 2010 წელსაც სცადა ქვეყანაში რევოლუციური სიტუაციის შექმნა, მაგრამ ქუჩის პოლიტიკის უპერსპექტივობის გამო საზოგადოება ამ პროცესის მონაწილე არ გახდა, რამაც ხელისუფლებას მისცა ბიძგი, პოლიტიკურ რეპრესიებსა და ოპოზიციური აზრის ჩახშობაზე გადასულიყო.** ყოველი ეს „რევოლუციური“ მოძრაობა წარუმატებელი გამოდგა, რაც ძირითადად სამი ფაქტორით იყო განპირობებული: **1. ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით მოახერხა პროტესტის ჩახშობა; 2. ოპოზიციამ ვერ შეძლო დასავლეთის მხარდაჭერის მოპოვება; 3. ოპოზიცია ბოლოს თავად** (ყოველ შემთხვევაში, — მისი მნიშვნელოვანი ნაწილი) **გაურიგდა ხელისუფლებას.** ყოველივე ამან საზოგადოება ქუჩის პოლიტიკისადმი ნიჰილისტურად განაწყო.

**დღეს სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგანან, რასაც ჯერჯერობით იაფფასიანი პიარითა და ოპოზიციის წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიებით პასუხობენ. ეს კი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მათ არ შესწევთ უნარი, მართონ ქვეყანა კანონებითა და სამართლებრივი მეთოდებით, რადგან სწორედ კანონებსა და სამართალში ხედავენ ძალაუფლების დაკარგვის საფრთხეს.** საქმე ის არის, რომ, თუკი ხელისუფლება დაუშვებს სამართლიან არჩევნებს და მისცემს საზოგადოებას შესაძლებლობას, დამოუკიდებლად აირჩიოს მისთვის სასურველი პოლიტიკური ძალა, მაშინ „ნაციონალური მოძრაობა“ არჩევნებში დამარცხდება, ხოლო ავტორიტარული რეჟიმის „დამფუძნებელი მამები“, სააკაშვილის მეთაურობით, შეიძლება განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ. ასეც რომ არ მოხდეს და ახალ ხელისუფლებასთან მიღწეული „პოლიტიკური კომპრომისის“ გამო თუ მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა, მაშინ ძალაუფლებასთან ერთად წლების მანძილზე საზოგადოების გაღლეტის ხარჯზე ნაგროვებ უდიდეს ფინანსურ კაპიტალს მაინც დაკარგავენ. ამიტომ **სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა, რომლებიც უკანონობისა და კორუფციის ჭაობში არიან ჩაფლულნი, ხელისუფლების შესანარჩუნებლად უკანასკნელ მომენტამდე იბრძოლებენ და არც ბაშარ ასადის „სირიულ გაკვეთილებზე“ იტყვიან უარს.**

უკვე ყველასთვის ნათელია რომ, რაც უფრო მივუახლოვდებით არჩევნებს, მით უფრო მოიმატებს დაძაბულობა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ხელისუფლების მიერ ქვეყანაში უკვე განხორციელებული და მოსალოდნელი რეპრესიები. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბოლო თვეების განმავლობაში **სააკაშვილის ავტორიტარულმა რეჟიმმა კონტროლის პალატა პოლიტიკურ** (პარტიულ) **პოლიციად გარდაქმნა, რომელიც ნაცისტური გერმანიის ტერორის სიმბოლოდ წოდებული „გესტაპოს“ პრინციპებით მოქმედებს და საქართველოში ოპოზიციური აზრის ჩახშობას ისახავს მიზნად.**

საქართველოს ხელისუფლებამ, როგორც ყველა დიქტატორულ რეჟიმს ახასიათებს, შექმნა და მთელი სიმწვავით აამუშავა „პოლიტიკური პოლიცია“ კონტროლის პალატის პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის სახით, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს მთელი ქვეყნის მასშტაბით აბსურდულ დაკითხვას უწყობს. ზოგადად, ინფორმაციის მოძიება-გადამოწმების მიზნით, დაკითხვაში უცნაური არაფერია, თუმცა აღნიშნული უწყება სრულიად უგულებელყოფს ადამიანის უფლებებს და კონსტიტუციის ფუძემდებლურ პრინციპებს. ვინაიდან დაკითხვამდე ადამიანებს ჩხრეკენ და ლამის დედიშობილა აყენებენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების ოპოზიციურად მოაზროვნე ნაწილის დაშინებასა და არჩევნებამდე მათი „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს „გადაყვანას“ ისახავს მიზნად.

კონტროლის პალატის უკანონო ქმედებებმა ხელისუფლების პოლიტიკის მთავარი მხარდამჭერი, აშშ-ის ელჩი ჯონ ბასიც აღაშფოთა, რომელმაც საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდით გააკეთა განცხადება: **„შეწუხებული ვარ იმ ვითარებით, რომელიც ახლავს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს. სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ გაზრდის საზოგადოების ნდობას ამ ინსტიტუტის მიმართ და ხელს ვერ შეუწყობს კონკურენტუნარიანი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას“.**

ასევე, საზოგადოების და ქვეყნის უსაფრთხოებას აშკარად ემუქრება უკანონო ბანდფორმირებები თუ ნახევრადფორმალური სამხედრო დაჯგუფებები, რომელთა ჩამოყალიბება, სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში, რომელსაც ხელისუფლება, სავარაუდოდ, საპარლამენტო არჩევნებში „წარმატების“ მისაღწევად და ოპოზიციის დასათრგუნად გამოიყენებს. მოსალოდნელი საფრთხის რეალურობას, როგორც ჩანს, კარგად აცნობიერებენ „ქართული ოცნების“ ლიდერები, რაზეც ნათლად მეტყველებს 15 მარტს ირაკლი ალასანიას მიერ დიპლომატიურ კორპუსთან შეხვედრაზე გაკეთებული განცხადება: **„მე მინდა, ყურადღება მიაპყროთ იმას, თუ რა ხდება დასავლეთ საქართველოში. რატომ ყალიბდება გასამხედროებული ჯგუფები და ვინ აიარაღებს მათ. რატომ აქვთ იარაღი მუდამ თან და რატომ ელოდებიან რაღაც მოვლენას, როდესაც ეს მათ დასჭირდებათ. ეს ზუსტად მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილი არ აპირებს, ჩაატაროს სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები და ნიადაგს ამზადებს იმისთვის, რომ პოლიტიკური ოპოზიცია გაანადგუროს, რადგან, „ჩვენ ვართ სახელმწიფოს მტრები“, „ჩვენ ვიმართებით კრემლიდან“.**

**მმართველი რეჟიმი, რომ მთავარ პოლიტიკურ ოპონენტებს არა ოპოზიციად, არამედ კრემლის მიერ მართულ „მეხუთე კოლონად“ განიხილავს, პოლიტიკური პროცესების ნორმალიზებისთვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.** ზედმეტად არასერიოზულია სააკაშვილის მტკიცებები, იმის შესახებ, რომ რუსეთიდან **„გამოყვეს მილიარდები, „გაზპრომს“ მილიარდების მეტი რა აქვს. ფიქრობენ, რამდენი მივაშაოთ ახლა პოლიტიკურ სპექტრს, ქართველ ამომრჩეველს და კაი, ახლა მაგათ ყიდვას რა უნდა. პუტინი ვერასოდეს გაიგებს, ქართველი ხალხი რატომ არ გაიყიდება შემოდგომაზე“.** ქვეყნის პირველი პირის ეს აბსურდული რიტორიკა არჩევნების გაყალბების შემდეგ ქუჩაში საპროტესტოდ გამოსული საზოგადოების პროტესტის სასტიკად ჩასახშობად ნიადაგის მომზადებას ისახავს მიზნად.

დღეს სააკაშვილის რეჟიმი აგონიაშია, რომელიც უკან არაფერზე დაიხევს. სწორედ ამიტომ ქმნის კრიმინალურ-გასამხედროებულ დაჯგუფებებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. უკანონო ფორმირებების შექმნამ თუ სანამდე მიიყვანა საქართველო 90-იან წლებში, ყველას კარგად გვახსოვს. ამიტომ **სააკაშვილის რეჟიმის მხრიდან სამოქალაქო დაპირისპირების წახალისება ძალიან დიდი შეცდომა იქნება, ვინაიდან არაკანონიერი და ძალადობრივი გზებით ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობა არა რომელიმე კონკრეტულ ჯგუფს, არამედ მთლიანად საქართველოს მოუტანს დამანგრეველ შედეგს**. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაიაზრონ ხელისუფლების იმ წარმომადგენლებმა, რომლებსაც არ სურთ, გახდნენ თავიანთი სიჩუმით კიდევ ერთი სამოქალაქო დაპირისპირების დაწყების თანაავტორები.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ის არის, თუ რა ცივილურ ფორმას, მეთოდს დაუპირისპირებს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის მიერ განხორციელებულ ტერორს ივანიშვილის კოალიცია და როგორ მოთოკავს ხელისუფლების ძალმომრეობას არჩევნებამდე.

ხელისუფლება, უკვე დიდი ხანია, გასულია კონსტიტუციური სივრციდან, მაგრამ ივანიშვილის კოალიციის პასიურობა და „ქართული ოცნების“ აქტივისტების წინააღმდეგ განხორციელებული რეპრესიების გამო დაგვიანებული რეაგირება ან მათი უფლებების დასაცავად სპეციალური ჯგუფების დღემდე ჩამოუყალიბებლობა საზოგადოებაში უკმარისობისა და გარკვეულწილად ნიჰილიზმის განცდას იწვევს, რაც არ არის სასურველი.

დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება იმის თქმა, რომ **სააკაშვილის რეჟიმი არჩევნებს აუცილებლად გააყალბებს და 2008 წლის მსგავსად ხელისუფლების კიდევ ერთხელ მიტაცებას შეეცდება. მაშინ ოპოზიცია ან შეძლებს სააკაშვილის რეჟიმს დაათმობინოს ძალაუფლება თუნდაც რევოლუციის გზით, ან დამყარდება საქართველოში სრულფასოვანი დიქტატურა და ქართველი ერი საბოლოოდ დაკარგავს თავის ფუნქციას.**

**თუკი უახლოეს მომავალში ივანიშვილის კოალიცია ვერ შეძლებს, აიძულოს ხელისუფლება, დაბრუნდეს კანონის ჩარჩოებში, მაშინ არჩევნების მოგებისა და მითუმეტეს პარლამენტში უმრავლესობით მოსვლის შანსი ნულის ტოლი გახდება.**

გარდა ამისა, თუ „ქართული ოცნების“ ლიდერები ამ ურთულეს ვითარებაში მხოლოდ დასავლეთის სახელმწიფოთა ელჩების „კეთილი ნების“ იმედზე დარჩებიან და დაელოდებიან სააკაშვილს ისინი თითს როდის დაუქნევენ, მაშინ გარდამტეხი ცვლილების იმედი არ უნდა გვქონდეს. საზოგადოება ვერ დაელოდება დასავლელი ლიდერებისთვის დამახასიათებელ „დიპლომატიურ“ შეგონებებს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ჩვეული ევროპული მოკრძალებით ოპერატიულად აღშფოთდებით თუ შეშფოთდებით შემოფარგლულ განცხადებებს, რომლებიც „არც მწვადს წვავს და არც შამფურს“, ხოლო ხელისუფლებას რეპრესიების განსახორციელებლად მოქმედების თავისუფლებას არ უზღუდავს.

**ზურაბ ჯამბურია**

## ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ისტორიული წარსულის გადაწერის მცდელობა არახალია. არც ის არის ახალი, რომ ყველაფერი რუსეთის ბრალი ყოფილა და არა იმ ევროპის, რომელიც საკუთარ ტყავზე ზრუნვის გარდა არაფრით იყო დაკავებული. ერეკლე კარგად იყო ინფორმირებული, თუ როგორ გააგდებინეს თავები ევროპაში მონარქებს და მის არჩევანზე ამანაც არცთუ მცირე გავლენა იქონია. წარმოიდგინეთ მეფე, რომელიც მეფეთა დამამხობლებთან წავიდოდა კავშირზე და არა ერთმორწმუნე მონარქიულ რუსეთთან!



# ტოტალიტარული დემოკრატია

**ბრიტანეთში კოპტი ქრისტიანი ნადია ევეიდა ავიაკომპანიამ სამსახურიდან დაითხოვა, რადგან იგი არ დაემორჩილა ადმინისტრაციის მითითებას, — ტანსაცმლის ქვეშ დაემალა ჯვარი. მედდა შირლი ჩაპლინი საავადმყოფოდან ამავე მიზეზის გამო გაუშვეს. ორივე ქალმა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში იჩივლა. ბრიტანეთის მთავრობას მიაჩნია, რომ ევროკონვენციის მე-9 მუხლი არ დაურღვევია, ხოლო ორი ქრისტიანი ქალი ამტკიცებს, რომ ჯვრის ტარების აკრძალვით მათი აღმსარებლობის თავისუფლება ირღვევა. მთავრობას ასეთი არგუმენტი მოჰყავს: ჯვრის ტარება ქრისტიანული მრწამსით აუცილებელი არ არის, მაგალითად, პროტესტანტული დენომინაციები ჯვარცმას რწმენის სიმბოლოდ არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე(!), დამსაქმებელს ჯვრის ტარების აკრძალვის უფლება აქვს!**





ბრიტანეთის ანგლიკანური და კათოლიკური ეკლესიები, რომელთაც საერთო ენის გამონახვა უჭირთ, ამ საკითხში ერთიან პოზიციაზე დადგნენ და მორწმუნე ქალების უფლებათა დასაცავად აღიმაღლეს ხმა. ორივე ეკლესიის აზრით, ეს მთავრობის შურისძიებაა იმის გამო, რომ კემერონის მთავრობის მიერ ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზაცია ორივე ეკლესიამ დაგმო. სკანდალი იმანაც გაამძაფრა, რომ ჟურნალისტებს ხელში ჩაუვარდათ თანასწორობის საკითხთა მინისტრის, ლინ ფიზერსტოუნსის მიერ პრემიერ-მინისტრისთვის მომზადებული ანალიტიკური ცნობა, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ჯვრის ტარების აკრძალვა არ წარმოადგენს რწმენის თავისუფლების შეზღუდვას.

პრემიერ-მინისტრი კემერონი კონფლიქტის გამწვავებას მოერიდა და ქრისტიანების მხარეს დადგა. მისმა პრესმდივანმა საგანგებო განცხადება გააკეთა იმის შესახებ, რომ პრემიერი ნადია ევეიდას და შირლი ჩაპლინის გამარჯვებას ელის სტრასბურგის სასამართლოში, მაგრამ, თუ მათ სარჩელი ვერ მოიგეს, მაშინ ბრიტანეთის მთავრობა თავად მიიღებს კანონს სამუშაოზე ჯვრის ტარების უფლების დასაცავად. **ქრისტიანები იმითაც არიან აღშფოთებულნი, რომ სიკხ პოლიციელებს ბრიტანეთში ჩალმის ტარების უფლება არ ეზღუდებათ, მუსლიმ ქალებს – თავსაფრის, ხოლო ქრისტიანის მიერ სამუშაოზე ჯვრის ტარება იკრძალება.**

თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღებამდე მორწმუნეთა დისკრიმინაცია სხვა მიზეზებითაც ხდებოდა: პედაგოგი-დეფექტოლოგი ცელესტინა მბა მხოლოდ იმიტომ დაითხოვეს სამსახურიდან, რომ მან რწმენის საფუძველზე კვირადღეს მუშაობაზე უარი განაცხადა. მმაჩის თანამშრომელმა ლილიან ლეიდლემ კი სამსახური იმიტომ დაკარგა, რომ ჰომოსექსუალური წყვილის ქორწინების რეგისტრაციაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ ქრისტიანისთვის სოდომიის ხელშეწყობა უმძიმესი ცოდვაა.

**2004 წელს, როცა საფრანგეთის კანონმდებლებმა სკოლებში რელიგიური სიმბოლიკა აკრძალეს, რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ განაცხადა, რომ დემოკრატიულ წყობაში გარანტირებული თავისუფლებანი იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანს საჯაროდაც უნდა შეეძლოს საკუთარი რელიგიური შეხედულებების გამოხატვა. პაპმა ხაზი გაუსვა, რომ საჯარო სივრციდან რელიგიური სიმბოლიკის ამოშლა თავისუფლების ცნებას ეწინააღმდეგება.**

რომის პაპმა მხოლოდ ის თქვა, რასაც ევროკონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ამბობს: **„ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში, საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას – გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესის დაცვით და რიტუალების შესრულებით“.**

**ევროპა აგრესიულმა სეკულარიზმმა მოიცვა. ის, რასაც ჩვენში „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამოგონებად აღიქვამენ, იმავე მოვლენას ასახავს, რომელიც დასავლეთში, კარგა ხანია, სერიოზულ რყევებს იწვევს.** თუმცა აქ განსხვავებაც თვალსაჩინოა. დასავლური ქრისტიანობა, რომელიც ძალადობას ეფუძნებოდა, ახლა იმკის იმას, რაც დათესა. მუსლიმების დედა-წულიანად ჟლეტა, იუდეველების ძალით გაქრისტიანება და ინკვიზიციის კოცონები არის იმის მიზეზი, რაც დღეს სულ უფრო აბსურდულ ხასიათს იძენს.

**სწორედ ნაგვიანევად აღმოჩენილი რჯულთშემწყნარებლობა ბადებს აგრესიულ სეკულარიზმს. სეკულარიზმი კი სწორედ იმან წარმოშვა, რომ დასავლური ქრისტიანობა საერო ხელისუფლების მიტაცებისა და მისი განვრცობის გზით წავიდა.** სხვადასხვა პერიოდში ევროპის სახელმწიფოები (იტალია, საფრანგეთი, გერმანია და ა. შ.), ფაქტობრივად, ვატიკანის ნება-სურვილით და მისი ხელდასხმით იმართებოდა. რეფორმაცია არანაკლებ სასტიკი აღმოჩნდა, ვიდრე კათოლიკური ეკლესია. უამრავი სისხლი დაიღვარა როგორც ერთი, ისე მეორე მხრიდან.

როდესაც ამერიკელმა პასტორმა ყურანი დაწვა, ამერიკელმა მუსლიმმა ყმაწვილმა მას უთხრა: **„თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ, რომელი წიგნი დაწვით; ყურანში ათასჯერ არის ნახსენები ისა (იესო ქრისტე) და თქვენ სწორედ იგი დაწვით ამით“.** ყურანი ამბობს: **„სხვა წინასწარმეტყველთა კვალდაკვალ მოვავლინეთ იესო, მარიამის ძე, დაბადების განსამტკიცებლად. მივმადლეთ მას სახარება, რომელიც წარმართებასა და სინათლეს შეიცავს; დაბადებას განამტკიცებს; სახარება, აგრეთვე, შეიცავს წარმართებასა და გაფრთხილებას მათთვის, რომელთაც ღვთის ეშინიათ. სახარების ხალხმა სახარებისამებრ განსაჯოს. ვინც ღვთის წიგნისამებრ არ განსაჯოს, ურჯულოა. ღმერთს რომ ენებებინა, თქვენგან მხოლოდ ერთს ხალხს შექმნიდა; მაგრამ ინება, თქვენი ერთგულება გამოეცადა, დაიცავდით თუ არა მას, რაც გებოძათ“.**

დასავლური ქრისტიანობის დამოკიდებულება სხვა კონფესიების მიმართ არც ახლა არის იმგვარი, როგორიც ტრადიციულად იყო ჩვენში. **საქართველო, რომელიც სამართლიანად ამაყობს სხვადასხვა რელიგიის თანაარსებობით, დღეს ისევ გამოცდის წინაშე დააყენა საკუთარმა ხელისუფლებამ. სპეკულირება იმით, თითქოს ქართველები შეუწყნარებლები არიან, რაკი აზიზიეს მეჩეთის აშენების წინააღმდეგ გამოდიან, არაკეთილსინდისიერი საქციელია, რადგან საქართველოში, ტრადიციულად, არა მარტო საკუთარ ფასეულობებს უფრთხილდებოდნენ, სხვათა მიმართაც ასეთივე დამოკიდებულება იყო.** ქრესტომატიული მაგალითი დავით აღმაშენებლის მიერ მუსლიმთა უბნებში ღორის დაკვლის აკრძალვის შესახებ ტოლერანტობის ეპიზოდს როდი წარმოადგენს; იგი საქართველოში საუკუნეების განმავლობაში არსებული სამართლებრივი კულტურისა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპის ამსახველია. ვახტანგ VI-მ კანონთა კრებულში ებრაული, სომხური, ბერძნული სამართალი შეიტანა (ეს პრაქტიკა ბევრად ადრე იყო 1705-1709 წლებამდეც, როცა ვახტანგ VI-ს სამართალი დაიწერა), არსებობდა არჩევანის საშუალება, თუ რომელი სამართლით განსჯილიყო ესა თუ ის სარჩელი. **„განჩინებული წიგნები შევკრიბეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და მართალსა სამართალსა იქმოდეთ“,** — მიუთითებს ვახტანგი. იქვე იგი მიუღებლად მიიჩნევს ქართლში სხვა ქვეყნების სამართლის წიგნების მოქმედებას, რადგან **„ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მოგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულობითა“.** ქართველი არც თავად აიძულებდა სხვას, მისი რწმენისა და ფასეულობების საწინააღმდეგოდ ეცხოვრა და, მით უფრო, არც საკუთარი თავის მიმართ უშვებდა ამას.

ერთი თვის წინ გერმანიის რეინის ფედერალური მიწის იუსტიციის მინისტრმა პფალცი იოჰენ ჰარტლოფმა წინადადება წამოაყენა, რომ გერმანიაში შარიათის სასამართლო იქნას დაშვებული. მისი აზრით, ისლამური სამართლის ნორმები ფულთან, ოჯახურ ურთიერთობებთან და მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ დავებში შეიძლება იქნას გამოყენებული. ჰარტლოფის ამ განცხადებას კოლეგების მხრიდან მკვეთრად უარყოფითი რეაქცია მოჰყვა, ალაპარაკდნენ მისი გადაყენების საკითხზეც. **ის, რაც საქართველოში 200 წლის წინ იყო დაშვებული** („განჩინებული წიგნები შევკრიბეთ და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ მით სჯიდეთ და მართალსა სამართალსა იქმოდეთ“), **დღევანდელ ევროპაშიც კი მიუღებელი აღმოჩნდა.**

საფრთხობელა, რომელსაც ისლამისგან და მართლმადიდებლობისგან ქმნიან, მხოლოდ აღრმავებს დაძაბულობას მსოფლიოში და თავად ევროპაშიც. უფლებანი და თავისუფლებანი, რომელიც „თეთრი ადამიანისთვის“ შეიმუშავეს, სხვებზე არ ვრცელდება. **ხელოვნური პოლიტკორექტულობა, რომლის თანახმად ჯვარი სხვა კონფესიების წარმომადგენლებს „აწუხებს“, სინამდვილეში რელიგიასთან არავითარ კავშირში არ არის.** ამერიკამ, რომელიც მთელ მსოფლიოში რელიგიის თავისუფლების საკითხებს გამადიდებელი შუშით აკვირდება, აიტანა ის, რომ პრეზიდენტმა ბუშმა 11 სექტემბრის ტერაქტზე პასუხისმგებლობა სწორედ ერთ კონკრეტულ კონფესიას დააკისრა. რელიგიური ნიშნით ამერიკაში მუსლიმთა დევნამ ამის შემდეგ უპრეცედენტო მასშტაბი შეიძინა. **კიდევ ერთი „დემოკრატიული გარღვევა“ იმავე ბუშმა ერაყში განახორციელა, როცა სადამ ჰუსეინის საერო სახელმწიფო გაანადგურა და ახლა ფუნდამენტალისტები ჰომოსექსუალებს აწამებენ და კლავენ. იანვრიდან უკვე 90 გეია მოკლული, რაც უთუოდ ამერიკული დემოკრატიის ექსპორტის დიდ „გამარჯვებაზე“ მიუთითებს! ჩვენი პროვინციალი უფლებადამცველები კი კვლავაც იმაზე დავობენ, რომ სექსუალური უმცირესობების ცხოვრების წესი მორწმუნესთვის მისაღები უნდა იყოს!**

ბრიუსელში, ევროკავშირის გულში, ამ რამდენიმე დღის წინ მთავარ შიიტურ მეჩეთში ბოროტგანმზრახველი შეიჭრა, იატაკზე ბენზინი მოასხა და ცეცხლი წაუკიდა. მეჩეთი გამოიწვა, ხოლო 46 წლის იმამი, რომელიც ცეცხლის ჩაქრობას ლამობდა — დაიღუპა.

**2009 წელს შვეიცარიამ რეფერენდუმით უარი თქვა მინარეთების მშენებლობაზე.**

თუმცა ოთხი მეჩეთის უკვე არსებული მინარეთები დანიშნულების მიხედვით მაინც არ გამოიყენებოდა, რადგან ქვეყანაში „სიჩუმის შესახებ კანონი“ მოქმედებს. რეფერენდუმის წინ საგანგებო პლაკატები გამოიკრა, რომელზეც შვეიცარიის რუკის ფონზე ფარანჯიანი მუსლიმი ქალია გამოსახული, რუკა კი მინარეთებით არის აჭრელებული.

მოგვიანებით ეს პლაკატი ფრანგებმა „მოიპარეს“ და ანტიისლამური პროპაგანდისთვის იგივე ფარანჯიანი ქალი საფრანგეთის რუკის ფონზე გამოსახეს. ვიდრე პლაგიატის საკითხს არკვევდნენ, შვეიცარიაში მინარეთების წინააღმდეგ რეფერენდუმის ინიციატორმა, ულტრამემარჯვენე ანტიისლამისტმა დანიელ სტრეიჩმა განაცხადა, რომ ისლამი მიიღო! „ისლამმა მიპასუხა ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მებადებოდა და პასუხს ვერ ვპოულობდი“, — განაცხადა სტრეიჩმა.

**ევროპული ტოლერანტობა ღრმა მარაზმშია. ნოდარ ლადარია კი მეგობრებთან ერთად კვლევას ატარებს, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, საქართველოს ისტორიის შეცვლის პრეტენზია აქვს.** კათოლიკურ არქივებში დაცულ წყაროებზე დაყრდნობით ისინი ამტკიცებენ: „ერეკლე მეორის ინტენსიური მიმოწერა დასავლეთის მეფეებთან და უმაღლეს სასულიერო პირებთან ცხადს ხდის, რომ რუსეთმა ჯერ ერეკლეს პროდასავლური გეგმა ჩაშალა, შემდეგ კი სათითაოდ გაყარა საქართველოს ტერიტორიიდან ევროპული მისიები“.

ერთი სიტყვით, **მიმოწერა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა, ვიდრე რეალური ისტორიული მოვლენები. მთავარი ის კი არ არის, რომ ქართველებს ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობა არ მიუღიათ, არამედ ის, რომ პაპებს წერილებს უგზავნიდნენ! კვლევის ავტორები ცდილობენ, საქართველოს ისტორია დღევანდელი ცალსახად პროდასავლური ხელისუფლების პოლიტიკურ გზავნილებს მოარგონ და ამტკიცებენ: „საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ერეკლეს არჩევანი რუსეთსა და მუსლიმანურ სამყაროს შორის უნდა გაეკეთებინა. რეალურად ეს არჩევანი უფრო რუსეთსა და ევროპას შორის გაკეთდა“.**

ისტორიული წარსულის გადაწერის მცდელობა არახალია. არც ის არის ახალი, რომ ყველაფერი რუსეთის ბრალი ყოფილა და არა იმ ევროპის, რომელიც საკუთარ ტყავზე ზრუნვის გარდა არაფრით იყო დაკავებული. **ერეკლე კარგად იყო ინფორმირებული, თუ როგორ გააგდებინეს თავები ევროპაში მონარქებს და მის არჩევანზე ამანაც არცთუ მცირე გავლენა იქონია. წარმოიდგინეთ მეფე, რომელიც მეფეთა დამამხობლებთან წავიდოდა კავშირზე და არა ერთმორწმუნე მონარქიულ რუსეთთან!**

დასავლურ ქრისტიანობასთან ნაგვიანევი დაახლოების სურვილი ოდენ პოლიტიკური კონიუნქტურაა და სხვა არაფერი. თუმცა კულტურის სამინისტრო, რომელიც აზიზიეს მეჩეთის მშენებლობას ამართლებს, ურიგო არ იქნებოდა, დაინტერესებულიყო, როგორ უდგება დღევანდელი (და არა 200 წლის წინანდელი!) ევროპა მეჩეთების საკითხს. **როცა „საწყალ“ კათოლიკე მისიონერებს, ამ ფენომენალური კვლევის ავტორების ვერსიით, რუსები ავიწროებდნენ, თავად კათოლიკეები ჯერ კიდევ თხებს ასამართლებდნენ, ხოლო ინკვიზიცია, ფორმალური თვალსაზრისით, დღესაც არ გაუუქმებიათ და ახალი პაპი – ბენედიქტე მეთექვსმეტე პაპად არჩევამდე 20 წელი რწმენის დოქტრინის კონგრეგაციას ხელმძღვანელობდა. ეს ლამაზი სახელი „წმინდა ინკვიზიციას“ 1908 წელს პაპმა პიუს მეათემ მიანიჭა!**

რჯულთშემწყნარებლობა იქ კი არ არის, სადაც ამაზე ყველაზე მეტს ლაპარაკობენ, არამედ ყოველი მორწმუნე ადამიანის გულში. ქართული გამოთქმა „ძალად მაცხონე“ სწორედ იმას გვიჩვენებს, რომ ძალით ადამიანს ვერც მოაქცევ, ვერც იხსნი და ვერც აცხონებ. ვიდრე დასავლეთი ამას ისწავლის, კიდევ ბევრი სკანდალი და ტრაგედია მოხდება. ჩვენ კი ჩვენს თავს უნდა მივხედოთ და არა მათ, ვინც ადამიანის უფლებათა სახელით ახალ, ტოტალიტარულ დემოკრატიას აშენებს!

საზოგადოება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**451 გრადუსი ფარენგეიტით**

**„გაზაფხულის 17 გაელვებაში“ რუსი რადისტი ქალი — კეტი მაშინ „დაიწვა“, როცა მშობიარობისას „დედა“ რუსულად იძახა. ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ გზით გაშიფვრა არ ხერხდება, რადგან „დედის“ ნაცვლად ხან „ბუშს“ ეძახიან და ხან „სარკოზის“. ყოველ შემთხვევაში, ხალხში დადის ანეგდოტი იმის შესახებ, რომ სააკაშვილს ბავშვობაში ძუძუ არ უწოვია, რადგან „მაგის გულისთვის ძუძუს დეკემბერში არავინ ამოიღებდაო“!**

# ბურდულიუმი – ახალი ელემენტი «ნაცმოძრაობის» პერიოდულ სისტემაში



**მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ენებს შორის რუსული მეექვსე ადგილს იკავებს. „ვარდისფერი“ ელიტა ინგლისურის პრიორიტეტს ყველა ხერხითა და საშუალებით ნერგავს იმ მოტივით, რომ „რუსულ ენაზე მოთხოვნა არ არის, ხოლო ინგლისური მთელ მსოფლიოში მოთხოვნილი ენაა“. ამ მეტად საკამათო თეზისის საპირისპიროდ, ინგლისური ენა მხოლოდ მესამე ადგილს იკავებს, პირველ-მეორეს კი არაბული და ბენგალური ენები იყოფენ. ჩინელების დედაენაც კი – მანდარინი მხოლოდ მეხუთე ადგილზეა.**

## «ყველა სახის სამეცნიერო ნაშრომში მითითებული რუსულენოვანი წყაროები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის საერთო რაოდენობის ერთ მეხუთედს»

ასეთივე მონდომებით არაბული, ბენგალური ან მანდარინი რომ გვასწავლონ, იქნებ პრაგმატული თვალსაზრისით გამართლებულიც კი იყოს, მაგრამ თუ „იმპერიული“ ენის მოძალებას ებრძვი, რაღა მაინცდამაინც ახალ იმპერიულ ენას – ინგლისურს იჩემებ? ესეც რომ არ იყოს, **ბოლო 50 წლის განმავლობაში ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა მსოფლიოში 9,8-დან 7,6 პროცენტამდე შემცირდა და, როგორც ჩანს, ამ დანაკლისის შევსებას საააკაშვილი ჩვენს ხარჯზე აპირებს.**

**გასულ ზაფხულს საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების 30 ათასი აბიტურიენტიდან რუსული, როგორც უცხო ენა, მხოლოდ 7 ათასმა აირჩია, თუმცა მათგანაც 27 პროცენტი ჩაიჭრა. ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებში გამოცდა მხოლოდ 8 პროცენტმა ვერ ჩააბარა.** რაზე მეტყველებს ეს — იმაზე, რომ ეს ენები ჩვენმა ახალგაზრდებმა ზედმიწევნით აითვისეს? საეჭვოა, რადგან ქართულიდან რომელიმე ამ ენაზე კვალიფიციური თარჯიმნის პოვნა ისეც რთულია, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ენის მცოდნედ მოაქვს თავი. სავარაუდოა, რომ ვინც ამ ახალგაზრდების ცოდნას ამოწმებს, არც იმას აქვს მეტისმეტად კარგი ცოდნა ენისა და, პოლიტიკური კონიუნქტურაც სწორედ იქით უბიძგებს, რომ მცირედის ცოდნაც იკმაროს.

ერთადერთი გამონაკლისი, ალბათ, დალი ფანჯიკიძე იყო, რომელმაც გერმანულ ენაში პრინციპულად არ დაუწერა ნიშანი თავგასულ თეა თუთბერიძეს, თორემ არც სხვა სტუდენტები ფლობენ სათანადოდ შექსპირის, ჰიუგოსა და გოეთეს ენებს! თუმცა **ის, რაც რუსულ ენასთან დაკავშირებით ხდება, უკვე ვეღარანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგალითად, როგორც ინტერნეტ-ფორუმი იუწყება, ქალბატონ გაიანეს, რომელიც სკოლაში რუსულ ენას ასწავლიდა, დირექტორმა გამოუცხადა, რომ მომავალი წლიდან რუსული სექტორები უქმდება და მისი შტატის შემცირება მოუწევდათ.** რაკი ქალბატონი გაიანე ეროვნებით სომეხია, სომხური ენის მასწავლებლობა შესთავაზეს. **„ეს დაცინვაა. მე სომხური ენა თითქმის არც კი ვიცი. სკოლა, უმაღლესი სასწავლებელი რუსულად დავამთავრე, მეუღლე და შვილები ქართველები მყავს, სად უნდა მესწავლა სომხური? ეს რომ ვუთხარი დირექტორს, მიპასუხა, მე მეტს ვერაფერს გთავაზობ, ერთადერთი, დამლაგებლის შტატი მაქვს თავისუფალი და მაგას თუ შემოგთავაზებო. ვერაფერი ვუთხარი, მაინც უფროსია, მაგრამ ხომ წარმოგიდგენიათ, ჩემს გულში რაც ტრიალებდა“?**

თუმცა რუსული ენის წინააღმდეგ ლაშქრობა ქალბატონ გაიანეზე არ შეჩერებულა და კიდევ უფრო შორს წავიდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამეცნიერო ნაშრომის წერისას დაწესდა შეზღუდვა, რომ რუსულენოვანი ლიტერატურა (წყარო) არ უნდა იყოს მთლიანი წყაროების ერთ მეხუთედზე მეტი. დეკანის ისტორიული ბრძანება ნომერი 3 ასე გამოიყურება:

**„ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესრულებულ სამეცნიერო ნაშრომში გამოსაყენებელი რუსულენოვანი სამეცნიერო წყაროების დასაშვები ოდენობის განსაზღვრის შესახებ**

**„უმაღლესი განათლების“ შესახებ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის ა(ა)იპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად**

**ვბრძანებ:**

**1.იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურზე შესრულებულ (რეფერატი, წინასამაგისტრო და სამაგისტრო ნაშრომი, დოქტორანტის სემინარი, კოლოკვიუმი, სადისერტაციო ნაშრომი), ასევე „სამართლის ჟურნალში“ გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ყველა სახის სამეცნიერო ნაშრომში მითითებული რუსულენოვანი წყაროები არ უნდა აღემატებოდეს ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის საერთო რაოდენობის ერთ მეხუთედს.**

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**ირაკლი ბურდული,**

დეკანი, ასოცირებული პროფესორი.“

**როდესაც იურისტი და მომავალი იურისტების დეკანი მიუთითებს, „ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავეო“, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მას პრობლემა მხოლოდ რუსულ ენასთან კი არა, ძირითად სპეციალობასთანაც აქვს. „ხელმოწერისთანავე“ ძალაში მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონებია, ოღონდ პრეზიდენტი რომ მოაწერს ხელს და არა ირაკლი ბურდული.** ზოგადად, ბრძანებები გამოქვეყნებისთანავე შედის ძალაში, რადგან დეკანს შეუძლია, მისი ხელმოწერილი ბრძანებები უჯრაში შეინახოს და მათი არსებობის შესახებ მხოლოდ თვითონ იცოდეს.

ამგვარი ნოვაციები მხოლოდ იურიდიულ ფაკულტეტზე დაინერგება თუ სხვაგანაც, უცნობია, მაგრამ ერთი წამით თუ წარმოვიდგენთ, მაგალითად ქიმიის ფაკულტეტზე მის შედეგებს, ამ ბრძანების აბსურდულობა კიდევ უფრო თვალნათელი გახდება. **როგორც ცნობილია, ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა დიმიტრი მენდელეევის შექმნილია, რომელსაც არ გაუმართლა და რუსულენოვანი და თანაც, რუსი მეცნიერი იყო. სტუდენტებს, როგორც ჩანს, მენდელეევის სისტემის 103 ელემენტიდან მხოლოდ ოციოდეს გამოყენება შეეძლებათ.** ახლა ვინმე ინტრიგანი იტყვის, პერიოდულ სისტემას მენდელეევის სიკვდილის შემდეგაც დაემატა ელემენტებიო, მაგრამ იმ კაცის გენიალურობა სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ მან წინასწარ დატოვა ცარიელი უჯრები მომავალში აღმოსაჩენი ელემენტებისთვის. საინტერესოა, გავრცელდება „ერთი მეხუთედის“ ბრძანება ცარიელ უჯრებზეც? მართალია, პერიოდული სისტემის გავრცობაში საკუთარი წვლილი თეოდორ სიბორგმა და ნილს ბორმაც შეიტანეს, მაგრამ ამ არარუსულენოვანმა ავტორებმა ერთი მეხუთედიც ვერ შეჰმატეს მენდელეევის აღმოჩენას. **ახლა წარმოიდგინეთ, რა გამოვა, შვედეთში ან ნორვეგიაში რომ ნილს ბორის ნაშრომებზე ერთი მეხუთედის წესი გაავრცონ!**

უკეთეს მდგომარეობაში არც ფიზიოლოგები აღმოჩნდებიან. **ივანე პავლოვსაც არ გაუმართლა, რადგან რუსია და რიაზანში დაიბადა. ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების შესახებ მეცნიერული თეორიის შემქმნელს შვედებმა რუსობა არ დაუწუნეს და ნობელის პრემიით დააჯილდოეს.**

ესეც რომ არ იყოს, გამოთქმიდან „პავლოვის ძაღლივით მოსდის ნერწყვიო“, ერთი მეხუთედი რომ დატოვო, ექვსი ასო დარჩება და მასში ნერწყვიც აღარ „ჩაეტევა“!

რაკი საქართველოს კოსმოსური ამბიციები არ კლავს, **ციოლკოვსკის, ვერნადსკის და კოროლიოვის ერთი მეხუთედი შეგვიძლია საერთოდ გავაჩუქოთ, ან გავცვალოთ სხვა კვოტებში.** ანარქიზმში ხუთ მეხუთედს სააკაშვილის ზეპირსიტყვიერი წყაროები დაიკავებს, ხოლო **ბერდიაევი შეგვიძლია ეგზისტენციალურად შევკუმშოთ.** ყველაზე რთულად საკითხი წიაღისეულსა და ბუნებრივ რესურსებში გვექნება, მაგრამ გამოსავალი აქაც არსებობს: **მათ შესახებ წყაროები ინგლისური წყაროებიდან ამოვილოთ, მთავარია, ერთ მეხუთედს არ ავცდეთ.**

ვიდრე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ „პოლიტკორექტულ“ შეზღუდვებს დააწესებდნენ, ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსურმა სააგენტო NASA-მ საპირისპირო შეზღუდვა შემოიღო: **ასტრონავტებისთვის რუსული ენის ცოდნა სავალდებულო გახდა. ღია კოსმოსში გასვლის, რობოტიზებულ ტექნიკასთან ურთიერთობის და პილოტირების უნარ-ჩვევების გარდა, NASA მოითხოვს, რომ მომავალმა ასტრონავტებმა რუსულად არა მარტო ლაპარაკი, არამედ წერა-კითხვაც იცოდნენ.**

თუმცა, რაკი სააკაშვილის აზრით, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ მიწიერ ტურისტებს უნდა მოემსახუროს, ეს „კოსმოსური“ მოთხოვნები ჩვენზე არ გავრცელდება. რაც შეეხება რუს ტურისტებს, ისინი ინგლისურს ისწავლიან და ამერიკაში ან ინგლისში კი არა, საქართველოში ჩამოვლენ. ჩვენებური „ფრანციცულად“ განსწავლული გოგო-ბიჭები კი ერთხმად მიაგებებენ: You are welcome! გაიანე მასწავლებელი კი, ინგლისური ენის ცოდნის გარეშე იმ შეპირებულ დამლაგებლის ადგილსაც ვერ ეღირსება.

**კიდევ უფრო უკეთესად გვაქვს საქმე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. აფხაზეთში რუსული ენა „სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციების ენად“ არის აღიარებული, ხოლო სამხრეთ ოსეთში იგი ოფიციალური ენის სტატუსით სარგებლობს. მიდი და ელაპარაკე მათ ინგლისურად!**

2004 წლის მონაცემებით, საქართველოს რუსულენოვან სკოლებში ეროვნებით რუსი 7 ათასამდე მოსწავლე იყო, დანარჩენი 25 ათასი კი – ქართველი. 2000 წლამდე 214 რუსულენოვანი სკოლა იყო, დღეს კი ორია დარჩენილი.

ვინც ვერ ხვდება, რას უკავშირდება „ერთი მეხუთედის“ წესი, აგიხსნით: **2008 წელს სააკაშვილის „გადიდგორების“ სიზმრის შემდეგ საქართველომ ტერიტორიების სწორედ ერთი მეხუთედი დაკარგა** და იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ამ დანაკლისის შევსებას რუსული წყაროების ერთი მეხუთედით შეზღუდვის გზით ცდილობს.

ჯარისკაცის მამა რუსულ ენას მაინცდამაინც კარგად ვერ ფლობდა, მაგრამ, როცა გაუჭირდა, პირტიტველა რუსი ლეიტენანტი საჭიდაოდ გამოიწვია და ისიც აუხსნა, რომ Его, его, его отец воевал! **მაგრამ ამას ხომ სააკაშვილს ვერ აუხსნი, არც მამამისს უბრძოლია სამშობლოსთვის და არც ბაბუამისს, ბიძა რომ ბიძაა, ისიც იარაღით ვაჭრობდა, ომისთვის სად ეცალა! სააკაშვილმა კი რაც შეძლო, ის გააკეთა – გორთან მიწაზე იფორთხა და ზედ ჰალსტუხი დააყოლა.**

„გაზაფხულის 17 გაელვებაში“ რუსი რადისტი ქალი — კეტი მაშინ „დაიწვა“, როცა მშობიარობისას „დედა“ რუსულად იძახა. ნაციონალური ხელისუფლების წარმომადგენელთა ამ გზით გაშიფვრა არ ხერხდება, რადგან „დედის“ ნაცვლად ხან „ბუშს“ ეძახიან და ხან „სარკოზის“. ყოველ შემთხვევაში, ხალხში დადის ანეგდოტი იმის შესახებ, რომ სააკაშვილს ბავშვობაში ძუძუ არ უწოვია, რადგან „მაგის გულისთვის ძუძუს დეკემბერში არავინ ამოიღებდაო“!

რაც შეეხება სამეცნიერო ნაშრომებსა და მათში მითითებულ წყაროებს, საბჭოთა კავშირში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ციტირება სავალდებულო ყოფილა, ხოლო კაპიტალისტური სამყაროს მეცნიერთა ციტირებისას აუცილებელი იყო მათი მკაცრი კრიტიკა. მადლობა ხელისუფლებას, რომ მხოლოდ „ერთი მეხუთედით“ შეგვზღუდა და მენდელეევისა და პავლოვის კრიტიკა არ დაგვავალა!

**თამარ დავითულიანი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მე წავიკითხე დავით გამყრელიძესთან ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს, ბადრი პატარკაციშვილი ჩემი მეგობარი იყოო, და მის გაკეთებულ საქმეებზე საუბრობს. უკაცრავად, მაგრამ ეს ყველაფერი დავით გამყრელიძეს 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს არ ახსოვდა? გამყრელიძემ პირველმა მიიღო სააკაშვილის გამოწვევა და განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა.“**



*ელისო კილაძე:*

# ყველაფერი, რასაც «ქართული ოცნება» აკეთებს, არის გარიგება ხელისუფლებასთან

**რატომ ფიქრობს, რომ ოპოზიცია „გაყიდულია“ და ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, რატომ აკრიტიკებს „ქართულ ოცნებას“ და რას პასუხობს მის წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს, — ამ საკითხებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ხელმძღვანელი ელისო კილაძე ესაუბრება, რომელიც გვპირდება, რომ სულ მალე საზოგადოება სოციალურ ქსელებში ბადრი პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას შეხვედრის ჩანაწერის სრულ ვერსიას იხილავს.**

**— ქალბატონო ელისო, საზოგადოებრივი მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ ხელმძღვანელი ხართ. ქვეყანაში უამრავი პოლიტიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს, თუმცა არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე ზეგავლენის მოხდენას ვერც ერთი ვერ ახერხებს. რა იყო თქვენი მიზანი, როდესაც ორგანიზაციის დაფუძნება გადაწყვიტეთ და ამ ხნის მანძილზე რა გააკეთეთ?**

— მაისში ერთი წელი სრულდება, რაც ჩვენი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, მაგრამ სხვა ორგანიზაციებისა თუ პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ თავიდანვე განსხვავებული ნიშა გვქონდა, ვინაიდან ორგანიზაცია ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის წევრებმა დავაფუძნეთ, ჩვენ ვართ საარჩევნო შტაბის სამართალმემკვიდრე. ორგანიზაციის შექმნის მიზანი იყო თავის დროზე დასახული მიზნების განხორციელება და უკვე მომავალი კვირიდან აქტიურ მოქმედებას ვიწყებთ.

რატომღაც პოლიტიკოსების დიდ ნაწილს ავიწყდება, რომ 2007 წელს სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა პირველებმა ჩვენ დავიწყეთ. ჯერ კიდევ 2006 წლის მარტში, ბიზნესმენთა ფედერაციაში გამოსვლის დროს, ბადრი პატარკაციშვილმა პირველმა აღიმაღლა ხმა ამ ხელისუფლების უმსგავსო ქმედებების წინააღმდეგ და განაცხადა, რომ შეშინებული ბიზნესი ქვეყანას ვერ ააშენებსო. მაგრამ ამას არ მოჰყოლია არანაირი მხარდაჭერა არც ბიზნესმენების და არც პოლიტიკოსების მხრიდან, სამწუხაროდ, ეს ბრძოლა წავაგეთ, წავაგეთ ბევრი მიზეზის გამო. ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ იყო მზად, სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ ადეკვატური ზომები მიეღო. ამას გარდა, **ჩვენ არა მხოლოდ ხელისუფლებას ვებრძოდით, არამედ ოპოზიციის დიდ ნაწილსაც, რომელმაც დაწყებული ბრძოლა როგორც დაასრულა, კარგად ვნახეთ. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ლევან გაჩეჩილაძეს. სწორედ იმიტომ გახდა ხელისუფლების მთავარი სამიზნე ბადრი პატარკაციშვილი, რომ ის არ იყო ლევან გაჩეჩილაძე, გარიგებებზე რომ წასულიყო სააკაშვილთან.**

ასევე, ოპოზიციის დიდი ნაწილი, რომელსაც, სხვათა შორის, ბადრი პატარკაციშვილი აფინანსებდა, ბადრის წინააღმდეგ აღმოჩნდა გაერთიანებული და შეგახსენებთ, რომ 2007 წლის საპრეზიდენტო მარათონში ჩაერთო ყველა ის ადამიანი, რომლებსაც ბადრი პატარკაციშვილი მეგობრად მიიჩნევდა.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— მაგალითად, ვგულისხმობ დავით გამყრელიძეს. მე წავიკითხე მისი ინტერვიუ, რომელშიც ის ამბობს, ბადრი პატარკაციშვილი ჩემი მეგობარი იყოო და მის გაკეთებულ საქმეებზე საუბრობს. უკაცრავად, მაგრამ ეს ყველაფერი დავით გამყრელიძეს 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს არ ახსოვდა? გამყრელიძემ პირველმა მიიღო სააკაშვილის გამოწვევა და განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებდა.

ჩვენი ორგანიზაციის დაარსების მიზანი ისიც იყო, რომ დაგვემტკიცებინა სიმართლე. საქმე, რომელიც თავის დროზე აღიძრა ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სახელმწიფო გადატრიალების მუხლით, იყო შეთითხნილი ბრალდებებით სავსე და არც ერთი მტკიცებულება ამ საქმეში არ არსებობს. ჩვენ ამ მიმართულებით ბევრი ვიმუშავეთ. **გადავიღეთ ფილმი, რომელშიც ბადრი პატარკაციშვილისა და ერეკლე კოდუას შეხვედრის სრული ვერსია ვაჩვენეთ. სამწუხაროდ, ამ ფილმის გაშვებაზე ყველა ტელევიზიამ უარი გვითხრა, მაგრამ დავარიგეთ მოსახლეობაში და ამ დღეებში სოციალური ქსელების მეშვეობითაც ვაპირებთ მის გავრცელებას.**

ჩანაწერში საუბარი იყო, რომ დაგვეცვა ის ხმები, რომლებსაც საპრეზიდენტო არჩევნებში მოვიპოვებდით, საარჩევნო ყუთების დაწვას არავინ აპირებდა.



**«ხელისუფლება აპირებს, საჩხერეში მიხეილ მაჭავარიანი წარადგინოს მაჟორიტარ დეპუტატად»**

**— ანუ არანაირ შეთქმულებაზე ჩანაწერის სრულ ვერსიაში საუბარი არ ყოფილა?**

— რა თქმა უნდა, არა. ეს აბსურდია. გახსოვთ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს პატარკაციშვილის მკვლელობა ჩეჩნებს დაუკვეთეს. სწორედ ამ საკითხზე ინფორმაციის მისაღებად შეხვდა პატარკაციშვილი კოდუას. ის სხვა თემაა, რომ ჩანაწერი არ მოხვდა დანიშნულების ადგილზე და ხელისუფლების ხელში აღმოჩნდა, შემდეგ კი ჩანაწერი დამახინჯებული სახით გავიდა ეთერში, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ აქ გიორგი თარგამაძე არაფერ შუაშია.

**— ჩვენს გაზეთთან ინტერვიუში თქვენ მთელ ოპოზიციას ფსევდოოპოზიცია უწოდეთ და განაცხადეთ, რომ ის გაყიდულია. შეიცვალა თუ არა ვითარება პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ?**

— დღესაც ვადასტურებ, რომ ასეა. მეტიც, ჩვენ ბევრი რამ არ ვთქვით, რათა უფრო დიდ ნიჰილიზმში არ ჩაგვეგდო საზოგადოება. **რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, მისი პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ, იცით, თუ რამხელა იმედი გაჩნდა, მაგრამ დღეს მისი იმედი, მე, როგორც რიგით მოქალაქეს, აღარ მაქვს, პირველ რიგში კი, მისი გარემოცვიდან გამომდინარე. მე არ მჯერა ადამიანების, რომლებიც წლების განმავლობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდნენ ამ ხელისუფლებაში. ამასთან, არსებობს დადასტურებული და დაუდასტურებელი ინფორმაციაც იმის თაობაზე, რომ ოპოზიციაში ყოფნის დროსაც ზოგიერთი მათგანი ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა...**

**— მაგალითად, რომელი ოპოზიციონერია ეჭვმიტანილი ხელისუფლებასთან კავშირში?**

— თქვენ იცით, რომ „სახალხო კრების“ ბევრი მხარდამჭერი დღეს ციხეშია. მიტინგზე მისვლის გამოც კი დააპატიმრეს ადამიანები და შეთითხნილი ბრალდებებით გაასამართლეს. ახლა მე ვსვამ კითხვას: **როგორ არის ოპოზიცია კობა დავითაშვილი, რომლის ცოლიც ჯანდაცვის კომიტეტში მუშაობს? თუ ბიძინა ივანიშვილს სჯერა მისი ოპოზიციონერობა, არ ვიცი, მაგრამ მე არ მჯერა, რომ კობა დავითაშვილი რეალური ოპოზიციაა, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვის. ალარაფერს ვამბობ რესპუბლიკელებზე, რომელთა ფასეულობებიც ჩემთვის მიუღებელია, რადგან ისინი არიან ხელისუფლების რადიკალური შტოს, ე.წ. ბოკერიას ფრთის დანაყოფები და აბსოლუტურად მსგავსი ფასეულობები აქვთ.**

გახსოვთ, როგორ მიულოცა ალასანიამ უგულავას მერობა. შესაძლოა, ეს არის კიდევ ერთი გეგმა, ხელისუფლება რომ გავიდეს პირველ ადგილზე და ფაქტია, ხელისუფლება დათმობას არ აპირებს და, როგორც ჩანს, კოალიცია მხოლოდ მეორე ადგილს დასჯერდება. **მე მაქვს ეჭვი, რომ ყველაფერი, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, არის გარიგება ხელისუფლებასთან ან მეორე ადგილისთვის ბრძოლა. რეალური ბრძოლა ჯერჯერობით არ მიმდინარეობს** და ის ფაქტი, რომ კონტროლის პალატამ თურმე ხალხი დაიბარა და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა, ჩემთვის ჩვეულებრივი ამბავია, ვინაიდან ბევრად უფრო მძიმე სიტუაციაში ვყოფილვართ. ჩვენი შტაბის წევრებს პირდაპირ პროკურატურაში იბარებდნენ და აიძულებდნენ, დაეწერათ, რომ გელბახიანი სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდა. როგორც ჩანს, გოგა ხაინდრავასაც დაავიწყდა, რომ დაჭერას ჩვენ გადავარჩინეთ, რადგან მის წინააღმდეგაც „იკერებოდა“ საქმე და მოწმეებიც არსებობდნენ, რომლებსაც მიაცემინეს ჩვენებები, თითქოს იარაღის შესაძენად ფული ხაინდრავას მოჰქონდა.

**— ვალერი გელბახიანი თქვენს ორგანიზაციაში გაწევრიანდა. გავრცელდა ინფორმაცია, რომ ის აპირებს საჩხერის მაჟორიტარ დეპუტატად იყაროს კენჭი.**

— აბსურდია. გელბახიანს სამართლებრივად არჩევნებში მონაწილეობის უფლება საერთოდ არ აქვს, ვინაიდან, 4 წელია, საქართველოში არ ყოფილა. ჯერ გამოძიება არ დასრულებულა. საზოგადოებამ კარგად ვერ გაიგო, რომ **გელბახიანი საპროცესო გარიგებაზე არ წასულა ხელისუფლებასთან, ის გათავისუფლდა გირაოს სანაცვლოდ. საერთოდ, ჩემთვის მიუღებელია, როცა ადამიანურ ურთიერთობებზე მაღლა პოლიტიკა დგას. გელბახიანს დედა გარდაეცვალა და კოალიციის არც ერთ წევრს არც კი მიუსამძიმრებია მისთვის.**

უბრალოდ, ვალერი გელბახიანის გამოჩენის შემდეგ ივანიშვილის გარემოცვა პანიკაში ჩავარდა. თუ ისინი ფიქრობენ, რომ გელბახიანს შეუძლია არჩევნები მოუგოს ივანიშვილის კანდიდატს საჩხერეში, სადაც მან ამდენი რამ გააკეთა მოსახლეობისთვის, მაშინ გაუგებარია, როგორ აპირებს ის სააკაშვილის რეჟიმის დამარცხებას არჩევნებში? **მაქვს ინფორმაცია, რომ თინა ხიდაშელმა მობილიზაცია გამოაცხადა და ვალერი გელბახიანის წინააღმდეგ კომპრომატებს აგროვებს.**

შეაგროვოს, მაგრამ ვურჩევ, სააკაშვილს ებრძოლონ და არა გელბახიანს. ამას გარდა, მაქვს ინფორმაცია, რომ **ხელისუფლება აპირებს საჩხერეში მიხეილ მაჭავარიანი წარადგინოს მაჟორიტარ დეპუტატად.**

**— თქვენ ხშირად აკრიტიკებთ „ქართულ ოცნებას“, რატომ, რა არ მოგწონთ?**

— ბიძინა ივანიშვილს უნდა გამოეცხადებინა გადამწყვეტი ბრძოლა სააკაშვილის წინააღმდეგ და უნდა ეთქვა: ყველა მინუს სააკაშვილი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამართულიყო შეჯიბრი, ვინ უფრო კარგი ოპოზიციონერია — ირაკლი ალასანია თუ ნინო ბურჯანაძე. შეექმნა მაგალითად, თანხმობის დარბაზი. მისი ფინანსური რესურსი ამის საშუალებას ნამდვილად იძლეოდა.

ამას გარდა, **ივანიშვილი ინტერვიუებში ხშირად ამბობს, რომ ვიღაცები დაისჯებიან და ვიღაცები — არა. თუ ვიღაც დასაჭერია, ეს ერთი ადამიანის გადასაწყვეტი არ უნდა გახდეს. სააკაშვილსაც მიაჩნია, რომ მისი პირადი შეხედულებების მიხედვით უნდა დაისაჯონ ადამიანები. განცხადება, რომ ორ-სამ მინისტრს დაიჭერს და სხვებს არა, არასწორია. რიგითმა პოლიციელმა, რომელიც ნარკოტიკს უდებს ვიღაცას ჯიბეში, უნდა იცოდეს, რომ ხვალ ამისთვის დაისჯება.**

**— თქვენ ხშირად ახმაურებთ კულუარულ ინფორმაციას. ქალბატონო ელისო, საიდან ფლობთ ამ ინფორმაციებს, აგენტები გყავთ ხელისუფლებაში?**

— ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. რა თქმა უნდა, ეს არის ხელისუფლების კულუარებიდან გამოსული ინფორმაცია, თუმცა, უნდა ვთქვა, ეს არ არის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ის ფაქტი, რომ ჩვენ ვფლობთ ამ ინფორმაციას, ნიშნავს, რომ გვენდობიან. სხვათა შორის, უამრავი ინფორმაცია გაგვიჟღერებია, მაგრამ ყველაზე რეზონანსული იმ ოპოზიციონერების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია აღმოჩნდა, რომლებიც ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ.

**— სხვათა შორის, ხელისუფლების აგენტობაში თქვენც ხშირად გადანაშაულებენ...**

— აგენტები თავისთან მოიკითხონ. რასაკვირველია, ეს ბრალდება არასერიოზულია. რამდენი პოლიტიკოსია თუნდაც ბიძინა ივანიშვილის კოალიციაში, რომლებიც ხელისუფლების მოლაპარაკების მაგიდასთან არაერთხელ იჯდა, ხან „რვიანებს“ ქმნიდა და ხან „ექვსიანებს“? ალარაფერს ვამბობ იმ მატერიალურ სიკეთეებზე, რაც ამ მოლაპარაკებების დროს მიიღეს. თავად ესაუბრებიან ხელისუფლებას და მე მაბრალებენ? ოპოზიციის მხრიდან ამ ხმების გავრცელებას მე შიშს ვუკავშირებ. **ბადრი პატარკაციშვილი ამ ოპოზიციას წლების განმავლობაში აფინანსებდა და 18 მილიონზე მეტი აქვს მათთვის გადახდილი. ბევრი ინფორმაცია გვაქვს მათ შესახებ.** სხვათა შორის, ოპოზიციური პარტიებისა თუ ხელისუფლების მხრიდანაც ჩვენ ბევრი წინადადება მივიღეთ, მაგრამ არც ერთს არ დავთანხმდით. მოვა დრო და ამაზეც ვილაპარაკებ.

ესაუბრა **შორენა ციჰქარაშვილი**

საერთაშორისო ექსპერტი ალექსანდრ რარი: „უნდა დაველოდოთ, ვინ შეცვლის სააკაშვილს. ამაზეა დიდწილად დამოკიდებული საქართველოს პოლიტიკა. შეუძლებელია, საქართველოს მუდამ ამერიკის 51-ე შტატად ჰქონდეს საკუთარი თავი წარმოდგენილი. შეერთებულ შტატებს უკვე აქვს ჯორჯიის შტატი. საქართველო სხვა გეოპოლიტიკური დისლოკაციის შემადგენლობაშია და ამერიკის მარადიული პარტნიორი ვერ იქნება.“

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მიშიზმ-ბოკასიზმი, ანუ დეპორტი, დეპორტი, დეპორტი ჩქარა!

**მუდამ დასავლეთზე მოჟღურტულე სააკაშვილი თუ „ფრანციცულ“ საელჩოებს დაერეოდა, ამას, ალბათ, მრავლისმომსწრე ქართველი ამომრჩეველიც კი ვერ დაუშვებდა. ამ ორიოდე დღის წინ, თბილისის საინფორმაციო ცენტრში სტუმრობისას, საქართველოს პრეზიდენტმა უცხოური საელჩოების თანამშრომლები გააკრიტიკა.**

## სააკაშვილი ბოკასას გზას არის შემდგარი და როგორც იმპერიალიზმია კაპიტალიზმის ბოლო სტადია, ისე მიშიზმ-ბოკასიზმია სააკაშვილის რეჟიმის უკანასკნელი ფაზა

ცხადია, არც საკუთარი ხელისუფლების დამსახურებები დავიწყებია და მეტი კონტრასტისთვის განაცხადა: **„რომ გავიხსენოთ, რა არ უნდა დაბრუნდეს ჩვენს ქვეყანაში, ამისთვის არ არის აუცილებელი, გადავიდეთ მეზობელ ქვეყანაში და რომელიმე საგზაო პოლიციის თანამშრომელს შევხვდეთ. მიდით ზოგიერთ უცხოურ საელჩოში, თბილისის ცენტრში ვიზის ასაღებად და ნახეთ, როგორ ეპყრობიან იქ მისულ მოქალაქეებს უცხოელები და, სხვათა შორის, მათი ქართველი თანამშრომლებიც. რატომ? — ჰგონია, რომ ის არის უფროსი და შეუძლია დაგამციროს, ზემოდან ქვემოთ დაგხედოს, დაგამციროს და ამით სიამოვნება მიიღოს. ასეა ბევრ ქვეყანაში. ეს ხდება ჩვენს საელჩოებში, უცხოურ საელჩოებში, მათ შორის — განვითარებული ევროპული ქვეყნების“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

რომელმა ელჩმა დახედა სააკაშვილს „ზემოდან ქვემოთ“, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. **ჯონ ბასი, რომელმაც 26 მაისის დარბევა „გაუპრავა“ სააკაშვილს, ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გამოხატავს „შეშფოთებას და წუხილს“. როგორც ჩანს, ურთიერთობის სხვა, უფრო ჩვეული მეთოდები ხელისუფლებასთან ამოწურა** და 15 მარტს აშშ-ის ელჩმა „ფეისბუქში“ საკუთარ კედელზე დააწერა: **„შეწუხებული ვარ იმ ვითარებით, რომელიც ახლავს კონტროლის პალატის ბოლოდროინდელ ქმედებებს. სრულფასოვანი განმარტებების ნაკლებობა იმ მეთოდების შესახებ, რომლითაც კონტროლის პალატა ახორციელებს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ კანონმდებლობის აღსრულებას, ვერ შეუწყობს ხელს საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებას ამ უწყების ან კონკურენტული საარჩევნო გარემოს მიმართ“.**

კაკო ბობოხიძე რის კაკო ბობოხიძე იქნებოდა, რომ სააკაშვილისთვის „ატმაზკა“ არ დაეჭირა და შეუძახა კიდეც მისი პატრონის დამცირების მოსურნე გათამამებულ ელჩს: **„საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედებს და არა იმის მიხედვით, რა მოსწონს და რა არ მოსწონს რომელიმე ელჩს. ყველა ელჩის დამოკიდებულება და შეფასება ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ვერანაირი დამოკიდებულება ვერ დადგება საქართველოს კანონმდებლობაზე მაღლა.**

ვფიქრობ, რომ ამერიკის ელჩს ან არ ჰქონდა ზუსტი ინფორმაცია, ან ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოს კანონმდებლობას კარგად არ იცნობს. საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურები მკაცრად განსაზღვრულ ჩარჩოებში მოქმედებენ“. ამ ტირადის წარმოთქმისას ბობოხიძეს ჩვეული სიმინდის ტარო არ სჭერია, მაგრამ ასე თუ გააგრძელა, ისეთ რამეს დააჭერინებენ ხელში, რაც ჰიბრიდული სიმინდის ტაროსგან ზომითაც განსხვავებული იქნება და ფაქტურითაც!

თუმცა ჯონ ბასმა შენიშვნა მიიღო და თავიც იმართლა: **„ეს გამოწვეული იყო ინფორმაციის ნაკლებობით, რომელიც გვაქვს და იმით, რომ არ არის ნათელი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, რომელიც აქვს კონტროლის პალატას კანონის ამ მოთხოვნების აღსრულების დროს. ჩემი დაკვირვებით, ყველა პარტიის მხრიდან ჩემი განცხადება ნათლად არ იყო გაგებული. ჩემი განცხადება განპირობებული იყო იმით, რომ არ იყო სრულფასოვანი ინფორმაცია კონტროლის პალატის უფლებებისა და პასუხისმგებლობის შესახებ“.**

ზოგიერთი პარტია, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარისა“ არ იყოს, ყველამ კარგად იცის, ვინც არის. დიპლომატიურ მისიებზე გაგულისებულ სააკაშვილსა და ბობოხიძეს არც ბოცო წიკლაური ჩამორჩა და როყიოდ განაცხადა: **„არ გამოვრიცხავ ზოგიერთი საკონსულოს თანამშრომლის დეპორტაციას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს ძალიან უდიერად ექცევიან, ხშირ შემთხვევაში, დამამცირებლადაც კი.**

საგარეო საქმეთა სამინისტრო უკვე სწავლობს ამ საკითხს და მალე კონკრეტული შედეგებით წარსდგება საზოგადოების წინაშე“. ფორუმშიც მეტი რა უნდოდათ და სიტყვა შეაწიეს: **„კაი ჩიტსაც დაიჭერენ, გასაქცევიც აღარ ექნებათ არსად“!**





**ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ბოკასას მუზეუმი გაიხსნა, რომელშიც ადამიანის ხორცის დასამუშავებელი დაფები, იმპერატორის ხელჯოხი და სხვა პირადი ნივთები გამოიფინა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამოფენა ბოკასას მმართველობის მიღწევების ფოტოებით არის გაფორმებული. ფოტოებზე კი მის მიერ გაყვანილი გზები, სტადიონები და შადრევნებია გამოსახული!**

ბოცო წიკლაური ისეა გულმოცემული, რომ დიპლომატების დეპორტაციაზე ალაპარაკდა, სინამდვილეში კი არც ისე შორს არის დრო, როცა მასა და მის თავგასულ უფროსებს თავად ქართველი ხალხი გაადეპორტებს არა მარტო ხელისუფლებიდან, არამედ საქართველოდანაც!

**“გასაქცევად საქმის ქონის” მიუხედავად, მიხეილ სააკაშვილმა არც ამჯერად დაიზარა და პირდაპირ მიუთითა, საიდან მოდის საფრთხე: „პუტინმა გამოაცხადა, რომ არჩევნებია წელს საქართველოში და გამოყო რამდენიმე მილიარდი. „გაზპრომს“ მილიარდების მეტი რა აქვს და გამოყვეს ეხლა მილიარდერი, მაგრამ ისინი ვერასოდეს ვერ გაიგებენ, რომ ქართველი ხალხი არ იყიდება. იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს სახელმწიფო და ხალხმა გაიგო თავისუფლების გემო“.**

როგორც ჩანს, „გაზპრომმა“ მილიარდებს სამახსოვრო ინსტრუქციაც გამოაყოლა იმის შესახებ, რომ ეს ფული კი არ უნდა დაიხარჯოს, არამედ პირიქით, ამომრჩეველს არაფერს უნდა დაჰპირდე და გაარკვიო, თვითონ რით დაგეხმარება ფარულად! **სააკაშვილის გაგულისება გასაგები გახდება, თუ ავტორიტეტული საერთაშორისო ექსპერტის, ალექსანდრ რარის ორიოდე დღის წინანდელ შეფასებას გადავხედავთ: „უნდა დაველოდოთ, ვინ შეცვლის სააკაშვილს. ამაზეა დიდწილად დამოკიდებული საქართველოს პოლიტიკა. შეუძლებელია, საქართველოს მუდამ ამერიკის 51-ე შტატად ჰქონდეს საკუთარი თავი წარმოდგენილი. შეერთებულ შტატებს უკვე აქვს ჯორჯიის შტატი. საქართველო სხვა გეოპოლიტიკური დისლოკაციის შემადგენლობაშია და ამერიკის მარადიული პარტნიორი ვერ იქნება“.**

როგორც ჩანს, სააკაშვილიც კარგად გრძნობს ამას და იმიტომაც გაიწია ელჩებზე. ნომერ პირველმა დიპლომატმა გრიგოლ ვაშაძემაც დაუდასტურა, რომ პრეზიდენტისგან მსგავს დავალებებს ძალიან ხშირად იღებს. **„ჩვენთან მუდმივად შემოდის საქართველოს მოქალაქეების საჩივარი, რომ ზოგიერთ საელჩოში არ აქვთ სწორი გაგება იმისა, თუ რას ნიშნავს სავიზო რეჟიმის შესახებ ჩვენთან დადებული ხელშეკრულება. ჩვენ ჩვენი მოქალაქეების ინტერესებს არავის შევალახვინებთ. ამიტომ, როგორც კი ჩვენთან, საკონსულო დეპარტამენტში შემოდის ჩვენი მოქალაქის საჩივარი, რომ ვიზაზე გაუმართლებლად უთხრეს უარი ან პასუხის გაცემა დროში გაუწელეს, ან უდიერად მოექცნენ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოქმედებს“,** — განაცხადა ვაშაძემ.

უცხოეთის საელჩოებთან პრობლემები ქართველი მალალჩინოსნების მხლებელ ქალბატონებს და საქალბატონეებს ადრეც ჰქონიათ. მით უფრო მაშინ, როცა „ესკორტის გოგონებს“ ყალბი საბუთებით სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებად ასაღებდნენ, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილის აფეთქება ან ამ მიზეზით, ან წინასაარჩევნოდ საელჩოებიდან გამობუნძულებულ ამომრჩეველზე დარდით იყოს განპირობებული. სიმართლეს უფრო ის ჰგავს, რომ **სააკაშვილი ბოკასას გზას არის შემდგარი და როგორც იმპერიალიზმია კაპიტალიზმის ბოლო სტადია, ისე მიშიზმ-ბოკასიზმია სააკაშვილის რეჟიმის უკანასკნელი ფაზა.** ბოკასა, როგორც ცნობილია, ოპოზიციის ლიდერებით იკვებებოდა, ერთხელ კი მინისტრთა კაბინეტის წევრებს მათი კოლეგის ხორცით გაუმასპინძლდა. დადიოდა ანეგდოტი, რომ **ერთ-ერთი დასავლური სახელმწიფოს ელჩის შეჭმის შემდეგ საპროტესტო ნოტაზე ბოკასამ უპასუხა: „თქვენთანაც არის ჩვენი საელჩო და, ვინც გაგეხარდებათ, ის მიირთვითო“!**

**რამდენიმე წლის წინ ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ბოკასას მუზეუმი გაიხსნა, რომელშიც ადამიანის ხორცის დასამუშავებელი დაფები, იმპერატორის ხელჯოხი და სხვა პირადი ნივთები გამოიფინა. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ გამოფენა ბოკასას მმართველობის მიღწევების ფოტოებით არის გაფორმებული. ფოტოებზე კი მის მიერ გაყვანილი გზები, სტადიონები და შადრევნებია გამოსახული!**

**თამარ დავითულიანი**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს გავრცელდა ჯავახური დიასპორის ერთ-ერთი ლიდერის განცხადება. ამას ასე იოლად ნუ შევხედავთ. თავის დროზე აფხაზეთშიც ასე იწყებოდა. ამას დროულად სჭირდება დარეგულირება და იმედი მაქვს, ვითარება არ გართულდება, მაგრამ იოლადაც ნუ შევხედავთ. ფაქტია, რომ სააკაშვილის შემდგომ ყოფნას ხელისუფლებაში შეიძლება მოჰყვეს საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაშლა. მას ეს არ აღელვებს, მისთვის მთავარია, შეინარჩუნოს სავარძელი ავლაბარში, ჰყავდეს სპეცნაზები, რომლითაც გაგვისწორდება.“



ირაკლი ბათიაშვილი:

# სააკაშვილის შემდგომ ყოფნას ხელისუფლებაში შეიძლება საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაშლა მოჰყვეს

**ირაკლი ბათიაშვილი, ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, ფილოსოფოსი, პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე, პოლიტპატიმარი...**
**მან თავი იმით დაგვამახსოვრა, რომ მისი პოზიცია ყოველთვის მართალი, მტკიცე და გასაგები იყო. სამოქალაქო დაპირისპირებისასაც კი იგი არცერთ მხარეს არ დაუდანაშაულებია. დღეს ირაკლი ბათიაშვილი „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერია. „კრებაზე“, შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, საქართველოს ნატოსთან და რუსეთთან ურთიერთობაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ირაკლი ბათიაშვილი ესაუბრება.**

**— ბატონო ირაკლი, ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ამბობდით, რომ არც რესპუბლიკელები და არც ალასანია ბრძოლაში ბოლომდე წამსვლელები არ არიან.**

— ეს მათივე ნათქვამია. არავის არაფერს ვაბრალებ, მით უმეტეს, ცუდი ურთიერთობა არ მაქვს ირაკლი ალასანიასთან. პირიქით, საკმაოდ კარგი დამოკიდებულება მაქვს. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, მეგობრებად მიმაჩნია. ირაკლი ალასანიამ ბევრჯერ გაუსვა ხაზი, რომ მათთვის მიუღებელია ბრძოლის ის მეთოდები, რომლებითაც მიდიოდა „სახალხო კრება“ და რომელიც ჩვეული მეთოდია მთელ მსოფლიოში. ვგულისხმობ აქტივობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა საპროტესტო აქციები. ეს პოლიტიკური აქტივობის კონსტიტუციური და კანონიერი ფორმებია. ირაკლი ალასანიამ, კარგად მახსოვს, არაერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ასეთი ბრძოლა მისთვის მიუღებელია. ვიცი, რომ დაახლოებით იმავე პოზიციაზე დგანან რესპუბლიკელები, ჩემდა სამწუხაროდ. როდესაც „სახალხო კრებამ“ პოლიტიკური აქტივობა წამოვიწყეთ, დაიწყო აქციები, მათი მხრიდან იგნორირება და ნეგატიური დამოკიდებულება იყო.

**როცა საქმე გვაქვს არაორდინალურ ავტორიტარიზმთან, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის სახით, რომელიც აშკარად პათოლოგიზმის სახეა, მით უმეტეს, ბოლო დროს თუ დავუკვირდებით სააკაშვილის ქმედებებს, გამოსვლებს, მგონი, საზოგადოებაში ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ ეს ადამიანი არის ფსიქოლოგიურად აბსოლუტურად არაადეკვატური და აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ძალა, რომელიც უარს ამბობს პოლიტიკური აქტივობის ასეთ სახეზე, ის, ფაქტობრივად, უარს ამბობს ბრძოლაზე; მიიჩნევს, რომ შესაძლებელია, ასე თბილად, რბილად, მშვიდად, კომფორტულად მიხვიდე არჩევნებამდე და წყნარად და უხმაუროდ გაიმარჯვო მიხეილ სააკაშვილზე.** არ ვიცი ირაკლი ალასანიას მოსაზრებები, მაგრამ რესპუბლიკელები უჭკუონი არ არიან, საკმაოდ გონიერი ხალხია და შესანიშნავად იციან, რომ ესაა თავის მოტყუება. ის, რომ სააკაშვილი დღეს არაფრის დათმობას არ აპირებს, მგონი, ყველასთვის ცხადია. ამ რეჟიმის დამარცხება მხოლოდ ერთიანი ფრონტით არის შესაძლებელი!

**— „სახალხო კრება“ არის უნიკალური წამოწყება. თუ პოლიტიკური პარტია მკაცრ ჩარჩოებში ზის, ეს მაინც საზოგადოებრივი წარმონაქმნია, ძალიან ცნობილი და პატივსაცემი ადამიანების მონაწილეობით, რომელსაც აქვს პრეტენზია, დადგეს პარტიკულარულ ინტერესებზე ზემოთ. კრებას „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობა“ შეუერთდა და სავარაუდოა, რომ გაფართოების პროცესი გაგრძელდება. რით ახსნით იმ აგრესიას, რომელიც „სახალხო კრების“ მიმართ მოდის?**

— „სახალხო კრების“ მიმართ აგრესია გუშინ და დღეს არ დაწყებულა. ის დაიწყო მისი დაარსების დღიდან. ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც გააქტიურება დავიწყეთ, ამის პარალელურად მიმდინარეობდა ჩვენი დისკრედიტაცია, შავი პიარი, ცილისწამების ბინძური ნიაღვარი, რომელიც არ წყდებოდა და, სამწუხაროდ, არა მხოლოდ ხელისუფლებიდან. ამ კამპანიის მონაწილეები აღმოჩნდნენ მთელი რიგი ოპოზიციური ძალებისა, რომლებიც აქტიურად გვებრძოდნენ და ჯერ „რვიანის“ ფორმატში მონაწილეობდნენ, მერე — „ექვსიანის“. „რვიანის“ მოლაპარაკებები ხელისუფლებასთან რით დამთავრდა, ყველამ ვნახეთ. ჩვენ გვამუნათებენ, 26 მაისმა რა მოიტანაო? რა მოიტანა ამ ექსვთიანმა მოლაპარაკებებმა? საზოგადოების „დაბოლებამ“? მოიტანა ძალიან ბევრი რამ, მართლაცდა, ყველაფერი სასიკეთო „ნაციონალური მოძრაობისთვის“, ეს თავხედური საარჩევნო კოდექსი, კანონი პარტიათა დაფინანსების შესახებ. ეს ყველაფერი იმ მოლაპარაკებებმა მოიტანა. აგებს ვინმე ამაზე პასუხს? ჯერ მაგიდასთან დაიწყო მოლაპარაკებები, მერე ეპისტოლარულ, მერე პაემნის ფორმატში. **ეს ყველაფერი „სახალხო კრების“ აქტივობის პარალელურად ხდებოდა, როდესაც ჩვენებს იჭერდნენ, სცემდნენ, სახლებში უვარდებოდნენ, დევნიდნენ. კომფორტულად მიდიოდა მოლაპარაკებები, ტკბილად, ჭიკჭიკით და ეს ყველაფერი ემსახურებოდა „სახალხო კრების“ ბრძოლის დისკრედიტაციას. ამ მოლაპარაკებებმა ხელისუფლებასთან ის მოიტანა, რამაც ოქტომბრის არჩევნებში გადამწყვეტი როლი შეიძლება შეასრულოს.**

**— ის, რომ პოლიტიკურ ძალაზე ან საზოგადოებრივ მოძრაობაზე იყოს თავდასხმები, ამაში არაფერია გასაკვირი, განსხვავება არის ერთში – როგორ იღებს ამ კრიტიკას და როგორ რეაგირებს ესა თუ ის ძალა. შემაშფოთებელია ის, თუ როგორ იღებს დღევანდელი „ქართული ოცნება“ ნებისმიერ კრიტიკულ გამონათქვამს. უნდა გითხრათ, რომ ჩემზე მეტი კრიტიკული გამონათქვამი პირადად ნინო ბურჯანაძის მიმართ ცოტას თუ ჰქონდა, მაგრამ საინტერესოა, როგორ იღებს ამას ნინო ბურჯანაძე. სხვაობა სწორედ ამაშია, — იტან განსხვავებულ აზრს, თუ ვერ იტან და მათ შორის, მაშინ, როცა ჯერ არ ხარ ხელისუფლებაში. „სახალხო კრებამაც“ ძალიან კარგად გაიარა ეს კრიტიკის ქარ-ცეცხლი, უდანაკარგოდ. ნონა გაფრინდაშვილს არასდროს ჰქონია ცხოვრებაში იმის გამოცდილება, რომ ასეთი ტიპის პაექრობაში ჩაბმულიყო. რაშიც პაექრობდა, იმაში მსოფლიო ჩემპიონი იყო და არაერთგზის, მაგრამ ეს გამოცდილება მასაც უდავოდ სჭირდებოდა, როგორც „სახალხო კრების“ ლიდერს. ამ ეტაპზე როგორ განვითარდება მოვლენები? სავარაუდოდ, ბრძოლა წავა ამომრჩევლის იმ 48 პროცენტისთვის, რომელმაც, სოროსის ფონდის კვლევების მიხედვით, დაადასტურა, რომ თვით შეერთებულ შტატებთან ურთიერთობის გაწყვეტის ხარჯზეც კი მზად არის, რომ რუსეთთან ურთიერთობა დარეგულირდეს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა, რუსეთის საკითხი იგნორირების გარეშე არ შეიძლება დავტოვოთ. ეს მტკივნეული და უაქტუალურესია ყველა ჩვენგანისთვის. რუსეთს აქვს ოკუპირებული ჩვენი ტერიტორიები, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მათი ჯარი სულ რაღაც 40 კილომეტრში დგას თბილისიდან, თუმცა **კრემლთან ერთად ამაში ლომის წილი მიხეილ სააკაშვილს მიუძღვის. მის მიერ რუსეთის ლიდერების ყოველდღიური ლანძღვა ისევ მათთვის არის პოლიტიკურად მომგებიანი. ჩვენ გეოგრაფიას ვერ შევცვლით, „როლიკებზე“ საქართველოს ვერ დავაყენებთ და მდებარეობას ვერ შევუცვლით, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი იყო, არის და იქნება რუსეთი, რომელიც ჩვენს პოლიტიკაზე უზარმაზარ ზეგავლენას იქონიებს.**

თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოვლენები მსოფლიოში ისევ ვითარდება, დაძაბულობა იზრდება, პროცესები ჩქარდება და ამ პროცესებში რუსეთი სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს. სირიაში რუსეთი აქტიურად მხარს უჭერს ბაშარ ასადის რეჟიმს, იარაღით ამარაგებს. იქაა ტარტუსის ბაზა და რუსეთისთვის ასადის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია. ირანთან მიმართებაში რუსეთმა გაეროს თითქმის ყველა რეზოლუციას მხარი დაუჭირა, რაც ეხებოდა სანქციებს, მაგრამ ჩინეთიც და რუსეთიც წინააღმდეგი არიან, რომ ირანის მიმართ ძალა იყოს გამოყენებული. დასავლეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობა იზრდება.

მესამეა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხი, რომელზეც შეთანხმება ვერ ხდება. ამის გამო ისე დადგა საკითხი, რომ ნატოს სამიტი, ფაქტობრივად, უნდა გადაიდოს. ესეც უსიამოვნო ვითარებაა დასავლეთსა და რუსეთს შორის. იგივეა ავღანეთთან დაკავშირებითაც. იცით, რომ კორიდორი, რითაც სამხედრო ტვირთების 70-80% გადის, რუსეთმა გაუხსნა. მთელი რიგი საკითხებია, რომლებიც ჩვენ ჯერ არ ვიცით. რუსეთის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

სულ სხვა იყო რუსეთი 90-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ მაინც ყოფა გვიტირა აფხაზეთში. მაშინაც ომი წავაგეთ რუსებთან, ოღონდ წელიწადნახევარი ვომობდით, სამდღიანი სამარცხვინო ომისგან განსხვავებით ცხინვალში. 90-იან წლებში რუსეთი იყო მართლაც დაჩოქებულ მდგომარეობში, დღეს კი ერთ-ერთი წარმმართველი ფიგურაა მსოფლიო საჭადრაკო დაფაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლება, სააკაშვილზე აღარაა საუბარი, მან რომ რამე შეცვალოს საგარეო პოლიტიკაში, ამაზე საუბარი აღარაა, კაცი ჭკუაზე აღარაა. ნებისმიერმა ხელისუფლებამ რეალურად, ჰაერზე ლოზუნგებით კი არა, უნდა არეგულიროს ურთიერთობები რუსეთთან ისევე, როგორც, რა თქმა უნდა, შეინარჩუნოს და გააღრმავოს ის სტრატეგიული პარტნიორობა დასავლეთთან, რომელიც დიდი წვალებით იქნა მოპოვებული. ეს სააკაშვილის დამსახურება აბსოლუტურად არაა. ეს გააკეთა ედუარდ შევარდნაძემ. მან, ფაქტობრივად, შემოიყვანა ამერიკისა და ევროპის ინტერესები.

**საქართველოს სწორი პოლიტიკა რეალურად ამ ბალანსის მოძებნაშია. რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაზეა ჩვენი ეკონომიკის განვითარებაც დამოკიდებული და ჩემთვის, ირაკლი ბათიაშვილისთვის სამომავლოდ ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ისეთივე მნიშვნელოვანი, როგორიც თავის დროზე საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა იყო, როგორსაც ბევრი ოცნებად აღიქვამდა. საქართველოს გამთლიანების წინაპირობები შრომით უნდა შევქმნათ, იმავე სწორი საგარეო პოლიტიკით, რაც ძალიან რთული იქნება. ვინც ამბობს, რომ რუსეთთან არაფერი რეალური არ შეიძლება და სასწრაფოდ უნდა შევიდეთ ნატოში, წყალს ნაყავს.**

**ნატოს არ უნდა საქართველოს მიღება და უაზროდ ლაპარაკობენ ამაზე. ეს ლაპარაკი ნატოზე უაზრობაა, არ დგას ჩვენი იქ შესვლის საკითხი, რუსეთის გასაღიზიანებლადაა, სხვა ფუნქცია ამ ლაპარაკს არ გააჩნია.**

**— რა შეიცვალა ირაკლი ბათიაშვილისთვის 1989 წლიდან 2011 წლამდე? რა საკითხებს უყურებს სხვანაირად, რას მიიჩნევს გულუბრყვილობად ან სწორ ნაბიჯად?**

— ეროვნული მოძრაობის პერიოდში ბევრი შეცდომა იყო დაშვებული. ჩვენ აღმოვჩნდით პოლიტიკური თვალსაზრისით უმწიფარნი, უფრო მეტად ემოციებსა და იმპულსებს აყოლილი, მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს უახლეს ისტორიას თუ გადავხედავთ, არ იყო უფრო მნიშვნელოვანი მოვლენა და ვამაყობ, რომ მე ვიყავი მონაწილე და ერთ-ერთი ლიდერი. ბევრს ჰგონია, რომ ჩვენ მხოლოდ ვყვიროდით. მაშინდელი ჟურნალები რომ ნახოთ, ძალიან კარგად წერდნენ, მათ შორის ზვიად გამსახურდია და გია ჭანტურიაც ანალიტიკურ სტატიებს. მაშინ ვინ იცოდა სიტყვა ტოტალიტარიზმი. გვქონდა შეგრძნება, რომ ჩვენი წვლილი შეგვაქვს ამხელა იმპერიის მსხვრევაში. ბევრს ჰგონია, რომ ის საბჭოთა იმპერია თავისით დაიმსხვრეოდა, მაგრამ ისტორიაში თავისით არაფერი ხდება, თუ მასში წვლილს არ შეიტანდი და ხელს არ გაანძრევდი. თუმცა ამავე დროს იმდენი შეცდომა დავუშვით, საზოგადოება გაიხლიჩა, დაიწყო სამოქალაქო დაპირისპირება, ამის ძირები იმავე ეროვნულ მოძრაობაში იყო, თუმცა გარედან ამას ხელს სპეცსამსახურები უწყობდნენ. სპეცსამსახურები ხელს უწყობენ იმას, რისი ნიადაგიც არსებობს. თუმცა ეროვნულ მოძრაობას ისტორიული მნიშვნელობა და მისია ჰქონდა. დღეს მე, რა თქმა უნდა, მეტი გამოცდილება მაქვს, უფრო რაციონალურად ვუყურებ, მეტი უნარი მაქვს, ემოციები გვერდზე გადავდო და რეალობას შევხედო.

**— თუმცა ბალტიისპირელები შედარებით უფრო რბილად იქცეოდნენ...**

— იქ ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში ძალიან ანტირუსული განწყობა იყო. იქაც საკმაოდ აქტიურები იყვნენ, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ დღეს, როცა ვლაპარაკობ ურთიერთობის დათბობაზე, ეს არ უნდა გაგვიკვირდეს. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ მუდამ დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახების პოლიგონი ვიყავით. ბიზანტია-ირანის, ირან-ოსმალეთის, ირან-რუსეთის, რუსეთ-ოსმალეთის და სწორი პოლიტიკა პატარა ქვეყნისთვის ყოველთვის ის არის, რომ მოახერხოს ურთიერთობების დალაგება და დარეგულირება, და არა ის, რომ ისეთ პოლიგონად იქცე, რომ ბოლოს აფეთქდე. დღეს საქართველო აქეთ მიდის. ორი ტერიტორია მოგლეჯილი და, ფაქტობრივად, ანექსირებულია. **დღეს გავრცელდა ჯავახური დიასპორის ერთ-ერთი ლიდერის განცხადება. ამას ასე იოლად ნუ შევხედავთ. თავის დროზე აფხაზეთშიც ასე იწყებოდა. ამას დროულად სჭირდება დარეგულირება და იმედი მაქვს, ვითარება არ გართულდება, მაგრამ იოლადაც ნუ შევხედავთ. ფაქტია, რომ სააკაშვილის შემდგომ ყოფნას ხელისუფლებაში შეიძლება საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაშლა მოჰყვეს. მას ეს არ აღელვებს, მისთვის მთავარია, შეინარჩუნოს სავარძელი ავლაბარში, ჰყავდეს სპეცნაზები, რომლითაც გაგვისწორდება.**

**— საკითხი რომ ასე დადგეს (ასარჩევი იყოს ან ნატოში შესვლა, ან საქართველოს გამთლიანება), ირაკლი ბათიაშვილი რას აირჩევდა?**

— ეს თემა, ჩემი აზრით, არ უნდა განიხილებოდეს. ჩვენთვის მთავარია საქართველოს გამთლიანება. ნებისმიერი ადამიანი, ვინც უნდა იყოს, ხელისუფლებაში იქნება თუ ოპოზიციაში, საკითხს თუ ისე დააყენებს, რომ საქართველოს გამთლიანებაზე უფრო მაღლა დგას რაიმე, ის არის საქართველოს მოღალატე და ამ შემთხვევაში იმ ტერმინოლოგიას გამოვიყენებ, რომელსაც, სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობის დროს ხშირად იყენებდნენ.

ესაუბრა
**ნანა დევდარიანი**

„ამიტომაა ეს ხალხი ყველაზე მეტად საშიში, — გიჟს აქეზებენ; მე მარტო ინტელიგენციას არ ვგულისხმობ, ეს ეხება სააკაშვილის გარემოცვასაც, პირველ რიგში კი — მის მრჩევლებს. ყოველთვის მიკვირდა, რას აკეთებენ ეს ადამიანები, ნუთუ მათი რჩევა-დარიგების შედეგია ის, რასაც ვხედავთ? გელა ჩარკვიანს მინდა ვკითხო: ყველას მრჩეველი შეიძლება იყო? სინდისი, ნამუსი და პრინციპი არ უნდა გქონდეს? სხვათა შორის, მამამისმა ვაჟა-ფშაველა აკრძალა თავის დროზე სკოლებში, ახლა კიდევ ამის რჩევითა და წაქეზებით ეს გიჟი გვანგრევს ქვეყანას თავზე.“

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# თემურ ჩალაბაშვილი: ომი გარდაუვალია!

## ეს შეშლილი და აწყვეტილი პრეზიდენტი ისე არ მოისვენებს, კიდევ ერთხელ რომ არ არიოს ქვეყანა

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოეტი თემურ ჩალაბაშვილი.**

**— ბატონო თემურ, დღესდღეობით საზოგადოების უდიდეს ნაწილს რატომღაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები „ნაცმოძრაობის“ სრული კრახით დასრულდება. ანალოგიური განწყობაა თითქმის მთელს ოპოზიციურ სპექტრშიც. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? როგორ უყურებთ ამ ყველაფერს?**

— საერთოდ, შესრულებას და შეხვედრას მოლოდინი ჯობია, იმიტომ, რომ მოლოდინი სიმშვენიერეა თავისთავად. ისე, სიმართლე გითხრათ, რამე დადებითი შედეგის იმედი ნაკლებად მაქვს, მაგრამ ერთი რამ მჯერა: როგორც შუბი არ დაიმალება ხალთაში, ისე აქ ყველაფერი გადაწყვეტილად მიმაჩნია. ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანი, რომელზეც საუბარი მინდა გავაგრძელო, როგორც პიროვნება დაიკარგა უკვე, მისგან აღარ დარჩა არაფერი ღირსებისმაგვარი და ეს არის გულის ამრევი საშინელება, რასაც, ცხადია, წერტილი უნდა დაესვას.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილს... ის მოლოდინი, რაც მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩნდება, არ არის შემთხვევითი, ამ რეჟიმმა უკვე ამოწურა ყველაფერი, ამიტომ წინ მას არაფერი დარჩა. ჩვენ რომ დავანებოთ ამათ თავი, ბუნება არ დაანებებს, იმიტომ, რომ არ ვიცი, თქვენ უყურებთ თუ არა, მაგრამ ეს კაცი უკვე ბოლო განწყობილებამდეა მისული, ბოლო სტადიაშია და ესაა დასასრული. აი, ამის იმედი მაქვს მხოლოდ და მხოლოდ, ესაა ჩემი მოლოდინი.

**— ანუ, ფიქრობთ, რომ ეს რეჟიმი თავისით დაემხობა?**

— ვიღაცას შეიძლება გულუბრყვილოდ მოეჩვენოს ეს ყველაფერი, მაგრამ არარეალური ამაში არაფერია. საერთოდ, ნებისმიერი რამ, რაც ძალადობასა და უსამართლობაზეა დამყარებული, არაბუნებრივია, ბუნების კანონთან წინააღმდეგობაშია, ანუ უკუღმართია; **უკუღმართს კი დიდი ხნის არსებობა არ უწერია, იმიტომ, რომ მისი ყოველი მოქმედება, ყოველი ნაბიჯი თვითგანადგურებისკენაა მიმართული. კი, რაღაც მომენტში რეჟიმი შეიძლება გაძლიერდეს, პიკს მიაღწიოს, მაგრამ გადახედეთ ისტორიას, — ბოლოს ის მაინც სამარცხვინოდ ასრულებს არსებობას.** ასე რომ, არა მგონია, ამ მხრივ საქართველო გამონაკლისი აღმოჩნდეს.

**— მოდით, კონკრეტულად ვისაუბროთ: რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს? საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებზე ამყარებს იმედებს, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს არჩევნები რამეს შეცვლის?**

— არა, არჩევნები რომ გაყალბდება, ამაში დარწმუნებული ვარ, ეს გზა არ არსებობს, რადგან ჩვენი ხალხი მაინც ვერასოდეს ისწავლის, რომ ოცი ლიტრი ბენზინი ვერაფერს უშველის ამ დაქცეულ ქვეყანას. ერთხელ კახელებს ვუთხარი, მაგ ოცი ლიტრი ბენზინით, ქრთამად რომ გაჩეჩებთ ხელისუფლება, შეგიძლიათ, მოხვიდეთ და პარლამენტი გადაწვათ-მეთქი. ვინ დაგიგდო ყური, ხალხი ისეა გამათხოვრებული, ოღონდ რამე მიეცი და ხვალ, ზეგ რა იქნება, არც აინტერესებს...

**— ისე, ქრთამს რაც შეეხება, ამ მხრივ ხელისუფლება განსაკუთრებით გულუხვია ინტელიგენციის მიმართ, ვინც „ნაცმოძრაობას“ არ გაწუდგა, იმათ ვგულისხმობ, რასაკვირველია.**

— საერთოდ, ნორმალურ საზოგადოებაში ინტელიგენცია უნდა ქმნიდეს ხელისუფლებას, აქ კი რა ხდება: **ხელისუფლება ძალით აკოწიწებს რაღაც ჯგუფს, რომელსაც რატომღაც დაარქვეს ინტელიგენცია. ვინაა ეს ხალხი, საიდან მოვიდა, კაცმა არ იცის. ამ დროს ისეთი სახეებით გამოდიან და ისეთი სიტყვებით გველაპარაკებიან, გეგონება ერის მამები არიან; ეს ყველაფერი გულისამრევია, ინტელიგენცია კი არა, ესაა ნახირი...** ცუდად არ გამიგოს ბევრმა კარგმა ადამიანმა, მაგრამ რატომ ვერ ჩაითრიეს ამ სიბინძურეში, ვთქვათ, იგივე თენგიზ არჩვაძე? ჩაითრიეს ვინ, იცით? ვინც გროშებსაა აყოლილი, გაუბედურებული ხალხი, რომელსაც ღირსების ნატამალი არ გააჩნია.

**— გასაგებია, მაგრამ ამ ადამიანებს ხომ თავიანთი შეხედულებები აქვთ?**

— ცხადია, შეხედულების გამო ვერავის გააკრიტიკებ, ჩვენც გვაქვს ჩვენი პოზიცია, მაგრამ მე სხვა რამ ვიგულისხმე. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ **ეს ადამიანები ფულით არიან მოსყიდულები. მათ რომ გულწრფელად სჯეროდეთ იმის, რასაც აკეთებენ, სხვა საკითხია, მაგრამ სინამდვილეში ჩვენზე უკეთ იციან, რა უბედურებაც გვჭირს ამ ხელისუფლების სახით. ამიტომაა ეს ხალხი ყველაზე მეტად საშიში, — გიჟს აქეზებენ; მე მარტო ინტელიგენციას არ ვგულისხმობ, ეს ეხება სააკაშვილის გარემოცვასაც, პირველ რიგში კი — მის მრჩევლებს. ყოველთვის მიკვირდა, რას აკეთებენ ეს ადამიანები, ნუთუ მათი რჩევა-დარიგების შედეგია ის, რასაც ვხედავთ?**

გელა ჩარკვიანს მინდა ვკითხო: ყველას მრჩეველი შეიძლება იყო? სინდისი, ნამუსი და პრინციპი არ უნდა გქონდეს? სხვათა შორის, მამამისმა ვაჟა-ფშაველა აკრძალა თავის დროზე სკოლებში, ახლა კიდევ ამის რჩევითა და წაქეზებით ეს გიჟი გვანგრევს ქვეყანას თავზე.

**— სამაგიეროდ გვიშენებს მეჩეთს. რა აზრის ხართ ამაზე?**

— აზიზიეს მეჩეთს გულისხმობთ, ალბათ. რა უნდა ვთქვა, არც ვიცი. რა საჭირო იყო ამხელა კომპლექსის წამოჭიმვა, მოეწვიათ თურქული მხარე და პირდაპირ ზავი გაეფორმებინათ: აჭარა — თურქეთის შემადგენლობაში. ადრე თუ გვიან მაინც მოხდება ეს...



«მრცხვენია, როცა რესპუბლიკელებს ვხედავ ივანიშვილის გვერდით»

**— ანუ ფიქრობთ, რომ ამ მეჩეთის აშენება კიდევ უფრო დააჩქარებს ამ პროცესს?**

— რად უნდა ამას ბევრი ლაპარაკი! ბათუმი ისედაც ნაყიდი აქვთ თურქებს. აჭარას რა ჰქვია დღეს, იცით? გალაკტიონს რომ აქვს, „წინაპართაგან წავიდა ყველა, სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“, — ზუსტად ასეა, ეს კუთხე აღარაა უკვე ჩვენი...

**— რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, პუტინის ხელმეორედ გაპრეზიდენტებას ბევრი შიშით უყურებს, არის საუბარი იმაზე, რომ შეიძლება შეიარაღებული კონფლიქტი განახლდეს. თქვენ რა აზრის ხართ ამ ყველაფერზე?**

— მე პოლიტიკოსი არ ვარ, რომ ეს საკითხები განვიხილო, მაგრამ, ამათ საქციელს რომ ვუყურებ, არაფერი მიკვირს, არაფრის მოლოდინი არ მაქვს და ამ დროს ყველაფერს ველოდები; კაცი რომ იტყვის, ჩემპიონატს უნდა ვუმასპინძლოთ 2020 წელსო, აბა, ის ნორმალურია?! მისგან ხომ არაფერი უნდა გაგიკვირდეს?! **რუსეთის მონები ვიყავითო სამოცდაათი წელი, გაჰყვირიან ძარღვის გაწყვეტამდე, დღეს ვისი მონები ვართ?! მაშინ ჭკვიანი მაინც გმართავდა, ახლა კიდევ, ბოდიში და, გიჟი გაზის თავზე.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას, მოსალოდნელია თუ არა ომი, მე ვიტყოდი, რომ ომი გარდაუვალია. რაც უნდა გავაკეთოთ, ეს მაინც მოხდება, ვინაიდან **ეს შეშლილი ხელისუფლება და ეს აწყვეტილი პრეზიდენტი, როგორც ჩანს, ისე არ მოისვენებს, რომ თავისი ვადის ამოწურვამდე კიდევ ერთხელ არ არიოს ეს ქვეყანა.** ესაა მისი მოწოდება და აქეთ მიჰყავს ამ ადამიანს ყველაფერი, თუ, რა თქმა უნდა, მანამდე არ გავისტუმრეთ...

**— გასაგებია, მაგრამ იმ პირობებში, როცა ამ ხელისუფლებას ამერიკის მხრიდან უპირობო მხარდაჭერა აქვს, არ მიგაჩნიათ, რომ მისი გასტუმრება ადვილი არ იქნება?**

— თქვენ გახსოვთ 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც ამათ დაიწყეს? სააკაშვილს მაშინაც ჰქონდა იმედი, რომ ამერიკა დაეხმარებოდა, რა მოხდა მერე, ყველამ ვნახეთ, — სანამ თბილისს არ მოადგნენ მოწინააღმდეგის ტანკები, ყურიც არავის შეუბერტყავს, ანუ ამით რის თქმა მინდა: — ამერიკა რის გვერდით დამდგომია, ორასი და სამასი წლის ჩვენ მარტო ხეები გვიდგას აგერ ქართლსა და კახეთში... სადღაც ოკეანის გაღმა რომ ვიღაც რაღაცას გადაწყვეტს, იმის იმედადაა ეს ხელისუფლება? წასულია ამათი საქმე. უწარსულოა სააკაშვილის ცხოვრება და უწარსულოდ დასრულდება მისი არსებობა, რადგან ქართველობისა და ეროვნულობის მას არაფერი სცხია...

**— პოლიტიკურ ასპარეზზე ახლახან გამოჩნდა ბიძინა ივანიშვილი. როგორ ფიქრობთ, მას რამდენად აქვს ეროვნული ორიენტირები?**

— ივანიშვილის გამოჩენით რომ საზოგადოებაში ეროვნულმა სულმა გაიღვიძა, ფაქტია და ამას ვერავინ უარყოფს. **რაც შეეხება ქართულ ოცნებას, ეს მე, ცოტა არ იყოს, სხვანაირად მესახება. პირდაპირ გეტყვით, ქართული ოცნება ჩემთვის ისაა, რომ სომეხი ცხოვრობდეს ერევანში და აზერბაიჯანელი — ბაქოში... აი, ასე მესმის მე ეს ყველაფერი, მაგრამ არჩევნებს ყოველთვის იგებს მათი ხმები. ამას რაღაც ნაციონალისტობაში ნუ ჩამომართმევთ, არა, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ საქართველოში მე ვარ მასპინძელი და მე უნდა მქონდეს სიტყვა, ისევე, როგორც ერევანში — სომეხს, ბაქოში — აზერბაიჯანელს და ა.შ.**

**— ბევრი ამის ასე საჯაროდ თქმას ვერ ბედავს.**

— ვერ ბედავს იმიტომ, რომ ვიღაცების გადაკიდება არ უნდა... სულაც არ მაინტერესებს, ვინ რას იფიქრებს, სამშობლოს გამო, ვინც უნდა, ის გადამეკიდოს; **საქართველოში საქართველო უნდა იყოს, ყველა კი არ უნდა ბუქნაობდეს...**

**— თქვენ თქვით, რომ სააკაშვილს ეროვნულობის არაფერი სცხია, ივანიშვილის გარემოცვაშიც არიან ასეთი ადამიანები. ამაზე რა აზრის ხართ?**

— რესპუბლიკელები თუ გყავთ მხედველობაში, პირდაპირ გეტყვით, რომ მრცხვენია, როცა რესპუბლიკელებს ვხედავ ივანიშვილის გვერდით; ჩემთვის ამას ახსნა არ აქვს. **თინა ხიდაშელი, ურომლისოდაც, ფაქტობრივად, ფეხს არ ადგამს ბიძინა თავისი რეზიდენციიდან, იგივე სააკაშვილია, ოღონდ კაბაში.**

ასე რომ, ეს ხალხი თუ მოვიდა ხელისუფლებაში, ვაი ჩვენს პატრონს...

**— რა მოლოდინებიც ივანიშვილის მიმართ ჩნდება, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული ხომ არ არის, როგორ ფიქრობთ?**

— არაერთხელ ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე მისი ბევრი რამ არ მომწონს და არ მჯერა. ამას არც ვმალავ, იმიტომ, რომ ზოგიერთებისგან განსხვავებით არავისგან არაფერი მიმიღია. რა თქმა უნდა, გეთანხმებით იმაში, რომ საზოგადოებას ცოტა გადაჭარბებული მოლოდინი აქვს და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს. **ივანიშვილი კი არა, ბოლოსდაბოლოს, ილია მოვკალით. ასე რომ, ბევრი რამ ბიძინამაც უნდა გაითვალისწინოს, არ უნდა პოლიტიკაში შვილების სიმღერებით მოსვლა, არ არის ეს ლამაზი...**

# «ინტელიგენცია კი არა, ესაა ნახირი»

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ნას-დევნა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„კონტროლის პალატის თანამშრომლები დაკითხვაზე დაბარებულ ადამიანებს არც კი განუმარტავდნენ, თუ რა სამართალდარღვევის გამო და ვის მიმართ იყო დაწყებული სამართალწარმოება. დაკითხვის დროს ახსნა-განმარტების პროცესში მოქალაქეების მიმართ ხორციელდებოდა ღირსების შემლახავი ქმედებები, რაც მოქალაქეთა დაშინებას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე პარტიების უკანონო ფინანსური საქმიანობის დადგენას. დაკითხვა ხშირად 6 საათამდე გრძელდებოდა.“



# ეკა გიგაური: კონტროლის პალატის წევრების მიერ 150-მდე აქტივისტი დაიკითხა, მათზე ფიზიკური და მორალური ზეწოლა განხორციელდა

**არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ საქართველოში კორუფციის დონის განსაზღვრასა და არჩევნების გამჭვირვალობას აკვირდება. მათი კვლევებიდან ირკვევა, რომ დაფარულია საბიუჯეტო ხარჯები, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდის მიერ დახარჯული თანხები, ასევე ეკონომიკის სამინისტრო მალავს საჯარო ინფორმაციას ინვესტორების შესახებ. „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ ხელმძღვანელი ეკა გიგაური აცხადებს, რომ ისინი საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებასა და არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებას დააკვირდებიან და დააფიქსირებენ ყველა იმ დარღვევას, რომლებიც არჩევნების დროს მოხდება.**



**— ბოლო დროს კონტროლის პალატის ფინანსურმა სამსახურმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის აქტივისტები დაკითხა. როგორ შეაფასებთ კონტროლის პალატის ამ ქმედებას?**

— კონტროლის პალატის მონიტორინგის სამსახურის მიერ 12, 13 და 14 მარტს ცალკეულ რეგიონებში, მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა პარტიის წევრთა და მოხალისეთა მასობრივი დაკითხვები განხორციელდა. **დაკითხული ადამიანების რაოდენობამ 150 გადააჭარბა.** რა თქმა უნდა, უარყოფითად ვაფასებთ ამ ფაქტს, ვინაიდან **ახსნა-განმარტების ჩამორთმევის პროცესში მოქალაქეებზე განხორციელდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, იყო მუქარისა და დაშინების ფაქტებიც.** კონტროლის პალატის განმარტებით, ეს დაკითხვები მიზნად ისახავდა პარტიების ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას, რაც სიცრუეა, რადგან დაკითხვის პროცესი შეიცავდა განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირების დევნის ნიშნებს და წარმოადგენდა კონტროლის პალატის წარმომადგენლების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას. ამას მოწმობს ამ უწყების თანამშრომელთა მიერ დასმული შეკითხვები, რომლებიც ფინანსური საკითხების გარდა შეეხებოდა მოქალაქეთა პოლიტიკური შეხედულებისა თუ აქტივობის, კონკრეტულ პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობის მიზეზებს.

**დაკითხვაზე დაკავებულ პირებს პრობლემები ექმნებოდათ ადვოკატის დასწრებასთან დაკავშირებითაც, ადგილი ჰქონდა, აგრეთვე, ადვოკატის ფიზიკური თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს, ეს კი გახდა მიზეზი, რომ დაკითხვებს ზოგჯერ ვერ ესწრებოდა ადვოკატი.**

გარდა ამისა, კონტროლის პალატის თანამშრომლები დაკითხვაზე დაბარებულ ადამიანებს არც კი განუმარტავდნენ, თუ რა სამართალდარღვევის გამო და ვის მიმართ იყო დაწყებული სამართალწარმოება. **დაკითხვის დროს ახსნა-განმარტების პროცესში მოქალაქეების მიმართ ხორციელდებოდა ღირსების შემლახავი ქმედებები, რაც მოქალაქეთა დაშინებას უფრო ისახავდა მიზნად, ვიდრე პარტიების უკანონო ფინანსური საქმიანობის დადგენას. დაკითხვა ხშირად 6 საათამდე გრძელდებოდა.** როგორც ხედავთ, ასეთი ფაქტები კიდევ უფრო ამძიმებს წინასაარჩევნო გარემოს. ჩვენი ორგანიზაცია დააკვირდება არჩევნების მიმდინარეობას, მაგრამ არ გვყავს დამკვირვებლები არჩევნებზე. ორგანიზაციებმა „ეს შენც გეხება“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ“ გაავრცელეს განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ კონტროლის პალატამ უფლებამოსილებას გადაამეტა, რის გამოც დავგმეთ მისი ქმედებები.

**— თქვენი კვლევებით, საქართველო კორუფციის მხრივ რა დონეზეა?**

— ჩვენ გვაქვს, კვლევების თვალსაზრისით, ორი სახის კორუფცია: ერთია კორუფციის აღქმის ინდექსი და მეორეა გლობალური კორუფციის ბარომეტრი, რომელშიც საქართველოც შედის. საქართველო, კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით, 2010 წლის მონაცემებით, 68-ე ადგილზეა.

**— როგორ ფიქრობთ, საქართველოში კორუფციის დონემ იკლო?**

— ამ შემთხვევაში, შესაძლოა, იკლო. ჩვენ გავაკეთეთ კორუფციის 10-ქულიანი მაქსიმალური შეფასება, სადაც საქართველომ მიიღო მეოთხე ადგილი. ამ შეფასებით არ შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები მოხსნილია. **წვრილი მექრთამეობის თვალსაზრისით, საქართველოს ძალიან კარგი შედეგი აქვს, სამოქალაქო რეესტრი, საჯარო რეესტრი და პოლიცია არ არის ჩათრეული კორუფციაში. რაც შეეხება კორუფციის აღქმის ინდექსს, აქ საუბარია მთლიანად სისტემის შეფასებაზე იმდენად, რამდენადაც არ არის გამჭვირვალე ხელისუფლების საქმიანობა.** მაგალითად, თუ გვინდა, რომ გავიგოთ, ვინ დგას ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტის უკან, ამ ინფორმაციის მოპოვება არის ძნელი. რა თქმა უნდა, ეს ინფორმაცია არის საჯარო, მაგრამ გვიმალავენ. ახლახან სასამართლო პროცესი გვქონდა ეკონომიკის სამინისტროსთან, რომელსაც ვთხოვდით, რომ მოეწოდებინათ ინფორმაცია სხვადასხვა საინვესტიციო პროექტთან დაკავშირებით, აგრეთვე, გვინდოდა სია იმ ინვესტორებისა, რომლებსაც გაუწყვიტეს კონტრაქტი რაიმე პირობების შეუსრულებლობის გამო. რა თქმა უნდა, არ მოგვცეს ეს ინფორმაცია და ამიტომ შევიტანეთ სარჩელი სასამართლოში, რომელიც წავაგეთ. სასამართლომაც ჩათვალა, რომ ეს ინფორმაცია არის კონფიდენციალური და მისი გასაჯაროება არ შეიძლებოდა. პირიქით, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის საჯარო ინფორმაცია და არ შეიძლება მისი დამალვა. შეიძლება რომელიმე კონკრეტული მუხლი დაიმალოს (თუ ამას მოითხოვს ინვესტორი), მაგრამ არა მთლიანად ინფორმაცია, თუმცა არც ეს მოთხოვნა არ ყოფილა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვფიქრობთ, რომ, რადგანაც მალავენ ინფორმაციას, აქ არის კორუფციული ელემენტები.

## «საქართველო კორუფციის მხრივ 64-ე ადგილზეა. გაუგებარია, რისთვის იხარჯება პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხები...»

**— ხელისუფლებაში მოსულ და შემდეგ გამდიდრებულ ჩინოვნიკებსა და საერთად მათ დეკლარაციებზე რას იტყვით, ისინი სიმართლეს წერენ დეკლარაციებში? ამ მხრივ თუ გქონიათ რაიმე კვლევები?**

— დეკლარაციებზე ყველას მიუწვდება ხელი და ჩინოვნიკების დეკლარაციებიც საჯაროა, თუ რამდენად რეალურია, ეს სხვა საქმეა, ამაზე ჩვენ არ გვიმუშავია. ჩვენ ვიცით მხოლოდ ელექტრონული ვერსია, რომელიც ვებ-გვერდზეა განთავსებული.

**— მაინც სად წააწყდით წინააღმდეგობას კვლევების დროს, არის თუ არა პრეზიდენტის ან პარლამენტის სარეზერვო ფონდის შესახებ საჯარო ინფორმაცია და რა თანხაა ეს?**

— ჩვენ არ მიგვიმართავს კონკრეტულად ამ ინფორმაციისთვის, მაგრამ კარგი იქნება, თუ საზოგადოებას ეცოდინება, რაში იხარჯება პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდების თანხები. ბოლო დროს, როცა ჩვენ მივმართავთ და მოვითხოვთ ინფორმაციას, ამა თუ იმ კონცერტისთვის რა თანხები დაიხარჯა, მართალი გითხრათ, ამ ინფორმაციას გვაწვდიან. რაც შეეხება მთლიანად ინფორმაციას, თუ რა თანხა სად იხარჯება და რა თანხაა მთლიანად ამ სარეზერვო ფონდებში, ეს ჩვენთვის ხელმიუწვდომელია. შესყიდვების სააგენტომ გააკეთა ელექტრონული ვებგვერდი, რომელზეც ყველა ფინანსური ოპერაცია არის საჯარო. ჩვენ იმავეს ვურჩევთ პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებს, — გახადონ ინფორმაცია საჯარო. თუმცა მათ არ სურთ ამის გაკეთება იმიტომ, რომ შესაძლებელია ამით რალაც ბარიერი შეექმნათ.

**— შეიძლება ითქვას, რომ ამ სარეზერვო ფონდებიდან არამიზნობრივად იხარჯება თანხები?**

— ამის ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ, რადგანაც დაფარულია სარეზერვო ფონდების ხარჯები, ყველაფერი შესაძლებელია.

**— თქვენი ორგანიზაცია მოითხოვდა, რომ მედიის მფლობელების ვინაობა გამჭვირვალე ყოფილიყო. ამჟამად გაქვთ სრულყოფილი ინფორმაცია?**

— ამის შესახებ ჩვენმა ორგანიზაციამ გააკეთა ანგარიში. ჩვენ გვაქვს მონაცემები, თუ ვინ დგას ამა თუ იმ ტელევიზიის უკან. სხვათა შორის, ჩვენი კვლევებით გავიგეთ, რომ „იმედის“ 64%-ის მფლობელია გიორგი არველაძე.

**— საკუთრების უფლების შელახვის თაობაზე თქვენ გააკეთეთ კვლევები. ფიქრობთ, რომ ასეთი ფაქტები ბევრია?**

— ადამიანებს, რომლებიც ტურისტულ ზონებში ცხოვრობენ, მიწის ნაკვეთები ჩამოართვეს. ხელვაჩაურის რაიონში, **სოფელ გონიოში, 200 ოჯახს წაართვეს მიწის ნაკვეთები, რომლებიც თავის დროზე ამ ადამიანებმა მიიღეს მერიის პროგრამის „რაც შენია, შენია“ მიხედვით. ანაკლიაში ერთ-ერთი დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მეპატრონემ საჯარო რეესტრში გაარკვია, რომ მისი მიწა გაყიდული ყოფილა სხვა პირზე.** ჩვენ მსგავს შემთხვევებში სასამართლოში ვეხმარებით ქონებაწართმეულ ადამიანებს.

**— რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, თქვენ ითხოვდით მის გარკვეულ მუხლებში ცვლილებების შეტანას...**

— ჩართული ვართ კამპანიაში „ეს შენც გეხება“. ზოგადად, ჩვენ ვითხოვთ, ჩვენი ალტერნატიული წინადადებები შევიდეს საარჩევნო კოდექსში, რადგან ვფიქრობთ, საარჩევნო კოდექსის რიგი მუხლებისა უნდა შეიცვალოს. გვქონდა შეხვედრა პავლე კუბლაშვილთან და ძალიან ბევრ საკითხზე შევთანხმდით.

**— კერძოდ, რაზე შეთანხმდით?**

— იმაზე, რომ ამა თუ იმ პარტიასთან დაკავშირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელსაც გაცხადებული აქვს არა პოლიტიკური, არამედ საარჩევნო მიზნები და ამისთვის ხარჯავს ფულს, შეიზღუდება; სხვა დანარჩენ შემთხვევაში, როდესაც ადამიანი გამოვა და დააფიქსირებს თავის პოზიციას, შეზღუდვა არ მოხდება.

**— ძალიან ძნელად დასაჯერებელია, არ შეიზღუდონ ის ადამიანები, რომლებიც დააფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, იმ ფონზე, როდესაც ამა თუ იმ პარტიის აქტივისტებს იბარებენ დაკითხვაზე და მათზე სხვადასხვა სახის ზეწოლას ახდენენ.**

— ყოველი შემთხვევისთვის ჩვენ ვისაუბრეთ პავლე კუბლაშვილთან და ამ საკითხებზე შევთანხმდით. თუ როგორ განვითარდება მოვლენები, ამას დავინახავთ.

**— პარტიების ფინანსური გამჭვირვალობის კუთხით, რამდენად რეალურად გეჩვენებათ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა?**

— ჩვენ ვართ ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელიც ამბობს, რომ პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის კუთხით ბევრი რამ უნდა შეიცვალოს და გაკეთდეს, იმიტომ, რომ ანგარიშგება არ იყო კონკრეტული. მაგრამ, რა ცვლილებებიც შევიდა კანონში, ბევრი პრობლემის მომტანია.

**— თუ აპირებთ არჩევნების მონიტორინგს და რა სახით ჩაერთვებით ამ პროცესში?**

— ჩვენ მოვახდენთ მონიტორინგს ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების კუთხით როგორც თბილისში, ისე რეგიონებში. ვერ გეტყვით იმას, რომ ჩვენი წარმომადგენლები შეძლებენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით არჩევნებს დააკვირდნენ, თუმცა კონკრეტულ რეგიონებში დამკვირვებელი გვეყოლება.

## «ეკონომიკის სამინისტრო საინვესტიციო პროექტებს ასაიდუმლოებს, ხოლო ინვესტორთა ნაწილს კონტრაქტები შეუწყვიტეს...»

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

**„სწორედ საზოგადოების წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა ეროვნული იდეოლოგიისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი ზეპარტიული ორგანო მოახერხებს ქვეყნის კრიტიკული რეალობის შეცვლას, რომელიც მმართველმა ავტოკრატულმა რეჟიმმა საკუთარი ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით შექმნა.“**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ნონა გაფრინდაშვილი:

# ერთიანი ფრონტის უმთავრესი მიზანი მხოლოდ ერთი რამ იქნება — ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ

**სასტუმრო „ვერე პალასში“ 16 მარტს „სახალხო კრების“ სათათბირო ორგანოს — დარბაზის მორიგი სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე, რომელიც ჟურნალისტებისთვის დახურული იყო, განიხილებოდა ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის აუცილებლობისა და მის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები.**



> **«ყველა ოპოზიციური პარტია ვალდებულია, საკუთარი ამბიცია გვერდზე გადადოს და არჩევნებში გასამარჯვებლად ერთად ვიბრძოლოთ. თუ არჩევნებს გააყალბებენ, საპროტესტო აქციებს დავიწყებთ ჩვენი ხმების დასაცავად»**

დარბაზის სხდომას სტუმრის სტატუსით ესწრებოდნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გია ჟორჟოლიანი, ტრადიციონალისტთა კავშირის თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერი სოსო მანჯავიძე, საზოგადოებრივი მოძრაობის „ემსახურე საქართველოს“ ხელმძღვანელი მურმან დუმბაძე.

სხდომაზე დარბაზის სპიკერად გოგი ქავთარაძის ნაცვლად აირჩიეს სოსო ჯაჭვლიანი. ასევე მიიღეს დარბაზის ახალი წევრები: თამარ იოვაშვილი, თინათინ ნიბლოშვილი, დავით მალაზონია და ფერდინანდ ლორთქიფანიძე.

**„ბოლო პერიოდის განმავლობაში სპიკერის მოვალეობას ნონა გაფრინდაშვილი ასრულებდა. ბატონი გოგი თავის საქმიანობას დამოუკიდებლად აგრძელებს. მას არ დაუფიქსირებია, რომ კრება დატოვა, მაგრამ ის ვერ ათავსებდა თავის საქმიანობას თეატრალურ კავშირსა და „კრებაში“. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც გადაღებებზე იყო და „კრების“ ღონისძიებებს ვერ ესწრებოდა“,** — განმარტა ბურჯანაძემ.

სხდომის დაწყებამდე, „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე „სახალხო კრების“ წარმომადგენლებისა და კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის, ბიძინა ივანიშვილის შეხვედრას გამოეხმაურა: **„სად წაიკითხეს, რომ მე კოალიციაში შესვლას ვითხოვდი? არ მგონია, რომ ადამიანები კითხულობენ და ვერ იგებენ. როგორც ჩანს, მართლა არ წაიკითხეს, რაც კიდევ უფრო გასაკვირია, ან სხვა მიზეზია, რომელზეც არ საუბრობენ. მაშინ დავმარცვლავ — არავინ კოალიციაში და „ქართულ ოცნებაში“ მიღებას არ გთხოვთ, თქვენს ადგილებსა და თქვენს ხელფასებს არავინ გეცილებათ“.**

ბურჯანაძემ ასევე ხაზგასმით ისაუბრა ქვეყანაში ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის მნიშვნელობაზე. **„კოალიციაში ადგილებს არ ვითხოვთ. საუბარია ერთიან ეროვნულ ფრონტზე, სადაც ადამიანები გაერთიანდებიან პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. ერთ-ერთი კრიტერიუმი სამშობლოს სიყვარული და ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაა. ჩვენ გვაინტერესებს მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. მივესალმებით ყველა იმ იდეას, რომელიც ხელს შეუწყობს ოპოზიციური ძალების კოორდინაციას“,** — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

ბურჯანაძემ არაპოლიტიკურ ნაბიჯად შეაფასა ივანიშვილის მოსაზრება 26 მაისის მოვლენებზე. მისი თქმით, სააკაშვილსაც არ უთქვამს, ბურჯანაძე პოლიტიკიდან უნდა წასულიყო იმიტომ, რომ პოლიტიკოსია.

**„რას ნიშნავს, რომ „კრებას“ უნდა ჩამოვშორდე? ვის აქვს იმის უფლება, სამშობლოს სიყვარული ამიკრძალოს ან არგუმენტირებულად მითხრას, რომ ამ პროცესს ხელს ვუშლი. ჯერ ერთი, ეს „სახალხო კრების“ გადასაწყვეტია. ვიღაცამ რატომ უნდა მიკარნახოს, სად წავიდე და სად არა? მესია საქართველოში ჯერ არ გამოცხადებულა და დანარჩენს არავის აქვს ამის უფლება. რა პროცესს უნდა შევუშალო ხელი? საერთოდ რამე პროცესი არსებობს?**

**უკაცრავად, მაგრამ სააკაშვილსაც არ უთქვამს, რომ ბურჯანაძე პოლიტიკიდან უნდა წავიდეს, იმიტომ, რომ პოლიტიკოსია“,** — აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ.

ნინო ბურჯანაძემ კიდევ ერთხელ განმარტა ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შექმნის აუცილებლობა, მისი მოქმედების ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები. **„რაც შეეხება შეთავაზებას, ის გაკეთებულია, შეთავაზებები დამთავრდა. ვისაც სურს თანამშრომლობა და ჩაბმა არსებულ რეჟიმთან შეურიგებელ ბრძოლაში, ჩვენ მზად ვართ თანამშრომლობისთვის“,** — აღნიშნა მან.

დარბაზმა მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, გია ჟორჟოლიანის წინადადებას ოპოზიციურ პარტიებთან შეხვედრების სერიის დაუყოვნებლივი დაწყების თაობაზე, განსხვავებული იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური ძალების ერთობლივი და კოორდინირებული მოქმედების შეთანხმების მიზნით. დარბაზმა ასევე მოისმინა და მხარი დაუჭირა „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარის, კახა კუკავას წინადადებას, რომ მომავალი კვირის დასაწყისში პოლიტიკურ პარტიებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მომზადდეს დოკუმენტი საარჩევნო კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც გადაეგზავნება ვენეციის კომისიას.

„სახალხო კრებამ“ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი პოზიცია ბათუმში აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, რომ კვლავ გააგრძელოს ქმედითი ღონისძიებები, რათა საკითხი გადაწყდეს ქვეყნისა და ხალხის ინტერესების შესაბამისად. „სახალხო კრება“ აქტიურად ჩაერთვება 31 მარტს ბათუმში დაგეგმილ აქციაში.

**დავით მალაზონია, „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ თავმჯდომარე:**

— როგორც „დევნილთა სამოქალაქო მოძრაობის“ თავმჯდომარემ, გავაკეთე განცხადება, რომ ვუერთდებით „სახალხო კრებას“. ჩამოყალიბების დღიდან „სახალხო კრებასთან“ აქტიურად ვთანამშრომლობთ, რადგან, ჩვენი აზრით, **სწორედ საზოგადოების წარმომადგენელთა და პოლიტიკოსთა ეროვნული იდეოლოგიისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი ზეპარტიული ორგანო მოახერხებს ქვეყნის კრიტიკული რეალობის შეცვლას, რომელიც მმართველმა ავტოკრატულმა რეჟიმმა საკუთარი ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკით შექმნა.** ჩვენთვის ძალიან დიდი პატივია ამ სახელოვან ხალხთან თანადგომა და მათთან ერთად ბრძოლა. მოვუწოდებ არასამთავრობო და პოლიტიკურ ორგანიზაციებს, დევნილებს განსაკუთრებით, რომ დავდგეთ ერთად, რათა ხელისუფლება გადავაყენოთ.

**— რატომ გადაწყვიტეთ, „სახალხო კრებას“ შეერთებოდით?**

— იმიტომ, რომ საჭიროა მთელი ოპოზიციური ძალების გაერთიანება და ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ.

**— ვისთან აპირებთ თანამშრომლობას?**

— ის არასამთავრობოები და პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც დღეს ამ შეხვედრას ესწრებიან, ვაპირებთ ახალი ერთიანი ბრძოლის დაწყებას. შემოგვემატა ასევე „უმუშევართა კავშირი“, ქალბატონი თამარ იოვაშვილი და ველით ასევე ახალ ძალებს. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია მოვიდეს და ჩვენთან ერთად დადგეს. ვისაც სურვილი აქვს, შეუძლია „ქართულ ოცნებაში“ გაერთიანდეს. მთავარია, ერთი მიზნისთვის ვიბრძოლოთ.

**— ამ ეტაპზე რამდენად რეალურია ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით და, თუ არჩევნები კვლავ გაყალბდა, რას აპირებთ?**

— ჩემი აზრით, ხელისუფლების შეცვლა არჩევნების გზით ახლა ყველაზე მეტადაა რეალური. თუ გავერთიანდებით, გავაკეთებთ ერთ საქმეს და, მგონი, იქით მიდის საქმე, რომ ყველა ოპოზიციური პარტია ვალდებულია, საკუთარი ამბიცია გვერდზე გადადოს და არჩევნებში გასამარჯვებლად ერთად ვიბრძოლოთ. თუ არჩევნებს გააყალბებენ, საპროტესტო აქციებს დავიწყებთ ჩვენი ხმების დასაცავად.

**ნონა გაფრინდაშვილი, „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე:**

— მორიგი სამუშაო შეხვედრა გვაქვს ჩვენს სათათბიროსთან. ჩვენი რეგლამენტით მას უნდა ჰყავდეს სპიკერი. სხვადასხვა მიზეზის გამო, ფაქტობრივად, მე მიწევდა შეთავსება. ეს არასწორი იყო. ამიტომ დღეს სამართლიანობა აღვადგინეთ და საბჭომ სათათბიროს შესთავაზა ბატონი სოსო ჯაჭვლიანის კანდიდატურა, რომელიც ერთხმად აირჩიეს. ახლა ის უძღვება ამ შეხვედრას. ჩვენ ამ ბოლო დროს ხშირად ვხვდებით ერთმანეთს და ნებისმიერი ასეთი ღონიძიების დროს შეგვიძლია ახალი წევრების მიღება სათათბიროში, თუ კანდიდატურას წარმოადგენენ. დღეს ასეთი სამი წევრი დაგვემატა. ეს პროცესი გრძელდება. სათათბირო ძლიერდება როგორც ხარისხობრივად, ასევე რიცხვობრივადაც. ერთ-ერთი თემა, და ძირითადიც ესაა, არის აგორებული აჟიოტაჟი, რაც მოჰყვა „სახალხო კრების“ წარმომადგენლების შეხვედრას ბატონ ბიძინა ივანიშვილთან. ჩვენ ინფორმაცია გადავეცით მათ. გარდა ამისა, გვქონდა ბრიფინგი ერთიანი ოპოზიციური ფრონტის შესახებ.

დღეს ჩვენთან უკვე გამოჩნდნენ ახალი ძალები. არ არის გამორიცხული, რომ სწრაფი გაერთიანებები დაიწყოს. ამ ერთიან ფრონტში შეჯერდება ჩვენი მოსაზრებები და შედეგი ყველასთვის ცნობილი გახდება. **ჩვენი გაერთიანების, ერთიანი ფრონტის უმთავრესი მიზანი მხოლოდ ერთი რამ იქნება – ბრძოლა ამ რეჟიმის წინააღმდეგ. სხვა ყველანაირი ამბიცია გვერდზე უნდა გადავდოთ.** დღეს აქ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები გვესწრებიან. ის, რომ ეს ადამიანები აქ არიან და საკუთარ სათქმელს ამბობენ, მიანიშნებს იმაზე, რომ მათაც მსგავსი იდეები აქვთ.

**— როგორ წარმოგიდგენიათ ბიძინა ივანიშვილთან გაერთიანება იმ მოწოდების ფონზე, როდესაც იგი კოალიციაში ხედავს მხოლოდ „სახალხო კრებას“ და არა ნინო ბურჯანაძეს?**

— სხვათა შორის, როდესაც ბატონ ბიძინას შევხვდით, მან თქვა, რომ ახალ რეჟიმში იწყება ჩვენი ურთიერთობაო, მაგრამ შემდეგ ნახეთ, რომ საიტზე სულ სხვა რაღაც დაიდო და ამიტომ ატყდა აჟიოტაჟი. **ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ჩვენთვის, თუ ერთობა მოხდა, მაგრამ, თუ გაერთიანება ვერ მოხერხდა, არ გავჩერდებით. ჩვენ ხელს არავის შევუშლით. ჩვენი გადადგმული ნაბიჯები ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ ხელს შეუწყობს. ასე რომ, ეს მათი გადასაწყვეტია, მაგრამ, გარდა ამისა, არის სხვა ორგანიზაციებიც, რომლებიც ამ რეჟიმს ებრძვიან.**

**ლილი მიროტაძე**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მარტო მე, დეპუტატობისას, საქართველოში, სულ ცოტა, ოცი მილიონი მანეთი შემოვიტანე და, იცით, რაზე მტკივა გული? მაქვს 62 წლის სამუშაო სტაჟი და სახელმწიფო მიხდის 110-ლარიან პენსიას, ზუსტად იმდენს, რამდენსაც უხდის ერთ ჩემს ნაცნობს, რომელსაც ჯამში ერთი წელიც არ უმუშავია. მოხუც ადამიანს, მუშაობდა ის თუ არა, არსებობის მინიმუმი აუცილებლად უნდა მისცე, მაგრამ მშრომელსა და მუქთახორას შორის განსხვავება ხომ უნდა იყოს?!“**

# ზურაბ სარალიძე: 150 მანეთი მეც მყოფნიდა და დედასაც ვუგზავნიდი ახალდაბაში!

**ხარატი?! ძნელად დასაჯერებელია! იერსახით „გამოქრილი“ კონსერვატორიის პროფესორია! მანერებიც შესაბამისი აქვს. ისე, პარადოქსებითაა გაჯერებული წუთისოფელი. აგერ, ბატონ ლევან ბერძენიშვილს საკუთარი პერსონა ნომერ პირველ ინტელექტუალად მიაჩნია, მაგრამ მისი ჰაბიტუსის მარად ბრიყვული გამომეტყველება ადასტურებს, რომ ეს რესპუბლიკელი არ განეკუთვნება მოაზროვნეთა კლასს... ან ქალბატონი ხიდაშელი თავისი სახით, ფიგურით, ქცევითა და ხმის ტემბრითაც კი ბაზრობის დახლის „მკვიდრთა“ ასლია!.. უკვე ვორჭოფობ: ეს ნამდვილად ის ზურაბ სარალიძეა, სოციალისტური შრომის გმირი?! რატომღაც მზერა მის ხელებზე გადამაქვს. აჰა! ნამუშევარი, დაკოჟრილი ხელები ყველა ეჭვს მიქარწყლებს — „მისამართი არ შემშლია“, რადგან ეს თითები საკმაოდ უხეშია სიმებისთვისაც და კლავიშებისთვისაც. თავის მხრივ, ჩემი მასპინძელი, როგორც ჩანს, დროს უქმად არ კარგავს — გამომცდელად მიყურებს. ეჰ, რამდენი ჟურნალისტი უნახავს ცხოვრებაში! დუმილი რამდენიმე წუთს გრძელდება. უხერხულობას ვგრძნობ. ბოლოს და ბოლოს, ამ ადამიანს ლამის თავი დავაპატიჟებინე... და 25-წლიანი ჟურნალისტური გამოცდილება უკეთესს ვერაფერს მთავაზობს, გარდა იმისა, რომ რესპონდენტს ბიოგრაფიის გახსენებას ვთხოვ.**



„შრომაც გვიხაროდა და ცხოვრებაც!“

— დავიბადე ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში 1932 წლის 11 დეკემბერს. მამაჩემი — გიორგი ზეინკლად მუშაობდა ხეტყის დამმუშავებელ ქარხანაში და 1934-ში გარდაიცვალა, დედა — ელისაბედი და ოთხი ძმა (უფროსი — 12 წლის და მე ნაბოლარა — სულ ორი წლისა) დავრჩით ბებია დაროს ანაბარა. მიუხედავად იმისა, რომ დედამ ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მაინც გაჭირვებაში ვცხოვრობდით. ბებია დღეს და ღამეს ასწორებდა კერძო ნაკვეთში, რომელიც ჩვენი სახლიდან ოთხი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა. ეს იყო ახო — გაჩეხილი ტყის ნაკვეთი. იქ ითესებოდა ლობიო, სიმინდი და კვახი. 1940 წელს ბებია ტრაგიკულად დაიღუპა — მატარებელმა გაიტანა. სანუგეშოდ, მაგ დროისთვის წამოზრდილი იყო უფროსი ძმა აკაკი, რომელმაც შემდგომ დანარჩენ ძმებს მამობა გაგვიწია.

დიდ სამამულო ომში სარალიძეების ოჯახის ორი წარმომადგენელი იბრძოდა — აკაკი და ლევანი. პატარები კი — გიორგი (მსახიობ ტრისტან სარალიძის მამა) და ზურიკო სოფლის ნახირს მწყემსავდნენ და დედას სახლის საქმეებში ეხმარებოდნენ.

— მადლობა ღმერთს, ორივენი ცოცხლები დაბრუნდნენ, — აგრძელებს თხრობას ბატონი ზურაბი. — ოღონდ სასკდომმა ტყვიამ ლევანს ისეთი ჭრილობა მიაყენა, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე არ უხორცდებოდა.

ახალდაბის საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ, შრომის მომავალმა გმირმა 1948 წელს სწავლა გააგრძელა ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში.

— სასწავლებელი 1951-ში დავამთავრე და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში გამანაწილეს. როგორც წარჩინებით დამთავრებულს, მომანიჭეს უმაღლესი — მეხუთე თანრიგი. მაშინ ქარხნის დირექტორი იყო ალექსანდრე მელაძე — შემდგომში თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე, სულმნათი ვასილ მჟავანაძის, ასე ვთქვათ, თანამებრძოლი; ხოლო ჩემი საამქროს უფროსი გახლდათ ასევე დიდებული პიროვნება — თეიმურაზ დავითაშვილი, რომელიც მომავალში, თითქმის 40 წელი ხელმძღვანელობდა ავტოტრანსპორტის სამინისტროს, რაც, დამეთანხმებით, არათუ ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ მსოფლიოშიც უნიკალური შემთხვევაა!

იმ დროს ქარხანაში არამარტო ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი, მუშებიც კი, ძირითადად, არაქართველები იყვნენ.

— მანქანათმშენებლობა საქართველოსთვის არ იყო ტრადიციული დარგი, — მიხსნის ბატონი ზურაბი. — ამიტომ, როცა ეს ქარხანა 1934 წელს დაარსდა, კადრები რუსეთიდან ჩამოიყვანეს. ეს, დღეს, ქართველ კომუნისტებს ადანაშაულებენ არაპატრიოტიზმში, თორემ სინამდვილეში ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რომ არაქართველი პერსონალი ადგილობრივებით შეეცვალათ! აქ უნდა დავაზუსტო, რომ მათ მარტო „ნაციონალიზმი“ არ ამოძრავებდათ. რუსი კაცი ძალიან ნიჭიერი და პატიოსანია, მაგრამ ცნობილია სმისადმი მისი სიყვარულიც. მაგალითად, რუსი ხარატი დეტალს დასამუშავებლად დააყენებდა, მერე საამქროშივე დათვრებოდა და ბარბაცით სახლში წავიდოდა. მეორე დღეს მობრძანდებოდა და საამქროს უფროსს ულტიმატუმს წაუყენებდა: „ამდენს თუ არ გადამიხდი, ჩარხს არ გავეკარებიო!..“

ახალგაზრდა მუშას ბედმა გაუღიმა. მისი დამრიგებელი გახდა სახელგანთქმული ხარატი პავლე ზუბრიცკი.

— მასთან მუშაობა დიდი პატივი იყო. მეხმარებოდა, მითითებებს მაძლევდა. მიზნად დავისახე, გამხდარიყავი ისეთივე სახელოვანი კაცი, როგორც პავლე ზუბრიცკი იყო.

მუშაობის დაწყებიდან სულ რამდენიმე თვე იყო გასული, როცა თბილისში ჩამოვიდა გამოჩენილი გამომგონებელი მარკოვი, რომელმაც სახარატო ჩარხი — „Красный пролетарий“ შექმნა. ეს იყო ახალი ტიპის დანადგარი, მუშაობდა უმაღლესი სიზუსტით და საგრძნობლად გაუადვილა ხარატებს შრომა. მარკოვმა მიაქცია ზურაბს ყურადღება და შესთავაზა, მონაწილეობა მიეღო მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმში, რომელიც უნდა მიეძღვნათ კონსტრუქტორის ამ გამოგონებისთვის. ფილმი გადაიღეს და მისი ერთ-ერთი მთავარი გმირი ზურაბ სარალიძე გახდა.

— ეს ჩემთვის, თვრამეტი წლის ბიჭისთვის უზარმაზარი სტიმული იყო, ბიძგი! ფილმი კინოთეატრებში გადიოდა და ასე სწრაფად გავხდი, ახლა რომ იტყვიან, ცნობადი სახე!

## «ძალიან რომ მიჭირდა, ერთმა კოლექციონერმა ჩემს «გმირის ვარსკვლავში» ათი ათასი დოლარი შემომთავაზა»

**როცა ბატონმა ზურაბმა გაკვრით ახსენა თავისი მაშინდელი ხელფასი — 150 მანეთი, უნებლიეთ შევაწყვეტინე თხრობა და შევეკითხე:**

**— ეს არსებობისთვის საკმარისი იყო?**

— 150 მანეთი მეც მყოფნიდა და დედასაც ვუგზავნიდი ახალდაბაში!

**— იმდროინდელი ფასები თუ გახსოვთ, მაგალითად, პურზე?**

— როგორ არ მახსოვს! ერთი კილოგრამი თეთრი პური ღირდა 25 კაპიკი, რუხი პური — 20 კაპიკი!

***აქ მოსაუბრე ჩერდება და მიყურებს, თითქოს, მამოწმებს — მესმის თუ არა, რას ნიშნავს 25 კაპიკი ერთ კილოგრამ თეთრ პურში! მეც არ ვაყოვნებ:***

**— მჯერა, ბატონო ზურაბ! არც ისეთი ახალგაზრდა ვარ, როგორც ფიქრობთ. მე მახსოვს 10-კაპიკიანი ჭვავის 300-გრამიანი „აგური“ პური, ახლა რომ ერთი ლარი და 80 თეთრი ღირს, თანაც — ქიმიური საფუარით გაფუებული!**

— მაღაზიაში ერთი კილო ღორის ხორცი მანეთი და 80 კაპიკი ღირდა, საქონლის გაყინული ხორცი — მანეთი და 90 კაპიკი, ხოლო ახალი — ორი მანეთი! კაპიკებში ვყიდულობდით ხილსაც, ბოსტნეულს. ვცხოვრობდი საერთო საცხოვრებელში, რა თქმა უნდა, უფასოდ. გართობაც — კინო, თეატრი, მუზეუმი — კაპიკები! სამოსიც იაფი! ერთი სიტყვით, თვრამეტი წლის ბიჭი კმაყოფილი ვიყავი.

ბატონ ზურაბს დამატებით ბენზინის ფასის გახსენება ვთხოვე.

— 50-60 წლებში ერთი ლიტრი ბენზინი, თუ არ ვცდები, რვა თუ ათი კაპიკი ღირდა.

მოხდა ისე, რომ ზურაბ სარალიძე შვიდი წლით გამოეთხოვა ჩარხმშენებელ ქარხანას. სტალინის გარდაცვალების წელს — 1953-ში, იგი ჯარში გაიწვიეს.

— მაშინ ჯარი სამწლიანი იყო და დემობილიზაციის შემდეგ ოჯახურმა პირობებმა მაიძულა სოფელში დაბრუნება. დავიწყე მუშაობა ახალდაბის საავეჯო ფაბრიკაში ხარატად.

ბატონმა ზურაბმა აქაც გამოიჩინა თავი. მექანიკოს ალექსანდრე ბლიაძესთან ერთად შექმნა მექანიკური თვითმავალი დაზგა მაგიდების პოლირებისათვის. ადრე ამ ოპერაციას ხელით აკეთებდნენ და უამრავი დრო იხარჯებოდა, თანაც ხარისხითაც ვერ შეედრებოდა დაზგურს. ბატონი ზურაბი ერთი გამოგონების და 40 რაციონალიზატორული წინადადების ავტორია!

— 1960 წელს დავბრუნდი კიროვის ქარხანაში, ინსტრუმენტალურ საამქროში და აქედან 1979 წლამდე ფეხი არ მომიცვლია. ვმუშაობდი სახარატო ხრახნმჭრელ დაზგაზე — 1М61-ზე, მერე „ДИП-500“-ზე.

ქარხანაში ნელ-ნელა რუსი პერსონალი ქართულით იცვლებოდა. ადგილობრივებმა აითვისეს ხარატის, მღარავის, მბურღავის, მხეხავის სპეციალობები. სერიოზული კადრები მოდიოდნენ პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან — და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ქარხანა საკავშირო დაქვემდებარებაში იყო!

— ასეთი ვითარება, შესაძლოა, მოსკოვში, სამინისტროში, გულზე არავის ეხატებოდა, მაგრამ რა ექნათ? მშვენივრად იცოდნენ, თუ რას წარმოადგენდნენ რუსი ეროვნების მუშები, რა თქმა უნდა, მე მათი გარკვეული ნაწილი მყავს მხედველობაში, თორემ, მაგალითად, ჩემი მასწავლებელი და დამრიგებელი პავლე ზუბრიცკი საერთოდ არ სვამდა!

1966 წელს ზურაბ სარალიძე დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით! სხვა 33 წლის ახალგაზრდა მის ადგილას, შესაძლოა, თავს „დაფნის გვირგვინით“ შეიმკობდა, მაგრამ ზურაბმა პარალელურად სწავლის გაგრძელება მოინდომა და 1968 წელს ჩააბარა თბილისის მანქანამთმშენებლობის ტექნიკუმში საღამოს დასწრებულზე.

— იცით, საბჭოთა სისტემაში მუშა კარიერას გაიკეთებდა მხოლოდ პატიოსანი შრომით და საზოგადოებრივი აქტიურობით! — „მზა რეცეპტს“ მაწვდის ბატონი ზურაბი.

მართლაც, ზურაბ სარალიძის თავდადებული შრომა და აქტიურობა არ გამორჩენია რესპუბლიკის იმდროინდელ ხელმძღვანელობას. ერთ მშვენიერ დღეს ჩემი ნა- ▶

მშრომელთა უფლებებს საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია იცავდა



ექსკლუზივი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ჰქონდა მხოლოდ უზარმაზარი პასუხისმგებლობის გრძნობა. პრესიდან ვიცი, რა ხელფასები აქვთ დეპუტატებს და ყოველთვის მიჩნდება კითხვა: რატომ აქვთ ამ პარაზიტებს ამხელა შემოსავალი?! რა არგეს ქვეყანას?! სამწუხაროდ, დადებით პასუხს ვერ ვპოულობ!“**

# ამ დაზგას უნდა ვუმადლოდე, რომ მე — უბრალო მუშა, სახელმწიფო მოღვაწე გავხდი!

მრკვევის გმირი თბილისის პარტიის კომიტეტში დაიბარეს. აქ იერარქიას მკაცრად იცავდნენ. ზურაბს ჯერ მესამე მდივანი — ნიკა ცხადაია გაესაუბრა; შემდეგ „ესტაფეტა“ მეორე მდივანმა — ჰიპოკრატე შევარდნაძემ მიიღო და ბოლოს, სახელგანთქმული ხარატი პირველმა მდივანმა — ოთარ ლოლაშვილმა მიიღო. საქალაქო პარტკომიტეტიდან ზურაბ სარალიძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გააგზავნეს. აქაც ჯერ მეორე მდივანი — როდიონოვი გაესაუბრა, მისი ბიოგრაფიის რამდენიმე დეტალზე შეეკითხა. პასუხები როდიონოვს მოეწონა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელთან — ვასილ მჟავანაძესთან გაუშვა.

— ვასილი პავლოვიჩმა, რატომღაც, რუსულად დამიწყო ლაპარაკი და შემეკითხა, შევძლებდი თუ არა რუსულ ენაზე გამოსვლას. მუშის დონეზე შევძლებ-მეთქი. მჟავანაძემ გაიღიმა და უკვე ქართულად მითხრა: ძალიან კარგი, ეს საკმარისიაო. მერე მეკითხება, — ხალხი რაზეა ნაწყენიო. — არაფერზე-მეთქი, ვპასუხობ. შენ, ზურაბ, სიმართლე მითხარიო, — არ დამიჯერა ვასილი პავლოვიჩმა.

— ხორცის ყიდვა ჭირს, არსად არაა და ეს გვაწუხებს, — ვეუბნები.

— ბიჭო, ხორცის მეტი რა არის მაღაზიებში?! — გაუკვირდა მჟავანაძეს.

— გაყინულს არავინ კადრულობს, ვასილი პავლოვიჩ, — გამოვუტყდი მას. ბატონმა ვასილმა გულიანად გაიცინა და თითი დამიქნია: „უ, შე მამაძაღლოო“. შემდეგ სერიოზულად მითხრა: „ზურაბ, შვილო, შენ უნდა წარგადგინოთ ერთ ძალიან საპასუხისმგებლო თანამდებობაზეო“.

1970 წელს ზურაბ სარალიძე აირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრად და ამავე წელს აირჩიეს სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს VIII მოწვევის დეპუტატად და საგარეო კომისიის წევრად.

**ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის 21-ე წლისთავზე ქართული საზოგადოების წარმომადგენელთა უმრავლესობას (თუ ყველას არა), ჩამოუყალიბდა მყარი აზრი: დეპუტატი არის ადამიანი, რომელსაც აქვს კანონიერი უფლება ქურდობისა და ყაჩაღობისა, აგრეთვე, ნაქურდალის და ნაყაჩაღარის ხელშეუხებლობისა! რა პრივილეგიებით სარგებლობდა უზარმაზარი ქვეყნის მშრომელთა რჩეული?**

— **საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ჰქონდა მხოლოდ უზარმაზარი პასუხისმგებლობის გრძნობა,** — მტკიცედ მეუბნება ბატონი ზურაბი. — პრივილეგიებზე, თუ არ შეწუხდებით, შეეკითხეთ ცრუოპოზიციონერებს! **პრესიდან ვიცი, რა ხელფასები აქვთ დეპუტატებს და ყოველთვის მიჩნდება კითხვა: რატომ აქვთ ამ პარაზიტებს ამხელა შემოსავალი?! რა არგეს ქვეყანას?! სამწუხაროდ, დადებით პასუხს ვერ ვპოულობ!**

**— ბატონო ზურაბ, ვერ დავიჯერებ, რომ საკავშირო დეპუტატს პრივილეგიები არ ჰქონდა!**

— მოგახსენებთ. მე, როგორც საკავშირო დეპუტატს, მიხდიდნენ 100 მანეთს და არც ერთი კაპიკით მეტს! კიდევ, პრივილეგია მქონდა უფასო მგზავრობისა მოსკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში. უფასოდ მივემგზავრებოდი, როგორც საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, საზღვარგარეთ, და მთავარი პრივილეგია — ჩემ წინ, როგორც მშრომელთა რჩეულისთვის, ყველა სამინისტროს და სხვა დაწესებულებების კარები იღებოდა. შემიძლია დავუმატო, რომ მქონდა უფლება, ასე ვთქვათ, „მუშტები მებრახუნა“ ნებისმიერი მინისტრის მაგიდაზე (იღიმება). რა თქმა უნდა, როცა ამას საქმე მოითხოვდა.

**— აბა, საბჭოთა კავშირში დეპუტატებს ირჩევდნენ მხოლოდ „ხელის ასაწევადო“?**

— დეპუტატები ვმუშაობდით კომისიებში. როცა რაღაც ახალი კანონი განსახილველად შემოდიოდა, მერწმუნეთ, ვითარება ისე იძაბებოდა, რომ ხანდახან ლამის პირად შეურაცხყოფამდე მივდიოდით! როცა საკითხს ყოველმხრივ განვიხილავდით და ყველა მივიდოდით ერთ დასკვნამდე, მაშინ კანონი გამოგვქონდა სესიაზე და, რასაკვირველია, მას ერთხმად ვიღებდით!

**— და მაინც, ბატონო ზურაბ, თქვენ როგორც საკავშირო დეპუტატს, რა სარგებლობა მოგქონდათ საქართველოსთვის?**

— ერთხელ რესპუბლიკის მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, დარბაისელმა კაცმა — გივი ჯავახიშვილმა მთხოვა: „ზურაბ, „მეტრომშენმა“ უნდა დაასრულოს მეტროსადგურ „სამგორის“ მშენებლობა, საჭიროა ცხრა მილიონი მანეთიო“. ჩავედი მოსკოვში სესიაზე. სანამ სხდომები დაიწყებოდა, დავიარე ყველა საჭირო უწყება, ამაოდ! ფული არ გვაქვსო, — მპასუხობდნენ. დავურეკე თბილისში გივის. მესმის მისი ხმა: „ზურაბ, შენი ჭირიმე! შეუძლებელი ქენი, მაგრამ ცხრა მილიონი უნდა იშოვოო!“ სესიაზე სიტყვით გამოსვლის ჩემი ჯერი მოვიდა... მოვტრიალდი პრეზიდიუმისკენ და იქ მჯდომ ბრეჟნევს ვეუბნები: „Дорогой Леонид Ильич! В вашем лице великий советский народ обрел достойного вождя!“. წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა და უცებ იქუხა ხალხმა, უზარმაზარი დარბაზი „დაინგრა“ ტაშით, შეძახილებით! აბა, გაებედა მერე ვინმეს და „რაღაც“ 9 მილიონი მანეთი არ მოეცათ ჩემთვის!

ბატონი ზურაბისთვის შარის მომდები კითხვა მქონდა გამზადებული, თუ რას აკეთებდა ხარატი, რომელსაც არ ჰქონდა დიპლომატიური განათლება, საგარეო საქმეთა კომისიაში. ამ ამბავის მოსმენის შემდეგ კითხვა „მოიხსნა დღის წესრიგიდან“! კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ დიპლომატი ვერ გახდები, დიპლომატად უნდა დაიბადო!

— უფრო კურიოზულ ამბავს მოგიყვებით, — მპირდება ბატონი ზურაბი. — საკავშირო დეპუტატი გორიდან იყო მერი ტატურაშვილი. შესვენების დროს მერი მეკითხება: „ამომრჩევლებმა დამაბარეს, გორში კულტურის სახლი უნდა აშენდესო, რა ვქნა, ზურაბ?“ მე, როგორც უფრო გამოცდილმა დეპუტატმა, ვურჩიე — შედი პოდგორნისთან და, სანამ თანხმობას არ მიიღებ, მისი კაბინეტიდან არ გამოხვიდე-მეთქი! პოდგორნი გახლდათ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე, დღევანდელი ენით, საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი. ჰოდა, შევიდა მასთან მერი და უარი მიიღო. მაშინ დეპუტატი ეკითხება პოდგორნის: „Николай Викторович, у вас есть подушка и одеяло?“ გაუკვირდა პოდგორნის, რისთვის სჭირდება მას ბალიში და საბანი. ეუბნება მერი: „Пока я от вас не получу согласия, я буду жить в вашем кабинете!“. გადაიხარხარა პოდგორნიმ და საქმეც გაკეთდა!

**— ბატონო ზურაბ, თქვენ საზოგადოებრივი საქმით იყავით დაკავებული. მიუხედავად ამისა, 1977 წელს თქვენ მოგენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მიჩნდება კითხვა — როდის მუშაობდით?**

— მე არა მხოლოდ ვმუშაობდი, არამედ 1971-76 წლებში დაუსწრებლად ვსწავლობდი პოლიტექნიკურ ინსტიტუტშიც. სახლიდან დილის 7 საათზე გავდიოდი და ღამის 11-12 საათზე ვბრუნდებოდი. ჩემთვის არ არსებობდა შაბათ-კვირა და ნორმირებული სამუშაო დღე! ქარხანაში ბრიგადული სისტემა არ გვქონდა, რომ ჩემ მაგივრად სხვას ემუშავა, გამომუშავებაზე ვიყავით. ღამეც ვმუშაობდი, რომ ხელფასი მიმეღო და თანაც ჩემ გვერდით მომუშავესთვისაც საბაბი არ უნდა მიმეცა, რომ ეთქვა: მე ვმუშაობ, შენ კი დასეირნობ! ყოველთვიურად დაახლოებით 700 მანეთი შემომქონდა სახლში. გმირის „ვარსკვლავი“ რომ მივიღე, ცოლს — ნუნუს, ვუთხარი, რომ ნახევარი ვარსკვლავი მისია, რადგან ჩემი მძლავრი ზურგი იყო.

ქალბატონი ნუნუ 1991 წლის დეკემბერში გარდაიცვალა.

— როცა რუსთაველის გამზირზე საზიზღრობა მიმდინარეობდა, ნუნუ ცუდად გახდა. ღამე მივიყვანეთ „არამიანცის“ საავადმყოფოში. მისაღებში ორი მთვრალი ექიმი დაგვხვდა. ერთი თერაპევტი, მეორე — ქირურგი. ფულის გამო ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდათ! თერაპევტი ფიზიკურად უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ნუნუ თერაპიულ განყოფილებაში დააწვინეს. მეორე დღეს მოვიდა მშვენიერი პიროვნება, ქირურგი ზურაბ ცხაკაია, გასინჯა მერი და თქვა, რომ ეს მწვავე პერიტონიტია. საუბედუროდ, ოპერაცია დაგვიანებული იყო...

ზურაბ სარალიძემ, ისევე როგორც სხვა დეპუტატებმა, მრავალი მილიონი რუბლი „გამოჰგლიჯეს“ საკავშირო ხაზინას და ეს ფული საქართველოს კეთილდღეობას მოხმარდა. ცხოვრების დონით, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის, საქართველო, განსაკუთრებით ვასილ მჟავანაძის მმართველობისას, პირველობას არავის უთმობდა!

— მარტო მე, დეპუტატობისას, საქართველოში, სულ ცოტა, ოცი მილიონი მანეთი შემოვიტანე და, იცით, რაზე მტკივა გული? მაქვს 62 წლის სამუშაო სტაჟი და სახელმწიფო მიხდის 110-ლარიან პენსიას, ზუსტად იმდენს, რამდენსაც უხდის ერთ ჩემს ნაცნობს, რომელსაც ჯამში ერთი წელიც არ უმუშავია. მოხუც ადამიანს, მუშაობდა ის თუ არა, არსებობის მინიმუმი აუცილებლად უნდა მისცე, მაგრამ მშრომელსა და მუქთახორას შორის განსხვავება ხომ უნდა იყოს?!

2007 წელს საქართველოში დარჩენილმა ხუთმა სოციალისტური შრომის გმირმა რუსეთის საელჩოს მიმართა. განცხადებაში აღნიშნეს, ვინაიდან საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთის ფედერაციაა, ვთხოვთ რუსეთის მთავრობას, რომ უზრუნველგვყოს სოციალისტური შრომის გმირები პენსიით — 30 ათასი რუბლის ოდენობით (დაახლოებით 1200 დოლარი).

— მიმიწვიეს საელჩოში და განმიცხადეს, პენსიას დაგინიშნავთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიღებთ რუსეთის მოქალაქეობასო, რადგან არ გვაქვს უფლება, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს პენსია მივცეთო. ჩვენ უარი განვუცხადეთ, მაგრამ ამ პატრიოტიზმს ვინ გიფასებს?! არადა, ოჯახში ხუთი სულიდან მხოლოდ ერთი მუშაობს — შვილიშვილი ია.

დავინტერესდი კიროვის ქარხნის ბედით.

— გაძარცულია! უნიკალური ავტომატური დაზგები მიჰყიდეს თურქეთს, ირანს, ინდოეთს! გვითხრეს, ჯართის ფასადო.

მაგრამ სასწაულიც მოხდა — ზურაბ სარალიძის ჩარხი გადაურჩა „ექსპროპრიაციას“!

თოვლიანი დღეა, ყოფილ ინსტრუმენტალურ საამქროსთან ფინიების ხროვა ყეფით „გვესალმება“. შენობაში გაპარტახება მეფობს. აი, ბატონი ზურაბის დაზგაც! ალბათ, ასე ეხებოდა თავის ვიოლინოს პაგანინი, ან ამატის თუ გვარნერის შედევრებს ასევე ეკარებოდნენ სხვა შემსრულებლები! ისე, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ ხარ შენ — ხარატი თუ მუსიკოსი. ორივე პროფესია გადაჯაჭვულია და უერთმანეთოდ ვერ იარსებებს! სახელმწიფოს სიძლიერეს და დოვლათს მუშა და გლეხი ქმნიან, ხოლო ამ სიმდიდრეზე ყვავის ის ძალა, რასაც ჩვენ ხელოვნებას ვუწოდებთ!

— ამ დაზგას უნდა ვუმადლოდე, რომ მე — უბრალო მუშა, სახელმწიფო მოღვაწე გავხდი! შრომა აკეთილშობილებს ადამიანს, უსაქმურობა და მუქთახორობა კი მაიმუნად აქცევს! ძალიან რომ მიჭირდა, ერთმა კოლექციონერმა ჩემს „გმირის ვარსკვლავში“ ათი ათასი დოლარი შემომთავაზა, მაგრამ კატეგორიული უარით გავისტუმრე. ჩემი შრომით, ოფლით მოპოვებულ გმირობას არაფერზე გავცვლი! დეპუტატობა და სხვა თანამდებობა დროებითია, გმირობა კი — მარადიული.

გიორგი კორძაძე

„ამ ჩარხმა მე — უბრალო მუშა, სახელმწიფო მოღვაწედ მაქცია!“



მოსკოვი. უმაღლესი საბჭოს სესიაზე. ზ.სარალიძე (მარჯვნიდან მეოთხე)



პარიზი. ზურაბ სარალიძე — საგარეო კომისიის წევრი (მარცხნიდან პირველი). დელეგაციის ხელმძღვანელი, სკკპ ცკ-ის მდივანი ბ. პონომარიოვი (მარჯვნიდან მესამე)



საქართველო და მსოფლიო
დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზღვარგარეთიდან ახალდაბრუნებულმა თინამ შენ გარდა კიდევ 5-6 მასალა ამომიღო, მათ შორის გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორის მშვენიერი წერილიც აზიზიეს მეჩეთის შესახებ და თან დაამატა (თინა ხიდაშელმა — დ.მ.), ამიერიდან აზიზიეს მეჩეთსა და ავლანეთის თემაზე არაფერმა გაიჭაჭანოს გაზეთ „ქართულ ოცნებაშიო“!**

# მაშ, დამსიზმრებია, ანუ «მე შაირი არ მინდოდა»...

**ის „კატავასია“, რაც ჩემს ინტერვიუს მოჰყვა სოციალურ ქსელებში თუ სხვაგან, მე ისე მჭირდებოდა, როგორც თევზს „ზონტიკი“, რადგანაც ახლობელი ადამიანები უნებურად იქნებ მოვიმდურე კიდეც და უმთავრესი — ძირითადად დადებითი გამოხმაურებების ფონზე, ერთი-ორი ისეთი კომენტარიც დაიდო, რომლებშიც ჩემს პირად ამბიციებს (ანუ, როგორ თუ ჩემი წერილის ამოღება გაბედა თინა ხიდაშელმა) დაბრალდა ეს სკანდალი, ან კიდევ უარესი: ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ ბრძოლაც კი დამწამეს.**

ეს ყველაფერი მართლაც ჩემი ბრალია, რადგანაც არ არსებობს ნახევრადფეხმძიმე(!), ანუ, რაც გარკვეული მოსაზრებების გამო იმთავითვე არ ვთქვი და რის თქმასაც ახლა ვაპირებ, მაშინვე უნდა მეთქვა იმ ინტერვიუში, რომელიც „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა.

**საქმე კი შემდეგში იყო:**

გიორგი გორგოძემ ჩემი წერილის ამოღების თავისთავად არასასიამოვნო და, თუ ფორმულირებასაც გავიხსენებთ („მხეიძის არაფერი მინდა“), შეურაცხმყოფელ ფაქტთან ერთად, გაცილებით მნიშვნელოვანი და საგანგაშო რამეც მითხრა: საზღვარგარეთიდან ახალდაბრუნებულმა თინამ შენ გარდა კიდევ 5-6 მასალა ამომიღო, მათ შორის გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორის მშვენიერი წერილიც აზიზიეს მეჩეთის შესახებ და თან დაამატა (თინა ხიდაშელმა — დ.მ.), ამიერიდან აზიზიეს მეჩეთსა და ავლანეთის თემაზე არაფერმა გაიჭაჭანოს გაზეთ „ქართულ ოცნებაშიო“!

აი, ამან აღმაშფოთა, რის შესახებაც, გვიანი ღამის მიუხედავად, მაშინვე გადავურეკე რამდენიმე ჩემს მეგობარს და მათ შორის ელისო ჩაფიძესაც, რომელმაც მითხრა, რომ გაარკვევდა, რაში იყო საქმე.

ამიტომ კი არ მეწყინა, მეტკინა ელისოს კომენტარი, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, არც კი სცოდნია, რომ იმ ინტერვიუში, ერთი, მის მიმართ მოფერების ფრაზის გარდა, საერთოდ არ მიხსენებია მისი სახელი. მან კი, რადგანაც კომენტარისთვის მასაც დაურეკეს, ალბათ, იფიქრა, რომ მისი მისამართითაც პირი დავაღე და ყველაფერი ვთქვი.

არა, ჩემო ელისო! სწორედაც რომ არ მინდოდა შენი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება და ამიტომაც არ ვახსენე შენთან საუბარი. შენ კი, თუ ის თქვი, რომ „ორი დღის წინ ვესაუბრე დათოს, მან იცის, რომ თინა ხიდაშელი არაფერ შუაშია და რასაც დათო ამბობს, სიცრუეაო“, ისიც გეთქვა, რომ ორი დღის წინაც კი, ბატონო, მაგრამ იმის წინაც გესაუბრე პირველად ამ თემაზე, ანუ მეტი სიზუსტისთვის, 27 თებერვლის გვიან საღამოს დაგიფიქსირე ჩემი აღშფოთება და, პირველ რიგში, — არა ჩემი დაწუნებული სტატიის გამო.

**იმაშიც ცამდე მართალია ელისო ჩაფიძე, რომ მითხრა, თინას ვკითხე და არაფერი იცის ამის შესახებ, აქ არ იყოო! მაგრამ აქედან რაა, როო? აბა, რას ეტყოდა! იმას ჩამოარაკრაკებდა, რაც ზემოთ ვთქვი?**

სწორედ ეს ვუთხარი პასუხად ელისოს და უფრო მეტიც: შენ შეგიძლია გჯეროდეს თინიკოსი, მაგრამ მე არ მჯერა და ამ საქმეს ასე არ დავტოვებ-მეთქი. ამაზე მეტად როგორ უნდა გამეპროტესტებინა, რომ ამბობ, ჩემო ელისო, არ გაუპროტესტებია, რაც დათოს ვუთხარიო?!

ამ არდაჯერებას რომ საფუძველი აქვს, ბევრი ლაილაი რად უნდა? დღიდან ბიძინა ივანიშვილის განაცხადისა, რომ ის რესპუბლიკელებს განიხილავს უმთავრეს პარტნიორებად, საზოგადოების უმრავლესობამ რომ მდუმარე უკმაყოფილებით მიიღო ეს ამბავი, ესეც ჩემი „სუბიექტური სიზმრებია“ თუ როგორ არის საქმე?!

თუ ისაა ტყუილი, რომ, ვინც კი ამ მოკლე ხანში „ქართულ ოცნებაში“ მისვლაც მოასწრო და წამოსვლაც, წამოსვლის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად თითქმის ყველანი „თინა მამიდას“ ან ზოგადად რესპუბლიკელებს ასახელებენ?

აგერ, ახლახან არ იყო, რომ ვინმე ზაზა სვანიძემ, „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის დატოვების მთავარ მიზეზად, სხვებთან ერთად, თინა ხიდაშელის ოდიოზურობაც დაასახელა?

ან ის სკანდალი ვის და რას უნდა მივაწეროთ, რომ ამას წინათ ბიძინა ივანიშვილთან „სახალხო კრების“ წარმომადგენელთა შეხვედრის ისეთი დამონტაჟებული კადრები დაიდო, რომ მოდელირებული ქრონიკის ავტორებსაც კი შეშურდებოდათ?

კადრებში, რომელთა მთავარი მიზანიც ნინო ბურჯანაძის კიდევ ერთხელ გაშავება იყო, არ ჩანდა „სახალხო კრების“ რეაქცია თუ პოზიცია ამის თაობაზე, რის გამოც ნონა გაფრინდაშვილს სპეციალური განცხადების გაკეთება მოუწია, რომ იმ შეხვედრის ამსახველი კადრები სრული მოცულობით დაედოთ, რაც, სხვათა შორის, მგონი, დღემდე არ გაკეთებულა... არა მგონია, ამ ყველაფრის ავტორი ბატონი ბიძინა იყოს.

**მაშ, ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი თუ არა „ქართული ოცნების“ პიარსამსახურის შეფი და შეთავსებით „ყველას მამიდა“ თინიკო ხიდაშელი და ვის ავტორიტეტს ურტყამს მსგავსი „ვირეშმაკობები“ თუ არა ბიძინა ივანიშვილისას?**

და ჩემთვის ყველაზე მთავარი კითხვაა: არის თუ არა ყველაფერი, განსაკუთრებით წინამდებარე წერილის ბოლოს თქმული, პირდაპირი თუ არა, ირიბი მტკიცებულებები იმისა, რომ ყველაფერი, რაც ვთქვი, რეალურად მოხდა და არ დამსიზმრებია?

ამ კითხვაზე პასუხი საზოგადოებისთვის მიმინდვია...

რაც შეეხება ჩემს ბრძოლას „ქართულ ოცნებასთან“, დაინტერესებულ ადამიანებს შეუძლიათ, რომ ჩემს პუბლიკაციებს გადახედონ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ან „საქართველო და მსოფლიოში“ და დარწმუნდებიან, დღიდან ივანიშვილის გამოჩენისა, ჩემნაირი ერთგული მხარდამჭერი ნეტავ ბევრი ჰყავდეს ბატონ ბიძინას.

ამის კიდევ ერთ დასტურად გთავაზობთ თინა ხიდაშელის მიერ „ქართული ოცნებიდან“ ამოღებულ ჩემს წერილს (უმნიშვნელო შემოკლეით).

# ცუგცვანგში

**ნაცების ხელისუფლება სწორედაც რომ პოლიტიკურ ცუგცვანგშია! ამის გამო საშამათო ქსელში გახლართულ ხელისუფლებას მხოლოდ ცუდი და უარესი სვლების გაკეთებაღა შეუძლია...**

რომელი ერთი გავიხსენოთ იმ იგავმიუწვდომელი სისულელეებიდან, რომლებიც აშკარად შეშინებულმა, დაბნეულმა ხელისუფლებამ ჩაიდინა? ჯერ იყო და მყისიერად ჩამოართვეს ბიძინას და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა; მერე იყო და, როგორც ხატოვნად შენიშნა ირაკლი ალასანიამ, კალვერას ბანდად ქცეულმა პოლიციამ ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკი დააყაჩაღა.

ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა ისეთი დონის სისულელე, სიბრიყვე იყო, რომ ამას, როგორც იტყვიან, „იარი“ მიშისტებიც კი აღიარებენ. თანაც ამ ფონზე თუ პირიქით, ბიძინასათვის ბორისის დარქმევა, აქაოდა რუსეთში ბორიას ეძახოდნენო, ამ პრიმიტივიზმს ერთი უსუსური ქვეტექსტი ჰქონდა — არც ახლა გჯერათ, რომ ივანიშვილი კრემლის აგენტიაო? რაც ხელისუფლების გონებაშეზღუდულობაზეც მეტყველებს. რადგანაც, არა თუ პოლიტიკაში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებულებს, არამედ, უკანასკნელ, უბირ გლეხსაც უეჭველად გაახსენდებოდა თავის დროზე ამავე კონტექსტში ცხონებული ბადრი პატარკაციშვილის „გაარკადება“.

ერთი სიტყვით, კუკარაჩასი არ იყოს, მეთოდები დაუძველდა ჩვენს მურტალოს, რადგან მაგას ახლა აღარავინ ჭამს...

ამიტომაც დაიწყო მასობრივი მოძრაობა, ხელმოწერების შეგროვება ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით და მოკლე ხანში 300 ათასზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა. ეს აქცია გარკვეულწილად პლებისციტს, რეფერენდუმს, გნებავთ, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებსაც ჰგავდა, რომელზეც, როგორც კახეთში იტყვიან, „მთელი დინგი-დუნიის დასანახად“ ლამის სრულიად საქართველომ ბიულეტენში მიშა გადახაზა და ბიძინა ივანიშვილს მისცა ხმა!

იგივე ეფექტი იქონია „კალვერას“ მიერ „ქართუ ბანკის“ დაყაჩაღებამ და ამ ფონზე მავანი ორგანიზაციების თუ ბუბა კიკაბიძის მსგავსი უნამუსოების მიერ ამ ბანკის მომსახურებაზე უარის თქმამ — „ქართუ ბანკთან“ რამდენიმე დღე უწყვეტი რიგები იდგა და მოკლე ხანში გაჭირვებულმა ხალხმა უკანასკნელი გროშებით „ქართუ ბანკში“ მრავალი ათასი ახალი ანგარიში გახსნა!

მართლაც საოცარი და განუმეორებელი ხალხი ვართ ქართველები — ვინმეს სადმე უნახავს ამისთანა ამბავი? — ქვეყნის უმდიდრეს კაცს ულარიბესი ხალხი ეხმარებოდა!

სწორედ ამისთანების გამო დაინახა „დინგი-დუნიამ“ ქართველი საზოგადოების განწყობა და აშშ-ის ელჩის, ჯონ ბასის თამადობით, საქართველოში აკრედიტებული მთელი დიპკორპუსი ეწვია ბიძინა ივანიშვილს...

ამას წინათ კი, როგორც იქნა, შედგა ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“, როგორც პოლიტიკური პარტიის ჩანასახის პრეზენტაცია — საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა იმ, დაახლოებით ოცკაციანი საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა, რომლის გარშემოც უნდა აშენდეს ეს პარტია.

ამთავითვე ერთი რამის თქმა დაბეჯითებით შეიძლება — შესრულდა საზოგადოების მთავარი დაკვეთა და მომავალი პარტიის სავარაუდო ბირთვში არავინ არის ისეთი, ვისაც წარსულიდან უარყოფით შლეიფად მოჰყვება უზნეობა, ხელმრუდობა, ვერცხლისმოყვარეობა, ზედმეტი ლიბერალობა და ა.შ.

ამ უკანასკნელთან მიმართებაში, ნიშანდობლივი იყო არჩილ კბილაშვილის გამოსვლა, როცა მან განაცხადა, რომ ე.წ. ლიბერალური დემოკრატია მისთვის, პირველ რიგში, ეროვნულ, მართლმადიდებლურ ღირებულებებს (ალბათ, მთელი „ქართული ოცნებისთვისაც“) ნიშნავს!

თუმცა ადვოკატმა კბილაშვილმა ლამის წყალი გადაასხა ამ ყველაფერს სექსის ფიზიოლოგიასა თუ უპოვართა პოლიტიკაში მოსვლაზე საუბრით, რადგანაც ეს ის შემთხვევა გამოდგა, როდესაც კარგ მთქმელს კარგი გამგონი ყველგან არ ეყოლებოდა. თორემ იქ, სადაც „კარგი გამგონის“ დეფიციტი არ არის, ცხადია, რომ მინიშნება, ქვეყნის პირველი პირის უკონტროლო სექსუალურ თავგადასავლებზე იყო, რაზედაც შინ თუ გარეთ ლეგენდები დადის.

რაც შეეხება უპოვართა პოლიტიკაში მოსვლა-არ მოსვლას, თუ ახირებული „ჩოლოყაანთ ლევანა“ არა ხარ, ბიძინა ივანიშვილის მილიარდები კი არა, ილიკო ჩიგოგიძის კვიმატი ენა უნდა გაგახსენდეს — გადახედეთ ლამის მთელ პარლამენტს, სამინისტროებს და ა. შ. — პოლიტიკაში მართლაც „ცალ-ცალი კალოშით“ მოთრეულები, ახლა სამსართულიან ვილებსა და „ნავაროჩენი“ ჯიპებში (ტყავის პალტოები და რეზინის ჩექმები აღარ არის მოდაში) არიან გამოჯგიმულნი.

ყველაფრის გვირგვინი მაინც „ჩვენი მაღალის“ ისტერიკა იყო ცაგერში, რომელსაც მორიგს ვერ ვუწოდებ, რადგანაც ასეთებს მისგანაც კი ცოტა თუ ელოდა.

თავი დავანებოთ იმას, რომ ბოლო 800 წლის განმავლობაში არ ყოფილა საქართველოში ისეთი აღმშენებლობა, როგორიც დღესაა, რადგანაც ეს განდიდების მანიის მხოლოდ მორიგი, შიზოფრენიული კლინიკაა; იმასაც, რომ „არიან ძალები, რომლებსაც ეს აღმშენებლობა აღიზიანებთ“ და რომ ეს ძალები „ყველანი ცხოვრობდნენ ერთ ქუჩაზე, დენი იყო მარტო იმ ქუჩაზე, გზებს აგებდნენ მარტო იმ ქუჩაზე“; რადგანაც ესეც ცნობილი და მორიგი, მიშას ქვეშეცნეულში განფენილი პათოლოგიური, შიშნარევი ზიზღის გამოვლინებაა, თბილისის, განსაკუთრებით „იმ ქუჩების“, ვერა-ვაკის მოსახლეობის მიმართ.

თუმცა ერთ რამეს მაინც შევახსენებ საზოგადოებას — თავის დროზე, სწორედ ვერა-ვაკის მაჟორიტარი გახდა მიშა, საიდანაც დაიწყო მისი ოპოზიციური აღმასვლა.

მაგრამ „მუქთახორა, არაფრის მაქნისი, კორუფციითა და ხალხის ძარცვით გაქსუებული“ უწოდო ვის: ყველასთვის საყვარელ ნინელი ჭანკვეტაძეს, აკადემიკოს ვანო კიღურაძეს, მწერალ გურამ ოდიშარიას და, განსაკუთრებით, ელისო ჩაფიძეს? დანარჩენებს აღარ ჩამოვთვლი „ქართული ოცნების“ პარტიის ახალი სახეებიდან.

რატომ განსაკუთრებით ელისო ჩაფიძე? არა იმიტომ, რომ ჩემი კოლეგაა, არამედ ელისო ჩაფიძე იყო „რეზონანსში“ ლამის ერთადერთი ჟურნალისტი, ვინც „ვარდების რევოლუციამდე“ მიშას იმიჯს „ქაჩავდა“.

ლამის იმიტომ, რომ თქვენი მონამორჩილიც ელისოს თანამოაზრე ვიყავი ამ საქმეში და ხშირად „რეზონანსის“ მეპატრონისგან ფარულადაც (რადგანაც მაშინ არ სწყალობდა ნაცებს) კი ელისოს დახმარებით „გამითრევია“ ნაცებისთვის სასარგებლო მასალები, რასაც სრულიად უანგაროდ ვაკეთებდით, რადგანაც, ისევე როგორც ბევრს, ჩვენც გულუბრყვილოდ გვჯეროდა „ახალგაზრდა რეფორმატორების“ კეთილი ზრახვებისა.

თუმცა, მგონი, კალამი გამექცა და იქნებ თავის ქებაც გამომივიდა, მაგრამ ასე იყო და რა ვქნა?

ჰოდა, ნათქვამია: თავის ქება კიტრადა ღირსო. ამიტომ მხოლოდ ელისო ჩაფიძეზე გეტყვით: ელისოც „რუსთავი 2“-ის დონაძეებზე არანაკლებად სასურველი ჟურნალისტი იყო „მიშას კარზე“, დონაძეებზე, რომლებმაც თემურ ყვითელაშვილის გიტარასავით აიწყვეს და მოიწყვეს უზრუნველი ცხოვრება პოსტრევოლუციურ საქართველოში! მაგრამ ეს სხვა თემაა და მთავარს დავუბრუნდეთ...

აკი, თქვა მიშამ, რჩევები კარგია, მაგრამ გადაწყვეტილებას მე მივიღებო! ჰოდა, ცაგერის ისტერიკა იმის ნიშანია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია — მიშნაცები არაფრისდიდებით არ აპირებენ ხელისუფლების დათმობას!...

**დავით მხეიძე**

ისრაელის „უსაფრთხოების“ რამდენიმე ფირმა (S.SISTEMS, ELBIT SISTEMS, GLOBAL CST), აგრეთვე, ისრაელის აგენტები თურქეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში ორგანიზაციას უწევენ მძლავრი დაღესტნური იატაკქვეშა მოძრაობის შექმნას რუსეთთან და საქართველოსთან საბრძოლველად. სეპარატისტებს აფხაზეთის, ჩეჩნეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განლაგებულ ბანაკებში ებრაელი ინსტრუქტორები წვრთნიან.

კონსპიროლოგია
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

დასასრული. დასაწყისი იხ. №2-10 (140-148)

**ჯერ კიდევ 1991 წელს ისრაელიდან ჩამოსულმა „ბიზნესმენებად“ წოდებულმა ორმა ბანდიტმა — ფუქსმა და ფრენკელმა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, გამსახურდიას დაშინებითა და მუქარით მოახერხეს, ხელში ჩაეგდოთ ქვეყნის ბუნებრივი რესურსებით ერთპიროვნულად და სამუდამოდ (!) სარგებლობის უფლება. ხელშეკრულება, აგრეთვე, ითვალისწინებდა ყველა არსებული და მომავალი მილსადენის ხელმძღვანელობას, ნახშირწყალბადების მონოპოლიურ გადამუშავებას და ამ საქმიანობიდან დაუბეგრავად 100 პროცენტის შემოსავლის მიღებას.**

2007 წლიდან ისრაელის სამხედრო ავანტიურებში ჩართულ სააკაშვილს არ შეეძლო ამ საკითხის წამოწევა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისრაელმა იგი კატასტროფულ მდგომარეობაში მიატოვა, მან არაერთხელ დასვა საკითხი, რომ ებრაელებმა რაიმე მაინც უნდა დათმონ საკუთარი შემოსავლებიდან. პასუხად მხოლოდ დაცინვა მიიღო. მაშინ სააკაშვილმა საქმე საერთაშორისო სასამართლოს გადასცა, თითქოს არ ესმოდა, რომ ყველა საერთაშორისო ორგანოს ებრაელები აკონტროლებენ. სასამართლომ არა მარტო გაამართლა ფუქსი და ფრენკელი, არამედ საქართველოს მათ სასარგებლოდ 100 მილიონი დოლარი დააკისრა!

მაშინ საქართველოს მთავრობამ დამატებითი მტკიცებულებები წარუდგინა სააპელაციო სასამართლოს ამ ბიზნესმენების არაკეთილსინდისიერების, მათი მხრიდან შანტაჟისა და კრიმინალური მეთოდების შესახებ. **ისრაელის დაზვერვის მეშვეობით ფუქსმა და ფრენკელმა მოიპოვეს აპელაციის საიდუმლო ფაილი და მის მიხედვით კონტრზომები დაგეგმეს. ისინი შეუთანხმდნენ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ხარაიძეს, რომ იგი 7 მილიონი დოლარის სანაცვლოდ სასამართლოზე მათ სასარგებლოდ გამოვიდოდა. ხარაიძემ ამის შესახებ ქართულ პოლიციას აცნობა. შეხვედრა სტამბოლში გაიმართა და როგორც ქართული, ისე რუსული სპეცსამსახურების ფარული კამერებით ჩაიწერა. შემდგომ ეს თაღლითები დააპატიმრეს.**

ისრაელის ხელისუფლებამ მაშინვე მოითხოვა ამ ორი ბანდიტის გათავისუფლება. გადაიდო რამდენიმე მაღალი დონის ვიზიტი. მუქარები ისრაელიდან არ წყდებოდა. თუ წიაღისეული ამ ორი აფერისტის ხელში იყო ჩავარდნილი, მიწის ზემოთ რაც დარჩა, ის ისრაელის თაღლითურმა სამშენებლო კომპანიებმა მიისაკუთრეს. გადასახადის გადაუხდელობის გამო საქართველომ 2010 წლის აგვისტოში ისრაელის ფირმა Ashtrom International-ის საქმიანობა შეაჩერა. როცა ნოემბერში თბილისის სასამართლომ კნესეტის ექსდეპუტატ ეფრაიმ გურისა და ბიზნესმენ აბრამ ნონიკაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა, სააკაშვილს ისრაელიდან დაურეკეს და გააფრთხილეს, რომ მეორე დღემდე შეიძლება აღარც ეცოცხლა.

თუმცა თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ ყველაფრის შემდეგ საქართველო ისრაელისგან გათავისუფლდა, ცდება. ისრაელის პოლიტიკური და ეკონომიკური ექსპანსია საქართველოში გრძელდება. 2011 წელს კნესეტის ყოფილმა დეპუტატმა შმუელ ფლატო-შარონმა თავის გიგანტურ ფერმაში საქართველოში ხელისუფლებისგან ხილისა და ბოსტნეულის მოყვანის უფლება მიიღო. ისრაელში მას ეს ბიზნესი 50 მილიონი დოლარი დაუჯდებოდა, საქართველოში კი — 90 პროცენტით ნაკლები. გარდა ამისა, მას ეკუთვნის ელექტროსადგური და ელიტური საცხოვრებელი კომპლექსი. 2008 წელს ერეზ პილცთან ერთად მან 60 მილიონი დოლარი ჩადო თბილისის გარეუბნებში სამი ცათამბჯენის აშენებაში.

2011 წელს ისრაელის მხრიდან აფხაზეთთან 2009 წლამდე „გაყინული“ მოლაპარაკებების აქტივიზაცია მოხდა. როგორც ირკვევა, 2008 წელსაც, სააკაშვილის ზურგს უკან ეს მოლაპარაკებები გრძელდებოდა, რაც კიდევ ერთხელ ნათელს ხდის, რომ არ არსებობს ისრაელზე უფრო უპირო პარტნიორი. **2002 წლიდან ისრაელი თავის ემისრებს გზავნიდა აფხაზეთში და საქართველოსგან მისი გამოყოფის წახალისებას ეწეოდა**. ასე, ისრაელი ერთი ხელით სააკაშვილს დაკარგული რეგიონების დაბრუნებაში დახმარებას ჰპირდებოდა, მეორით კი ამ რეგიონებს აიარაღებდა.

თუ 2002 წლიდან ისრაელი აფხაზეთში უცნობ სამხედრო სპეციალისტებსა და მოსადის აგენტებს გზავნიდა, 2003-2004 წლებიდან იქ ჩასვლა უკვე ოფიციალურმა დელეგაციებმა იწყეს. ამავე დროს ისრაელი სააკაშვილს არწმუნებდა, რომ საკუთარი აგენტების მეშვეობით ყველაფერს ილონებდა, რათა აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებულიყო, ხოლო აფხაზურ მხარეს საპირისპიროს ჰპირდებოდა.

**2004 წლის ივლისში იქ ისრაელის ელჩი რივკა კოენი ჩავიდა, მასთან ერთად იყვნენ ებრაელთა მსოფლიო სააგენტო „სოხნუთის“ ხელმძღვანელი საქართველოსა და სომხეთში, დოვ პიკულინი, „ჯოინთის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში, მეირ ზიგოვი და სხვ. აფხაზეთის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ მაშინ განაცხადა: „ვიმედოვნებ, რომ სწორედ ისრაელი დაგვეხმარება საქართველოსგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში და პირველები სწორედ თქვენ გვაღიარებთ“. 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ისრაელის წარმომადგენლებს ასე მიმართა: „თქვენ ჩვენი იმედი ხართ. ისრაელთან ურთიერთობების განვითარება ყველაზე პერსპექტიული და პოზიტიურია, რასაც ვხედავ“.**

2009 წელს „კერძო“ ვიზიტებით აფხაზეთში ჩადიოდნენ ისრაელ ზივი (Global CST-ის ხელმძღვანელი), მოსადის ხელმძღვანელები, ე. წ. ევრაზიული ებრაული კონგრესის წარმომადგენლები, დიპლომატი ბენ ცვი (ალიკ ფაინბოიმი) და სხვა მრავალი.

2010 წელს აფხაზეთში 17 ბიზნესმენმა ამოჰყო თავი მოსადთან დაკავშირებული მეწარმეების – მარკ ბურლოსა და ელი იუდას მეთაურობით, რომლებიც შემდეგ მაქოსავით მიმოდიოდნენ სოხუმსა და თელ-ავივს შორის. რეგულარული შეხვედრები სერგეი შამბასა და მთავრობის აპარატის უფროსთან სწავლების, პროპაგანდის, საიდუმლო გეგმებისა და სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავების ნიშნით მიმდინარეობდა. სანაცვლოდ კი ისრაელს საშუალება უნდა მისცემოდა, აფხაზეთისთვის წამგებიანი პირობებით შესულიყო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, წიაღისეულის მოპოვების და მედიცინის სფეროებში. საფიქრებელია, რომ ამ ყველაფრისთვის ისინი აფხაზ ლიდერებს კარგად უხდიდნენ.

2010 წლის ივლისში აფხაზეთის დელეგაცია ვიცე-პრემიერ დაურ თარბას ხელმძღვანელობით უკვე მეტროპოლიაში – ისრაელში მიემგზავრება. რაზე მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, უცნობია. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ ვიზიტის დეტალები არ გახმაურებულა.

უკვე 2011 წლის აპრილში მტაცებლური საჯაშუშო ფირმა Global CST-ი თავისი წარმომადგენლების პირველ ჯგუფს გზავნის აფხაზეთში. ეს ფირმა საკუთარ თავს წარმოაჩენს, როგორც შეიარაღებისა და დაქირავებულ მებრძოლთა, დაზვერვის, ელექტრონული თვალთვალის, თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მომსახურების მიმწოდებელს. საინტერესოა, რომ ისრაელის ყველა ორგანიზაცია საკუთარ თავს „გლობალურს“ უწოდებს, რაც მართლაც გლობალური მასშტაბის უზომო ამბიციებსა და ძალაუფლებისკენ სწრაფვას ასახავს! კონფიდენციალური წყაროების მიხედვით, თვით პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ დაკავშირებულია ამ ფირმასა და მის ხელმძღვანელობასთან. აფხაზეთში ჩასულ ჯგუფში ნეთანიაჰუს პირადი სამხედრო მდივანი მეირ კლიფი იყო, რომელიც Global CST-ის გენერალური დირექტორის პოსტს იკავებდა.

ისრაელ ზივი მსოფლიოს ერთ-ერთი მთავარი სამხედრო დამნაშავეა. გაეროს რამდენიმე კომისიამ, უამრავმა სახელმწიფომ, თვით ბრიტანეთისა და აშშ-ის სამთავრობო კომისიებმა იგი დამნაშავედ ცნეს. გენერალი ზივი „კოლექტიური სასჯელის“ მომხრეა. თუ ისრაელ აგრესორს მცირედი წინააღმდეგობაც კი ხვდება, ზივი ანადგურებს მშვიდობიან მოსახლეობას მთელ რაიონში, სადაც ერთი ჯარისკაცი მაინც აღმოჩნდება. თუ ისრაელი დაქირავებულები რომელიმე დიქტატორული რეჟიმის, ან ნარკომაფიის ბანდიტების, ან თუნდაც აჯანყებული სეპარატისტების მხარდასაჭერად იბრძვიან, ისინი სწორედ გენერალ ზივის ტაქტიკას იყენებენ.

**ფრანგული წყაროების მიხედვით, ისრაელ ზივი ასრულებდა საკვანძო როლს 2006 წელს ლიბანში ჩადენილ სამხედრო დანაშაულებში.** სწორედ მან გასცა დაბომბვის ბრძანება, რის შედეგად 1187 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა, 15 ათასი სახლი დაინგრა, ხოლო მილიონი ლიბანელი ლტოლვილად იქცა. 2007 წელს გენერალი ზივი იარაღს აწოდებდა კონგოს, ჩადს, სუდანსა და სომალის. თითო დაქირავებულისთვის იგი 900-დან 1300 დოლარს იღებდა, დაქირავებულებს კი 30-დან 50-მდე დოლარს უხდიდა. ამ სისხლიან ბიზნესში ისრაელის სამი პრემიერ-მინისტრი იყო ჩართული: ეჰუდ ბარაკი, ეჰუდ ოლმერტი და ბენიამინ ნეთანიაჰუ. 2008 წელს ზივის ფირმა უკვე სამხრეთ ოსეთში გამოჩნდა. მის მიერ დაქირავებული მებრძოლები რუს სამხედროებს ებრძოდნენ.

**ისრაელის ამ ფირმამ სამხედრო დანაშაულები ჩაიდინა ნიგერიაში, ალჟირში, ზამბიაში, სომალიში, ეთიოპიაში, სერბიაში, ჩინეთში, ინდოეთში, კოლუმბიაში, ჩილეში და სხვა მრავალ ქვეყანაში.** აი, ასეთი ფირმა შევიდა აფხაზეთში. მხოლოდ ის, რომ მკვლელები და ყაჩაღები „სოციალურ სფეროში“ შეიჭრნენ, უკვე ეჭვს ბადებს. ცნობილია, რომ ისრაელი აფხაზეთს შეიარაღებას მიაწვდის, მაგრამ კონკრეტულად რას – უცნობია. კიდევ უფრო უცნაურია ის, რომ ისრაელის მხარე საკუთარ თავზე ტურიზმის, სასარგებლო წიაღისეულის (ქვანახშირის, ტყვიის, თუთიის, მოლიბდენის, ბარიტის, ვერცხლის, ნიკელისა და სპილენძის) მოპოვებაზე კონტროლს იღებს. არც სოფლის მეურნეობაა დავიწყებული.

**პარალელურად ისრაელის წარმომადგენლები ხვდებიან დევნილობაში მყოფ აფხაზურ მთავრობას და საკონსულტაციო და სამხედრო დახმარებას ჰპირდებიან, შემდეგ ამ მოლაპარაკებებს წყვეტენ და აფხაზეთში არსებულ გასამხედროებულ ჯგუფთან იჭერენ საქმეს, რომლის მიზანი „რუსული ოკუპაციის შეწყვეტა“ და საქართველოსთვის აფხაზეთის დაბრუნებაა.**

ამავე დროს ისრაელის „უსაფრთხოების“ რამდენიმე ფირმა (S.Sistems, Elbit Sistems, Global CST), აგრეთვე, ისრაელის აგენტები თურქეთში, ჩეჩნეთსა და დაღესტანში ორგანიზაციას უწევენ მძლავრი დაღესტნური იატაკქვეშა მოძრაობის შექმნას რუსეთთან და საქართველოსთან საბრძოლველად. სეპარატისტებს აფხაზეთის, ჩეჩნეთის, თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განლაგებულ ბანაკებში ებრაელი ინსტრუქტორები წვრთნიან. 2012 წლის იანვრისთვის გაწვრთნილი ისლამური ექსტრემისტების უმრავლესობა დაღესტანში დაბრუნდა, სადაც მათ წინაშე „ძირძველი დაღესტნური“ მიწის დაბრუნების ამოცანა დააყენეს. ეს მიწები დღეს საქართველოს შემადგენლობაშია. **ებრაელები ყოველთვის დაუჭერენ მხარს ნებისმიერს – ქრისტიანის წინააღმდეგ. ასე იყო კოსოვოშიც და ოსეთშიც.**

იოსებ ზაალიშვილი 2011 წლის 28 სექტემბერს წერდა, რომ ბევრი მუსლიმი მოჯაჰედობამდე თურქეთმა მიიყვანა, რომელიც ყოველთვის უჭერდა მხარს ჯიჰადს კავკასიაში. გარდა წვრთნისა და ტრენინგისა თურქეთში, რის შემდეგაც „ისლამის მეომრები“ დაღესტანსა და ჩეჩნეთში არსებულ შეიარაღებულ რაზმებს უერთდებიან, დაჭრის შემთხვევაში ისინი კვლავ თურქეთში ბრუნდებიან, სადაც მათ უფასოდ მკურნალობენ და პოლიტიკურ თავშესაფარსაც აძლევენ. სხვა ავტორი, არმაჯანიანი წერს, რომ თურქეთსა და ისრაელს შორის წინააღმდეგობების მიუხედავად, ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ მუსლიმი ექსტრემისტების დაფინანსების, შეიარაღებისა და ჩრდილოეთ კავკასიაში გაგზავნის საქმეში. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ თურქეთი მოჯაჰედებს რუსეთის წინააღმდეგ უჭერს მხარს, ხოლო ისრაელი, — პირველ რიგში, ოსების, ქართველებისა და სომხების წინააღმდეგ. ამ მიზნით იგი საკუთარ ფარულ გავლენას იყენებს ისლამის იდეოლოგებსა და საველე მეთაურებზე და ჩააგონებს მათ, რომ საქართველოს საკუთარი „ძირძველი“ მიწები წაართვან. ამიტომ მათ საკუთარი იარაღი არა რუსეთის, არამედ საქართველოს წინააღმდეგ უნდა მიმართონ.

ისრაელისთვის ამ ეტაპზე რუსეთთან დაპირისპირება სულაც არ არის საჭირო; რუსეთმა მას საკუთარი ბაზარი, ტერიტორიები, ბუნებრივი რესურსები გაუხსნა. 2-3 წელიწადში ისრაელი კავკასიის კურორტებს, მრეწველობას, ტელეკომუნიკაციებს და წყალმომარაგებას, სოფლის მეურნეობას, ვაჭრობასა და ფინანსებს დაეუფლება.

სამაგიეროდ, თუ დღეს მუსლიმი ექსტრემისტების მეშვეობით დაღესტნის ტერიტორიიდან საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება მოხერხდება, ასეთ შემთხვევაში ეჭვიან და პარანოიდალურ სააკაშვილს ვერავინ დაარწმუნებს, რომ კონფლიქტი კრემლის მითითების გარეშე დაიწყო. ამ გზით ისრაელი რუსეთსა და ირანსაც დააპირისპირებს (ირანი ხომ ბოლო ხანს სულ უფრო უახლოვდება საქართველოს). კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი მოტივი ისიც არის, რომ სააკაშვილზე და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ლიდერებზე ზეწოლის მოხდენის საშუალება გაჩნდება, რათა ისრაელთან კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე წავიდნენ.

საამისოდ კი ყველა პირობაა შექმნილი, რადგან საქართველოშიც და ჩრდილოეთ კავკასიაშიც ისრაელმა, კარგა ხანია, საკუთარი „გუბერნატორები“ დანიშნა. უპრინციპო აფხაზები კი ისევე წაიტეხენ კისერს, როგორც ისრაელს მინდობილ სააკაშვილს დაემართა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბერძნეთი უკვე გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან. როგორც დრაგი ირწმუნება, ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობს. სხვათა შორის, არც იმის იმედად შეიძლება ყოფნა, რომ ჩინეთი მაინცადამაინც გულით მოინდომებს თავისი ფულით ევროზონის გადარჩენას.**



# ბოგანოთა ევროპა

**საკმარისია ევროპისთვის კომპლიმენტების შეთხზვა. პოლიტიკოსებმა არ იციან, რა უნდა ქნან მომავალში და მოქალაქეებს აბითურებენ. „ევროპა ჩვენი მომავალია, მას ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს, მომავალს ოპტიმიზმით ვუყუროთ, ჩვენ და ჩვენი ევროპა ხომ კრიზისიდან გამაგრებულები გამოვალთ. საკმარისია, მოვინდომოთ. არაა საჭირო განგაშის ზარების შემოკვრა“, — წერს „Bild“-ში გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰელმუტ კოლი.**



თეოდორ ვაიგელი, რომელიც ჰელმუტ კოლის კაბინეტში ფინანსთა მინისტრად მუშაობდა, ამბობს: „ევროპული კავშირი იმ ათასწლოვანი ომის დასასრულია, რომელსაც ყველა ყველას წინააღმდეგ აწარმოებდა. ევროკავშირი არის დაუმსახურებელი სამოთხე მთელი კონტინენტის მცხოვრებთათვის. ევროკავშირი ევროპული ისტორიის ოქროს საუკუნის აღმნიშვნელია“.

ასე ადამიანს, შესაძლოა, თავბრუ დაესხას. „დაუმსახურებელი სამოთხე მთელი კონტინენტის მცხოვრებთათვის“... როდესაც საუბარი ევროპას ეხება, სახელმწიფო მოხელეებს და ყველას, ვინც თავს ასეთად მიიჩნევს, სიტყვების საძებრად ჯიბეში ხელის ჩაყოფა არ სჭირდება. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ სიტყვებს თითქმის არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

მაგრამ, მოდით, სიმართლე ვთქვათ, **რა გამოვიდა ევროპული იდეისაგან? ამ ევროპას არ შესწევს უნარი, საკუთარი მოქალაქეები გამოკვებოს. ათასობით განათლებული პორტუგალიელი ინჟინერი და სპეციალისტი ეკონომიკური და ფინანსური კრიზისისაგან პორტუგალიის ყოფილ აფრიკულ კოლონიაში — ანგოლაში გარბის.** ეს ხუმრობა არ გეგონოთ, სწორედ ანგოლაში გარბიან. იქ მათთვის არის სამუშაო, რომელსაც ევროპაში, დიდი ხანია, ვეღარ შოულობენ.

„უმუშევარი პორტუგალიელებისთვის ანგოლა შეუზღუდავი შესაძლებლობების ქვეყანა ხდება“, — იუწყება ტელეარხი „ARD“-ი. თავად პორტუგალიის პრემიერ-მინისტრი პედრო პასუშ კოელიუ თავის თანამოქალაქეებს მოუწოდებს, გადაბარგდნენ ახალ ადგილას და იქ გამომუშავებული ფული სამშობლოში გამოგზავნონ, რათა ქვეყანამ კვლავ ფეხზე დადგომა შეძლოს.

აი, რა უნდა ახსოვდეთ ევროპელებს. **ჩამორჩენილ აფრიკას შეუძლია პორტუგალიელებს ბევრად უფრო მეტი შესთავაზოს, ვიდრე პოლიტიკოსების მიერ ნაქებ ევროპას. აი, მწარე სიმართლე.**

პორტუგალიაში, საბერძნეთში, ესპანეთსა და იტალიაში 25 წლამდე ახალგაზრდების ნახევარი უმუშევარია. იქ, სადაც ზოგიერთმა მაინც მოახერხა ცუდადანაზღაურებად სამსახურში მოწყობა, უმეტესწილად არავინ ანაზღაურებს სადაზღვევო ხარჯებს. იმ პენსიის იმედი, რომელმაც ეს ადამიანები სიბერისას უნდა არჩინოს, საერთოდ არ უნდა ჰქონდეთ. უკვე ყველგან ღიად და გახსნილად საუბრობენ დაკარგულ თაობაზე. გაინა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდგომ რაიმე მსგავსი მოხდა? და ეს ის ევროპაა, რომელზეც ევროპელები ოცნებობდნენ?

ეს არის ევროპა, რომელიც უკვე აღარ სცემს პატივს თავისი მოქალაქეების დემოკრატიულ უფლებებს. იტალიას სათავეში ჩაუდგა „ექსპერტების მთავრობა“. ამ მთავრობის მეთაური მარიო მონტი, ისევე, როგორც საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ლუკას პაპადიმოსი და ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი მარიო დრაგი, ერთ დროს ბანკ „Goldman Sachs“-ში მუშაობდა, შესაბამისად, არის იმ ფინანსური ინდუსტრიის წარმომადგენელი, რომელმაც კარგი ფული იშოვა ევროპელი ხალხის მიერ გადახდილი გადასახადებიდან უზრუნველყოფილი მრავალმილიარდიანი ეკონომიკური დახმარებით.

სხვათა შორის, იტალიელ ხალხს მონტის ხელისუფლება არ აურჩევია და დემოკრატიის საზომით ის არალეგიტიმურია, მაგრამ, თუ დავუჯერებთ გერმანიის ფინანსთა მინისტრ ვოლფგანგ შოიბლეს, რომელიც საბერძნეთის ანალოგიურ „ექსპერტულ მთავრობას“ ამყარებს, იტალიის ექსპერტების დიქტატურას მომავალი აქვს.

ბერძნებს ჩამორთმეული აქვთ უფლება, სახელმწიფოს ოქროს სავალუტო რეზერვები განკარგონ. როგორც „New York Times“-თან ინტერვიუში საბერძნეთის ყოფილმა შრომის მინისტრმა ლუკა კაცელიმ განაცხადა, კრედიტორებმა — ბანკებმა და ჰეჯ-ფონდებმა — ოქროზე პირდაპირი შეტევა დაიწყეს. მათ მოუწევთ, როგორც ამას ევროკავშირი მოითხოვს, დათანხმდნენ იმ დახურული ანგარიშის შექმნას, რომელზეც ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავლები ვალების დასაფარად. საბერძნეთის ფინანსების მართვა გერმანელმა ჩინოვნიკებმა უნდა იტვირთონ. ევროპა, როგორც სუვერენული სახელმწიფოების კავშირი, დიდი ხანია, აღარ არსებობს.

«ევროპული სახელმწიფოს ნაქებმა სოციალურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა»

**ეს ევროპა ემორჩილება ეკონომიკურ მთავრობას, რომელსაც ვერც ერთი პარლამენტი ვერ აკონტროლებს. ის აიძულებს თავის მოქალაქეებს, დაიცვან მკაცრი რეჟიმი, ბანკები კი ამ დროს ძველებურად იღებენ პროცენტებს. ესოდენ რადიკალური ზომების შედეგი განაპირობებს საზოგადოების ფართო ფენების გაღატაკებას და გამოუსწორებელ ზიანს აყენებს საზოგადოებას, მაგრამ ეს დიდად არ აღარდებს ევროპას, რომელიც ამ ყველაფრის პარალელურად განათლებისთვისაც ამცირებს ხარჯებს.**

ეს ევროპა მშვიდობისა და დემოკრატიის საწინდარი უნდა გამხდარიყო. დასაწყისში ამბობდნენ: „არა — ახალ ომს!“ დღეს ქმედუუნაროებად გამოცხადებული ბერძნები წვავენ გერმანულ დროშებს, ბერძნული მასმედია გერმანელ პოლიტიკოსებს ნაცისტურ უნიფორმაში გამოწყობილს ბეჭდავს. ახლა ისეთი სიძულვილი მეფობს, როგორიც ომის შემდეგ არავის ახსოვს.

ევროპა სოციალური უნდა ყოფილიყო. დღეს ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი **მარიო დრაგი** ამბობს, რომ **„ევროპული სახელმწიფოს ნაქებმა სოციალურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა“.** სანაცვლოდ არავინ არაფერს გვთავაზობს. ამოწურა საკუთარი თავი და მორჩა.

სადაა გამოსავალი ფინანსური და ეკონომიკური კატასტროფიდან? — ვალდებულებების შეუსრულებლობის გამოცხადებაში. **საბერძნეთი უკვე გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან. როგორც დრაგი ირწმუნება, ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობს. სხვათა შორის, არც იმის იმედად შეიძლება ყოფნა, რომ ჩინეთი მაინცადამაინც გულით მოინდომებს თავისი ფულით ევროზონის გადარჩენას.**

სულ რამდენიმე წლის წინ ნებისმიერს, ვინც გაბედავდა და ხმამაღლა იტყოდა, რომ ევროპა სულ მალე ჩინეთის კომუნისტური პარტიის დაუხმარებლად თავს ვეღარ გადაირჩენდა, დასცინებდნენ. **დღეს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტი აბსოლუტურად გახსნილად გამოხატავს შეშფოთებას იმის გამო, რომ პეკინის სახელმწიფო კაპიტალისტებს არ გააჩნიათ სურვილი, ევროპის დასახმარებლად გაიქცნენ.** მაშ, ეს რაღა ევროპაა?

გასაკვირი არაა, რომ გაღატაკებული ევროპა იძულებულია, პეკინელი ამხანაგების დაცინვათა ციტირებას შეუდგეს. „სამათხოვროდ ჩვენთან ნუ ჩამოხვალთ“, — წერს გაზეთ „China Daily“-ს მთავარი რედაქტორი პირად წერილში, რომლის ადრესატიც „ევროპის მოვალე შტატებია“. **„გულახდილად რომ ითქვას, გაუგებარია, რატომ იშვერენ მდიდრები ხელს ჩვენკენ, ღარიბებისკენ, დახმარების მისაღებად“**, — წერს ავტორი. ბოლოს და ბოლოს ევროპელი მუშა ჩინელ მუშაზე 12-ჯერ მეტს გამოიმუშავებს. ჩინელებისათვის სამუშაო დღე 12 და მეტ საათს გრძელდება, ფრანგებს კი ორთვიანი ანაზღაურებადი შვებულება აქვთ.

გარდა ამისა, **ჩინელებმა უკვე იგემეს უზარმაზარი დანაკარგები ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების გამო. „ჩვენ დოლარის ხაფანგში გავებით, ახლა გინდათ, რომ ჩინეთი ევროხაფანგშიც გაებათ?“ — კითხულობს ხუან სიანიანი. მისი თქმით, დროა, ევროპა წუწუნს შეეშვას და მკლავები დაიკაპიწოს.**

არა, მსოფლიოს სიბრალული აღარ შემორჩა ან კი რატომ უნდა ებრალებოდეს ვინმე? მსოფლიოს ხომ შესანიშნავად ახსოვს ევროპული სახელმწიფოების ლიდერთა და მთავრობის წარმომადგენელთა სიამაყით აღსავსე გამოსვლები, რომელთა დროსაც ისინი ზესახელმწიფოებრივ ფანტაზიებს საერთაშორისო სამიტებზე პირდაპირ ღიად აფრქვევდნენ. **ევროპას კვლავ ხელმძღვანელობა სურდა. ის იმდენად გაატრუტუცა საკუთარი მნიშვნელოვნების შეგრძნებამ, ასევე, ლონდონსა და ფრანკფურტში ფინანსური კაპიტალის ზრდის თავბრუდამხვევმა ტემპებმა, რომ საკუთარ ფეხებთან გაწოლილი სიკვდილის ყინულოვანი სიცივეც კი ვერ შეიგრძნო.**

არავის აღარდებდა საბერძნეთის ბანკებში გამეფებული ფალსიფიკაცია, არარსებული სასოფლო სამეურნეო პროექტები, რომელთა განსახორციელებლადაც ბრიუსელი დიდი კეთილგანწყობით გამოყოფდა გადასახადების გადამხდელთა ფულს. არავის აკვირვებდა ის ფაქტი, რომ პორტუგალია, რომელიც საკუთარ ტერიტორიაზე ჩქაროსნული გზატკეცილების მშენებლობით იყო დაკავებული, ამ დროს არ აშენებდა არც დიდ და არც პატარა სამრეწველო ობიექტებს. საკუთარ თავს არავინ უსვამდა კითხვას, თუ რა სახსრებით იცხოვრებდნენ ესპანელები სამშენებლო ბუმის დასრულების შემდეგ.

პოლიტიკოსები თითქოს ვერც ამჩნევენ ამ ყველაფერს და საკუთარ ენებზე მაზოლების გამრავლებას დიდი ენთუზიაზმით განაგრძობენ. მაზოლების მთავარი მიზეზი კვლავ ევროპის გამო განსაკუთრებული პასუხისმგებლობის შესახებ ლაყბობაა. ამის პარალელურად არც ერთ მათგანს არ გააჩნია თუნდაც ერთი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც კონტინენტის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება გახდებოდა შესაძლებელი. მათგან არც ერთმა არ იცის, თუ როგორ შეიძლება ფინანსური პრობლემების გადაჭრა, სამუშაო ადგილების შექმნა და ახალგაზრდობისთვის რაიმე პერსპექტივის შეთავაზება.

საბრალო ევროპა...

**Die Welt**




ჩამორჩენილ აფრიკას შეუძლია პორტუგალიელებს ბევრად უფრო მეტი შესთავაზოს, ვიდრე პოლიტიკოსების მიერ ნაქებ ევროპას




**კანონმა გააფართოა გამოძიების ფედერალური ბიუროს უფლებები ამერიკის მოქალაქეთა მიმართ მოსმენებისა და ელექტრონული თვალთვალის მიმართულებით, რაც მაშინვე შეფასდა, როგორც კონსტიტუციის მეოთხე შესწორების უხეში დარღვევა.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ათწლიანი პატიმრობა მასობრივი პროტესტების მონაწილეთათვის

**ბაიონაში საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის ვიზიტისას 300-400 პროტესტანტისგან შემდგარმა ბრბომ ევროპელი პრეზიდენტი აიძულა, ახლომდებარე ბარში იმ დრომდე დამალულიყო, ვიდრე სპეცნაზმა მანიფესტანტების ბრბო არ გაარღვია და არ გაათავისუფლა. ამერიკული კანონების შესაბამისად, ეს მანიფესტანტები განზე კი არ უნდა გაეწიათ, არამედ 10 წლით უნდა დაეპატიმრებიათ.**






## აშშ გლობალური მასშტაბით დემოკრატიისა და თავისუფლების ქადაგებით საკუთარ ხალხს ახრჩობს

ცნობილია, რომ მსოფლიო არენაზე აშშ-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სიტყვის თავისუფლებისთვის ბრძოლა, მშვიდობიანი დემონსტრაციების ჩატარება და ნებისმიერი სახელმწიფოს უკმაყოფილო მოქალაქეების მიერ პროტესტის თავისუფალი გამოხატვის უზრუნველყოფაა. ნებისმიერ შემთხვევაში არაბულ სახელმწიფოებთან მიმართებაში ამ მხრივ ეჭვის საფუძველი ნამდვილად არ არსებობს. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის მიერ სირიისადმი გამოცხადებული ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა სწორედ „მშვიდობიანი დემონსტრაციების თავისუფლების გარანტიაა".

რუსეთის „არასისტემური ოპოზიციის" მიტინგებთან დაკავშირებითაც შეშფოთება არაერთხელ გამოიხატა. აშშ-ის ელჩი რუსეთში, მაიკლ მაკფოლი ტვიტერში იტყობინებოდა, რომ მას აღელვებდა მოსკოვში პუშკინის მოედანზე მშვიდობიანი დემონსტრანტების დაკავების დანახვა, რადგან „შეკრების თავისუფლება და სიტყვის თავისუფლება უნივერსალური ფასეულობებია".

ამ ფონზე კანონპროექტები, რომელთაც თავად ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე იღებენ პროტესტებთან, მშვიდობიან დემონსტრაციებთან და თავისუფალ შეკრებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებულად უცნაურად გამოიყურება. საუბარია სულ ახლახან მიღებულ კანონზე „HR 347", რომელიც უკვე გახდა განსაკუთრებულად ემოციური რეაქციის მიზეზი და უკვე მიიღო კიდეც სახალხო სახელი „მშვიდობით, კონსტიტუციის პირველო შესწორებავ".

როგორც ცნობილია, **კონსტიტუციის პირველი შესწორება, თავის მხრივ, არის იმ უფლებების საფუძველი, რომელთა თანახმადაც გარანტირებულია, რომ აშშ-ის კონგრესი არ მიიღებს დისკრიმინაციულ კანონებს, კერძოდ კი, არ შეზღუდავს შეკრებათა თავისუფლებას.**

პრინციპში, კანონი „HR 347" რაღაც უნიკალურს არ წარმოადგენს. ამ საკანონმდებლო აქტის გარეშეც აშშ-ში მოქმედებს უამრავი შეზღუდვა, რომლებიც პირველ შესწორებას უხეშად არღვევს. საკმარისია თუნდაც პატრიოტული აქტის გახსენება. ეს ფედერალური კანონი აშშ-ში 2001 წლის ოქტომბერში მიიღეს და მისი წყალობით ხელისუფლებასა და პოლიციას მიეცა უკიდეგანო უფლებები, უთვალთვალოს ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს. **კანონმა გააფართოა გამოძიების ფედერალური ბიუროს უფლებები ამერიკის მოქალაქეთა მიმართ მოსმენებისა და ელექტრონული თვალთვალის მიმართულებით, რაც მაშინვე შეფასდა, როგორც კონსტიტუციის მეოთხე შესწორების უხეში დარღვევა.**

მიუხედავად ამისა, 24 ოქტომბერს კანონპროექტი დამტკიცდა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში 357 ხმით 66-ის წინააღმდეგ, სენატმა კი ის 98 ხმით ერთის წინააღმდეგ მიიღო. 26 ოქტომბერს აშშ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ხელი მოაწერა აქტს, რომელსაც რამდენიმეჯერ უკვე გაუგრძელეს მოქმედების ვადა, მორიგი გაგრძელება კი 2012 წლისთვისაა დაგეგმილი.

მიუხედავად ამ და სხვა მსგავსი კანონების არსებობისა, ამერიკაში „HR 347" მაინც განსაკუთრებულია და ყურადღებით განხილვას იმსახურებს.

კანონს საფუძვლად უდევს სხვა კანონი, რომელიც 1971 წელს მიიღეს, 2006 წელს დააზუსტეს და შეავსეს და რომელიც ახორციელებს აშშ-ის ტერიტორიაზე მიტინგებისა და დემონსტრაციების რეგლამენტირებას. ამერიკელი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპულად ახალ შეზღუდვებს „HR 347" არ შეიცავს. ის მხოლოდ უკვე არსებული დოკუმენტების გაფართოებული ვარიანტია, რომელიც საკუთარ თავში აკრძალვის სფეროს აშშ-ის საიდუმლო სამსახურების კომპეტენციის სფეროსთან აერთიანებს. სწორედ ამის გამო პრაქტიკულად ნებისმიერი პროტესტი, ჯგუფური ან ინდივიდუალური, უმნიშვნელო ძალისხმევითაც კი შეიძლება უკანონოდ გამოცხადდეს.

აშშ-ის საიდუმლო სამსახური არის სტრუქტურა, რომელსაც ნახევარსაუკუნოვანი ისტორია აქვს და რომლის კომპეტენციაც საკმაოდ ფართოდ ვრცელდება. რას აღარ აკეთებს ეს სამსახური ყალბი ფულის გამოშვებისთვის, ფინანსური დოკუმენტების გაყალბების, პირადი მონაცემების მოპარვის აღკვეთიდან დაწყებული, ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტების, კონგრესმენების, მათი ოჯახის წევრებისა და სხვა ნათესავების ფიზიკური დაცვით დამთავრებული. დამატებით საიდუმლო სამსახური ახორციელებს იმ ადმინისტრაციული შენობებისა და მნიშვნელოვანი ტერიტორიების დაცვას, რომელთაც რაიმე კავშირი აქვს აშშ-ის სახელისუფლო ორგანოებთან ან სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან. გამონაკლისი არც უცხოური ვიზიტებია. გარდა ამისა, **საიდუმლო სამსახურის მეთვალყურეობას ექვემდებარება საზოგადოებრივი შეკრებები, რომელთაც საერთაშორისო მნიშვნელობა აქვთ, მაგალითად აშშ-ის ეროვნული საფეხბურთო ლიგის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებელი საფეხბურთო თამაშები.**

„HR 347"-ის თანახმად, ყველა პროტესტი იმ ტერიტორიაზე, რომელიც იმ მომენტში საიდუმლო სამსახურის მეთვალყურეობას ექვემდებარება, უკანონოდ ითვლება და შემდგომში სასამართლო განხილვას ითვალისწინებს. კანონის ტექსტის თანახმად, დაპატიმრებას ექვემდებარება ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შეგნებულად შედის ან არის ამგვარ შენობასა თუ ტერიტორიაზე, საამისოდ კანონიერი საფუძვლის არსებობის გარეშე. იგივე ბედი ელით ადამიანებს, რომლებიც შეგნებულად, ხელისუფლებების ან ოფიციალური დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით მონაწილეობენ არაორგანიზებულ ან დამანგრეველ მოქმედებებში; იმ ადამიანებსაც, რომლებიც რაიმე მსგავს მოქმედებებს ახორციელებენ დაცვის ქვეშ მყოფი შენობისა თუ ტერიტორიის სიახლოვეს, როდესაც ეს მოქმედებები რაიმე შეფერხებას უქმნის ან შეუძლებელს ხდის ხელისუფლების ფუნქციონირებას ან რომელიმე სხვა ოფიციალურ დაწესებულებას.

სისხლის სამართლით დასჯადია ანალოგიური მიზნით რაიმე შეთქმულების მოწყობაც ან შეთქმულების მოწყობის მცდელობაც.

ამრიგად, „HR 347"-ის წყალობით ფეისბუქზე საპროტესტო ჯგუფების ბედი გადაწყვეტილია — ამა თუ იმ მიტინგის ჩასატარებლად მომხრეების შეგროვება ხომ აბსოლუტურად თავისუფლად ჯდება „შეთქმულების" კატეგორიაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადრე მოქმედი ნორმები სპეცსამსახურების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე „შეგნებულ" ყოფნასთან ერთად ითვალისწინებდა „წინასწარი განზრახვის" ფაქტორსაც. სხვაგვარად რომ ითქვას, დამრღვევს უნდა ესმოდეს, რომ ამ ტერიტორიაზე მისი ყოფნა უკანონოა და შეგნებულად უნდა სჩადიოდეს დანაშაულს. ახლა ეს პირობა აღარ არსებობს. მისი გაქრობა კი, თავის მხრივ, ნიშნავს, რომ, თუ ამერიკის რომელიმე მოქალაქე „Occupy Wall-street"-ის პლაკატით „საკმარისად ახლოს" აღმოჩნდება იმ ტერიტორიასთან, რომელზეც, ვთქვათ, პრეზიდენტ ობამას მეუღლე იმყოფება, აშშ-ის ამ მოქალაქეს, კანონის შესაბამისად, პასუხისგებაში მისცემენ მხოლოდ იმის გამო, რომ პირველი ლედის „გვერდით" აღმოჩნდა.

ტერმინი „საკმაოდ ახლოს" ბრჭყალებში შემთხვევით არაა ჩასმული. კანონი „HR 347" ამ მხრივ აბსოლუტურად ბუნდოვანი ფორმულირებებით აპერირებს. მაინც როგორი სიახლოვე ითვლება „საკმაოდ" განმარტებული არსადაა. კანონის იურისდიქციაში შემავალ „შენობებად და ტერიტორიებად" უნდა ჩაითვალოს თეთრი სახლი, ვიცე-პრეზიდენტის რეზიდენცია და მათი მიმდებარე ტერიტორიები, გარდა ამისა, ნებისმიერი ამგვარად დასახელებული ტერიტორია და შენობა, რომელიც შემოფარგლულია ან რაიმე სხვა სახით ითვლება შეზღუდულად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საუბარი შეიძლება იყოს წარწერაზე „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია".

გარდა ამისა, როგორც უკვე ითქვა, ნებისმიერი პროტესტი ტერიტორიაზე, რომელზეც იმყოფებიან ან მომავალში შეიძლება იყვნენ საიდუმლო სამსახურის დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანები, ასევე ტერიტორიაზე, სადაც ნაციონალური მასშტაბის ღონისძიები ტარდება დაისჯება ზუსტად ისევე, როგორც პრეზიდენტის ან მისი მეუღლის სიახლოვეს ყოფნა.

უბრალოდ, **სიახლოვეს ყოფნის შემთხვევაში „HR 347" ითვალისწინებს ჯარიმასა და ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას, მაგრამ თუ პროტესტის გამომხატველს თან ექნება რაიმე სახის სახიფათო იარაღი, აღარაა საუბარი ცეცხლსასროლ ან რომელიმე სხვა სასიკვდილო იარაღზე, ან თუ მისი ქცევა ვინმეს სხეულის დაზიანებას განაპირობებს, პატიმრობის ვადა ათ წლამდე გაიზრდება.** ამ შემთხვევაშიც არაა დაკონკრეტებული, თუ რა ითვლება სახიფათო იარაღად, რადაც საჭიროების შემთხვევაში დროშის ტარიც კი შეიძლება ჩაითვალოს, ან ვის უნდა მიადგეს სხეულის დაზიანება. **როგორც წესი, აშშ-ში სხეულებრივი დაზიანებები პოლიციელებს არ აღენიშნებათ ხოლმე, იქ დაშავებულები, ჩვეულებრივ, მხოლოდ დემონსტრანტები არიან.**

შედეგად, ხმათა ლამის აბსოლუტური უმრავლესობით — 388 ხმა 3-ის წინააღმდეგ — მიღებული კანონი მოვლენათა საერთო ჯაჭვის მხოლოდ ერთი რგოლია. და გასაკვირიც კია, როდესაც ამ კანონის მიმართ განსაკუთრებული აღშფოთება გამოიხატება, რადგან ეს კანონი კონკრეტულად მოძრაობა „დაიკავე უოლსტრიტის" საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული, მანამდე კი, 2001-2006 წლებში მიღებულ ამერიკელთა საბაზო უფლებებისა და თავისუფლებების დამრღვევი კანონების ნუსხაში ის მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი პუნქტია.

win.ru

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსეთის მიერ ჩრდილოეთის ქსელის გადაკეტვის გადაწყვეტილებამ შესაძლოა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვიოს, რადგან უზბეკეთი, უკიდურეს შემთხვევაში კი ტაჯიკეთი და ყირგიზეთი, ამ ტრანზიტიდან საკმაოდ დიდი დივიდენდების მიღებას იმედოვნებდნენ. რუსეთის გადაწყვეტილება კი თავისთავად ნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ქსელი ამ ქვეყნებისთვისაც შეწყვეტს ფუნქციონირებას.**

# ავღანური ჩიხი

## აშშ-სა და ნატოს შინ დასაბრუნებლად ყველა გზა მოჭრილი აქვს

**2011 წლის ნოემბერში პაკისტანის მიერ ავღანეთში განლაგებული ამერიკული კონტინგენტისთვის სატრანსპორტო გზავნილების მარშრუტების გადაკეტვის შემდეგ ორი ნეგატიური ფაქტორი წარმოიშვა. 130 ათასი ადამიანისგან შემდგარი ნატოს გაერთიანებული სამხედრო კონტინგენტის მომარაგების პრობლემის გარდა დადგა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის აუცილებლობაც: როგორ უნდა გამოზიდონ ავღანეთიდან უზარმაზარი მატერიალური რესურსი, ტექნიკა, შეიარაღება და აშშ-ის არმიისა თუ მოკავშირეთა ჯარების დანარჩენი ქონება.**

ნატოს არსებული გეგმების შესაბამისად, ძირითადი დასავლური ძალები ავღანეთიდან 2014 წლის დასასრულამდე უნდა გაიყვანონ. ამის შემდეგ იქ დარჩება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მცირე კონტინგენტი, მათ შორის სპეცრაზმიც. თუმცა ავღანეთში ნატოს წარმომადგენლები თვლიან, რომ ვაშინგტონმა დააჩქარა თავისი ძალების ქვეყნიდან გაყვანა, სულ მცირე, ერთი წლით მაინც. ცოტა ხნის წინ ბრიტანული The Sunday Times-ი წერდა, რომ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ასევე დაკავებული იყო თავისი კონტინგენტის დაჩქარებული წესით გაყვანის გეგმის შემუშავებით.

**The Sunday Times-ი ვაშინგტონის აჩქარების მიზეზებსაც ასახელებდა — არასტაბილურობისა და ანტიდასავლური განწყობის ზრდას, რისი საკმარის დონემდე შეკავებაც უკვე შეუძლებელია.**

ეს მიზეზები გამოგონილს ნამდვილად არ ჰგავს — ომი მართლაც ძალზე ძვირი ჯდება. **იმ პირობებში კი, როდესაც აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეები ხან დახოცილ თალიბებთან ერთად პოზირებენ, ხანაც ესესელების დროშის ფონზე იწონებენ თავს, ხან კი მუსლიმანების წმინდა ტექსტების დაწვით ერთობიან, ავღანეთში კონფლიქტი მართლაც შეიძლება გადავიდეს ახალ საფეხურზე.** მართლაც, **25 თებერვალს ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ შენობაში ორი ამერიკელი მრჩეველი ჩაცხრილეს, თავად ქაბულში კი შტურმი მიიტანეს გაეროს შენობაზე და გადაბუგეს სასტუმრო, რომელშიც უცხოელი სპეციალისტები ცხოვრობდნენ.**

ჯერჯერობით კონტინგენტის გაყვანის საბოლოო ვადა განსაზღვრული არაა. 2011 წლის ნოემბერში აშშ-ის სენატმა ობამასგან ავღანეთიდან ჯარების გაყვანის დაჩქარება მოითხოვა. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ გამოაცხადა ამერიკული არმიის გეგმების შესახებ, რომელთა თანახმადაც 2013 წლის დასასრულამდე ავღანეთში სამხედრო ოპერაცია უნდა დამთავრდეს. ამის შესახებ The Washington Post-ი 2 თებერვალს იტყობინებოდა. ამასთან, The Washington Post-ისა და The Sunday Times-ის წყაროების ინფორმაციით, **ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანის ახალ გრაფიკა წარადგენენ ნატოს სამიტზე, რომელიც მიმდინარე წლის მაისში ჩიკაგოში გაიმართება.**

თუ სერიოზულად განვიხილავთ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ავღანეთიდან ამერიკული კონტინგენტის ზოგიერთი ნაწილის გაყვანამ უკვე ამ საარჩევნო კამპანიაში უნდა შემატოს ქულები ბარაკ ობამას, მაშინ გამოდის, რომ ზოგიერთი პროცესი უახლოეს თვეებში დაიწყება. მათი ანონსებიც უკვე გამოჩნდა — **დაახლოებით 90 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურიდან ოქტომბრამდე ავღანეთს 23 ათასი დატოვებს.** მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ამერიკის მხრიდან პაკისტანის მოქალაქეებსა და სამხედრო ობიექტებზე რეგულარული „შემთხვევითი“ თავდასხმების გამო პაკისტანმა ამერიკისთვის სატრანზიტოდ საკუთარი ტერიტორია გადაკეტა.** შესაბამისად, ზემოხსენებული ვადის ამოწურვამდე **ამერიკამ ალტერნატიული სატრანსპორტო მარშრუტების საკითხი უნდა მოაგვაროს.**

ამგვარი ალტერნატივები არც თუ ბევრია. არსებობს ჩრდილოეთ გამანაწილებელი ქსელი — საერთაშორისო მოლაპარაკებებით გამყარებული ნატოს ტვირთების მიწოდების სქემა რუსეთის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ტაჯიკეთის სატრანსპორტო ქსელების გავლით. პენტაგონის ინფორმაციით, პაკისტანის გავლით მიდიოდა ნატოს მთელი ტვირთების 48% და საწვავ-საპოხი მასალების ლომის წილი. იმ ტრანზიტის წილი, რომელიც უშუალოდ აშშ-ს ეხება, 30%-ია. ჩრდილოეთ გამანაწილებელი ქსელით მოძრაობდა ნატოს ძალების 52% და აშშ-ის ჯარებისთვის განკუთვნილი ტვირთის 40%. ამერიკული ტრანზიტის დანარჩენ 30%-ს, ძირითადად ჯავშანტექნიკას, არტსისტემებსა და საბრძოლო მასალებს პენტაგონი ავღანეთში საჰაერო გზებით ეზიდებოდა.

გასაგებია, რომ პაკისტანის გადაკეტვით მთელი სატრანსპორტო დატვირთვა ჩრდილოეთ გამანაწილებელ ქსელზე გადავა, ავღანეთში ხომ ოპერაცია ჯერ კიდევ გრძელდება და ტვირთების მუდმივ მიწოდებასაც საჭიროებს. ჯერჯერობით მაგისტრალი ძირითადად არასამხედრო ტვირთებისთვის გამოიყენება. ამგვარი ტვირთების 90% სწორედ ამ მარშრუტით მოძრაობს. ამასთან, აუცილებელი ხდება მაგისტრალის გაფართოება პირიქითა მოძრაობისთვისაც, რაც ქსელს კიდევ უფრო მეტად დატვირთავს, ვიდრე მიმდინარე მიწოდებების პირობებშია.

გარდა ამისა, **აშშ-ს გაცილებით ინტენსიური დიპლომატიური აქტივობა დასჭირდება, თავიდან ხომ ჩრდილოეთ გამანაწილებელ ქსელთან შეთანხმება მხოლოდ ტვირთების ავღანეთის მიმართულებით გატარებაზე მოხდა და არა პირიქით.**

29 თებერვალს, კონგრესში მოსმენისას, აშშ-ის სამხედრო ძალების სატრანსპორტო ხელმძღვანელობის მეთაურმა, გენერალმა უილიამ ფრეიზერმა განაცხადა, რომ **ობამას ადმინისტრაციამ მოიპოვა ყაზახეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის თანხმობა ამერიკის სამხედრო ტექნიკისა და სხვა ტვირთების ავღანეთიდან მათი ტერიტორიის გავლით გადატანის შესახებ.** ორი დღით ადრე ასტანაში ბრიტანეთისა და ყაზახეთის თავდაცვის მინისტრებმა — ფილიპ ჰამონდმა და ადილბეკ ჯაკსიბეკოვმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ყაზახეთისა და ბრიტანეთის მთავრობებს შორის ყაზახეთის ტერიტორიის გავლით სამხედრო ტვირთებისა და პერსონალის ტრანზიტის შესახებ.

ამრიგად, „ავღანური ჩიხიდან“ გამოსავალი თითქოსდა მოიძებნა. მაგრამ გამოჩნდა ინფორმაცია, რომელმაც, შესაძლოა, ახალი თავსატეხები გააჩინოს. როგორც სააგენტო Tengrinews.kz-ი იტყობინება, **თანამშრომლობის შანხაის ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წყაროების მტკიცებით, რუსეთის ხელმძღვანელობაში ფაქტობრივად უკვე მიღებულია გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში ავღანეთში ნატოსა და აშშ-ის ჯარების მოსამარაგებელი სატრანზიტო მარშრუტის, ე.წ. ჩრდილოეთის ქსელის გადაკეტვის შესახებ.**

ამგვარი გადაწყვეტილების მოტივებად აშშ-ის მხრიდან სირიასთან დაკავშირებით რუსეთის პოზიციაზე ადეკვატური რეაქციის არარსებობა, ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემასთან დაკავშირებით რუსეთის წინადადებების გაუთვალისწინებლობა, რუსეთის შიდა საქმეებში დაუფარავად ჩარევა და ოპოზიციის მხარდაჭერა სახელდება.

მანამდე **რუსეთში იმ პერსპექტივამ, რომ აშშ-თან ხელი მოეწეროს შეთანხმებას ულიანოვსკში „გადაზიდვის პუნქტის“ მოწყობის თაობაზე, ავღანეთიდან ტვირთების გამოზიდვის მიზნით, ცხარე დისკუსია გამოიწვია. განიხილებოდა პრობლემის ფინანსური, პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები. ხელშეუხებელი არც ნარკოტიკების თემა დარჩენილა. ავღანეთში ჰეროინის ინდუსტრიის განვითარება და მისი პროდუქციის მსოფლიოში გატანა უსერიოზულესი პრობლემებია. სწორედ ამ პრობლემების გამოა ესოდენ მნიშვნელოვანი და საყურადღებო თუნდაც ისეთი კერძო შემთხვევა, როგორიც ულიანოვსკში ამერიკული სამხედრო ტვირთებისთვის გადაზიდვის პუნქტის მოწყობაა.**

არის საკითხები, რომლებზე დავას აზრი არ აქვს და სწორედ ამგვარ საკითხებს განეკუთვნება **ამერიკაში უმძლავრესი ნარკოქსელის არსებობა. ეს ქსელი ამარაგებს მსოფლიო ნარკომანების უდიდეს (56%) არმიას, რომელიც მსოფლიოში წარმოებული მთელი ნარკოტიკების 86%-ს მოიხმარს. ეს მართლაც უდიდესი ბიზნესია.**

ნარკომანების მიერ ჩადენილი დანაშაულები მთელ დანაშაულთა ნახევარს შეადგენს. შიდსით დაავადებული ნარკომანების რაოდენობის მხრივ აშშ მსოფლიოში მეორე ადგილზეა, ნარკომანების 22 პროცენტი დაავადებულია. მაგრამ ეს არასრული სტატისტიკაა, რეალურად არავინ იცის, ოფიციალურად დარეგისტრირებულთა გარდა, კიდევ რამდენი ნარკომანი იმალება ჩიკაგოს ბინძურ კვარტლებში, კალიფორნიის ბომონდსა თუ სან-ფრანცისკოს სექსუალურ უმცირესობათა თავშეყრის ადგილებში. **ექსპერტების გათვლით, აშშ-ში არსებული ნარკობიზნესი სინამდვილეში 24 მილიონ მომხმარებელს ამარაგებს.**

**ოფიციალური სტატისტიკით, აშშ-ის ნარკობაზრის 40%-ს კოკაინი შეადგენს, 28%-ს — ჰეროინი და დაახლოებით მესამედი ამფეტამინებსა და მარიხუანაზე მოდის.** აშშ-ის ბაზარზე განსაკუთრებული სისწრაფით ავღანური ჰეროინის წილი იზრდება და გასაკვირიც არაა, ეს ყველაზე შემოსავლიანი პროდუქტია. მწარმოებელი ავღანურ ჰეროინს წარმოუდგენლად იაფად ყიდის — ერთი კილოგრამის ფასი 150 დოლარია. ეს ჰეროინი აშშ-ში ასჯერ უფრო ძვირად იყიდება. ამ „საქონლის“ სპეციფიკას წარმოადგენს ავღანეთიდან ევროპასა და აშშ-მდე მისი ჩატანის არსებული სისტემებიც, რომლებიც იმავე აშშ-ის არმიისა და სპეცსამსახურების საიდუმლო სტრუქტურებზე გადიან.

ეს სისტემა უფრო ადრე შეიქმნა, ვიდრე 2001 წელს „ალ ქაიდას“ წინააღმდეგ ომი დაიწყებოდა. **აშშ-ში აზიიდან ჰეროინის პირველი პარტიები ჯერ კიდევ 60-იან წლებში, ინდოჩინეთში ომისას, ჩავიდა. მაშინ სამხრეთ ვიეტნამში, კამბოჯაში, ლაოსსა და ტაილანდში ნახევარ** ▶



**ამერიკის მხრიდან პაკისტანის მოქალაქეებსა და სამხედრო ობიექტებზე რეგულარული «შემთხვევითი» თავდასხმების გამო პაკისტანმა ამერიკისთვის სატრანზიტოდ საკუთარი ტერიტორია გადაკეტა**



**ავღანეთი ჰეროინის წარმოების უზარმაზარ საამქროდ იქცა. მასთან მიყვანილია სამხედრო ავიაციის, სამხედრო სახმელეთო გადაზიდვების, სპეცსამსახურებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების სატრანსპორტო არხები. ამ ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში, ანუ 2001 წლიდან ამ დრომდე ავღანეთში ჰეროინის წარმოების მასშტაბები 40-ჯერ გაიზარდა და წელიწადში ექვს ათას ტონას მიაღწია.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **მილიონამდე ადამიანისგან შემდგარი ჯარი იყო თავმოყრილი. ჯარისკაცების გარდა მასში შედიოდა სპეცსამსახურების ათასობით თანამშრომელიც. მათ მოქმედებებზე რეალური კონტროლი პრაქტიკულად არ ხორციელდებოდა, რამაც ყველაზე მოხერხებულებს საშუალება მისცა, რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემადგენელ და ეგრეთ წოდებული ტრიადების ფუნქციონირების მრავალწლიანი გამოცდილების მქონე ეთნიკურ ჩინელებთან კრიმინალური კონტაქტები გაებათ.**

შედეგად შეიქმნა ახალი და საკმაოდ ფართო არხი ამერიკაში ჰეროინის კონტრაბანდისთვის. ის სათავეს იღებდა „ოქროს სამკუთხედის" მთიანი რაიონებიდან, სადაც ბირმის, ტაილანდისა და ლაოსის საზღვრებზე ფაქტიურად არ არსებობდა სახელმწიფო კონტროლი და თარეშობდნენ როგორც მეოსა და შანის სეპარატისტები, ასევე ყოფილი სამხედროებისგან ჩამოყალიბებული ჩვეულებრივი ბანდები. „ოქროს სამკუთხედიდან" ნედლეული ცსს-სა და აშშ-ის არმიის არხებით ამერიკის ჯარის განლაგების ადგილებში მიდიოდა, უპირველეს ყოვლისა, საიგონსა და ბანკოკში, ასევე ჰონკონგში, საიდანაც ტრიადები მას მრავალრიცხოვანი ჩინური დიასპორის მქონე სან-ფრანცისკოში ეზიდებოდნენ.

შედეგად **ჰეროინული ნარკომანია აშშ-ში მასობრივ მოვლენად იქცა, ბირმის პროვინცია შანი კი 80-იანი წლების დასასრულამდე აფრიალებდა მსოფლიო ლიდერის დროშას ნარკოტიკების წარმოების სფეროში. ამჟამად „ოქროს სამკუთხედს" ჩინეთი აკონტროლებს და უნდა ითქვას, რომ ამ რაიონიდან ნარკოტიკების ნაკადი არ წყდება.**

2001 წლიდან ამერიკელმა ნარკოსაქმოსნებმა აღმოაჩინეს ადრე თალიბების მიერ კონტროლირებადი ჰეროინის ავღანური ბაზრის ათვისების შესაძლებლობა. იმის შესახებ, თუ რამდენად გავლენიანი ძალები დაინტერესდნენ ავღანური ნარკობაზრის ათვისებით, დეტალურადაა აღწერილი ბრიტანელი მზვერავის **ჯონ კოლემანის** წიგნში **„კომიტეტი 300"**. ნარკოტრაფიკის დაფინანსებაში აშშ-ისა და ბრიტანეთის უმდიდრესი კლანები მონაწილეობენ, **ნარკოვაჭრობის შედეგად მიღებული მრავალი მილიარდი ბინძური დოლარის გათეთრებას კი ამერიკის, ინგლისისა და შვეიცარიის უდიდესი ბანკები ახორციელებენ.** აშშ-ში არის თხუთმეტამდე ოჯახი, რომლებმაც ნარკოვაჭრობის გზით არნახული ქონება დააგროვა. ესენი არიან დილონები, ფორბსები, ეპლეტონები, ბეიკონები, ბოილესტოუნები, პერკინსები... და ამჟამად აშშ-ის უმდიდრესი და ყველაზე გავლენიანი კლანების 300 ოჯახის უმეტესობა, ისევე, როგორც ბრიტანეთის ანალოგიური 100-მდე ოჯახი, რომლებიც რეალურად მართავენ ამ სახელმწიფოებს, ფლობენ ქონებას, რომლის ფესვებიც ნარკოტიკებით ვაჭრობაშია გადგმული.

ამ ყველაფრის გამო ავღანური ჰეროინის ზემომგებიან ბაზარს ძალზე საფუძვლიანი მომსახურება აქვს. **ცნობილია შემთხვევა, როდესაც თალიბებმა ააფეთქეს ცსს-ს დაჯავშნული ჯიპი ქაბულის აეროპორტთან ახლოს. 2006 წელს ნაწილებად დაშლილი ამ მანქანიდან საერთო ჯამში 200 კილოგრამი ჰეროინის პაკეტები ცვიოდა. ჯიპში მსხდომი რეზიდენტურის ყველა თანამშრომელი გარდაიცვალა, ადგილზე მისულმა პოლიციამ კი რეპორტიორები უმალ ჩამოაშორა სიტუაციას.** ქაბულის ერთ-ერთ გაზეთში გაჟონილი ინფორმაცია მეორე დღესვე „ჩაახშეს". საქმეს არავითარი მსვლელობა არ მისცემია და მომხდარი არ გახმაურებულა.

**ავღანეთი ჰეროინის წარმოების უზარმაზარ საამქროდ იქცა. მასთან მიყვანილია სამხედრო ავიაციის, სამხედრო სახმელეთო გადაზიდვების, სპეცსამსახურებისა და დიპლომატიური წარმომადგენლობების სატრანსპორტო არხები. ამ ქვეყნის ოკუპაციის პერიოდში, ანუ 2001 წლიდან ამ დრომდე ავღანეთში ჰეროინის წარმოების მასშტაბები 40-ჯერ გაიზარდა და წელიწადში ექვს ათას ტონას მიაღწია.**

ნარკოკონტროლის რუსულ და ამერიკულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შეთანხმება არსებობს, მაგრამ ამერიკელები რუსეთის ხელისუფლებას ავღანურ ნარკოტრაფიკზე მუშაობის საშუალებას არ აძლევენ.

საოკუპაციო ხელისუფლების არგუმენტია, რომ გლეხებისთვის არ შეიძლება ყაყაჩოს მოყვანის აკრძალვა, რადგან ამ შემთხვევაში ისინი მშივრები დარჩებიან და თალიბების მხარეს გადავლენ. ეს ძალზე სასაცილო არგუმენტია, რადგან თავის დროზე სწორედ თალიბებმა დაიყვანეს მინიმუმამდე ჰეროინის წარმოება და მაშინ გლეხები შიმშილისგან არ დახოცილან. ჰეროინის ჭირის შემცირება ავღანეთში მხოლოდ თემთა ბელადების დახმარებით შეიძლება მოგვარდეს, პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით, მაგრამ ამგვარ გადაწყვეტილებას არავინ იღებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის უახლოესი ნათესავები ჰეროინის ბიზნესში არიან ჩაფლულნი, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. **ავღანეთში ჰეროინის წარმოების მხრივ მსოფლიოს უდიდესი სინდიკატი ჩამოყალიბდა, სინდიკატი, რომელიც ადგილობრივ და საოკუპაციო ხელისუფლებათა გავლენიან წარმომადგენლებს აერთიანებს. ქვეყანა ნარკოტიკების მწარმოებელ გიგანტურ ფაბრიკად იქცა, ამ ქვეყნიდან მიმავალი ყველა საჰაერო და სახმელეთო გზა კი ამ ნარკოტიკების ტრანსპორტირების არხია.**



გასაკვირი არაა, რომ, ამ ქვეყნიდან ჰეროინის გიგანტური მასშტაბებით გატანის მიუხედავად, არ დაფიქსირებულა არც ერთი შემთხვევა, როდესაც ავღანეთის მებაჟეებმა ან ნატოს სამხედროებმა რომელიმე ტვირთი დააკავეს.

## ნარკოკონტროლის რუსულ და ამერიკულ ორგანოებს შორის თანამშრომლობის შეთანხმება არსებობს, მაგრამ ამერიკელები რუსეთის ხელისუფლებას ავღანურ ნარკოტრაფიკზე მუშაობის საშუალებას არ აძლევენ

არადა, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებისა და სამხედრო სატვირთო მანქანების გაკონტროლებაზე ადვილი ხომ არაფერია.

**მსოფლიო საზოგადოებისთვის საიდუმლოდ რჩება, 2011 წელს ავღანეთში წარმოებული თითქმის ექვსი ათასი ტონა ჰეროინიდან რამდენი გაიგზავნა აშშ-სა და ევროპაში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ევროპის მიერ მოხმარებადი ჰეროინის თითქმის 75% სწორედ ავღანური ოპიუმისგან იწარმოება.**

რუსეთში ნარკომანების მზარდი რაოდენობა კი მხოლოდ ავღანურ ჰეროინს მოიხმარს. **„ჩვენ იმის კონსტატირება გვიხდება, რომ ავღანეთში მძიმე ნარკოტიკების, ისეთის, როგორიც ჰეროინი, ოპიუმი და ჰაშიშია, წარმოება მაღალ დონეზე რჩება. უფრო მეტიც, გასული წლის შედეგების მიხედვით, ავღანეთში ოპიუმის წარმოება 61%-ით გაიზარდა",** — განაცხადა რუსეთის ფედერაციის ნარკოკონტროლის ფედერალური სამსახურის დირექტორმა ვიქტორ ივანოვმა. ამ სამსახურის მონაცემებით, **რუსეთში 5 მილიონი ადამიანი ნარკოტიკებს რეგულარულად მოიხმარს და ყოველწლიურად ნარკოტიკებისგან 100 ათასზე მეტი რუსეთის მოქალაქე იღუპება.** მაღალი სიკვდილიანობა განპირობებულია სწორედ იმ ჰეროინის მოხმარებით, რომელიც რუსეთში ცენტრალური აზიის ქვეყნების გავლით ავღანეთიდან აღწევს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩნდება კითხვა: **საშიშია თუ არა აშშ-ის ჯარისთვის სატრანზიტო მარშრუტის გახსნა ავღანეთიდან ტვირთების გადაზიდვისათვის?**

კითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში „რევერსული ტრანზიტი" ამერიკული ჯარისა და მთელი მისი მატერიალური ღირებულებებისთვის კიდევ უფრო საინტერესო ზიგზაგის ფორმას მიიღებს. ამასთან, ჩრდილოეთის ქსელის საკუთარ მონაკვეთზე რუსეთის მიერ შეზღუდვის დაწესება არაფრით არ ეწინააღმდეგება აშშ-ის ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ შეთანხმებას ყაზახეთთან, ყირგიზეთსა და ტაჯიკეთთან. ამ სახელმწიფოებს მართლაც შეუძლიათ, ნებისმიერი შეფერხების გარეშე გამოიყენონ საკუთარ ტერიტორიაზე გამავალი გზის მონაკვეთი, გაატარონ ტვირთები და ამ მნიშვნელოვანი მისიის შესრულების სანაცვლოდ აშშ-ისგან შესაბამისი ფულადი კომპენსაციაც მიიღონ.

**უახლოეს მომავალში ავღანეთში მდგომარეობა შეიძლება კარდინალურად შეიცვალოს და კარდინალური ტრანსფორმაცია განიცადოს მთელი რეგიონის უსაფრთხოების სისტემამაც.**

რუსეთის მიერ ჩრდილოეთის ქსელის გადაკეტვის გადაწყვეტილებამ შესაძლოა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვიოს, რადგან უზბეკეთი, უკიდურეს შემთხვევაში კი ტაჯიკეთი და ყირგიზეთი, ამ ტრანზიტიდან საკმაოდ დიდი დივიდენდების მიღებას იმედოვნებდნენ. რუსეთის გადაწყვეტილება კი თავისთავად ნიშნავს, რომ ჩრდილოეთის ქსელი ამ ქვეყნებისთვისაც შეწყვეტს ფუნქციონირებას.

ამ შემთხვევაში პენტაგონსა და გენერალ ფრეიზერს პრობლემა შეექმნებათ. თუმცა მათ პრობლემა ნებისმიერ შემთხვევაში შეექმნებათ, რადგან უზბეკეთის, ტაჯიკეთისა და ყირგიზეთის გავლის შემთხვევაშიც არ იციან, საით გაგზავნონ მთელი ავღანური ტვირთი. თუ ზემოხსენებულ გეგმებსა და ინფორმაციებს დავეყრდნობით, **ბოლო წერტილი, სადამდეც ამერიკისა და ნატოს ტვირთები ტაჯიკეთ-ყირგიზეთ-ყაზახეთის ჯაჭვს შეუძლია მიიტანოს, კასპიის ზღვის სანაპიროა. ამის შემდეგ სხვა გზა არ რჩება — ტვირთები აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის გავლით უნდა წავიდეს და შემდეგ ოკეანის გაღმა გადაიგზავნოს.**

კონგრესში გამოსვლისას გენერალმა ფრეიზერმა აღნიშნა, რომ ამერიკის სარდლობას პაკისტანის მარშრუტების გახსნა სჭირდება და დასძინა, რომ ხსენებული ცენტრალურაზიური მარშრუტის გარდა განიხილება კიდევ რამდენიმე გზა. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ამის საჭიროება ნამდვილად სახეზეა.

უცნობია, როგორ განვითარდება მოვლენები საჰაერო დერეფნებთან დაკავშირებითაც. შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს ყირგიზეთში მანასის აეროპორტში ამერიკის ბაზის საკითხიც, ფრანგული სამხედრო-საჰაერო ძალებისა და გერმანული ბუნდესვერის ბაზების საკითხიც, შესაბამისად, ტაჯიკეთსა და უზბეკეთში.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლა მთელი გადაზიდვების 90% ავღანეთის მიმართულებით მხოლოდ ჩრდილოეთის ქსელით ხორციელდება და პაკისტანის გავლით ტრანზიტის გახსნის შესაძლებლობები ძალზე ბუნდოვანია, გამოდის, რომ ამ ქსელის გადაკეტვით ამერიკა-ნატოს კოალიცია ფაქტობრივად იზოლაციაში მოხვდება, ისედაც რთული სამხედრო მდგომარეობის გათვალისწინებით კი უკვე შეიძლება იმის თქმაც, რომ ავღანეთი აშშ-ისთვის ახალ ვიეტნამად იქცევა.**

win.ru; fondsk.ru



## ჰეროინის ჭირის შემცირება ავღანეთში მხოლოდ თემთა ბელადების დახმარებით შეიძლება მოგვარდეს პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით

არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეპრესიულ პრაქტიკას ფეხდაფეხ მოსდევდა რეაბილიტაციის, ადამიანების უფლებათა აღდგენის ღონისძიებები, რომლებიც ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი რეალური შედეგებით და სულაც არ იყო ნიკიტა ხრუშჩოვის სიმბოლური რეაბილიტაციის უკან მიდევნებული ლამპრის მსგავსი პიარკამპანია, ისიც, რიგ შემთხვევებში, კანონსაწინააღმდეგო და ვოლუნტარისტული.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-9 (139-147)

**სტალინის ეპოქით დაინტერესებული მკითხველები ხშირად რეკავენ რედაქციაში და გვთხოვენ მივუთითოთ ის წიგნები, რომელთა თარგმანებს „საქართველო და მსოფლიო“ ნომრიდან ნომერში აქვეყნებს.**

**ვუპასუხებთ: წიგნი ორია, რომელთაც ეფუძნება ჩვენი პუბლიკაციების სიუჟეტური განვითარების მთავარი ხაზი. ეს წიგნებია: ამერიკელი ანალიტიკოსის, გროვერ ფერის წიგნი „ანტისტალინური უნამუსობა“, რომლის რუსული თარგმანი 2007 წელს გამოიცა, და რუსი მკვლევარების: რუდოლფ ბალანდინისა და სერგეი მირონოვის „სტალინის დიპლომატიური ორთაბრძოლები. პილსუდსკიდან მაო ძედუნამდე“, რომელიც 2004 წელს გამოიცა.**

**მაგრამ, როგორც რუბრიკების შესავალში ვიტყობინებოდით, ჯერ ერთი, საგაზეთო მასალები ორიგინალის ადაპტირებული თარგმანია და, მეორე, რაც მთავარია, ისინი შევსებული და გამდიდრებულია სხვა ნაშრომებიდან ამოკრეფილი დოკუმენტებით, დასკვნებითა და ანალიტიკით.**

**ჩვენი მკითხველების ყურადღებას ამაზე ვამახვილებთ იმიტომ, რომ ამჯერადაც (როგორც წინა ნომერში) გროვერ ფერის წიგნს „ანტისტალინური უნამუსობა“ ცოტა ხნით გადავდებთ და შევეცდებით 37 წლის ზოგიერთი გამოცანის ამოხსნას სხვა წყაროებიდან ამოკრეფილ უტყუარ დოკუმენტებზე დაყრდნობით.**

## რეპრესიები მუდმივი მოვლენა თუ დროებითი და იძულებითი ღონისძიება?

ანტისტალინური პროპაგანდის მიხედვით, რეპრესიები, საკუთარი ხალხის ძალადობრივი დათრგუნვის გზით უტოპიური მიზნის მიღწევის მთავარი და ძირითადი მეთოდი იყო, უფრო ზუსტად, აუცილებელი, თანმდევი მოვლენა, ერთხელ და უცვლელად დადგენილი მოცემულობა: თუ გაკულაკებაა, — სამუდამოა; თუ ტროსკიტობაა, — სამუდამო დაღია; თუ „ლიშენცობაა“ (საარჩევნო უფლებების ჩამორთმევა), — სიცოცხლის ბოლომდე და ა.შ.

და ამ ყველაფერს სტალინის შავი ბეჭედი აზის — „ასე თქვა ბელადმა“.

აღმოჩნდა, რომ ეს მორიგი უსაფუძვლო ბრალდებაა „ტირანი სტალინის“ ისტორიული მეხსიერებიდან ამოძირკვისთვის მოგონილი.

გაკულაკებიდან სულ რამდენიმე წელიწადში საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1933 წლის 17 მარტის დადგენილებით, გადასახლებული კულაკების შვილებს, რომლებიც იმყოფებოდნენ გადასახლების ადგილებში ან მათი საზღვრების მიღმა და რომლებიც სრულწლოვანები იყვნენ, აღუდგინეს საარჩევნო უფლებები იმ პირობით, თუ ისინი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდნენ და კეთილსინდისიერად მუშაობდნენ.

აბა, უქნარას და ყალთაბანდს ლანგრით არ მიართმევდნენ ამ მოქალაქეობრივ უფლებას.

ეს შვილების შესახებ.

ახლა მამებს და უფროს თაობას მივხედოთ. 1935 წლამდე მათთვის საარჩევნო უფლების აღდგენა მკაცრად ინდივიდუალური წესით მიმდინარეობდა, გადასახლების მომენტიდან ხუთწლიანი ვადის გასვლის შემდეგ და სამუშაო ადგილიდან დადებითი დახასიათების საფუძველზე.

მოწინავე მშრომელების — სპეცგადასახლებულთა გათავისუფლების პირველი ცდა 1932 წელს განხორციელდა. 1932 წლის 5 მაისს საკავშირო შინსახკომიდან ადგილებზე გაგზავნილ წერილში ნათქვამი იყო:

„სსრკ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ვადამდე აღუდგინა უფლებები თქვენს მხარეში სპეცგადასახლებულებს თანდართული სიის მიხედვით...“ ადგილობრივ ხელმძღვანელობას დაევალა ამ ფაქტთან დაკავშირებით მოეწვიათ საერთო კრებები და ფართო განმარტებითი მუშაობა ჩაეტარებინათ სპეცგადასახლებულებთან, რათა მათ ნებაყოფლობით პრინციპზე განეგრძოთ მუშაობა იმ საწარმოებში, სადაც იმ დროისთვის იყვნენ დაკავებულნი. მაგრამ ამასთან, ხაზგასმით იყო მითითებული ისიც, რომ აღნიშნულ პირებს აქვთ სრული უფლება წავიდნენ სპეცდასახლებებიდან, შეუძლიათ ისარგებლონ სსრკ მოქალაქის ყველა უფლებით და მათ წინააღმდეგ დაუშვებელია შეზღუდვის რაიმე ღონისძიების გამოყენება. *(იხ. В.Н. Земеков „Кулацкая ссылка в 30-е годы“. 1991, №10, გვ. 13).*



გროვერ ფერი

სპეცგადასახლებულთათვის საარჩევნო უფლების აღდგენის პრაქტიკა კანონით განმტკიცდა — სსრკ ცაკ-ის სპეციალური დადგენილებით, რომელიც 1934 წლის 27 მაისს იქნა მიღებული. მაგრამ იმის გამო, რომ სპეცგადასახლებულები მასობრივად დაიძრნენ მშობლიური ადგილებისკენ, სსრკ ცაკი იძულებული გახდა რვა თვის თავზე მნიშვნელოვანი ცვლილება შეეტანა თავისსავე დადგენილებაში. 1935 წლის 25 ინვარს ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: „გადასახლებული კულაკებისთვის სამოქალაქო უფლებების აღდგენა არ აძლევს მათ დასახლების ადგილებიდან წასვლის უფლებას.

მიუხედავად ამისა, ყოფილი კულაკების გათავისუფლების პროცესი გრძელდებოდა: **1934-1938 წლებში 31515 ადამიანი გათავისუფლდა როგორც „არასწორად გადასახლებულები“, 33565 — გადაეცა კმაყოფაზე ასაყვანად. ათასობით ადამიანი გათავისუფლდა სასწავლებლად წასვლის, გადაუსახლებლებთან დაქორწინებისა და სხვა მიზეზების საფუძველზე.**

**1938 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით (№1143-280ს) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ გადაწყვიტა გაეცათ პასპორტები სპეცგადასახლებულთა და გადასახლებულთა შვილებისთვის, რომლებსაც 16 წელი შეუსრულდათ და პირადად სახელი გატეხილი არ ჰქონდათ. პასპორტებს მიიღებდნენ საერთო საფუძველზე და იკრძალებოდა მათთვის ხელის შეშლა სასწავლებლად ან სამუშაოდ გამგზავრების შემთხვევაში.**

**1939 წელს ამ დადგენილების საფუძველზე გათავისუფლდა 1824 შრომადასახლებული, 1940 წელს კი — 77661. ამას გარდა 1939-1940 წლებში სასწავლებლად წასვლის გამო გათავისუფლდა 18451 ადამიანი, გადაეცა კმაყოფაზე 2721 და გათავისუფლდა როგორც „არასწორად გადასახლებული“ 1540 შრომადასახლებული.**

ყურადღებას იქცევს ერთი საინტერესო თავისებურება: ომამდე სპეცგადასახლებულთა შვილები დაჟინებით მოითხოვდნენ აღრიცხვიდან მოხსნას. მაგრამ ომის დაწყების დღიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებების ნაკადმა მკვეთრად იკლო. უფრო მეტიც, კომენდანტურებს ცალკეულმა პირებმა მიმართეს თხოვნით, ნება დაერთოთ, დაბრუნებულიყვნენ შრომით ბანაკში და შრომადასახლებულების აღრიცხვაზე დამდგარიყვნენ.

თუმცა საპირისპირო მოვლენაც აღინიშნა: შრომადასახლებულები მოითხოვდნენ მათ გაგზავნას ფრონტზე ფაშიზმის წინააღმდეგ საომრად. ასეთი განცხადებებით მიმართეს ჩიტის, სვერდლოვსკის, ჩელიაბინსკის მხარეების, ორჯონიკიძის ოლქის და შინსახკომის სხვა სამმართველოებს.

1941 წლის 15 ოქტომბრისთვის წითელ არმიაში გაიწვიეს 3218 შრომადასახლებული, მათგან 301 კადრის ნაწილებში, 2917 — სპეციალურ სამშენებლო ბატალიონებში.

**ამრიგად, იმ პერიოდის რეალური ვათარების თუნდაც ეს, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი სეგმენტის ობიექტურად გადმოცემული სურათი გვაჩვენებს, რომ რეპრესიულ პრაქტიკას ფეხდაფეხ მოსდევდა რეაბილიტაციის, ადამიანების უფლებათა აღდგენის ღონისძიებები, რომლებიც ხასიათდებოდა მნიშვნელოვანი რეალური შედეგებით და სულაც არ იყო ნიკიტა ხრუშჩოვის სიმბოლური რეაბილიტაციის უკან მიდევნებული ლამპარის მსგავსი პიარკამპანია, ისიც, რიგ შემთხვევებში, კანონსაწინააღმდეგო და ვოლუნტარისტული.**

ასეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს ნებისმიერი მიუკერძოებელი მკვლევარი, ამ პოზიციაზე დგას გროვერ ფერიც, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობის ჭრილში განიხილავს იმავე პრობლემას, კერძოდ, იუგოსლავიასთან დამოკიდებულების მაგალითზე.

მეოცე ყრილობისადმი წარდგენილ მოხსენებაში ხრუშჩოვმა განაცხადა: „ცკ-ის ივლისის პლენუმზე დაწვრილებით განვიხილეთ იუგოსლავიასთან კონფლიქტის წარმოქმნის მიზეზები. ამასთან, აღინიშნა სტალინის ფრიად უმსგავსო როლი. „იუგოსლავიის საქმეში“ არ არსებობდა ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტა არ შეიძლებოდა ამხანაგური, პარტიული განხილვის გზით. ამ „საქმის“ წარმოსაქმნელად არ არსებობდა სერიოზული საფუძველი, სავსებით შესაძლებელი იყო ამ ქვეყანასთან განხეთქილების თავიდან აცილება. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ იუგოსლაველ ხელმძღვანელებს არ ჰქონდათ შეცდომები ან ნაკლოვანებანი. მაგრამ ეს შეცდომები და ნაკლოვანებანი საშინლად იყო გაზვიადებული სტალინის მიერ, რამაც მიგვიყვანა განხეთქილებამდე ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ქვეყანასთან“.

ე.ი. ხრუშჩოვი იუგოსლავიასთან მეგობრული ურთიერთობისკენ მოუწოდებდა ყრილობის დელეგატებს.

მაგრამ რა ვუყოთ ერთ უხერხულ გარემოებას, ანუ სრულიად განსხვავებულ პოზიციას, რომელზეც პარტიის ხელმძღვანელები 1953 წლის ივლისის პლენუმზე იდგნენ?

**ხრუშჩოვი ტყუოდა, როცა აცხადებდა, თითქოს ივლისის პლენუმზე იუგოსლავიასთან ურთიერთობის პრობლემის განხილვის დროს ლაპარაკი იყო იმაზე, აღინიშნა, რომ არ არსებობდა საკითხები, რომელთა მოგვარება არ შეიძლებოდა ამხანაგური მოლაპარაკების გზით.**

**მაგრამ იმავე 1953 წლის ივლისის პლენუმზე იგივე ხრუშჩოვი, აგრეთვე, მოლოტოვი და მალენკოვი თავს დაესხნენ ბერიას იუგოსლავიასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მისეული გეგმის გამო. ისინი — ხრუშჩოვი, მოლოტოვი და მალენკოვი ტიტოსა და რანკოვიჩს — იუგოსლავიის ხელმძღვანელებს უწოდებდნენ „კაპიტალისტების აგენტებს“, რომლებიც „იქცევიან როგორც საბჭოთა კავშირის მტრები“.**

**XX ყრილობაზე „საბჭოთა კავშირის ამ მტრებს“ ნიკიტა მოიხსენიებს უკვე როგორც ამხანაგებს!**

მხოლოდ მას და იმდროინდელი პრეზიდიუმის ხელმძღვანელებს შეიძლება ჰქონოდათ ამგვარი „მტკიცე“ და „გაწყვეტელი“ ლოგიკური ხაზი: დაუნდობლად და მკაცრად გაეკრიტიკებინათ ლავრენტი ბერია იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის მცდელობისათვის, იუგოსლაველი ხელმძღვანელების „ამხანაგებად“ მოხსენიების გამო და სამი წლის თავზე იმავე პოზიცია პარტიის გენერალურ ხაზად წარმოედგინათ იუგოსლავიასთან მიმართებაში.

იუგოსლავიის ხელმძღვანელები „რეაბილიტირებულები“ არიან!

კიდევ ერთი „რეაბილიტაცია“ ხრუშჩოვისებურად „ექიმების საქმეს“ ეხება.

გროვერ ფერი ამ ეპიზოდის ანალიზს, როგორც ყოველთვის, XX ყრილობაზე ხრუშჩოვის მოხსენების ციტირებით იწყებს.

„ხრუშჩოვი: „უნდა შეგახსენოთ მავნებელი ექიმების საქმე *(მოძრაობა დარბაზში)*. კაცმა რომ თქვას, არავითარი საქმე არც ყოფილა, ექიმ ტიმაშუკის განცხადების გარდა, რომელმაც შეიძლება ვინმეს გავლენით, ან მი-

სპეცბანაკში



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სწორედ ლავრენტი ბერიამ მოუღო ბოლო „ექიმთა საქმის“ საგამოძიებო მასალების ფალსიფიცირებას, გაათავისუფლა ექიმები და მიაღწია დამნაშავეთა დაპატიმრებას, მათ შორის, იგნატიევისაც, რომელიც 1953 წლის ივნისში ბერიას მოცილების კვალზე დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.**

◀ თითებით (იგი ხომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ფარული თანამშრომელი იყო), მიწერა წერილი სტალინს, რომელშიც განაცხადა, რომ ექიმები მკურნალობის თითქოს მცდარ მეთოდებს იყენებდნენ. საკმარისი იყო სტალინს ასეთი წერილი მიეღო, რომ მას დაესკვნა — საბჭოთა კავშირში არიან მავნებელი ექიმები და მიეცა მითითება საბჭოთა მედიცინის გამოჩენილ მედიკოსთა ჯგუფის დაპატიმრების შესახებ. იგი თვითონ ეუბნებოდა, როგორ წარემართათ გამოძიება, როგორ დაეკითხათ დაპატიმრებულები. მან უთხრა: აკადემიკოს ვინოგრადოვს დაადეთ ბორკილები, მავანი სცემეთ. აქ გვესწრება ყრილობის დელეგატი, სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი ამხ. იგნატიევი. სტალინმა მას პირდაპირ განუცხადა:

— თუ ექიმების აღიარებას ვერ მოიპოვებთ, დაკარგავთ თავს (*აღშფოთების ხმაური დარბაზში*).

სტალინმა თვითონ გამოიძახა გამომძიებელი, ჩაუტარა ინსტრუქტაჟი, მიუთითა გამოძიების მეთოდებზე, მეთოდები კი ერთადერთი იყო — ცემა, ცემა და ცემა. ექიმების დაპატიმრებიდან რაღაც დროის გასვლის შემდეგ ჩვენ, პოლიტბიუროს წევრებმა მივიღეთ ოქმები ექიმების აღიარებით. ამ ოქმების დაგზავნის შემდეგ სტალინი გვეუბნებოდა:

— თქვენ ბრმები ხართ, კატის კნუტები, რა გელით უჩემოდ? დაიღუპება ქვეყანა, რადგან თქვენ მტრის შეცნობა არ შეგიძლიათ.

საქმე ისე იყო აწყობილი, რომ არავის შეეძლო შეემოწმებინა ფაქტები, რომელთა საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება. არ გვქონდა საშუალება შეგვემოწმებინა ფაქტები იმ ადამიანებთან კონტაქტით, ვინც ამ აღიარებებს იძლეოდა.

ჩვენ ვგრძნობდით, რომ ექიმთა დაპატიმრების საქმე ბინძური საქმეა. მათგან ბევრს პირადად ვიცნობდით, ისინი ჩვენ გვმკურნალობდნენ. და როცა სტალინის სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვნახეთ, როგორ იქმნებოდა ეს „საქმე“, დავრწმუნდით, რომ თავიდან ბოლომდე ყალბი იყო.

ეს სამარცხვინო „საქმე“ სტალინის მიერ იყო შექმნილი, მაგრამ მან ვერ შეძლო მისი ბოლომდე მიყვანა (მისეული გაგებით) და ამიტომ ექიმები ცოცხლები გადარჩნენ. ახლა ყველა მათგანი რეაბილიტირებულია, მუშაობენ იმ თანამდებობებზე, რაზეც უწინ მუშაობდნენ, მკურნალობენ ხელმძღვანელ ამხანაგებს, მათ შორის, მთავრობის წევრებსაც. ჩვენ მათ სრულად ვენდობით, და ისინიც უწინდებურად კეთილსინდისიერად ასრულებენ თავიანთ სამსახურეობრივ მოვალეობას.

**სხვადასხვა ბინძური და სამარცხვინო საქმეების ორგანიზებაში საზიზღარ როლს თამაშობდა ჩვენი პარტიის პირწავარდნილი მტერი, უცხოეთის დაზვერვის აგენტი ბერია, რომელმაც შეძლო სტალინის ნდობის მოპოვება“.**

ხრუშჩოვის მონათხრობი „ექიმთა საქმის“ შესახებ თავიდან ბოლომდე ყალბია.

„ექიმთა საქმის“ დამუშავება სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შეუდგა 1952 წლიდან. ტიმაშუკის წერილები კი გაიგზავნა ჯერ კიდევ 1948 წელს. ისინი ეხებოდა ანდრეი ჟდანოვის (პოლიტბიუროს წევრის. — ა.ს.) მკურნალობის მეთოდებს, რის გამოც იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ებრაელი ექიმები ამ წერილებში ნახსენები არ ყოფილა. და საერთოდ არავითარი შეხება არ ჰქონია „ექიმთა შეთქმულებასთან“ და იმ საქმესთან, რომელიც მხოლოდ 4 წლის შემდეგ შეიქმნა. ხრუშჩოვმა ელემენტარულად ცილი დასწამა უდანაშაულო ქალს.

**ამ პერიოდში სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს სათავეში იდგა იგნატიევი და არა ბერია.** როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკკპ ცკ პრეზიდიუმმა, რომლის წევრიც იყო ხრუშჩოვი, 1953 წლის 5 აპრილს იგნატიევი გაათავისუფლა ცკ მდივნის მოვალეობისგან, 28 აპრილს კი გამოიყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან „ექიმთა საქმის“ საგამოძიებო მასალების ფალსიფიკაციისთვის. თავად იგნატიევს თუ არ ჩავთვლით, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა აერიდებინა პასუხისმგებლობა, სტალინის დადანაშაულება აზრად არავის მოსვლია.

**სწორედ ლავრენტი ბერიამ ბოლო მოუღო „ექიმთა საქმის“ საგამოძიებო მასალების ფალსიფიცირებას, გაათავისუფლა ექიმები და მიაღწია დამნაშავეთა დაპატიმრებას, მათ შორის, იგნატიევისაც, რომელიც 1953 წლის ივნისში ბერიას მოცილების კვალზე დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს.**

*(მკითხველებს უნდა ვაცნობო, რომ იგნატიევის გათავისუფლება, ბერიას ლიკვიდაციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, რადგან მთელი რიგი რუსი მკვლევარების მიხედვით, „ექიმთა საქმის“ მთავარი მამოძრავებელი და წარმმართველი ძალა იყო ნიკიტა ხრუშჩოვი, ვისგანაც სწორედ იგნატიევი იღებდა მითითებებს. ცხადია, რომ ხრუშჩოვი ყოველმხრივ შეეცადა ციხიდან მის გამოთრევას, რადგან იგნატიევი დღეს თუ არა ხვალ ნიკიტას დაადებდა ხელს. ამჟამად უკვე დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ ქსენოფობიის ის ტალღა, რომელიც „ექიმთა საქმეს“ მოჰყვა, ებრაელ ექიმთა მასობრივი დაპატიმრებები ხრუშჩოვის ორგანიზებული იყო.*

*სწორედ ლავრენტი ბერიამ დაუსვა წერტილი ხრუშჩოვის ანტისემიტურ პარპაშს, ამიტომაც შეიწირეს ეს ქართველი კაცი ხრუშჩოვმა და მასთან ერთად, შოვინისტური შეთქმულების სხვა მონაწილეებმა. — ა.ს.).*

სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას თქმით, მამამისს არ სჯეროდა, რომ ექიმები დამნაშავენი იყვნენ.

ხანდაზმულობისა და ავადმყოფობათა მოძალების გამო სტალინი თითქმის ჩამოშორდა საქმეებს და ვერ ასწრებდა, თვალი მიედევნებინა მოვლენათა განვითარებისთვის. იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში საქმეები დალაგებული არ არის *(იხ. ვ.ა.მალიშევი, „სახალხო კომისრის დღიური“, „Вестник Президента РФ,“ 1997 წელი, №5, გვ. 141).* როგორც ჩანს, მდგომარეობის გამოსასწორებლად მინისტრად ბერიას დანიშვნას გეგმავდა, თუმცა შესაძლებელია, რომ „მეგრელთა საქმეც“ ჰქონდა ჩაფიქრებული.

ლავრენტი ბერია და ნიკიტა ხრუშჩოვი



**მედვედევი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სტალინი გამოდიოდა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ, რომელიც თან სდევდა ექიმთა მხილების მთელ კამპანიას. მკვლევარი აღიარებს: სტალინისთვის უცხო იყო ანტისემიტიზმი, რომლის გამოვლენასაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა**

„ექიმთა შეთქმულების“ შესახებ წერილები ცენტრალურ პრესაში სტალინის სიკვდილამდე კარგა ხნით ადრე აღარ ქვეყნდებოდა. ცნობილი ანტისტალინელი და ყოფილი საბჭოთა დისიდენტი ჟორეს მედვედევი ამტკიცებს, რომ ეს და რიგი სხვა ფაქტორებისა მიგვანიშნებს, რომ სწორედ სტალინმა გასცა განკარგულება შეეწყვიტათ „მავნებელ ექიმებზე“ თავდასხმები ბეჭდვით სიტყვაში *(იხ. ჟორეს მედვედევი, „Сталин и еврейская проблема. Новый анализ“ 2003 წელი, გვ. 208 და 216).*

მედვედევი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ სტალინი გამოდიოდა ანტისემიტიზმის წინააღმდეგ, რომელიც თან სდევდა ექიმთა მხილების მთელ კამპანიას. მკვლევარი აღიარებს: სტალინისთვის უცხო იყო ანტისემიტიზმი, რომლის გამოვლენასაც იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძოდა.

## თავი 7. ბერია მისი „ხრიკები“ და „დანაშაულობანი“

### ბერია – უცხოეთის დაზვერვის აგენტი

ხრუშჩოვი: „სხვადასხვა ბინძური და სამარცხვინო საქმეების ორგანიზებაში საზიზღარ როლს თამაშობდა ჩვენი პარტიის პირწავარდნილი მტერი, უცხოეთის დაზვერვის აგენტი ბერია, რომელმაც შეძლო სტალინის ნდობის მოპოვება“.

**დღეს უკვე აღარავინ იმეორებს ხრუშჩოვის ნალაყბევს „უცხოეთის დაზვერვის აგენტ ბერიას“ შესახებ, რადგან ასეთი რამ სრულად არის უგულვებელყოფილი არსებული მტკიცებულებებით. უფრო მეტიც, არც მოლოტოვს, არც კაგანოვიჩს ამის არ სჯეროდათ მაშინაც კი, როცა 1953 წელს თავად უსაყვედურებდნენ ბერიას ამგვარი ბრალდებებისა გამო.**

მიუხედავად მწარე კრიტიკისა ბერიას მისამართით, რაც გამოთქმული იყო პარტიის ცკ 1953 წლის ივლისის პლენუმზე, ბერიას „ჯაშუშობის“ მთავარი „თვითმხილველი“ ჯერ კიდევ 1920-იანი წლების ბაქოს პერიოდიდან **ანასტას მიქოიანი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ არ არსებობს არავითარი მტკიცებულება იმისა, რომ ბერია უცხოეთის სპეცსამსახურებისთვის მუშაობდა** *(დაფიქსირებულია პლენუმის სტენოგრამაში, რომელიც გამოიცა 1999 წელს, გვ. 315).*

ბერიას მიერ შეთავაზებული წინადადება ერთიანი და ნეიტრალური გერმანიის შექმნის შესახებ ხრუშჩოვმა შეაფასა როგორც „დათმობა დასავლეთისთვის“ და მხოლოდ ამ საფუძველზე დაგმო იგი როგორც „იმპერიალისტების აგენტი“. მაგრამ 1952 წელს სტალინმაც შესთავაზა მოკავშირეებს დაწყებულიყო გერმანიის გაერთიანება აუცილებელი პირობით — ამ ქვეყანას უარი ეთქვა სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე. სტალინის სიკვდილის შემდეგ გაზეთმა „პრავდამ“ ორჯერ, 1953 წლის აპრილსა და მაისში, გამოაქვეყნა ამ წინადადების სხვადასხვა ვარიანტები.

ბერიას არასოდეს ჰქონია ისეთი ძალაუფლება, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანოში დაებეჭდინებინა თავისი კერძო მოსაზრება. იგი ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი იყო და მისი მოსაზრება გერმანიის მომავლის შესახებ მხოლოდ წინადადებად რჩებოდა. დასაძრახი არ არის, რომ ასეთი საკითხი წამოწეული იყო, რადგან „გერმანიის პრობლემის“ კოლექტიური გადაწყვეტილების გარეშე ეს წინადადება ვერ განხორციელდებოდა.

ნიშანდობლივია, რომ **ხრუშჩოვის სიტყვები „დასავლეთისთვის დათმობის“ შესახებ მართალი არ იყო: ანტიჰიტლერული კოალიციის პერიოდში საბჭოთა კავშირის მოკავშირეებს ამ საკითხთან დაკავშირებით სრულიად საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდათ — ისინი უარს ამბობდნენ გერმანიის გაერთიანების საკითხის განხილვაზეც კი. დასავლეთი ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებოდა, რადგან გაერთიანების იდეა, რომელიც საბჭოთა კავშირის მიერ იყო წამოყენებული სრულად ეთანხმებოდა გერმანელი ხალხის მისწრაფებას და თუ დასავლეთის სახელმწიფოები გამოვიდოდნენ ამ გონივრული წინადადების წინააღმდეგ, ცხადი გახდებოდა, რომ სწორედ ისინი და არა სსრკ განახორციელებენ არამეგობრულ პოლიტიკას ომისშემდგომი გერმანიის მიმართ.**

ფელიქს ჩუევთან საუბრების დროს უკვე ხანდაზმული მოლოტოვი დეტალურად განმარტავს *(ჩუევის ჩანაწერები ცალკე წიგნად არის გამოცემული)*, თუ რატომ განიხილავდა იგი ბერიას წინადადებას ერთიანი ნეიტრალური გერმანიის შექმნის შესახებ როგორც „იმპერიალიზმის აგენტის მოქმედებას. მაგრამ პირდაპირ შეკითხვაზე, მართლა იყო თუ არა ბერია უცხოეთის დაზვერვის აგენტი და მტკიცდება თუ არა ეს ბრალდება დოკუმენტურად, ვიაჩესლავ მიხაილოვიჩი უარყოფითად უპასუხებდა *(იხ. ფელიქს ჩუევის „Молотов: полудержавный властелин“ 1999 წელი, გვ. 409; მისივე „Так говорил Каганович“, 1992 წელი, გვ. 66).*

## იყო თუ არა ბერია მუსავატელთა აგენტი?

ხრუშჩოვი: „იყო თუ არა სიგნალები, რომ ბერია პარტიისადმი მტრულად განწყობილი ადამიანია? დიახ, იყო. ჯერ კიდევ 1937 წელს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი სახალხო კომისარი კამინსკი ამბობდა, რომ ბერია მუსავატელთა დაზვერვაში მუშაობდა. ვერ მოასწრო პლენუმმა დამთავრება, რომ კამინსკი დააპატიმრეს და შემდეგ დახვრიტეს. შეამოწმა თუ არა სტალინმა კამინსკის განცხადება? არა, რადგან სტალინს სჯეროდა ბერიასი, და ეს მისთვის საკმარისი იყო“.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გამოჩნდა საკმაოდ ბევრი დოკუმენტური მასალა, რომლებმაც გააცამტვერა ხრუშჩოვის ეს სიყალბე. არცთუ დიდი ხნის წინათ გაცხადდა ი.პ. პავლუნოვსკის წერილი, რომელიც 1937 წლის 25 ივნისითაა დათარიღებული, რომლითაც მტკიცდება, რომ ბერია აზერბაიჯანელ ნაციონალისტთა („მუსავატელთა“) შორის იატაკქვეშა ბოლშევიკურ მუშაობას ეწეოდა.

1923 წელს შედგენილ ავტობიოგრაფიაში ბერია დეტალურად აღწერს თავის იატაკქვეშა მუშაობას, რომელსაც იგი ბოლშევიკების დავალებით მუსავატელთა და ქართველ მენშევიკთა შორის ეწეოდა. ამას იგი, რა თქმა უნდა, არ გაიხსენებდა, ეს საქმიანობა მის პარტიულ მუშაობას დადებითი კუთხით თუ არ წარმოაჩენდა *(იხ. ბერია, „Конец карьеры“ (შემდგენელი ვ. ნეკრასოვი) 1991 წელი, გვ. 320-325, 323.*

სხვა წყაროებიც ადასტურებს: **ბერია იატაკქვეშ მუშაობას ბოლშევიკების დავალებით ეწეოდა.**

სავსებით აშკარაა, ხრუშჩოვმა გამოიყენა ის მოარული ხმები, რომლებიც ვრცელდებოდა ბერიას იატაკქვეშ მუშაობის პერიოდში. არალეგალური მუშაობა მართლაც საშიშია: ბერიას უნდა ჰქონოდა ისეთი „დამცავი საშუალება“, რომლითაც მუსავატელთა ლიდერების ნდობის მოპოვებას შესძლებდა. არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ რიგით ბოლშევიკებსაც მცდარი შეხედულება წარმოქმნოდათ. 1933 წელს სერგო ორჯონიკიძისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, რომ ბერია იმ დროს კვლავ განაგრძობდა ბრძოლას მისი სახელის გამტეხი ჭორების გასაბათილებლად. საეჭვოა, მას აზრად მოსვლოდა მიეწერა ამის შესახებ პოლიტბიუროს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი წევრისთვის, მართალი რომ არ ყოფილიყო.

ხრუშჩოვს ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ ცნობაზე, რომლებიც დღეს ჩვენთვისაა ცნობილი, უფრო მეტზეც კი. მას უნდა სცოდნოდა, რომ კამინსკის განცხადება სიცრუეა, ხოლო ის, რაც მან თავად განაცხადა ბერიას მუსავატელებთან მუშაობის შესახებ, სიმართლეს არ შეეფერება.

იცოდა, მაგრამ თქვა, რადგან მის დიდ ტყუილს სწორედ ეს სჭირდებოდა.

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ეკომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სტალინს საფუძველი ჰქონდა, არ ნდობოდა მოკავშირეებს და ნაწყენიც ყოფილიყო მათზე. მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ, მართალია, მოკავშირეები ებრძოდნენ გერმანელებს, მაგრამ, ამასთან ერთად, ცდილობდნენ, მაქსიმალურად დაეცალათ სისხლისგან საბჭოთა კავშირი**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-10 (139-148)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

აპირებდნენ, თავს დასხმოდნენ ჰიტლერს გერმანიაშიც. ამის ორგანიზატორი იყო შემდგომში ცნობილი საბჭოთა მოკრივე ი. მიკლაშევსკი, რომელიც საბჭოთა დაზვერვის მიერ ჩანერგილი იყო ვერმახტში, როგორც „ნებაყოფლობლით ტყვედ ჩაბარებული“. მან შესანიშნავად გამოიყენა მსოფლიო ჩემპიონ შმერლინგის მისდამი მეგობრული დამოკიდებულება და შეაღწია ვერმახტის უმაღლეს წრეებში. მიკლაშევსკიმ შეიმუშავა ჰიტლერზე თავდასხმის გეგმა ბერლინის ერთ-ერთ თეატრში. ამ გეგმის განხორციელებაში მას დაეხმარებოდა ჰიტლერის საყვარლის — ევა ბრაუნის მეგობარი, იმ დროს ცნობილი კინოვარსკვლავი ოლგა ჩეხოვა (ანტონ ჩეხოვის ცოლის ნათესავი, ცნობილი მსახიობის — ანტონ ჩეხოვის ძმისშვილის მიხაილ ჩეხოვის ყოფილი ცოლი).

ამ დროს ორი ბელადის ორთაბრძოლა მოულოდნელად დიპლომატიური ხასიათის გახდა. მოსკოვიდან მიიღეს ბრძანება, შეეწყვიტათ ჰიტლერის მკვლელობისთვის მზადება. ბრძანება გასცა სტალინმა, რომელსაც რეგულარულად მოახსენებდნენ ამ ოპერაციის მზადების მიმდინარეობის შესახებ. სუდოპლატოვის მემუარებში ეს ფაქტი ასეა ახსნილი: „1943წელს სტალინმა უარი თქვა ჰიტლერზე თავდასხმის თავის პირვანდელ გეგმაზე, რადგან ეშინოდა: როგორც კი ჰიტლერს მოიცილებენ, ნაცისტური წრეები და სამხედროები დაუყოვნებლივ შეეცდებიან სეპარატული ზავის დადებას მოკავშირეებთან საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე. ასეთი შიში უსაფუძვლო არ იყო“. მიმდინარეობდა ჰიტლერელთა საიდუმლო მოლაპარაკებები ინგლისისა და აშშ-ს წარმომადგენლებთან. შუამავლობდა ვატიკანი. დასავლეთგერმანელი ისტორიკოსის ხაფნერის აზრით, 1942 წლის 23 თებერვლის თავის ბრძანებით „სტალინმა მისცა მას (ჰიტლერს) მორიგი ავანსი: საბჭოთა კავშირს მიზნად არ აქვს დასახული „გერმანული სახელმწიფოს განადგურება... წითელი არმიის მიზანია, განდევნოს ოკუპანტები ჩვენი ქვეყნიდან და გაათავისუფლოს საბჭოთა მიწა-წყალი გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისგან“. მხოლოდ ეს და მეტი არაფერი. თავის ბრძანებაში სტალინმა განაცხადა, რომ „შესაძლებელი“ და „სასურველია“, თუ საბჭოეთის მიწის გათავისუფლებისთვის წარმოებული ომი მიგვიყვანს „ჰიტლერის ხროვის“ დამხობამდეც. ამრიგად, ეს ამოცანები არ იყო ომის აუცილებელი მიზანი და პირობა მშვიდობის დასამყარებლად“.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეცვალა სტალინგრადის ბრძოლამ. სხვათა შორის, ამ **ბრძოლის დროს დაატყვევეს ჰიტლერის ნათესავი.**

ბევრია დაწერილი სტალინის შვილის იაკობ ჯუღაშვილის ტყვედ ჩავარდნის შესახებ. მაგრამ შედარებით ახლახან განსაიდუმლოვდა დოკუმენტები, რომელთა თანახმად **სტალინგრადის ბრძოლის დროს დაატყვევეს ჰიტლერის დის — ანგაელას შვილი, ლეიტენანტი ლეო რაუბალი. საბჭოთა ბელადის შვილი ტყვეობაში ვაჟკაცურად იქცეოდა და დაიღუპა. ლეომ კი ტყვედ ყოფნის დროს თვითონ განაცხადა, რომ ფიურერის ნათესავია. ტყვეობაში მისი ამხანაგის, კაპიტან ბეკერის თქმით, ლეომ თვითონ იჩქარა, განეცხადებინა თავისი ნათესაური კავშირის შესახებ, რადგან შეშინდა — თუ რუსები ამის შესახებ თავად შეიტყობენ, „მაშინ მისი საქმე ცუდად წავა“.**

**ჰიტლერის დისშვილი ვადამდე, 1955 წელს გაათავისუფლეს, მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერ კონრად ადენაუერთან მოლაპარაკების კვალზე ციხიდან გაუშვა ყველა გერმანელი, რომლებიც ფაშისტების მხეცობაში მონაწილეობდა.**

1943 წლის 27 თებერვალს იგი დაჰკითხა ცნობილმა საბჭოთა მზვერავმა ა. კოროტკოვმა. აი, რა შეკითხვები დაუსვა მან ლეო რაუბალს: „ვინ ესწრებოდა ჰიტლერის მოწყობილ სადილებს? თქვენს გარდა კიდევ ვინ ესწრებოდა ჰიტლერთან ამ ორ ბოლო შეხვედრას? ვის იცნობთ ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობიდან?“

ინტერესი ამ ცნობებისადმი შემთხვევითი არ იყო. სტალინმა იცოდა, რომ დასავლეთის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში არის მნიშვნელოვანი ფენა, რომელიც შეიძლება გაურიგდეს ნაცისტური ხელმძღვანელობის იმ ნაწილს, რომელიც მზადაა, მსხვერპლად გაწიროს თავისი ფიურერი. ამ წრეების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია სასარგებლო იქნებოდა (გამოიყენეს კიდეც, კერძოდ, 1945 წლის დასაწყისში, როცა ალენ დალესი სეპარატულ მოლაპარაკებას აწარმოებდა შვეიცარიაში ესესის გენერალ ვოლფთან).

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ: **სტალინს საფუძველი ჰქონდა, არ ნდობოდა მოკავშირეებს და ნაწყენიც ყოფილიყო მათზე.** მას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ, მართალია, მოკავშირეები ებრძოდნენ გერმანელებს, მაგრამ, ამასთან ერთად, **ცდილობდნენ, მაქსიმალურად სისხლისგან დაეცალათ საბჭოთა კავშირი** *(ამას, სხვათა შორის, სტალინი არც მალავდა, როცა რუზველტთან და ჩერჩილთან მიმოწერაში კატეგორიული ფორმით მოითხოვდა მეორე ფრონტის გახსნას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფაშიზმის წინააღმდეგ ომის მთელი სიმძიმე საბჭოთა კავშირს აწევს და იგი მარტოდმარტო, უდიდესი მსხვერპლის ფასად, წარმატებით ებრძვის მომხდურ მტერს. მეორე ფრონტის გაუხსნელობა გერმანელებს საშუალებას აძლევდა, ვერმახტის მთელი ძალა აღმოსავლეთისკენ წარემართა. — ა.ს.).* 1942 წელს დანაპირები მეორე ფრონტის გაუხსნელობამ გერმანელებს საშუალება მისცა განეხორციელებინათ დიდი შეტევა ლენინგრადისა და სტალინგრადის ხელში ჩასაგდებად.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ჩერჩილი და რუზველტი სავსებით მშვიდად განიხილავდნენ და, გამორიცხული არ არის, ეიმედებოდათ, რომ ამ ომში შეირყეოდა საბჭოთა კავშირის პოზიცია. შედეგად მოკავშირეებს შესაძლებლობა მიეცემოდათ, დასუსტებული პარტნიორისთვის ეკარნახებინათ თავიანთი ნება. მაგრამ გერმანელების ზაფხულის წარმატებებს ზამთრის კატასტროფა ჩაენაცვლა.

შეიძლება ითქვას, რომ აქ პირველად გამჟღავნდა სტალინის სტრატეგიული ნიჭი. მისი ხელმძღვანელობით (ჟუკოვის გვერდის ავლით) შემუშავდა მოწინააღმდეგის დეზინფორმაციის ოპერაცია: ჩვენმა აგენტმა, რომელსაც გერმანელები სავსებით ენდობოდნენ, აცნობა მათ, რომ საბჭოთა კონტრშეტევა იგეგმება ძირითადად რჟევის მიმართულებიდან, სადაც გაიგზავნა მარშალი ჟუკოვი, რომელმაც არ იცოდა, რომ უნდა განეხორციელებინა ყურადღების გადატანის მანევრი. **გერმანელებმა რჟევთან თავი მოუყარეს თავიანთ ძალებს და წარმატებით მოიგერიეს წითელი არმიის შეტევები; და სწორედ ამ დროს მტრისთვის მოულოდნელად სტალინგრადთან დაიწყო ჩვენი შეტევა, რომელიც მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფების (300 ათასამდე ადამიანის) ალყაში მოქცევით და განადგურებით დამთავრდა.**

მსგავსი რამ განმეორდა მომდევნო წელსაც. ▶



სტალინგრადის ბრძოლა (გუნდესარქივის ფოტო)

უკომენტაროდ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აღმოსავლეთისკენ შეტევის წინ გერმანელებს წაუკითხეს ფიურერის პათეტიკური მიმართვა: „რაიხის ჯარისკაცებო! დღეს თქვენ იწყებთ დიად შეტევას, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ომის საერთო შედეგზე. თქვენი გამარჯვება უფრო მეტად, ვიდრე უწინ, გააძლიერებს რწმენას იმისა, რომ ამაოა ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევა გერმანიის შეიარაღებული ძალებისთვის“.**

ჰიტლერმა აღმოსავლეთის მიმართულებით თავი მოუყარა მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალას და მცირე ყოყმანის შემდეგ გადამწყვეტ მოქმედებაზე გადავიდა. მის განკარგულებაში იყო 257 დივიზია (სუფთად გერმანული — 207), 240-ის ნაცვლად 1942 წელს. სტალინის მოკავშირეებს ჰიტლერელთა ჯარების ნაწილი საფრანგეთში გადასხდომით უნდა დაეკავებინათ. მაგრამ არ ჩქარობდნენ და ამიტომ 1943 წლის 16 თებერვალს სტალინმა მიწერა რუზველტს:

**„რაც შეეხება ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთში მეორე ფრონტის გახსნას, ეს, როგორც თქვენი ცნობიდან ჩანს, დაგეგმილია მხოლოდ აგვისტო-სექტემბრისთვის. მე მგონია, რომ ახლანდელი სიტუაცია მოითხოვს, ეს ვადები მაქსიმალურად შემცირდეს და მეორე ფრონტი დასავლეთში გაიხსნას აღნიშნულ ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე...“**

მაგრამ ეს მოვლენა განხორციელდა პირიქით — გაცილებით გვიან!

და აი, 1943 წლის 4 ივნისს, როცა ჰიტლერი თავის ძალებს კურსკის მიმართულებით თავს უყრიდა, როცა აქ ხდებოდა კონცენტრირება უახლესი ტექნიკის, მძიმე ტანკების — „ვეფხვების“ და „პანტერების“, თვითმავალი დანადგარების — „ფერდინანდების“, სატანკო არმიების არნახული რაოდენობის (ესესის დივიზია „ადოლფ ჰიტლერი“, „მკვდარი თავი“, „დიადი გერმანია“ და სხვა), სწორედ ამ დროს რუზველტი სტალინს უგზავნის წერილს „პირადად და მკაცრად საიდუმლოდ“.

რის შესახებ წერს რუზველტი?

უწინარეს ყოვლისა — გერმანული წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლის, მოკავშირეთა მხარეს თურქეთის შესაძლო მონაწილეობის, იაპონიასთან ბრძოლის და ჩინეთის მხარდაჭერის, საფრანგეთის ჯარების მხარდაჭერის შესახებ აფრიკაში...

რას გრძნობდა სტალინი ამგვარი მესამეხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე ამბებს დაკითხვისას, როცა კარს იყო მომდგარი გადამწყვეტი ბრძოლა, რისთვისაც გერმანიას მობილიზებული ჰქონდა ყველა თავისი შესაძლებლობა საბჭოთა შეიარაღებული ძალების წელში გასატეხად, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

რუზველტი კი ადრესატს დასკვნით ნაწილში აცნობებს, „ინგლის-ამერიკის ერთობლივი საშტაბო ჯგუფი მუდმივად იყო დაკავებული და დაკავებულია აუცილებელი გეგმების უახლესი მონაცემებით შესავსებად, რათა დაუყოვნებლივ გამოვიყენოთ მოწინააღმდეგის ნებისმიერი სისუსტე საფრანგეთში ან ნორვეგიაში...“ (არადა, სულ ახლახან გერმანელების სამი სატანკო დივიზია საფრანგეთიდან აღმოსავლეთ ფრონტზე იქნა გადასროლილი! შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ჰიტლერი დარწმუნებული იყო: ინგლისი და აშშ ხელს არ შეუშლიან ვერმახტს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენოს წითელ არმიას). „ახლანდელი გეგმების თანახმად, 1944 წლის გაზაფხულზე ბრიტანეთის კუნძულებზე კონცენტრირებული უნდა იყოს ადამიანებისა და მასალების საკმარისად დიდი რაოდენობა იმისთვის, რათა განვახორციელოთ ყოვლისმომცველი შეჭრა კონტინენტზე“.

ყველაფერი ნათელია: **მოკავშირეებმა ამჯერადაც — 1943 წლის სამხედრო კამპანიის ყველაზე მწვავე და გადამწყვეტ მომენტში უღალატეს სტალინს.**

1943 წლის 11 ივნისს სტალინი პრეზიდენტ რუზველტს უგზავნის პირად და საიდუმლო წერილს, რომელშიც ნათქვამია:

**„ახლა, 1943 წლის მაისში თქვენ, ბატონ ჩერჩილთან ერთად იღებთ გადაწყვეტილებას, რომლითაც ინგლის-ამერიკის დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნა, რომელიც უკვე გადადებული იყო, 1942 წლიდან 1943 წლისათვის, კვლავ გადაიდება, ამჯერად 1944 წლის გაზაფხულისათვის.**

**თქვენი ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებულ სიძნელეებს უქმნის საბჭოთა კავშირს, რომელიც უკვე ორი წელიწადია თავისი ძალების უკიდურესი დაძაბვით ებრძვის გერმანიის მთავარ ძალებს და მის დამქაშებს, და საბჭოთა არმიას, რომელიც იბრძვის არა მარტო თავისი ქვეყნისთვის, არამედ თავისი მოკავშირეებისთვისაც, საკუთარი ძალების ანაბარა ტოვებს ორთაბრძოლაში ჯერ კიდევ ძალზე ძლიერ და საშიშ მტერთან“.**

13 დღის შემდეგ კი უფრო დაწვრილებით მიწერა ჩერჩილს და შეახსენა:

**„ეს საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში შეჭრის შესახებ თქვენი ადრინდელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე თქვენი და პრეზიდენტის მიერ მიღებულია საბჭოთა მთავრობის მონაწილეობის გარეშე და გარეშე ყოველგვარი ცდისა, მიგეწვიათ მისი წარმომადგენლები ვაშინგტონში გამართულ თათბირზე, მიუხედავად იმისა, რომ შეუძლებელია არ იცოდეთ საბჭოთა კავშირის როლის შესახებ გერმანიასთან ომში და ის, რომ მისი დაინტერესება მეორე ფრონტის საკითხებით საკმაოდ დიდია“.**

მოკავშირეთა ასეთი ქმედება ძალიან ჰგავდა შეთქმულებას, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მიმართული იყო არა იმდენად ჰიტლერის წინააღმდეგ, რამდენადაც სტალინის წინააღმდეგ.

თუმცა მას მაინც და მაინც დიდი იმედი არ ჰქონდა თავისი ფრიად არასანდო „თანამებრძოლების“, ისინი კვლავ ელოდნენ მომენტს, როცა ერთმანეთთან ბრძოლით დასუსტდებოდა გერმანია და საბჭოთა კავშირი და ხელ-ფეხი გაეხსნებოდათ ევროპაში აქტიური მოქმედებისთვის...

## კურსკის ბრძოლა



**«ჩვენ ირგვლივ რუსეთის არტილერიის შეტევის შედეგად, — წერდა «ვეფხვის» რადისტი, — მიწა ყალყზე დადგა. მთელ ფრონტს გარს შემოერტყა აფეთქებათა რკალი. გეჩვენებოდა, რომ ცეცხლის რკალში მივძვრებოდით»**

სტალინიც თავს უყრიდა შეიარაღებულ ძალებს კურსკის მიმართულებით. ჰიტლერმა იცოდა ეს და ამიტომ გადაწყვიტა, არ გადაედო დასახული ოპერაცია „ციტადელი“, კიდევ უფრო გაეძლიერებინა თავისი შესაძლებლობანი, უწინარეს ყოვლისა კი, — ჯავშანსატანკო ძალები. მაგრამ სტალინმაც იცოდა ეს და ამიტომ იზრუნა იმისათვის, რომ საბჭოთა მხარეს უპირატესობა ჰქონოდა ადამიანებისა და ტექნიკის თვალსაზრისით.

**გერმანელების ორ დამკვრელ დაჯგუფებაში გაერთიანებული იყო ერთი მილიონი ადამიანი, 10 ათასი ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2700-მდე ტანკი, 2050 თვითმფრინავი. მათ წინააღმდეგ თავმოყრილი იყო ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტის ძალები: 1,3 მილიონი ადამიანი 19 ათასი ქვემეხი და ნაღმსარტყორცნი, 3400 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 2170 თვითმფრინავი.**

**ამას გარდა, გერმანელების ღრმად შემოჭრის შემთხვევაში გამზადებული იყო სტეპის სარეზერვო ოლქი, რომლის შემადგენლობაში იყო ნახევარ მილიონამდე კაცი, 7400 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1550 ტანკი.** სტალინისგან განსხვავებით, ჰიტლერმა ვერ განსაზღვრა, რომ ვერმახტის შეტევა შეიძლება შეფერხებულიყო და რუსები კონტრშეტევაზე გადავიდოდნენ. „ციტადელი“ შემუშავებული იყო როგორც შეტევითი ოპერაცია. მის გასაძლიერებლად გერმანელებმა აღმოსავლეთ ფრონტის ცალკეული უბნები გააშიშვლეს.

რა თქმა უნდა, იგივე გააკეთა საბჭოთა მხარემაც. მაგრამ ამ დროისთვის ქვეყანამ შეძლო მოეშუშებინა მტრის მიერ მიყენებული ჭრილობები. ფრონტი მარაგდებოდა ტანკების მეტი და მეტი რაოდენობით, ხოლო ტანკისტები, მფრინავები და არტილერისტები მნიშვნელოვნად უფრო კვალიფიცირებული გახდნენ.

საინტერესოდ წერს ინგლისელი სამხედრო ისტორიკოსი პოლკოვნიკი ე. ლეიდერი იმის შესახებ, თუ როგორ ემზადებოდნენ წითელარმიელები მტრის შეტევის მოსაგერიებლად:

„ჯარისკაცები გადიოდნენ ფიზიკურ მომზადებას, აწყობდნენ მარშ-გადარბენებს. ტანკების ეკიპაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ წინაღობათა გადალახვაში, სისწრაფესა და სროლის სიზუსტეში. ვეტერანები ახალგაზრდა ჯარისკაცებს თავიანთ გამოცდილებას უზიარებდნენ. თითოეულ სატანკო ეკიპაჟში ჩართული იყო ერთი-ორი კომუნისტი ან კომკავშირელი, რომლებსაც თავგანწირვის მაგალითი უნდა ეჩვენებინათ. თავისუფალ დროს ნახულობდნენ კინოფილმებს, ეწყობოდა სპორტული შეჯიბრებები, გამოცდილი მეომრები ლექციებს კითხულობდნენ“.

საქმე, რა თქმა უნდა, მარტო ეს არ იყო. მიმდინარეობდა ტერიტორიის დანაღმვისა და საცეცხლე წერტილების მოსამზადებელი სამუშაოები იმის გათვალისწინებით, რომ გერმანელები შეტევის თავში დააყენებდნენ ზემძლავრ „ვეფხვებს“, „პანტერებსა“ და „ფერდინანდებს“ და განახორციელებდნენ რიგ მანევრებს, რომელთა გამოცნობა ძნელი არ იქნებოდა. ჩვენს ჯარს უნდა მოეგერებინა საშინელი ძალის დარტყმა. მაგალითად, კურსკის რკალის სამხრეთ ფლანგზე გერმანელების ცხრა საუკეთესო დივიზია იყო განლაგებული 45 კილომეტრის სიგრძის ფრონტზე.

აღმოსავლეთისკენ შეტევის წინ გერმანელებს წაუკითხეს ფიურერის პათეტიკური მიმართვა: „რაიხის ჯარისკაცებო! დღეს თქვენ იწყებთ დიად შეტევას, რომელმაც შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ომის საერთო შედეგზე. თქვენი გამარჯვება უფრო მეტად, ვიდრე უწინ, გააძლიერებს რწმენას იმისა, რომ ამაოა ნებისმიერი წინააღმდეგობის გაწევა გერმანიის შეიარაღებული ძალებისთვის“.

მაგრამ 5 ივლისის განთიადისას, როცა გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები სასიკვდილო შეტაკების წინ ისმენდნენ ამ სიტყვებს, მათ თავზე დაატყდა ჭურვების, ბომბების, ნაღმებისა და რაკეტების გრიგალი.

ჩვენს მხარეს სარდლობა დაძაბულ მოლოდინში იყო: ხომ არ შეცდნენ, ხომ არ გადაიტანა მტერმა შეტევის თარიღი? თუ მთავარი დარტყმები სხვა ადგილზე განხორციელდება?

მაგრამ 06:00 საათზე ორი ათასი გერმანული ტანკი გამოვიდა საფარებიდან და დაიძრა მოწინააღმდეგისკენ. მათ დასახვედრად ყველაფერი მზად იყო. „ჩვენ ირგვლივ რუსეთის არტილერიის შეტევის შედეგად, — წერდა „ვეფხვის“ რადისტი, — მიწა ყალყზე დადგა. ივანს, მისთვის ჩვეული ეშმაკობით, წინა კვირეებში ცეცხლი არ გაუხსნია... მთელ ფრონტს გარს შემოერტყა აფეთქებათა რკალი. გეჩვენებოდა, რომ ცეცხლის რკალში მივძვრებოდით“.

უდიდესი დანაკარგით მიიწევდნენ წინ რჩეული გერმანული ნაწილები.

სოფელ პროხოროვკასთან ერთმანეთს შუბლით შეეჯახა ორი სატანკო არმია — ორივე მხრიდან 1200 მანქანა. დაიწყო მსოფლიოში არნახული ბრძოლა ჯავშანურჩხულებისა, რომლებიც ამოაფრქვევდნენ ცეცხლს, ფეთქდებოდნენ, იწვოდნენ... „ჩვენ შევეჯახეთ, — წერდა გერმანელი ტანკისტი, — რუსული ტანკების ამოუწურავ ოდენობას — მანამდე არასოდეს მინახავს რუსული ძლიერების ასეთი დემონსტრაცია. მტერის ღრუბელი, რომელიც ბრძოლის ველს გადაეფარა, „ლუფტვაფეს“ საშუალებას არ აძლევდა, დაგვხმარებოდა, და მალე მრავალრიცხოვანმა „ოცდათოთხმეტიანებმა“ გაარღვიეს ჩვენი მოწინავე ზღუდე და როგორც მტაცებელი მტრები მოედვნენ ბრძოლის ასპარეზს“.

**ამ შეტაკებაში გერმანელებმა დაკარგეს 400 საბრძოლო მანქანა, რუსებმა — ასით ნაკლები.** გერმანელების შეტევის გაგრძელებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ მათთვის გაცილებით ცუდი რამ მოხდა. „ჩვენ ვიმედოვნებდით, — წერდა არმიების დაჯგუფება „სამხრეთის“ სარდალი ფონ მანშტეინი, — რომ ოპერაცია „ციტადელის“ მსვლელობისას მოწინააღმდეგეს ისეთი ძლიერი დარტყმა მივაყენეთ და ისე საგრძნობლად დავაზარალეთ, რომ შევძლებდით ამოგვესუნთქა ფრონტის ამ სექტორში...“

მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა. გერმანელების მნიშვნელოვნად შეთხელებულმა სატანკო დივიზიებმა უკან დაიხიეს დისლოკაციისთვის და საბრძოლო მანქანების შესაკეთებლად. არც ჩვენი დანაკარგი იყო მცირე. მაგრამ ბრძოლის ველი ჩვენ დაგვრჩა, ხოლო ათასამდე დაზიანებული საბჭოთა ტანკი და თვითმავალი ქვემეხი ნახევარ თვეში კვლავ მწყობრში ჩადგა. ჯარი შეივსო ახალი ძალებით. და მიუხედავად იმისა, რომ გერმანელებმა შეძლეს სამხრეთის მიმართულებით გარღვევა, ამან მხოლოდ გააუარესა მათი მდგომარეობა. 3 აგვისტოს საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და ქანცგაწყვეტილ მტერს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს. მტერი შეუჩერებლად იხევდა უკან. ვერა და ვერ შეძლო მან რომელიმე ზღუდეზე მოეკიდა ფეხი და გამაგრებულიყო.

როგორც დასავლეთგერმანელი ისტორიკოსი პაულ კარელი წერდა: **„...მრავალი თვის განმავლობაში დაყინებული და თავდადებული ძალისხმევით შეგროვებული საჯარისო რეზერვები, განსაკუთრებით, სატანკო და მოტორიზებული დივიზიები შემოგვადნა კურსკის ბრძოლის ცეცხლის ქურაში. შეტევის ძალა დიდი ხნით ჩაიფუშა. ამ მომენტიდან და მომავალში სტრატეგიული რეზერვების შექმნა შეუძლებელი გახდა... ამ თვალსაჟრისით კურსკის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომში გადამწყვეტი იყო. ჰიტლერელთა დიადი შეტევა უდიდეს დამარცხებად შემობრუნდა“.**

**3 აგვისტოს საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და ქანცგაწყვეტილ მტერს გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს. მტერი შეუჩერებლად იხევდა უკან**

**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

## ფოსტა

**თუ რომელიმე ბიზნესმენმა გაბედა მწერლობისთვის მატერიალური მხარდაჭერა, მაშინვე სახელმწიფოს მტრად გამოაცხადებენ, რამეთუ თავი სახელმწიფოდ წარმოუდგენიათ, რადგან საქართველო მათი თავხედური განუკითხაობის არენაა.**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ნაცრის ქექვაზეა აწყობილი «ნაცმოძრაობის» არღანი

**ძნელია, უყურო შენი სამშობლოს დაკნინება-დარბევა-ძარცვას და ნაწილ-ნაწილ გაყიდვას მისი განვითარება-აყვავებაზე ყალბი ქაქანის პირობებში, როცა უკანონობა, ძალადობა, აღვირახსნილობა ყელში გიჭერს ავი ძაღლის ჯინჯილივით და ყოველდღიურად სამართლიანობის გაფურჩქვნაზე ყბედობით განწყვეტამდე გიძაბავენ ნერვებს. გინდა, იყვირო, შველა ითხოვო, მაგრამ, კოშმარული სიზმრის მსგავსად, ხმა ვერ ამოგიღია და მძიმე განცდების ტყვეობაში უსუსურად ფართხალებ. როდემდის უნდა გაგრძელდეს ცხოვრების ასე შეუჩერებელი უკუსვლა?**



დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით დავიწყეთ, ამდენი საშინელი განსაცდელის გადატანის, სისხლის დაღვრისა და მრავალი საუკეთესო ადამიანის დაკარგვის შემდეგ, გაუმაძღრობისა და ღალატის წყალობით ახლა ენისა და ერის გადარჩენა გვაქვს საზრუნავი.

იმ დაწუნებულ ცხოვრებას რაც კარგი და დადებითი ჰქონდა (უფასო მკურნალობა, უფასო სწავლა, უფასო ბინები, გარანტირებული სამუშაო, დასვენება და სხვა მრავალი სოციალური სიკეთე) მოვსპეთ. ყალბსიტყვაობა, ძალადობა, არასაიმედო პირებზე გაუკულმართებული კანონებით ანგარიშსწორება, ყალბი პომპეზურობა, ესოდენ წარმატებით რომ იყენებდა შევარდნაძე, შეატოვა დღევანდელობას, რაც ასე ამშვენებს მის მიერ მოქალაქეთა კავშირში გაწრთვნილ ნაციონალ ხელისუფალთ. ასეა, **ადამიანი თუ ერთხელ შედგა მუხთლობის ბილიკზე, მას სიკეთისკენ ვერავითარი ძალა ვეღარ მოაბრუნებს.**

**დღეს, ერთი მუჭა გაზულუქებულთა გარდა, ამ საყოველთაო რბევისა და ძარცვის სამთავროში ქართველ ხალხს ლუკმაპურის შოვნა აქვს საზრუნავი.**

თბილისში ყველა სამრეწველო საწარმო მოსპეს, სამაგიეროდ, მათხოვართა რაოდენობით, თანაც ყველაზე განათლებული მათხოვრებით, შეგვიძლია ვიამაყოთ. უმუშევრობით ხომ სასწაულს ვახდენთ. ვინ მუშაობს?! მთელი საქართველო თბილისსაა შეხიზნული, სადაც აღარც ქარხნებია და აღარც საწარმოები. სამაგიეროდ, მრავლადაა დაცვის თუ დასჯის პოლიცია; დუქნები, მარკეტები, კაზინოები, ბაზრები და სხვა უამრავი რამ. **ლუკმაპურის მაძიებლები საცოდავად მიაგორებენ გატანჯულ ამქვეყნიურობას. ქუჩაში კი თოფმომარჯვებული ბრაკონიერივით დადის უამრავი იეღოველი, უფლის სახელით რომ აქამანდებს მსხვერპლს. თუ უიმედობით სასოწარკვეთილს სადმე ბზარი მოგიძებნა, შემოგაჩეჩებს საუცხოოდ გაფორმებულ უფასო წიგნს. მორჩა, პრობლემები წარსულს ჩაბარდა, მალე ურწმუნოები გაწყდებიან და ყველაფერი იეღოველებს დარჩებათ; ოღონდ ცოტა უნდა მოითმინონ.**

საზარელი ცხოვრებით გაწამებულ ხალხს ამის გარდა სხვა გასართობიც აქვს: უამრავ სატელევიზიო შოუზე კუჭის ნებიერ ხელისუფლებად წოდებულ ბიუჯეტის ვირთხების ოხუნჯობა, როცა ძალიან გამძღრებს ვიწრო წრეში ლაყბობის საქვეყნოდ გამოტანა მოესურვებათ. თავიანთი უმარილო თუ გადამლაშებული, დონდლო, ზღვარგადასული ანგლობით ტელევიზიიდან დამშეული ხალხის წინაშე თავს იწონებენ. ასეა, რადგან ხელისუფლება ჰქვიათ, უნდა ღრღნან ბიუჯეტი და უზომო ჭამა-ყლაპვით დაიმახინჯონ სულ-ხორცი. **ხალხი? რის ხალხი! აბა, ხმა ამოიღოს, სულ დაუნაყავენ თავ-ყბას. ტყუილად კი არ აშენებენ პოლიციის შემინულ შენობებს. ჯარიც კარგად ჰყავთ მომზადებული მხოლოდ საკუთარი ხალხის დასაშინებლად. ხმას ამოიღებენ და 26 მაისის დარბევა სანატრელი გაუხდებათ.** მაშინ, მოკლულები სახურავზე აიტანეს და, კვალი რომ დაეფარათ, დენმა დაარტყაო, გამოაცხადეს. ახლა ეგეც არ სჭირდებათ, **ავღანეთში ქართველი მეომრების სიცოცხლის ფასად აქვთ ნაყიდი ყოველგვარ ძალადობაზე ამერიკის მხარდაჭერა.**

მაძღარს მშიერის არ ესმის, ცხადია. ესენი კი გადამაძღრებულნი არიან და მშიერი ხალხის სიძულვილს მისი დაცინვით იკმაყოფილებენ. ცრუპენტელა ტელევიზიებმაც შეაძულეს ხალხს თავი, მაგრამ, ნაგავში ქექვის მსგავსად, მასაც უყურებენ, იქნებ რაიმე სასიკეთო გამოჩნდესო.

ესენი კი, როცა გართობის ხასიათზე არიან, ხალხიც ახსენდებათ. ისეთ ქაღალდის ვაუჩერებს არიგებენ, რომ არც მოგეცემა და არც დაგეკარგება. იმით ვერც მოხნავ და ვერც დათესავ, არც საპირფარეშოში გამოდგება, კედელზე მიკვრა კი შეიძლება, ყოველ შეხედვაზე ნაციონალთა სოფლის მეურნეობის აყვავებაზე მორიგი ნაცრის ამტვერების გასახსენებლად.

პრეზიდენტმა და გილაურმა ტელევიზიითაც ისეთი ღრმაშინაარსიანი საუბარი გამართეს ამ ვაუჩერით გლეხის მიერ მიწის დამუშავების მაგიურ ძალაზე, რომ მამალი ძროხების მწველავ ყოფილ სოფლის მეურნეობის მინისტრზე არანაკლებ წაღმა-უკუღმა ერკვევიან სოფლის მეურნეობის აღმართ-დაღმართებში. გლეხებს კიდევ მწარედ ეცინებათ, სოფლის მეურნეობაში ეგეთი მაგრები რომ არიან, პოლიტიკაში რა ღმერთი გაუწყრათ, სწორად როგორ ვერ გათვალეს, ის ურჩევნიათ, მაკკეინს ვიეტნამში დაკარგული პისტოლეტი უკანვე გამოართვან. არადა, ის პრეზიდენტი რომ გამხდარიყო, მაშინ გენახათ მსოფლიოს გადარევაო. პრეზიდენტის აღმა-დაღმა სირბილს და სატელევიზიო შოუებზე ქადაგებაზე თავისთვის ღიღინებენ:

**ვაუჩერზე ქაქანით**
**ვერ დაჭედავ მაკე ვირს;**
**ობამას რომ შეუძვერ,**
**გამოუძვერ მაკკეინს?**

„ნაციონალებმა" კი თავიანთი საქმე კარგად იციან, ნაბახუსევზე ტელევიზიის თანხლებით დაჯოგდებიან და რომელიმე წინასწარ შერჩეულ გლეხს მიადგებიან, რომ მანაც სამადლობელივით ჩააგალობოს ვაუჩერის დარიგებით ხელისუფლების ხალხზე ზრუნვის ზღაპარი.

**სოფელი სულს ღაფავს. ბევრგან გარდაცვალება დაბადებას ორმაგად და მეტად აღემატება. უფროსი თაობის შემდეგ ბინები იკეტება, რადგან ახალგაზრდები ან საზღვარგარეთ არიან გახიზნული, ან ქალაქში ეძებენ ლუკმაპურს.**

ყველა სოფელში ვეტერინარული სამსახური მოსპეს, ბინები გაყიდეს; ცხოველების ვეტერინარული მომსახურება წარსულს ჩაბარდა. მიწებს ვიღაც ფულიანები დაეპატრონენ. მიწის ზევით გასაყიდი რომ აღარაფერი დარჩათ, მის ქვეშ ჩაწყობილი სარწყავი მილები გაყიდეს, ექსკავატორით მოთხარეს და გავერანებულ-აჩიჩქნილი სავარგულები შეატოვეს ხელისუფლების სინდისს.

სოფლის მეურნეობაში მამალი ძროხის წველის დონეზე კომპეტენტურები რომ არიან, სიმინდის მოყვანის ჰარიქაშეყრილებივით დაამტკიცეს. მარცვლით საქართველოს დაკმაყოფილებით და მსოფლიოში მისი ქადილის ფონზე ის მოახერხეს, რომ „ნაციონალ" პარლამენტარებს რამდენიმე მჭადი გამოეცხოთ.

**ამერიკელთა მიერ დემოკრატიის დამცველის სახელის ფრიალი ყალბი რომ ყოფილა, „ნაციონალების" აგულავებიდან ჩანს.**

გამომცემლობა „სამშობლოდან" რისთვის გამოყარეს უამრავი გაზეთის რედაქციები და რატომ დგას ეს უზარმაზარი შენობა ასე იავარქმნილი, პასუხს არ გაღირსებენ.

შეიძლება ზოგმა იკითხოს: მწერლობამ რაღა დაუშავათო? **დავით აღმაშენებლის, პატარა კახის, ილიას, ქართლის დედის, სამამულო ომში დაღუპულთა და ყველა ღირსეული მამულიშვილის უწმინდეს ხსოვნასთან მებრძოლს მწერლობა როგორ ეყვარება, როცა ქართულ ენას და მის მძლავრ მაჯისცემას ვერაფერი დააკლო მთელი ერის ინგლისურად გადაჯიშების მათმა ტუტუცურმა მცდელობამ.** ისეთი ინგლისური ენის მასწავლებლები მოყარეს, თვითონ რომ სჭირდებათ სწავლა.

ხშირად ვსაყვედურობთ იმ შენობების გაყიდვის გამო, რომლებიც მათ არ ეკუთვნით. არადა, ყაჩაღისგან რატომ უნდა ელოდო კანონიერ საქციელს!

მწერლების შენობიდან გამოყრის შედეგად უნიკალური არქივი, მწერლების მონაცემები, ბიბლიოთეკა უყურადღებოდ დააგდეს. დიდი და მძლავრი ობიექტები მოსპეს, გაყიდეს და ჩაიჯიბეს; ახლა წვრილფეხობას მიადგნენ, რა ქნან, ნებივრობისთვის ფული სჭირდებათ.

**ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, მწერლობას სახელმწიფოსგან დახმარება და ხელის შეწყობა სჭირდება; ესენი კი ებრძვიან, რამეთუ მწერლობის მართალი სიტყვა მათი თვალთმაქცობის ნიღბის ჩამოხევის ტოლფასია.**

მწერალთა კავშირს ისეთი ადგილი უწყალობეს, კარგ მეძებარს გაუჭირდება მიგნება. ვიწრო კიბეზე საწინააღმდეგოდ მომავალმა თუ არ დაიცადა, ვერ აივლი. დაბალ, პატარა შესასვლელ კარებთან ისეთი მაღალი საფეხურია, სამშენებლო ბლოკი დაუდვიათ, რომ ჩააბიჯო. ფეხი თუ დაგიცდა, კისერი თუ არა, რომელიმე კიდურის მოტეხვაღრძობით გარანტირებული ხარ. მხცოვანი მწერლისთვის იქ შეღწევა იალბუზის დალაშქვრის ტოლფასია.

**თუ რომელიმე ბიზნესმენმა გაბედა მწერლობისთვის მატერიალური მხარდაჭერა, მაშინვე სახელმწიფოს მტრად გამოაცხადებენ, რამეთუ თავი სახელმწიფოდ წარმოუდგენიათ, რადგან საქართველო მათი თავხედური განუკითხაობის არენაა.**

გამოჩნდა მწერლობის გულშემატკივარი ალექსანდრე ებრალიძე, დააარსა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია შემოქმედი ინტელიგენციის დასახმარებლად და წასახალისებლად, ამათ კიდევ ლამის მტრად გამოაცხადონ.

აგერ ბადრი პატარკაციშვილს სიკვდილიც არ აკმარეს და მისი კუთვნილი ქონება ვანდალური გაუმაძღრობით დაიტაცეს.

თუ ბიზნესმენობა გინდა, ბენდუქიძესავით იხმატკბილე „ნაციონალებთან", ძარცვე საქართველო და შოუებზე ტინგიცობით შეახსენე ხალხს შენი დუნე არსებობა.

მიუხედავად ძალადობის მძვინვარებისა, მაინც გამოჩნდა შეუპოვარი მებრძოლი, ქვეყნისა და ერის ერთგული ადამიანი და ისე შეეჭიდა ამ განუკითხაობას, როგორც ზღაპრის გმირი — დრაკონს. რაც უახლოვდებათ აღსასრული, მით სასოწარკვეთამდე მისული ძალადობით ებრძვიან კანონს, სინდისს და პატიოსნებას. **ნაცრის ქექვაზეა აწყობილი ამ ხელისუფლების არღანი, ხალხის გაბითურებაზეა აწყობილი და იძულებით უსმენ, რადგან ყურების დაცობა არ შველის, ის შენს არსებაშია შემოჭრილი, გიყიდის სამშობლოს, გისპობს ეროვნულ ტრადიციებს, გილანძღავს ყოველივე სპეტაკს და გიმახინჯებს მომავალს.**

ხალხის დამშევა მათი გალაღების საწინდარია და უმატებენ კიდეც მუხთლობის სამსალას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ბოროტების გზა ხალხის მრისხანე სამსჯავროსთან თავდება.

**გივი სომხიშვილი,**
მწერალი

## მოლდოვის პრეზიდენტად ნიკოლაი ტიმოფტი აირჩიეს

**მოლდოვის პარლამენტმა ქვეყნის პრეზიდენტად 63 წლის ნიკოლაი ტიმოფტი აირჩია. უცხოური მედიის ინფორმაციით, მას მხარი 101 დეპუტატიდან 62-მა დაუჭირა.** ნიკოლაი ტიმოფტის მხარი მმართველი პარტიის 59-ვე და სოციალისტური პარტიის სამმა დეპუტატმა დაუჭირა. კომუნისტურმა პარტიამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა და მისი 39 დეპუტატი პარლამენტის სხდომას არ დაესწრო. მოლდოვა 2009 წლიდან პრეზიდენტის გარეშე ცხოვრობდა. ამ დრომდე ქვეყანას პრეზიდენტის არჩევის მცდელობა ოთხჯერ ჰქონდა, თუმცა საპრეზიდენტო კანდიდატები 101 დეპუტატიდან მინიმუმ 61 ხმის მოგროვებას ვერ ახერხებდნენ. ნიკოლაი ტიმოფტი 1996-2001 წლებში კიშინიოვის სააპელაციო პალატის თავმჯდომარე იყო, 1996 წლიდან კი ის მოლდოვის მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარეა. ტიმოფტი 2011 წლიდან მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოს ხელმძღვანელობდა.

## დიდი ბრიტანეთი ირანის ინტერვენციას მხარს არ დაუჭერს

**დიდი ბრიტანეთი ირანის წინააღმდეგ ისრაელის სამხედრო ინტერვენციას მხარს არ დაუჭერს.** უცხოური მედიის ინფორმაციით, ეს განცხადება ბრიტანეთის პრემიერმა დევიდ კემერონმა გააკეთა. მან ისრაელს პარტნიორი ქვეყანა უწოდა, თუმცა კემერონის აზრით, ირანის პროგრესირებადი ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად ინტერვენციის გარდა სხვა საშუალებებიც არსებობს.

**„წარმატებული პარტიების“ უმეტესობამ „მოიხადა ვალი“ სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე ისე, რომ მთავრობის განსაზღვრული „მაგისტრალური ხაზიდან“ არ გადაუხვევია და „ვალმოხდილებმა გააგრძელეს ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლა“. თითქოს მხოლოდ საპატრიარქოს საქმე იყოს საქართველოს ინტერესების დაცვა ყველგან და ყველაფერში, პარტიები კი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ვირტუალურ პროექტებში უნდა მონაწილეობდნენ!**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხელისუფლების ანტიქართული ბუნების შესახებ

# დროა, გამოვფხიზლდეთ და ჩვენი დასაცავი ჩვენვე დავიცვათ!

**სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება მკვეთრად გამოირჩევა არა მხოლოდ უპასუხისმგებლობითა და ულოგიკობით, არამედ თავისი ანტიქართული ბუნებითაც. მისთვის უცხოა ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოებრივი ცნობიერება. საქართველოს ხელისუფლება მიიჩვია საზოგადოებრივი აზრის არად ჩაგდებას ისეთი მსხვილმანი საკითხების გადაწყვეტისას, როცა საქმე, ეროვნულ თავმოყვარეობასთან ერთად, ეროვნულ სტრატეგიულ ინტერესებს და ქართული სახელმწიფოებრიობის სიმტკიცეს ეხება.**

**ამ ტიპის ქმედებას წარმოადგენს თურქეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ქართველი ხალხის ზურგს უკან მომზადდა და რომლის გარკვეული პუნქტების გამოაშკარავებამ ჩვენს ხალხში უკვე გამოიწვია სამართლიანი აღშფოთება. ხელისუფლება ხელშეკრულების შინაარსს საგულდაგულოდ იმიტომაც მალავს, რომ თავადაც იცის — ის უსაფრთხოების შელახვის ელემენტთა შემცველია. ქართული საქმის დამალვა მას არ დასჭირდებოდა.**

ხელისუფლებას შეეძლო ქართულ ტაძართა გადარჩენის პრობლემის გადასაწყვეტად გონივრული საშუალებებიც მოეძებნა, თუნდაც — საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით თურქეთში არსებული ქართული ძეგლების გადარჩენის გზა, როგორც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა, მაგრამ ეს არც უცდია. მან ყველაზე პრიმიტიულსა და ქართული ინტერესებისთვის საზიანო გზას მიაკვლია: როგორც სჩვევია, ახლაც საკუთარი **ხალხი ყალბი არჩევანის წინაშე დააყენა — ან ჩვენი ისტორიული კულტურული ღირებულების არქიტექტურული ძეგლების ვერგადარჩენა, ან ყალბი შთაბეჭდილების ორგანიზება, თითქოს თურქეთს ჩვენს მიწაზე ისტორიული კულტურული ფესვები აქვს. ეს ანტიქართული ნაბიჯი საზოგადოებას მიეწოდება როგორც საქართველოს „მულტიკულტურული მრავალფეროვნების“ დამტკიცების საშუალება. რეალურად ეს არის უცხო ქვეყნის** (თუნდაც მეგობრად აღიარებულის) **იდეოლოგიური კერების ხელოვნური სტიმულირება და შიდა ქართული დაპირისპირების** (რელიგიურ ნიადაგზე) **პროვოცირება.**

ხელისუფლების პროპაგანდის ყალბი პათოსი შეეხება ძეგლების გადარჩენის ისტორიულ შანსს, რომლებიც, ცხადია, ძალიან ძვირფასია ყოველი ქართველისთვის. თუ ასეთი ისტორიული შანსი მართლაც გაგვიჩნდება, ჩვენი მოქმედება უნდა იყოს გონივრული და არა ისეთი, როცა მის სანაცვლოდ უფრო დიდი ეროვნული ინტერესების ხელყოფა მოხდება, რაც მომავალში შესაძლოა უფრო მეტ „ისტორიულ“ პრობლემად დაგვიბრუნდეს, ვიდრე დღეს ტაოკლარჯეთის ქართული ძეგლების მდგომარეობაა.

დღეს მხოლოდ ტანკებითა და თოფ-იარაღით აღარ ხდება ქვეყნებისა თუ ქვეყნის ნაწილების მიტაცება-მითვისება (რუსეთი, როგორც ჩანს, ერთადერთი გამონაკლისია დღევანდელ მსოფლიოში). თანამედროვე სამყაროში ავანსცენაზე იდეოლოგია და ფინანსები გამოვიდა. **თურქეთს რომ საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა ინტერესი აჭარის მიწა-წყლისადმი, ამას არც თვითონ უარყოფს. ასევე ჩვენც უნდა გამოვხატოთ და რეალიზება გავუკეთოთ ჩვენს ინტერესებს** (საკუთარი უსუსურობის კომპლექსი უნდა მოვიხსნათ).




**თუ ქართველი მუსლიმანები თავიანთი რელიგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭიროებენ დამატებით შენობებს, ეს თურქეთის სახელმწიფოსთან მოლაპარაკების საგანი არ უნდა გახდეს, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაწყვეტია**

**როდესაც მთავრობა საქართველოს ამ მხარეში ხელახლა აშენებს უცხოელ დამპყრობთა ბატონობის მძიმე პერიოდის ამსახველ ნაგებობას, ეს ნათლად გამოხატავს მის მზადყოფნას უცხო ქვეყნის ანტიქართული ინტერესების გატარებისთვის.**

დიდი ალბათობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გარკვეული პაუზის შემდეგ ამ თემის კვლავ წამოწევა (სომალიში დატყვევებული მეზღვაურების გათავისუფლების პერიპეტიები, მასში თურქული მხარის როლისა და საქართველოს ხელისუფლების თავმოწონების გათვალისწინებით) პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მთავრობის სურვილს — მოიპოვოს თურქეთის სახელმწიფოს მხარდაჭერა საქართველოს ხელისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე, რამაც შეიძლება ორ ქვეყანას შორის მომავალში სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს.

**რაც შეეხება ქართველ მუსლიმანთა ინტერესების გათვალისწინებასა და დაცვას, იგი მხოლოდ ჩვენი სახელმწიფოს საქმეა და არა თურქეთის.**

როგორ შეიძლება დავუშვათ, რომ ქართველ მუსლიმანთა თემა იყოს სხვა სახელმწიფოსთან ხელშეკრულების საგანი? ასეთი ხელშეკრულების არსებობა აღიარებაა იმისა, რომ ქართველი მუსლიმანების ინტერესთა დამცველი სხვა სახელმწიფო იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ შევუწყოთ ხელი ერთიანი ქართული ცნობიერების დაშლის პროცესს რელიგიური ნიშნით.

**თუ ქართველი მუსლიმანები თავიანთი რელიგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებისთვის საჭიროებენ დამატებით შენობებს, ეს თურქეთის სახელმწიფოსთან მოლაპარაკების საგანი არ უნდა გახდეს, ეს ადგილობრივი თვითმმართველობის გადასაწყვეტია.**

სამწუხაროდ, საზოგადოების და, რაც მთავარია, მრევლის ერთიანი აქტიური მოქმედება ამ ბარბაროსული შემოტევის წინააღმდეგ ვერ ხორციელდება. სწორედ ჩვენმა ამგვარმა დამოკიდებულებამ გაუხსნა ხელ-ფეხი ამჟამინდელ ხელისუფლებას, რომელიც უკვე თითქმის დარწმუნებულია მრევლის უუნარობაში და ყოველგვარი მორიდების გარეშე აკეთებს იმას, რაც უნდა, და ისე, როგორც უნდა, ხოლო ეროვნული ინტერესებით რომ არ ხელმძღვანელობს, ეს ცხადზე უცხადესია.

ნიშანდობლივია საქართველოში მოქმედი ე. წ. კვალიფიციური პარტიების დამოკიდებულება საკითხისადმი. ერთის მხრივ, მათ ვითომცდა პატრიოტულ-რელიგიური ცნობიერება გამოხატეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ზედმეტად თავი არ შეიწუხეს და „ლიბერალის“ იმიჯის დაკარგვის შიშით, ტრადიციულად, არც მწვადი დაწვეს და არც შამფური, დაკმაყოფილდნენ აღშფოთების გამოხატვით „საპატრიარქოს შეხედულებების იგნორირების“ გამო და „მოლაპარაკებებში საპატრიარქოს მონაწილეობის მოთხოვნით“. „წარმატებული პარტიების“ უმეტესობამ „მოიხადა ვალი“ სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე ისე, რომ მთავრობის განსაზღვრული „მაგისტრალური ხაზიდან“ არ გადაუხვევია და „ვალმოხდილებმა გააგრძელეს ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლა“. თითქოს მხოლოდ საპატრიარქოს საქმე იყოს საქართველოს ინტერესების დაცვა ყველგან და ყველაფერში, პარტიები კი ხელისუფლებისთვის ბრძოლის ვირტუალურ პროექტებში უნდა მონაწილეობდნენ!

**ამიტომ დროა, გამოვფხიზლდეთ და ჩვენი დასაცავი ჩვენვე დავიცვათ! მრევლის აქტიურობასა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაცნობიერებაზეა დამოკიდებული, წინ აღვუდგებით თუ არა საქართველოს შიდა და გარეშე მტრების ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ და ანტიმართლმადიდებლურ ქმედებებს.**

**მამუკა გიორგაძე,**
**პაატა კოღუაშვილი**

მოკლედ

## ერაყში 14 მოზარდი ჩაქოლეს

**ერაყში 14 მოზარდი, რომლებიც ემო-კულტურას მისდევდნენ, ქვებით ჩაქოლეს. დასავლური სტილის ჩაცმულობა 14 ახალგაზრდის სასტიკი მკვლელობის მიზეზი გახდა.** ადგილობრივი მედიის ცნობით, მკვლელები შიიტი ფუნდამენტალისტები არიან. შიიტი ფუნდამენტალისტები ქალაქის რაიონებში იმ მოზარდების სიებს ავრცელებენ, რომლებსაც იგივე ბედი ელით, თუ ისინი არ შეიცვლიან გარეგნულ იერს და „ეშმაკის თაყვანისცემაზე“ უარს არ იტყვიან. სიას ხელს „რისხვის გუნდები“ აწერენ. მკვლელობა ერაყის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადების გამოქვეყნებას მოჰყვა. განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ ერაყის საზოგადოებისთვის უცნობი მიმდინარეობა — ემო ახალგაზრდებში პოპულარული ხდება.

## ფოლკლენდიდან ბრიტანეთის ჯარების გაყვანას ითხოვენ

**სამხრეთ ამერიკის თორმეტმა ქვეყანამ ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც უკანონოდ აცხადებენ ფოლკლენდის კუნძულებზე ბრიტანეთის სამხედრო ძალების ყოფნას.** განცხადება სამხრეთ ამერიკის ერების კავშირის — UNASUR-ის სახელით გავრცელდა. ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები სამხრეთ ამერიკის მიმართ ანქრონული კოლონიალური მიდგომის მშვიდობიან გადაწყვეტას მოითხოვენ. ფოლკლენდის კუნძულები მნიშვნელოვანი გეოგრაფიული დატვირთვის მქონე პუნქტია. არგენტინა ფილკლენდს საკუთარ ტერიტორიად მიიჩნევს, ხოლო დიდი ბრიტანეთი მისი დათმობის საკითხს არ განიხილავს.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## სენატორი კატა

**ვირჯინიის შტატის ქალაქ სპრინგფილდში მცხოვრები კატა აშშ-ის სენატში კენჭს იყრის. მეინ-კუნის ჯიშის კატა, სახელად ჰენკი, დამოუკიდებელი კანდიდატია, თუმცა მისი სახელი საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი არ არის.** ჰენკის პატრონმა და მისი საარჩევნო კამპანიის მენეჯერმა, მეთიუ ო'ლირმა განაცხადა, რომ სენატორის პოსტზე კატის კენჭისყრის მიზანი დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნაა. ჰენკი ამომრჩეველს ჰპირდება, რომ, თუ მას აირჩევენ, „რძე ყველა თასში იქნება“. ცხრა წლის ჰენკის მეტოქეები გამოცდილი პოლიტიკოსები — რესპუბლიკელი ჯორჯ ალენი და დემოკრატი ტიმ კეინი არიან. კატა ჰენკი აშშ-ში პირველი ცხოველი არაა, რომელიც პოლიტიკურ კარიერას „იკეთებს“. 2010 წელს ტეხასის გუბერნატორის პოსტზე ძაღლი, სახელად ვუდროუ იყრიდა კენჭს.



# სირაქლემას ტომი

**დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ხალხის გარკვეული ნაწილის ფიზიკური და ფიზიოლოგიური მონაცემები არსებული სტანდარტებისაგან განსხვავდება. მაგალითად, აზიელებს წვრილი თვალები აქვთ, ნიგერიელებს — ძლიერი კუნთოვანი და ძვლოვანი სისტემა; ჩრდილოელებს — მეტისმეტად თეთრი კანი, ზოგს ყვრიმალები აქვს დიდი, ზოგს — თავის ფორმა წაგრძელებული, აღარაფერს ვამბობთ კანის ფერზე. მაგრამ ხალხი, რომელზეც ახლა მოგითხრობთ, აშკარად განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან.**



ზიმბაბვეში, ცივილიზაციიდან ძალიან შორს, ბინადრობს ვადომას ტომი, რომელსაც მეორენაირად სირაქლემას ხალხსაც უწოდებენ. ეს მხოლოდ პოეტური, ფრთიანი გამონათქვამი არაა: ამ ტომის ყოველ მეოთხე წარმომადგენელს აქვს გენეტიკური დაავადება, რომელიც ცნობილია, როგორც ,,კიბოს საცეცის სინდრომი“. ამ დაავადებით დაავადებულებს ხელისა და ფეხის თითები ერთმანეთთან აქვთ შეზრდილი.

საბრალო ვადომელებს ყველაზე ხშირად ფეხის შუა სამი თითი არ აქვთ განვითარებული, ხოლო ცერი და ნეკი V-ს მსგავს ფორმას იღებს.

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დაავადება გენეტიკური მუტაციის შედეგია, რადგან დაავადებამ ამ სახით ამ დრომდე მოაღწია, ესე იგი ადამიანის მსგავს მდგომარეობას თავისი დადებითი მხარეებიც აქვს. მაგალითად, ის, რომ მათ თავიანთი უნიკალური კიდურებით უპრობლემოდ შეუძლიათ ხეებზე ძრომა, ამ საქმეში ისინი მაიმუნებსაც კი არ ჩამოუვარდებიან.

ბევრი გენეტიკოსი და სწავლული მიიჩნევს, რომ დაავადების გავრცელებისა და განვითარების მთავარი მიზეზი ტომში მოქმედი ის მკაცრი ტრადიციაა, რომლის მიხედვითაც ახალგაზრდა გოგოს ან ყმაწვილს უფლება არ აქვს სხვა ტომის წარმომადგენელზე დაქორწინდეს. ეს ხალხი არც ისე მრავალრიცხოვანია და სისხლის აღრევის ფაქტებიც ხშირია, გენეტიკური მუტაციების მთავარი მიზეზი კი, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სისხლის აღრევაა.

პირველი ევროპელი, რომელმაც სირაქლემას ხალხი აღმოაჩინა, ჩარლზ სატონი გახლდათ. ეს სრულიად შემთხვევით მოხდა; მას სამოგზაუროდ წასვლა სურდა, თვალები დახუჭა და რუკას თითი დაადო. ასე მოხვდა მოგზაური ზიმბაბვეში. იქ ჩასულს ადგილობრივმა მკვიდრმა ვადომის ტომზე მოუთხრო, რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როდესაც სირაქლემას კიდურიანი ხალხი იხილა. ვადომელებიც, თავის მხრივ, გაოცებულები შესცქეროდნენ სტუმარს, ის პირველი თეთრკანიანი იყო, რომელიც მათ იხილეს.

ადგილობრივები, ძირითადად, პორტუგალიურ ენაზე საუბრობენ, თუმცა დიდი ნაწილი იქ გავრცელებულ დიალექტზეც ლაპარაკობს. მოსახლეობა თავს ნადირობით, მეთევზეობითა და ხილის მოყვანით ირჩენს. ბავშვები სკოლაში არ დადიან, ავადმყოფები ექიმთან არ მიჰყავთ, მოკლედ, სრული პირველყოფილი წყობილებაა. ვადომელი მოხუცების საყვარელი სასმელი გარეულ თაფლთან გაზავებული ლუდია, რასაც თავად ამზადებენ.



# წითელი წყალი

**მსოფლიოში უცნაური მოვლენები ხდება. რამდენიმე ხნის წინ მსოფლიო შეძრა ფრინველთა თვითმკვლელობამ. ფრინველები პირდაპირ სეტყვასავით ცვიოდნენ მსოფლიოს ქალაქებსა და სოფლებზე. სულ ახლახან გავრცელდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მრავალ ქვეყანაში უცნაური და შემაძრწუნებელი ხმები გაისმა ციდან, ამჯერად ამ ყველაფერს წყლების სისხლისფრად გარდაქმნა მოჰყვა.**

ადამიანებს აპოკალიფსური განწყობა ეუფლება და, ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ. წყალთან დაკავშირებულ ანომალიებს აკვირდებიან 2010 წლიდან. ზოგ ადგილებში წყალი საერთოდ გაქრა, ზოგან სისხლისფრად წითლდება და ეს პროცესი უკვე დაფიქსირდა აშშ-ში, ავსტრალიაში, ერაყში, ჩინეთში, ირანში, რუსეთსა და სხვა ქვეყნებში.

შავ ზღვაში (სევასტოპოლის რაიონში) ნაპირზე წყალი გაწითლდა. ზღვამ მკვდარი თევზიც ამოყარა. წყლის ფერი ტეხასის შტატის (აშშ) დასავლეთით მდებარე ტბაში სისხლისფერი გახდა. სპარსეთის ყურის ირანის სანაპიროზე „წითელმა მოქცევამ“ 32 ტონა თევზი იმსხვერპლა. ყაზახეთში, სოფელ ჩემოლგანის მცხოვრებლებმა ერთი თვის წინ განგაში ატეხეს: მათი სოფლის ახლოს მდებარეობს ტბა, რომელიც უცნაურ ვითარებაში გაწითლდა და აყროლდა.



მდინარემ ბეირუთში უეცრად ფერი შეიცვალა და სისხლისფერი გახდა. ანომალიამ ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა გააოგნა. ზოგიერთი ვარაუდობს, რომ წყალი წარმოების ნარჩენების მდინარეში ჩადინებამ გააწითლა, მაგრამ დაბინძურების წყარო, ასევე თვით ნივთიერება, რომელსაც შეეძლო ამის გამოწვევა, ვერ აღმოაჩინეს.



# შიშველი დეპუტატები




**პარტია „თავისუფლება და სოლიდარობის“ წარმომადგენელი ჩვიდმეტი სლოვაკი დეპუტატი გაშიშვლდა. ამ ფორმით კანონმდებლები სისხლისსამართლებრივი დევნისგან დამცავი იმუნიტეტის ჩამორთმევას ითხოვენ.**

17 ადამიანი სრულიად შიშველი პოზირებდა, მათ სიშიშვლეს მხოლოდ ბანერი ფარავდა, წარწერით: **„გავაშიშვლოთ დეპუტატები, დავტოვოთ ისინი ხელშეუხებლობის გარეშე!“.**

სლოვაკეთის პარლამენტში ამ საკითხთან დაკავშირებით ცხარე დებატები გაიმართა. **„კანონმდებლები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მათ არ სჭირდებათ ისეთი პრივილეგია, როგორიც არის იმუნიტეტი“,** — აცხადებდნენ პარლამენტის წევრები.

**„თავისუფლება და სოლიდარობის“** წევრები 2010 წელს ამ საკითხთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებას მოითხოვდნენ, მაგრამ პარლამენტის დანარჩენმა წევრებმა მათ მხარი არ დაუჭირეს.

# «მეორადი მზე»

**პატარა იტალიურ სოფელ ვიგანელას „მეორადი მზე“ ანათებს. სოფელი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული, რის გამოც მას მზის სხივი ვერ სწვდება. ყოველ წელს, ნოემბრის შუა რიცხვებიდან თებერვლის შუა რიცხვებამდე ვიგანელაში ბნელა, თუმცა ადგილობრივმა მოსახლეობამ პრობლემის გადაწყვეტის გზას მიაგნო.**



არქიტექტორმა ჯიაცომო ბონსალიმ ვიგანელას ერთ-ერთი მთის ფერდზე დაამონტაჟა გიგანტური სარკე, რომელიც მზის სხივებს ისე ირეკლავს, რომ სინთლემ ვიგანელამდე მიაღწიოს. სარკე სიმაღლეში 5, ხოლო სიგანეში 8 მეტრისაა და მას არეკლილი სხივებით სოფლის განათება შეუძლია. ის ავტომატურად იმართება, მისი დახრა სპეციალური პულტის მეშვეობითაა შესაძლებელი, რაც მზის სხივების სოფლამდე მიწოდებას უზრუნველყოფს. გიგანტური სარკის დამონტაჟება 10 000 ევრო დაჯდა, თუმცა მან სოფელს არა მხოლოდ მზის სინათლე, არამედ ტურისტების მოზღვავებაც მოუტანა.








## ყინულის ქორწინების სასახლე

**რუსეთში, ჰიბინის მთის ძირში, ყინულის ქორწინების სახლი მოქმედებს. ეს ნამდვილი სარეგისტრაციო ორგანოა, სადაც ხელმოწერის რიტუალი ყინულის ჟურნალში ფიქსირდება. ცერემონია ყინულის სანთლების შუქზე მიმდინარეობს და შამპანურიც ყინულის ბოკალებიდან ისმება.** სასახლეში 10 დარბაზია. დიზაინერებმა ტურისტების ინტერესებიც გაითვალისწინეს და თითოეული დარბაზი ცალკეულ ქვეყანას მიუძღვნეს. ფინელების პატივსაცემად გაკეთდა საუნა, საბერძნეთიდან ჩასული ტურისტებისთვის ზეთისხილის ხეები გამოკვეთეს, ესპანელ სტუმრებს კი დონ კიხოტისა და სანჩო პანსას ქანდაკებები ხვდება.

ქრონოგრაფი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პენტაგრამა, ანუ ოქროს კვეთა

**ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უამრავი ისეთი რამ გვხვდება, რაზეც სწორედ ეს სიმბოლოა გამოსახული, მათ შორის საყოფაცხოვრებო ნივთები, ტანისამოსი, აქსესუარები, ჭურჭელი, სვირინგები, როკ-მუსიკის ალბომები, მისტიკური ფილმები და ა.შ. საზოგადოების ინტერესი ამ მისტიკური სიმბოლოს მიმართ აშკარაა. პენტაგრამას ყველაზე ხშირად მაგიას, სატანიზმს, სუბკულტურებსა და საიდუმლო ორდენებს უკავშირებენ. მაგრამ, როგორც ჩანს, ძალიან ცოტამ იცის, რომ ამ სიმბოლოს აქტიურად იყენებდნენ ანტიკურ საბერძნეთში. პითაგორელები მას ბედნიერების, ჯანმრთელობის, სიმტკიცის სიმბოლოდ თვლიდნენ და მათი კავშირის სიმბოლოც სწორედ პენტაგრამა იყო.**



დიურერის ავტოპორტრეტი



პეტრე I-ის სასახლე სტრელნში




პითაგორელებმა აღმოაჩინეს პენტაგრამის უნიკალურობა იმ თვალსაზრისით, რომ ის არის ერთადერთი გეომეტრიული ფიგურაა, რომელსაც „ოქროს კვეთა" ახასიათებს. ოქროს კვეთა ნიშნავს შემდეგს: მთელი ისე იყოფა არათანაბარ ნაწილებად, რომ დიდი ნაწილი ისე შეეფარდება მთელს, როგორც მცირე ნაწილი – დიდს. ეს იდუმალი, მაგიური პროპორციულობის თვისებაა, როგორც ისინი ამბობენ.

**შუა საუკუნეების ევროპაში ითვლებოდა, რომ პენტაგრამას შეეძლო დაეცვა ადამიანი ავი, ბოროტი სულების ზემოქმედებისგან, როგორც თილისმას, რასაც გოეთეს ფაუსტიც ადასტურებს. როგორც ნაწარმოებიდან ჩანს, „ქვესკნელის შვილმა" ფაუსტის სახლში მხოლოდ იმიტომ შეძლო შეღწევა, რომ პენტაგრამა დაუდევრად იყო შესრულებული და გარე კუთხე ღია ჰქონდა, შიდა – დახურული. ამიტომაც ველარ გადიოდა სახლიდან მეფისტოფელი. ცნობილია, რომ გოეთეს სახლის სადარბაზო კარის წინ პენტაგრამა იყო გამოსახული.**



ათენის პანთეონი

გარდა ამგვარი გავლენისა საზოგადოებაზე, ამ სიმბოლომ და „ოქროს კვეთის" პრინციპიდან გამომდინარე მიღებულმა ეგრეთ წოდებულმა მისტიკურმა ციფრმა 0,618-მა ასახვა ჰპოვა აღორძინების ეპოქის იტალიურ ხელოვნებაშიც. მას ფართოდ იყენებდა ლეონარდო და ვინჩი. მეცნიერთა ერთი ნაწილი იმასაც კი ამტკიცებს, რომ მონა ლიზას პორტრეტი აგებულია წესიერი ხუთქიმიანი ვარსკვლავის კომპოზიციის მიხედვით, ისევე, როგორც მისი სხვა მრავალი ნამუშევარი.

ლეონარდო და ვინჩის ეკუთვნის ასევე „ოქროს კვეთის" შესახებ დაწერილი ტრაქტატის ილუსტრაციები, რომელთაც იტალიელმა მათემატიკოსმა ლუკა პეჩელიმ „ღვთაებრივი პროპორცია" უწოდა. ამავე პრინციპზეა დახატული ტიციანისა და რაფაელის სურათები და დიურერის ავტოპორტრეტი.

**ითვლება, რომ ადამიანი ლამაზია, თუ სახის ნაკვთები ისეთი პროპორციითაა განლაგებული, რომ მათი შეფარდება 0,618-ის ტოლია (ამბობენ, რომ მოდელების შერჩევა XX საუკუნის დასაწყისში სწორედ ამ პრინციპით ხდებოდა).**

არქიტექტურის თვალსაზრისით, პირველად ეს პროპორცია გამოყენებულია ათენის პართენონში (ქრისტეშობამდე Vს). აღნიშნული ძეგლის სიმაღლის შეფარდება სიგრძესთან უდრის 0,618-ს.

**ამავე პრინციპით არის აგებული იტალიური, ფრანგული და რუსული კულტურის არაერთი ძეგლი, მათ შორის, პეტრეს სასახლე მოსკოვში.**

გარდა ადამიანის ცნობიერებისა და კულტურისა, პენტაგრამამ რელიგიური წარმოდგენებიც თავდაყირა დააყენა და ძალიან მალე გახდა ოკულტური სიმბოლო. ის განასახიერებდა 5 ყველაზე ძლიერი ნიშნის — სულის, ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მიწის ერთობლიობას. ბოლო ოთხი ნიშანი საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოებია,



მაგრამ მეხუთე სიმბოლო, რომელიც მოიაზრება სულის, ანუ ადამიანის განსახიერებად, შეიძლება სულაც არ იყოს ადამიანი. ამ საკითხზე უამრავი მკვლევარი მუშაობს და ნაადრევი დასკვნების გამოტანას აჯობებს, მათ ვერსიებს დაველოდოთ.

## კითხვა უკუნში

**ჩინეთის პროვინცია გუანხისში მცხოვრები ნონგ იოუჰუისი უკუნ სიბნელეში კითხულობს. იგი ღამით უკეთ ხედავს, ვიდრე დღე. ბავშვი იშვიათი დაავადებით დაიბადა: მისი თვალები მზის სინათლის მიმართ მგრძნობიარეა, ხოლო სიბნელეში შესანიშნავად ხედავს და კითხულობს. ექიმებმა მის დაავადებას პირობითად ლუეკოდერმია უწოდეს.**

ოფთალმოლოგები გაოგნდნენ — ჩინელ ბიჭუნას ლურჯი ფერის თვალები აქვს, რაც ძალიან უჩვეულოა აზიელებისათვის. სიბნელეში ბიჭის თვალები ჯერ მომწვანო-მოლურჯო ფერის არის, მაგრამ, როგორც კი ექიმები თვალებზე შუქს მიანათებენ, ბიჭის თვალები კატის თვალებივით აკაშკაშდება. ბავშვმა უკუნ სიბნელეში წიგნები უშეცდომოდ წაიკითხა.

ნონგის მამამ შვილის დაბადებიდან 2 თვის შემდეგ შეამჩნია, რომ მისი თვალები სიბნელეში უჩვეულოდ ელავდა. ექიმებმა ოჯახს განუცხადეს, რომ სანერვიულო არაფერი იყო და დროთა განმავლობაში თვალის ფერი ბუნებრივ შეფერილობას მიიღებდა. ამის შემდეგ ოჯახს ბავშვისთვის ყურადღება აღარ მიუქცევია. მხოლოდ



რამდენიმე წლის შემდეგ, სკოლის მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ბავშვის თვალები არაბუნებრივი ფერის იყო და კატისას ჰგავდა.



## «ცალმკერდიანი» მოდელი

**რომის მოდის კვირეულზე დიზაინერმა ჯანი მოლარომ უცნაური კოლექცია წარადგინა. მან ერთ-ერთ მოდელს ცალმკერდიანი კაბა ჩააცვა.** ხსენებული ჩვენება საკმაოდ ეპატაჟური აღმოჩნდა. ცალმკერდა კაბას უცნაური მკლავებითა და თევზისებრი დაბოლოებით თითქმის ყველა ინტერნეტ-გამოცემა გამოეხმაურა. მეორე ექსცენტრული ნამუშევარი, რომელიც მოლარომ წარმოადგინა, „კაბა-ქოლგა" იყო, რომლის კორსეტი ძლივს ფარავდა მოდელის მკერდს, ხოლო ქვედატანი მთლიანად გაშლილი თეთრი ქოლგებისგან იყო შექმნილი. ამ უცნაურ კოლექციაში, დიდი ყურადღება კიდევ ერთმა კაბამ მიიქცია, რომლის მუზა ეკონომიკური კრიზისია. მასზე დიზაინერმა ევროს ლოგოტიპი გამოსახა. საბოლოოდ, ამ უცნაურმა კოლექციამ მოდის კრიტიკოსთა მოწონება დაიმსახურა. მათ ჯანო მოლარი მოდის ფანტაზიორად აღიარეს.

## პიკასოს ნახატს რობოტი შეისწავლის



**პაბლო პიკასოს ცნობილ ტილოს — „გერნიკას" რობოტი შეისწავლის. ხშირი მოგზაურობის შედეგად, ტილო დაზიანდა და დიაგნოსტიკას საჭიროებს.** მადრიდის დედოფალ სოფიას მუზეუმი სურათის მდგომარეობის ძირფესვიანად შესწავლას იწყებს, მაგრამ მისი სკანირება არც ისე ადვილია. სურათის ფართობი 27 კვადრატული მეტრია, ამიტომ ამას რობოტი გააკეთებს. რობოტი ტილოს მიკროსკოპულ ფოტოებს გადაიღებს და სურათის „დნმ"-ს შექმნის. რობოტი ძალიან მობილურია, ის სურათის ზედაპირს მუზეუმშივე გამოიკვლევს. რობოტი ტილოს ერთი მეტრის დაშორებით ათი ათასობით მაღალი გარჩევადობის (24,000 პიქსელი) ფოტოს გადაუღებს. სპეციალისტებს იმედი აქვთ, რომ ტილოს შესახებ დღემდე უცნობ ინფორმაციას შეიტყობენ. მადრიდის მუზეუმის კონსერვაციის სპეციალისტის, უმბერტო დურანის თქმით, „რობოტის წყალობით, მკვლევარები იმის დანახვას შეძლებენ, რისი აღქმაც ადამიანის თვალს არ შეუძლია". პიკასომ ტილო 1937 წელს დახატა და მისი თემა ქალაქ გერნიკას დაბომბვაა.

# «ალდგომა ვერ შედგებოდა, ჯვარცმა რომ არ ყოფილიყო»

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო წირვის დასრულების შემდეგ ჯვარცმისა და აღდგომის ურთიერთკავშირზე იქადაგა.**



როგორც კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, აღდგომა ვერ იქნებოდა, ჯვარცმა რომ არ ყოფილიყო. მისივე თქმით, ჯვარი ადამიანის დამცირების იარაღი იყო, ხოლო მაცხოვრის ჯვარცმის მერე ეს იარაღი იქცა სადიდებლად. უწმიდესის თქმით, **„ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი ჯვარი. ადამიანი არასდროს არის კმაყოფილი თავისი ჯვრის და მიაჩნია, რომ მისი ჯვარი არის მძიმე“.**

**„უნდა ვიცოდეთ, რომ უფალი ყველას აძლევს იმ ჯვარს, რომლის ტარების ძალაც ექნება. მას ჯვართან ერთად ძალასაც აძლევს და ამ ჯვართან ერთად უნდა განვლოთ ცხოვრება“,** — ბრძანა ილია მეორემ. მან პავლე მოციქულის სიტყვები გაიხსენა, რომელიც ამბობს: **„ერთმანეთის სიმძიმითა იცხოვრეთ და ერთად აღასრულეთ რჯული ქრისტესი“.**

„ესეც ჯვარია, როდესაც ეხმარები ადამიანს ჯვრის ტარებაში“, – ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა. მისი თქმით, დღეს, როდესაც ასე უჭირს ადამიანს სულიერად და მატერიალურად, უნდა დავეხმაროთ და ვუშველოთ ჯვრის ტარებით.

**„ადამიანმა თავისი ცხოვრებით უნდა აღასრულოს ქრისტეს რჯული. ეს არის მისი სწრაფვა ღვთისაკენ და ხალხისაკენ – ლოცვა და სიყვარული ღვთისა და ადამიანისა“,** — ბრძანა უწმიდესმა და უნეტარესმა.

# საქართველოში ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტი იქმნება

**აზერბაიჯანელებით დასახლებულ ქვემო ქართლის რეგიონში (ბორჩალო) საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები საზოგადოებრივ პარლამენტს ქმნიან. ამის შესახებ სააგენტო „რეგნუმს“ საქართველოს თურქთა კონფედერაციის პრეზიდენტმა დაშგინ გიულმამედოვმა აცნობა.**




მან აღნიშნა, რომ 1 მარტის შემდეგ კონფედერაციის ინიციატივით არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა და გადაწყდა, რომ ბორჩალოს საზოგადოებრივი პარლამენტი უახლოეს პერიოდში შეიქმნება. **საქართველოს თურქთა კონფედერაციის პრეზიდენტის თქმით, მიღებულია გადაწყვეტილება საზოგადოებრივი პარლამენტის სპეციალური ქარტიის ხელმოწერის თაობაზე.** ქვემო ქართლის რეგიონში მოქმედ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას შეუძლია ამ პარლამენტში თითო წარმომადგენელი ჰყავდეს. საზოგადოებრივი პარლამენტი ბორჩალოში მოქმედი ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საქმიანობის კოორდინირებას მოახდენს. გიულმამედოვის თქმით, ეს მათ პოლიტიკურ კონსოლიდაციას გამოიწვევს.

# ისრაელში უვიზო რეჟიმის შესახებ მოლაპარაკებების წარმოებას უარყოფენ

**პორტალ „იზრუსის“ ცნობით, ისრაელის ოფიციალური პირები ისრაელ-საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის შესახებ ინტენსიური მოლაპარაკებების წარმოებას უარყოფენ.**



პორტალის ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა და ტურიზმის სამინისტროები ორ ქვეყანას შორის 2012 წლის ბოლოსთვის **უვიზო რეჟიმის შემოღების თაობაზე ინტენსიური მოლაპარაკებების შესახებ ქართული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფენ და აცხადებენ, რომ ის მხოლოდ ახლა იწყება. „საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების საკითხი ამ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის ისრაელში ვიზიტის დროს დაისვა. ქართულმა მხარემ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ისრაელის მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმი უკვე გააუქმა. ამასთან დაკავშირებით მიღწეულ იქნა შეთანხმება მოლაპარაკებების დაწყების შესახებ, რათა შემდეგ საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების თაობაზე მუშაობა დაიწყოს“,** — განაცხადა ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის პრესმდივანმა იგალ პალმორმა და დასძინა, რომ უზივო რეჟიმის შემოღების კონკრეტული პროცედურების შესახებ მოლაპარაკებები ჯერჯერობით არ მიმდინარეობს.

**„ისრაელი ამაზე თანახმაა, თუმცა ვადებზე საუბარი ჯერ კიდევ ძალიანნაადრევია“,** — აღნიშნა მან.

თავის მხრივ, ტურიზმის მინისტრის მრჩეველმა ამნონ ლიბერმანმა განაცხადა, რომ **„ისრაელი ამ საკითხთან დაკავშირებით ამჟამად მხოლოდ პროცესს იწყებს“.**

**„ბუნებრივია, სასურველი იქნებოდა, რომ ამ პროცესმა სწრაფად ჩაიაროს და ვიზები წლის ბოლომდე იქნეს გაუქმებული, თუმცა ჯერ კიდევ ადრეა იმაზე საუბარი, კონკრეტულად ეს როდის მოხდება“,** — დასძინა მან.

# სპეცსამსახურები ინტერნეტს თვალთვალისთვის იყენებენ

**ამ ბოლო დროს სულ უფრო მეტი ნივთი იძენს ინტერნეტში დაშვებას - დიდი ხანია აღარავის უკვირს ტელევიზორი Wi-Fi-თ და შორიდან მართული სარეცხი მანქანაც კი. „ცეერუს“ დირექტორ დევიდ პეტრეუსის აზრით, მსგავსი მოწყობილობები მზვერავისთვის ნამდვილი განძია. შესაძლებელია ნებისმიერი მათგანის, თუნდაც ჭურჭლის სარეცხი მანქანის „ინტერესის ობიექტის“ სათვალთვალოდ მისადაგება.**

პეტრეუსი მიიჩნევს, რომ **ინტერნეტის ქსელში ჩართული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები საგრძნობლად ამარტივებს ეჭვმიტანილის თვალთვალს,** და რომ მომავალში სერიოზულად შეიცვლება წარმოდგენა იმაზე, რა არის საიდუმლო და რა — არა.



რა თქმა უნდა, სადაზვერვო სამმართველოს ამერიკელი მოქალაქეების თვალთვალის საკითხში კანონის დაცვა უწევს, მაგრამ არსებობს ინფორმაცია, რომლის შეგროვება თავისუფლად შეიძლება, მაგალითად, გეოლოკაციური მონაცემები.

**იმის გათვალისწინებით, რომ GPS-მოდული დღეს ბევრ ელექტრონულ დევაისშია დამონტაჟებული,** მათ შორის, სმარტფონებში, პლანშეტებში, ნავიგატორებში და ფოტოაპარატებშიც კი, **ამერიკელი მზვერავების მუშაობა სერიოზულად გამარტივდა.** სხვათაშორის, გამორიცხული არ არის, რომ რუსეთის სპეცსამსახურები მსგავსი მიზნით სამამულო სისტემა „გლონასს“ აამოქმედებენ — სმარტფონებს, რომლებსაც შარშან აქტიურად უჭერდნენ მხარს.

**„საქინფორმი“**




# ელიტ ელექტრონიქსი მომხმარებელს გორენიეს ბრენდის ახალ აქციას სთავაზობს

გორენიეს ბრენდის ნებისმიერი მსხვილი ტექნიკის შეძენის შემთხვევაში მომხმარებელი საჩუქრად მიიღებს ამავე ბრენდის წვრილი საყოფაცხოვრებო ტექნიკიდან ერთ-ერთს: წვენსაწურს, მიკროტალღურ ღუმელს, უთოს, მტვერსასრუტს, ტოსტერს ან ბლენდერს.

პროდუქციის რაოდენობა შეზღუდულია და დროც.

ელიტ ელექტრონიქსი
ELIT ELECTRONICS

**აქცია ძალაშია 31 მარტამდე!**

გორენიე, უკვე 21 წელია, წარმატებით მოღვაწეობს საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარზე. დღეისათვის ამ ბრენდის პროდუქცია მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი და საუკეთესო ევროპული ბრენდების შვიდეულშია შესული.

კომპანია, გარდა ტექნოლოგიური ინოვაციებისა, მომხმარებელს მუდამ ინოვაციური დიზაინის ტექნიკას სთავაზობს.

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო & მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru